

სიღვთა პლათი

ზარსუფი

კემბრეური მიმლოთეკა



უცნაური, სულის შემხუთავი ზაფხული იდგა. ის ზაფხული, როზენბერგები ელექტროსკაში რომ დასვეს, მე კი მოულოდნელად ნიუ-იორკში ამოვყავი თავი. სიკვდილით დასჯის წარმოდგენაც კი გონებას მიბნელებს. არადა, იმ ზაფხულს გაზეთები მხოლოდ ამაზე წერდნენ. ყოველი ქუჩის კუთხიდან, ყოველი მეტროს სადგურის მიწის თხილის სუნით აქოთებული ხახიდან უზარმაზარი მყვირალა სათაურები პირდაპირ მე მომშტერებოდა. რა თქმა უნდა, ამ ყველაფერთან არაფერი მაკავშირებდა, მაგრამ სულ იმის წარმოდგენას ვცდილობდი, რას უნდა გრძნობდეს ადამიანი, როდესაც ყველა ნერვი ცოცხლად ეწვის.

ამაზე საშინელს ქვეყნად ვერაფერს წარმოვიდგენდი.

ნიუ-იორკი თავად იყო საზარელი. დილით, ცხრა საათისთვის, ღამის განმავლობაში როგორღაც დაგროვილი მოჩვენებითი სიგრილე ტკბილი ზმანების ბოლო ლანდივით ქრებოდა. ბაცი ნაცრისფერი ქვაფენილებით ქუჩები მზის გულისკენ მიიკლავებოდნენ, ზედ მანქანების პრიალა სახურავები უელავდათ და თვალებსა და ყელში მშრალ, ვერცხლისფერ მტვერს მაყრიდნენ.

როზენბერგების ამბავი ვერაფრით ამოვიგდე თავიდან. რადიოსა და ოფისში მათ შესახებ იმდენს ლაპარაკობდნენ, რომ ბოლოს იგივე შეგრძნება ამეკვიატა, როგორც მაშინ, გვამი რომ ვნახე პირველად. გვამის თავი, თუ თავისგან რაც იყო დარჩენილი, რამდენიმე კვირის მანძილზე საუზმის დროს ერბოკვერცხისა და ბადი უილიარდის სახის მიღმა მელანდებოდა. და მალე ისეთი განცდა გამიჩნდა, თითქოს იმ გვამის თავს ყველგან თან დავაპორწიალებდი ძაფზე გამობმული შავი, უცხვირო, ძმრის სუნით გაჟღენთილი ბუშტივით.

იმ ზაფხულს ვგრძნობდი, ყველაფერი რიგზე რომ ვერ მქონდა: ერთადერთი, რაზეც ფიქრი შემემლო, როზენბერგები იყვნენ და კიდევ ის, რომ ნამდვილი სიბრყვე იყო მთელი იმ მოუხერხებელი, მვირფასი სამოსის ყიდვა, ახლა გამხმარი თევზებივით რომ ეკიდა ჩემს გარდერობში; და კიდევ ის, რომ კოლეჯში წლების მანძილზე დაგროვილი ჩემი პატარ-პატარა წარმატებები ერთბაშად გაქარწყლდა აქ, მედისონ ავენიუს კრიალა მარმარილოსა და მინის ფასადების ფონზე.

არადა, წესით, უბედნიერეს გოგოდ უნდა მეგრძნო თავი.

მშვენივრად ვიცოდი, რომ ათასობით ამერიკელი კოლეჯის მოსწავლე გოგონა შემომნატრებდა, თუნდაც ჩემი ბლუმინგდეილში ნაყიდი ოცდაჩვიდმეტი ზომის ტყავის ფეხსაცმლის, ქამრისა და მათთან კარგად შეხამებული საფულის გამო; და ვინც კი მნახავდა იმ ჟურნალში დაბეჭდილ ფოტოზე, რომელთანაც თორმეტივე ფინალისტი ვთანამშრომლობდით - ფემენებელურ ბარში, ხელში მარტინით სავსე ჭიქით, ხელოვნური ფარჩის ვიწრო ვერცხლისფერ კორსაჟსა და თეთრი ტულის ღრუბელივით ფუმფუმა ქვედატანში გამოწყობილს, ამ ფოტოსთვის სპეციალურად დაქირავებული ამერიკული გარეგნობის ახალგაზრდა მამაკაცების გარემოცვაში - იფიქრებდა, ეს გოგო მართლა მაგარ დროს ატარებსო.

„შეხედეთ, რა არ ხდება ამ ქვეყანაში“, - იტყოდა ჩემი მნახველი, - „გოგონა ცხრამეტი წლის განმავლობაში რომელიდაც მივარდნილ ქალაქში ცხოვრობს. ისეთი ღარიბია, რომ ჟურნალის გამოწერაც კი არ შეუძლია, მერე კოლეჯისათვის სტიპენდიას იგებს, იქ კიდევ ათასნაირ ჯილდოს იღებს და აი, უკვე ნიუ-იორკის ბატონ-პატრონადაც კი გრძნობს თავს“.

მაგრამ არაფრის ბატონ-პატრონი არ ვიყავი, საკუთარი თავისაც კი. დაფჩაქჩაქებდი სასტუმროდან ოფისში და იქიდან წვეულებებზე და მერე უკან, სასტუმროში და მერე ისევ ოფისში... წესით, დანარჩენი გოგოებივით აღტაცებული უნდა ვყოფილიყავი ამ ამბით, მაგრამ თავს ვერაფერს ვუხერხებდი. გაყურებული და ცარიელი ვიყავი, როგორც ტორნადოს თვალი, აურზაურით გარშემორტყმული, წინ ბრმად, მიმიმედ რომ მიიწევს.

როგორც აღვნიშნე, სასტუმროში თორმეტნი ვიყავით.

თორმეტივემ მოდების ჟურნალის კონკურსში გავიმარჯვეთ: ესეები, მოთხრობები, ლექსები და სარეკლამო განცხადებები დავწერეთ და ჯილდოდ ნიუ-იორკში ერთთვიანი სამუშაო მოგვცეს, საცხოვრებლით უზრუნველგვყვეს და საჩუქრებით, ბალეტისა და მოდების ჩვენებებზე დასასწრები ბილეთებით, ძვირად ღირებული სალონების საშვებით, ჩვენი ინტერესების სფეროებში მოღვაწე წარმატებულ ადამიანებთან შეხვედრების საშუალებითა და ჩვენს გარეგნობასთან დაკავშირებული რჩევებით აგვაავსეს.

დღემდე შემომრჩა თავლისფერთვალეზა და წაბლისფერთმიანი გოგონასთვის განკუთვნილი პარფიუმერიის კომპლექტი: ყავისფერი ტუშითა და ფუნჯით, თვალის ცისფერი საცხით ამოვსებული ციცქნა ღრმულით, პაწია, ცალ მხარეს სარკიან კოლოფში მოთავსებული ვარდისფერი და წითელი პომადებით. იმდროინდელი სათვალის თეთრი პლასტმასის ბუდეც მაქვს - ფერადი ნიჟარებითა და დელფინებით მოხატული, ზედ მიკრული პლასტმასის მწვანე ზღვის ვარსკვლავით.

რა თქმა უნდა, მალევე მივხვდი, რომ მთელი ეს ჩვენი საჩუქრები მშვენიერი უფასო რეკლამის საშუალება იყო ღონისძიებაში ჩართული ფირმებისათვის. თუმცა ამის გამო ცინიზმი ჩემგან ნამდვილი უმადურობა იქნებოდა. არადა, ამ საჩუქრების ცვენამაც მაგრად შემარყია. მერე კარგა ხანს თვალისგან შორს ვმაღავდი ამ ყველაფერს. მაგრამ როცა გამოვჯანმრთელდი, კარადებიდან ისევ გამოვალაგე ეს ნივთები და სახლში მიყრია დღემდე. იმ პომადებს ზოგჯერ ახლაც ვხმარობ. გასულ კვირას კი სათვალის ბუდეს პლასტმასის ვარსკვლავი ავაცალე და ბავშვს მივეცი სათამაშოდ.

ასე რომ, თორმეტნი ვიყავით და თორმეტივე ერთ სასტუმროში, ერთსა და იმავე სართულზე, ერთსა და იმავე მხარეს, ერთადგილიან ოთახებში მოგვათავსეს. იქაურობა ჩემი კოლეჯის საერთო საცხოვრებელს მაგონებდა. ეს ჩვეულებრივი სასტუმრო არ იყო - მხედველობაში მაქვს ისეთი სასტუმროები, სადაც ქალები და კაცები ერთ სართულზე, ერთმანეთის გვერდიგვერდ ცხოვრობენ.

ეს სასტუმრო, „ამაზონი“, მარტო ქალებს ემსახურებოდა. აქ ძირითადად ჩემი ასაკის გოგოები ცხოვრობდნენ - იმ მდიდარი მშობლების ქალიშვილები, რომლებსაც სურდათ, დარწმუნებულები ყოფილიყვნენ, რომ მათ ასულებს მამაკაცების მხრიდან ცდუნებისაგან საიმედოდ დაიცავდნენ. ყოველი მათგანი ძვირად ღირებულ, კეტი გიბსის ტიპის სამდივნო სკოლაში სწავლობდა. აი, ისეთი, ქუდით, წინდებითა და ხელთათმანებით რომ უნდა იარო. ან კიდევ, უკვე დამთავრებული ჰქონდათ ამგვარი სასწავლებელი და სახელმწიფო მოხელეების მდივნებად მუშაობდნენ, ნიუ-იორკში რჩებოდნენ და იცდიდნენ, ხელს როდის სთხოვდათ რომელიმე კარიერისტი.

ეს გოგოები ჩემს თვალში ძალიან ცხოვრებამოზეზრებულებს ჰგავდნენ. მინახავს, როგორ ისხდნენ სასტუმროს სახურავზე, ამოქნარებდნენ, ფრჩხილებს

ილაქავდნენ და მზის გულზე ბერმუდებიდან ჩამოყოლილი ფერის შენარჩუნებას ცდილობდნენ. მართლა აუტანლად ცხოვრებამობეზრებულებს ჰგავდნენ. ერთს გამოველაპარაკე და მითხრა, რომ მობეზრებული ჰქონდა იახტებიც, თვითმფრინავებით ფრენაც, საშობაოდ შვეიცარიაში ციგურაობაც და ბრაზილიელი კაცებიც.

ასეთი გოგოები ცუდად მხდიან. შურისაგან ლაპარაკის უნარი მერთმევა. ნიუ-იორკში ამ ვიზიტს თუ არ ჩავთვლით, ცხრამეტი წლის გოგოს ნიუ-ინგლანდიდან ფეხი არ გამომიდგამს. ახლა ეს ჩემი პირველი ნამდვილი შანსი იყო. მაგრამ, აი, ვიჯექი გაყუჩებული და ეს შანსიც თვალსა და ხელს შუა მიქრებოდა.

მე მგონი, ჩემი ერთ-ერთი უბედურება დორინი იყო.

დორინისთანა გოგო მანამდე არ მენახა. სამხრეთიდან, ელიტარული კოლეჯიდან იყო. შაქრის „ბამბასავით“ აფუებული, მზინავი თეთრი თმა და მარმარილოსავით კრიალა, გამჭოლი ცისფერი თვალები ჰქონდა. ტუჩებზეც გამუდმებით ირონია ეხატა. ავი ღიმილი კი არა, არამედ რაღაც იდუმალი, მომხიბლავი ირონია. თითქოს მის გარშემო ყველა წაისულელებდა და თვითონ კი შეეძლო ნებისმიერზე რამე სასაცილო ეთქვა.

დორინმა თავიდანვე გამომარჩია. მაგრძნობინა, რომ სხვებზე გამჭრიახი ვიყავი და ბევრს მაცინებდა. საკონფერენციო მაგიდასთან ჩემ გვერდით ჯდებოდა ხოლმე და როცა პატივსაცემი სტუმრები სიტყვით გამოდიოდნენ, ყურში ათასგვარ რამეს ჩამჩურჩულებდა სარკაზმით.

როგორც მითხრა, მის კოლეჯში ისე თავგამოდებით მისდევდნენ მოდას, რომ ყველა გოგოს კაბის შესაფერისი ქსოვილის საფულე დაჰქონდა. კაბასთან ერთად საფულესაც იცვლიდნენ. ამ დეტალმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს ხომ იმ ბრწყინვალე, მდიდრული, ფერადი ცხოვრების ამსახველი დეტალი იყო, მე რომ მაგნიტივით მიზიდავდა.

ერთადერთი, რისთვისაც დორინი მეც მლანძღავდა, ჩემი სიბეჯითე იყო.

- რას აკლავ თავს? - ახლაც ჩამაცივდა. თავისი ატმისფერი აბრეშუმის ღამის პერანგისამარა ჩემს საწოლზე მოკალათებულიყო და ვიდრე მე ერთ ცნობილ რომანისტთან ჩემი ინტერვიუს მონახახს ვბეჭდავდი, გაყვითლებულ ფრჩხილებს იქლიბავდა.

დორინის ღამის პერანგი საგანგებოდ უნდა აღიწეროს. ჩვენ, დანარჩენებს, ბამბის გახამებული საცვლები და დალიანდაგებული ხალათები გვეცვა. დორინი კი გრძელ, თავიდან ფეხებამდე გამჭვირვალე ნეილონსა და მარმაში იყო გამოწყობილი. ზემოდანაც კანისფერი, რაღაცნაირი მუხტისაგან სხეულზე მიკრული მოსასხამი ეცვა. მუდამ უცნაური, ოფლის მსგავსი სუნი ასდიოდა, რომელიც ხელში მოსრესილი გვიმრის ფოთლის მოტკბო სუნსაც მაგონებდა.

- შენც ხომ იცი, ბებერი ჯეი ქისტვის სულ ერთია, ხვალ მიუტან თუ ორშაბათს, - დორინმა სიგარეტს მოუკიდა და კვამლი ნელ-ნელა გამოუშვა ნესტოებიდან. - ჯეი ქი ალქაჯსა ჰგავს, - მაგარი გოგოს ტონით განაგრძო, - სანაძლეოს დავდებ, გული რომ არ აერიოს, მაგისი ბებერი ქმარი სინათლეს აქრობს, ვიდრე მიუახლოვდება.

ჯეი ქი ჩემი უფროსი იყო და მიუხედავად ყველაფრისა, რითაც დორინი ამკობდა, ძალიანაც მომწონდა. ის არ იყო მოდების ჟურნალის რიგითი

თვალეფახულა და სამკაულეფდარუნა ლამაზმანი. ჯეი ქის ტვინი ჰქონდა. ამიტომ მის უხეშ გარეგნობას ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნდა. რამდენიმე ენა იცოდა და ყველა ცნობილ მწერალს იცნობდა.

შევეცადე, ჯეი ქი მკაცრი სამუშაო ტანსაცმლისა და ქუდის გარეშე, ქმართან ერთად ლოგინში წარმომედგინა, მაგრამ არაფერი გამომივიდა. საერთოდ, ყოველთვის მიჭირდა ლოგინში ხალხის წარმოდგენა.

ჯეი ქი ჩემთვის სულ რაღაცის სწავლებას ცდილობდა. ყველა მოხუცი ქალბატონი, ვისაც კი ვიცნობდი, სულ რაღაცის სწავლებას ცდილობდა ჩემთვის. უცებ გადავწყვიტე, რომ არაფერიც არ ჰქონდათ ჩემთვის სასწავლებელი და საბეჭდი მანქანა დავხურე.

დორინი გაიბადრა:

- აი, ახლა ჭკვიანი გოგო ხარ!

ამ დროს კარზეც გაისმა ვიღაცის კაკუნი.

- ვინ არის? - ვიკითხე ადგილიდან.

- მე ვარ, ბეტსი. წვეულებაზე მოდიხარ?

- ჰო, ვაპირებ, - კარის გაუღებლად გავუბი დიალოგი.

ბეტსი პირდაპირ კანზასიდან ჩამოაბრძანეს ქერა მძიმე ნაწნავითა და უმანკო ღიმილით. მახსოვს, ერთხელ მე და ბეტსი ოფისში დაგვიბარეს. ვიღაც ღაბაზიან, ზოლიან პიჯაკში გამოწყობილ ტელეპროდიუსერს თავის გადაცემაში სურდა რაიმე კუთხით ჩვენი წარმოჩენა. ჰოდა, ბეტსიმაც დაიწყო კანზასში სიმინდის დედალი და მამალი ჯიშების ამბის მოყოლა. ისეთი ადელვებით ყვებოდა იმ სიმინდების სულელურ ამბავს, პროდიუსერს თვალეფზე ცრემლებიც კი მოადგა, მაგრამ ბოლოს განაცხადა, რომ, სამწუხაროდ, არ შეეძლო ამ მონათხრობის თავისი გადაცემის მასალად გამოყენება.

მოგვიანებით, „ბიუთის“ რედაქტორმა ბეტსი თმის შეჭრაზე დაიყოლია და მისგან გარეკანის გოგო შექმნა. დღემდე თვალწინ მიდგას რეკლამა - ბეტსის მოლიმარი სახე და წარწერა: „ფ. ქ.-ის მეუღლეს „B. H. Wraggys“-ის ტანსაცმელს იცვამს“.

ბეტსი ყოველთვის მთხოვდა, მასთან და სხვა გოგოებთან ერთად მევლო. თითქოს როგორღაც დორინისაგან ჩემს დახსნას ცდილობდა. დორინს არასოდეს სთავაზობდა არაფერს და ესეც, თავის მხრივ, ზურგსუკან გლეხუყას ეძახდა.

- გინდა ჩვენი ტაქსით წამოსვლა? - ბეტსიმ კარის იქიდან მკითხა.

დორინმა მანიშნა, უარი უთხარიო.

- გმადლობ, ბეტსი, - ვუპასუხე, - დორინთან ერთად მივდივარ.

კარგიო, მითხრა ბეტსიმ და დერეფანს გაუყვა.

- რომ მოგვბეზრდება, წამოვიდეთ - შემომთავაზა დორინმა და სიგარეტი ჩემი საწოლის ლამფის ძირზე ჩააქრო, - მერე ქალაქში გავიაროთ. მაგათი წვეულებები ჩვენი სკოლის დარბაზში გამართულ ბებიაჩემის დროინდელ ცეკვებს მაგონებს. ვერ ვიგებ, რაში სჭირდებათ ყოველთვის იელის ბიჭების დაპატიჟება. რა

შტერები არიან!

ბადი უილიარდიც იელში სწავლობდა. გამახსენდა და გავიფიქრე, ამ ბიჭის პრობლემაც სიმტერეა-მეთქი. არა, რა თქმა უნდა, კარგ ნიშნებს იღებდა და ვიღაც სამაგელ ოფიციალტთან, სახელად გლედისთანაც მოახერხა რომანის გაბმა, მაგრამ ინტუიციის ნატამალი არ გააჩნდა. აი, დორინს კი მართლა მაგარი ინტუიცია ჰქონდა. რასაც კი იტყოდა, ჩემს საკუთარ შინაგან ხმას ჰგავდა.

პიკის საათმა მოგვისწრო. ჩვენი ტაქსი ბეტსის ტაქსის გვერდით გაიჭედა მესამე ტაქსის წინ, რომელშიც კიდევ ოთხი გოგო იჯდა. ძვრაც არ იყო.

დორინი გადასარევად გამოიყურებოდა. უსახელო, თეთრი აბრეშუმის კაბა კორსეტზე ეცვა, პუდრის ქვეშ კანი ოქროსფრად უბრწყინავდა და ისეთი სურნელი ასდიოდა, თითქოს მთელი პარფიუმერიის მაღაზია მოჰქონდა თან.

შავი, ჭრაჭუნა, ტანზე მომდგარი სადამოს კაბა მეცვა, რომელიც ორმოცი დოლარი დამიჯდა. ეს იმ უთავბოლო შენაძენის ნაწილი იყო, რომელსაც ჩემი სტიპენდია მაშინვე მივახარჯე, როცა შევიტყვე, რომ ნიუ-იორკში წამსვლელ იღბლიანთა შორის აღმოვჩნდი. კაბა ისე ღრმად იყო ამოჭრილი, რომ შიგნით ბიუსტჰალტერს ვერ ვიცვამდი, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არც ჰქონდა, რადგან თითქმის ბიჭივით ბრტყელი ვიყავი... თან, ზაფხულის ცხელ ღამეებში რაც შეიძლება თხლად მიყვარდა ჩაცმა.

ქალაქმა მზეზე გარუჯული კანი გამიფერმკრთალა და ჩინელივით ყვითელი გავხდი. წესით, კაბისა და კანის ფერის გამო უხერხულად უნდა მეგრძნო თავი, მაგრამ დორინთან ყოფნა უდარდელს მხდოდა. თავს ჭკუის კოლოფად და დიდ ცინიკოს ვინმედ ვგრძნობდი.

როცა ჩვენი ტაქსისაკენ ლურჯ ტილოს პერანგსა და კოვბოურ ჩექმებში გამოწყობილი კაცი წამოვიდა, არავითარი ილუზია არ გამჩენია. მშვენივრად ვიცოდი, რომ დორინმა მოხიბლა. ის კაცი ბარის წინ, ქოლგის ქვეშ იჯდა და ჩვენი ტაქსიც იქიდან შეამჩნია. გზა გაჩერებულ მანქანებს შორის გამოიკვლია და მანქანის ღია ფანჯარას გამომწვევად ჩამოეყრდნო.

- შეიძლება ვიკითხო, რას აკეთებს ორი მომხიბლავი გოგონა ასეთ მშვენიერ სადამოს ტაქსიში მარტოდმარტო?

ფართო, ქათქათა, კბილის პასტის სარეკლამო ლიმილი ჰქონდა.

- წვეულებაზე მივდივართ, - იძულებული ვიყავი, მე მეპასუხა, რადგან დორინი რატომღაც დაბნეული ჩაშტერებოდა თავის თეთრი აბრეშუმის საფულეს.

- რა მოსაწყენია, - თქვა კაცმა, - ამის მაგივრად, იქნებ ბარში შემომიერთდეთ ჭიქა სასმელზე? მეგობრებიც გველოდებიან, - გვითხრა და მაგიდის გარშემო შემომსხდარი რამდენიმე უბრალოდ ჩაცმული კაცისაკენ მიგვანიშნა. ისინიც ჩვენკენ იცქირებოდნენ და როცა მივხედეთ, სიცილი დაიწყეს.

ეს სიცილი გაფრთხილებად უნდა მიმელო. სიცილი კი არა, საქმეში ჩახედული კაცების ხითხითი უფრო იყო. მაგრამ ამასობაში გზა გათავისუფლდა და გავიფიქრე, რომ დროზე თუ არ გადავწყვეტიდი, ორი წუთის შემდეგ სანანებელი გამიხდებოდა, რომ ნამდვილი ნიუ-იორკის გაცნობის ეს შანსიც ხელიდან გავუშვი და ისევ რედაქციის მიერ ჩვენთვის გულდასმით დაგეგმილ გზას გავუყევი.

- აბა, რას იტყვი, დორინ? - ვიკითხე.

- აბა, რას იტყვი, დორინ? - გაიმეორა კაცმა და თავისი ფართო ღიმილი მოაყოლა. ახლაც ვცდილობ და არ შემძლია იმ კაცის სახის წარმოდგენა ღიმილის გარეშე. მგონი, გამუდმებით იღიმოდა. ღიმილი მისთვის ბუნებრივი მდგომარეობა იყო.

- კარგი, - თქვა დორინმა და მე კარი გავაღე. ტაქსიდან სწორედ იმ დროს გადმოვედით, როცა ის-ის იყო, ადგილიდან იძვრებოდა და სამივენი ბარისაკენ გავეშურეთ. მუხრუჭის ჭრიალს დარტყმის ხმა მოჰყვა.

- ეი, თქვენ! - ჩვენს მძღოლს განრისხებული, აჭარხლებული სახე სარკმლიდან გამოეყო, - ჭკუიდან შეიშალებთ?!

მანქანა ისე სწრაფად დაამუხრუყა, რომ უკან მომავალი ტაქსი ზედ მიეჯახა და დავინახეთ, შიგნით მჯდარი ოთხი გოგო ძირს როგორ ჩაყირავდა.

კაცმა გაიცინა, ტროტუარზე დაგვტოვა, აყვირებულ მძღოლთან დაბრუნდა და ფული გაუწოდა. და მერე ჟურნალის გოგოებით სავსე ტაქსები ერთმანეთის მიყოლებით გასრიალდა, თითქოს ქორწილში მიმავალი, პატარძლის მეგობარი გოგონებით სავსე მანქანები ყოფილიყო.

- წამო, ფრენკი, - უთხრა კაცმა თავისი მეგობრების ჯგუფიდან ერთ-ერთს და დაბალი, ჩასუქებული ჯეელი ბარში შემოგვყვა.

ისეთი ტიპისა იყო, მე რომ ვერ ვიტან. სიმაღლეში ხუთი ფუტი და ათი ვარ და დაბალ კაცებთან როცა ვხვდები, ვიკუზები და გვერდზე ვიხრები, რომ უფრო დაბალი გამოვჩნდე. ამ დროს თავს ძალიან სულელურად და მოუხეშავად ვგრძნობ ხოლმე.

წუთით იმედმა გამიელვა, რომ სიმაღლის მიხედვით გავნაწილდებოდი. ეს იმას ნიშნავდა, რომ მე პირველად გაცნობილთან მოვხვდებოდი, რომელიც ექვსი ფუტი მაინც იქნებოდა. მაგრამ ის დორინთან ერთად წინ წავიდა და ჩემთვის წამითაც არ შემოუხედავს. ჰოდა, მეც თავი მოვიკატუნე, თითქოს ჩემ გვერდით მოძუგძუგე ფრენკი ვერც კი დავინახე, და მაგიდასთან დორინთან ახლოს დავჯექი.

ბარში ისე ბნელოდა, დორინის გარდა ვერაფერს ვხედავდი. თავისი თეთრი თმითა და კაბით ისეთი ქათქათა იყო, ვერცხლისფერი გადასდიოდა. მგონი, ბარის სარკეებსაც ირეკლავდა. მე კი თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს ამ ბარში ჩრდილებად გადავდნი და ვიღაცის, ჩემთვის აქამდე სრულიად უცნობის, ნეგატივად ვიქეცი.

- მაშ ასე, რას მიირთმევთ? - გვკითხა კაცმა თავისი ფართო ღიმილით.

- რამე ტრადიციულს, - გადმომხედა დორინმა.

სასმელების შეკვეთის დროს ყოველთვის პრობლემები მქონდა. ვისკის ჯინისგან გარჩევა არ შემეძლო და ვერასოდეს ვახერხებდი ისეთი რამის შეკვეთას, რისი გემოც მომეწონებოდა. ბადი უილიარდი და ჩემი ნაცნობი დანარჩენი სტუდენტები ბიყები, ჩვეულებრივ, ძალიან ღარიბები იყვნენ, რომ ჩემთვის მაგარი ლიქიორი შემოეთავაზებინათ, ან კიდევ, საერთოდ სძულდათ სასმელი. პირდაპირ გასაოცარია, რამდენი სტუდენტი არ სვამს და არ ეწევა. უთვალავს ვიცნობდი ასეთს. ყველაზე გაბედული, რაც ბადი უილიარდმა გააკეთა, ის იყო, რომ ერთი ბოთლი დიუბონი გვიყიდა. ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ დაემტკიცებინა, მიუხედავად იმისა, რომ სამედიცინო ფაკულტეტზე

ვსწავლობ, ესთეტი ვარო.

- არაყს დავლევ, - ვთქვი მე.
- რამით? - მომხედა კაცმა.
- სუფთას. ყოველთვის სუფთას ვსვამ, - ვუპასუხე.

ვიფიქრე, თუ ვიტყვოდი, რომ ყინულით, ჯინით ან სხვა რამით გაზავებული მინდოდა, სულელი გამოვჩნდებოდი. ერთხელ არყის რეკლამა ვნახე. ლურჯ სინათლეზე, თოვლის ფონზე არყით სავსე ჭიქა იდგა და სითხე ისეთი კამკამა ჩანდა, დავასკვენი, რომ სუფთა არაყი კარგი რამე უნდა ყოფილიყო. საერთოდ კი ჩემი ოცნება იყო, ოდესმე შემეკვება სასმელი და აღმომეჩინა, რომ მართლაც მშვენიერი გემო აქვს. არასოდეს მიმართლებდა.

ამასობაში ოფიციალტიც მოგვიახლოვდა და კაცმა ოთხივესთვის შეუკვება. ეს ჩვენი ნაცნობი ამ ქალაქურ ბარში თავისი სოფლური ტანსაცმლით თავს ისე შინაურულად გრძნობდა, გავიფიქრე, ალბათ ცნობილი ვინმეა-მეთქი.

დორინი აბოლებდა და ხმას არ იღებდა. კაცი კი ისეთი თვალებით შეჰყურებდა, ზოოპარკში რომ მიაშტერდებიან ხოლმე უზარმაზარ თეთრ თუთიყუშს და ელიან, იქნებ ადამიანივით დაილაპარაკოსო.

სასმელები მოგვიტანეს და სითხე ჩემს ჭიქაში სწორედ ისეთი სუფთა და ქათქათა ჩანდა, როგორც იმ რეკლამაში.

სიჩუმე მომბეზრდა და კაცს ვკითხე, ნიუ-იორკში რას აკეთებთ-მეთქი.

იმან ძალდატანებით, ზანტად მოსწყვიტა თვალი დორინის მხარს, - დიჯეი ვარ. ალბათ, გასმენიათ ჩემს შესახებ. ლენი შეფერდი მქვია.

- მე გიცნობ, - მოულოდნელად ხმა ამოიღო დორინმა.
- მიხარია, ძვირფასო, ასეთი ცნობილი რომ ვარ, - მთლად ღიმილად იქცა კაცი და კმაყოფილმა ფრენკის გადახედა.
- ახლა თქვენ მითხარით, საიდან ხართ და რა გქვიათ? - თავი წამოყო ფრენკიმ.
- ეს დორინია, - ლენიმ დორინს შიშველ მხარზე მკლავი მოხვია და მიიხუტა.

ძალიან გავოცდი, რომ დორინმა არაფერი შეიმჩნია. მიბნედილი იჯდა ჩრდილში და ქერად გადაღებილი შავკანიანივით ეგზოტიკურად წრუპავდა თავის სასმელს.

- მე ელი ჰიგინბოტომი მქვია, ჩიკაგოდან ვარ. - ვთქვი მე. თავი დავიზღვიე. არ მსურდა, რამე, რასაც იმ საღამოს ვიტყვოდი ან გავაკეთებდი, ჩემს ნამდვილ სახელთან და ბოსტონურ წარმოშობასთან ყოფილიყო კავშირში.
- კარგი, ელი, ცოტა ხომ არ გვეცეკვა?

ამ აგურისფერი ზამშის მაღალძირიან ფეხსაცმელში, მოჩაჩულ მაისურსა და ცისფერ სპორტულ ქურთუკში გამოწყობილ ქონდრისკაცთან ცეკვის წარმოდგენაზე სიცილი ამიტყდა. თუკი ვინმეს ვუყურებ ზემოდან - ცისფერში გამოწყობილი კაცები არიან. შავი, ნაცრისფერი, ყავისფერი - ნორმალურია.



ცისფერზე სიცილი მიტყდება.

- ხასიათზე არა ვარ, - ცივად ვუთხარი, ზურგი შევაქციე და სკამი დორინისა და ლენისკენ მივაჩოჩე.

ესენი კი ერთმანეთს ისე შეჰყურებდნენ, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ყოფილიყვნენ. დორინი ჭიქიდან ვერცხლის კოვზით ხილის ნაჭრებს იღებდა და ლენი კიდევ წკმუტუნებდა, ხელით სწვდებოდა და ვითომ ძალი თუ რაღაც მსგავსი იყო, კოვზიდან ხილის წართმევას ცდილობდა. დორინი ხითხითებდა და კოვზს მაღლა სწევდა.

ბოლოს და ბოლოს, გადავწყვიტე, რომ არაყი საჩემო სასმელი იყო. რაიმე განსაკუთრებული გემო არ ჰქონდა, მაგრამ დაშნასავით ჩამისრიალდა კუჭში და უცებ თავი ყოვლისშემძლედ და ღვთაებრივად მაგრძნობინა.

- ჯობია, წავიდე, - თქვა ფრენკიმ და წამოდგა.

იქაურობა ისეთი დაბურული იყო, ფრენკის სახეს გარკვევით ვერ ვხედავდი. სამაგიეროდ, შევნიშნე, როგორი წიკვინა, სულელური ხმა ჰქონდა. ყურადღება არავინ მიაქცია.

- ეი, ლენი, შენ ჩემი ვალი გაქვს. არ დაგავიწყდეს, ლენი, ჩემი ვალი რომ გაქვს. რა, არ გაქვს?

უცნაურად მომეჩვენა, რომ ფრენკი ვალს ჩვენი, ანუ უცნობების თანდასწრებით ახსენებდა ლენის. ის კი იდგა და ერთსა და იმავეს იქამდე იმეორებდა, ვიდრე ლენიმ ჯიბეში არ ჩაიყო ხელი და მწვანე კუპიურების სქელი დასტა არ ამოიღო. მერე იქიდან ერთი ამოაძვრინა და ფრენკის მიაჩეჩა. მგონი ათდოლარიანი იყო.

- მოკეტე და დაახვიე აქედან.

წუთით გავიფიქრე, ლენი ამას მეც მეუბნება-მეთქი, მაგრამ მერე დორინის ხმა მომესმა: „არ წამოვალ, თუ ელიც არ წამოგვყვება“. ჩემი გამოგონილი სახელი ყოჩაღად აითვისა. არც მე უნდა მიმეტოვებინა.

- ელიც წამოვა. არა, ელი? - თვალი ჩამიკრა ლენიმ.

- რა თქმა უნდა, წამოვალ, - ვუპასუხე. ასე რომ, ფრენკი აორთქლდა და მე კიდევ დორინს ავეკიდე. რაც შეიძლება მეტის ნახვა მინდოდა.

მომწონდა კრიტიკულ მომენტებში ხალხის ყურება. ავტოკატასტროფას, ქუჩის ჩხუბს ან ლაბორატორიის კოლბაში დასპირტულ ემბრიონს ისე გულდასმით ვაცქერდებოდი, რომ საკუთარი განცდა სამუდამოდ მამახსოვრდებოდა. ასე ბევრი ისეთი რამე შევიცანი, სხვანაირად რომ ვერ აღმოვაჩენდი და მაშინაც კი, როცა ეს აღმოჩენა სახტად მტოვებდა ან ცუდად მხდიდა, დაკვირვებას განვაგრძობდი, თავს არ ვანებებდი.

2

ლენის ბინის ნახვა მართლაც რომ ღირდა.

ნამდვილ რანჩოში ცხოვრობდა, ოღონდ ნიუ-იორკის ცენტრში, მრავალსართულიანი სახლის ბინაში. როგორც აგვიხსნა, ფართობის მისამატებლად ბინას რამდენიმე კედელი მოაცილა, მერე მთელი ოთახი ფიჭვით მოაპირკეთა და შუაგულში ცხენის ნალის ფორმის ფიყვისავე ბარი ჩადგა. მგონი, იატაკიც ფიყვის იყო.

ჩვენ ფეხქვეშ უზარმაზარი თეთრი დათვების ტყავები ეყარა. გარშემო, ინდური ხალიჩებით დაფარული დაბალი საწოლების გარდა, ავეჯი საერთოდ არ იყო. კედლებზეც, სურათების ნაცვლად, ირმისა და კამეჩის რქები და კურდღლის თავის ფიტული გამოეფინათ. ლენიმ კურდღლის პაწია ნაცრისფერ ცხვირს ხელი მოუთათუნა. ლას-ვეგასში გადავეყარეო, - გვითხრა და კოვბოური ჩექმებით ოთახის სიღრმისაკენ გატკაცუნდა.

- აი, ამას ჰქვია აკუსტიკა! - აღნიშნა ლენიმ და კარს მიღმა მიიმალა.

მერე ჰაერში ყოველი მხრიდან მუსიკა დატრიალდა, მერე ისევ შეწყდა და კვლავ ლენის ხმა გაისმა:

- ეს თქვენი დიჯეი ლენი შეფერდია; და რადგან თორმეტმაც ჩამოჰკრა, ჩვენკენ პოპის საუკეთესო ათეული მოემართება. ვაგონი ნომერი ათი ჩვენს მატარებელში ამ კვირას სწორედ იმ ქერა გოგონას უკავია, უკანასკნელ ხანებში ყველა რომ აგაფორიაქათ... და ეს, რა თქმა უნდა, სანფლაურია!

დავიბადე კანზასში და გავიზარდე კანზასში,

და როდესაც გავთხოვდები, ჯვარს დავიწერ კანზასში...

- რა ბიჭია! - ამოიკვნესა დორინმა, - ხო მაგარი ბიჭია?

- გადასარევი, - ვუთხარი მე.

- მისმინე, ელი, შეგიძლია, დამეხმარო? - მგონი ამ დროისთვის დორინისთვის უკვე მართლა ვიღაც ელი ვიყავი.

- რა თქმა უნდა. რა უნდა ვქნა?

- უბრალოდ, არ წახვიდე. რამე სისულელე რომ დააპიროს, თავს ვერ დავაღწევ. დაინახე, რა კუნთები აქვს? - ჩაიხითხითა დორინმა.

ამასობაში უკანა ოთახიდან ლენიც გამოტყლაშუნდა. ბარიდან სამი ჭიქა და ვერცხლისფერი საყინულე გამოდგა და რამდენიმე სხვადასხვა ბოთლიდან დაიწყო ჩამოსხმა.

... ჩემი გოგო პაწაწინა სიტყვას მამლევს ნამდვილს -

რომ დამიცდის, ვით ყვავილი მზესუმზირას შტატის...

- ხოა ფანტასტიკა?! - ჭიქები მოგვიტანა ლენიმ. მინას ოფლივით გამოსხმოდა მსხვილი წვეთები და შიგნით ყინულის ნატეხები წკარუნობდა. მერე მუსიკა მიწყდა და ლენის ხმამ შემდეგი ნომერი გამოაცხადა.

- აბა, რა შეედრება საკუთარი ხმის მოსმენას, ჰა?! - ლენი მე მომაშტერდა.

- ფრენკი გაიბურწა, არადა შენც ხომ გჭირდება ვიღაცა. დავურეკავ ვინმეს.

- ნუ შეწუხდებით, - ვუთხარი მე, - საჭირო არ არის.

ხომ არ განვუცხადებდი, მაშინ ვინმე ფრენკიზე მაღალი მომიძებნეთ-მეთქი.

ლენის გულზე მოეშვა.

- კარგი მაშინ, თუკი არ გინდა... უბრალოდ, დორინის მეგობარს ვერ ვაწყენინებ, - დორინს გადახედა და ყურებამდე გაუღიმა, - ასე არ არის, სიხარულო?

მერე ხელი გაუწოდა და ცეკვა დაიწყო უსიტყვოდ, ჭიქებით ხელში.

საწოლზე ფეხმორთხმული დავჯექი. შევეცადე, ისეთი იერი მიმელო, თითქოს ამ ყველაფრით მეც მშვენივრად ვერთობოდი. ერთი ბიზნესმენის გამომეტყველება გამახსენდა, რომელიდაც ბარში ალჟირელი ქალის მუცლის ცეკვას რომ შეჰყურებდა. ჰოდა, მოვკალათდი იმ ბიზნესმენივით, მაგრამ, როცა კედელზე კურდღლის ფიტულს მივეყუდე, საწოლი ოთახში გაგორდა და იძულებული გავხდი, იატაკზე გადამენაცვლა.

სასმელი საზიზღარი იყო. რამდენჯერაც კი მოვსვი, აყროლებული წყლის გემო შემრჩა. ჭიქას შუაში ყვითელკოპლება ზოლი ჰქონდა. ყლუპი მოვსვი და ზოლს ჩავაცილე, მაგრამ თითქოს არაფერი მოაკლდა, მეორე ყლუპისას ისევ ზოლს ზემოთ იყო.

ჰაერში ლენის ხმამ დაიგრუხუნა: „რატომ, ო, რატომ მივატოვე ვაიომინგი?“

ესენი სიმღერებს შორის შუალედების დროსაც არ წყვეტდნენ პრონიას. მე კი, მთელი იმ წითელი და თეთრი ხალიჩების ფონზე, თითქოს პაწია შავ წერტილად ვიკუმშებოდი. თავს მიწაში ამოთხრილ ორმოდ ვგრძნობდი.

რადაცნაირად დამთრგუნველია, მისჩერებოდე - ორნი ერთმანეთზე თანდათან როგორ გიჟდებიან. მით უმეტეს, თუ ოთახში ერთადერთი ზედმეტი შენ ხარ.

თითქოს პარიზს გაჰყურებდე საპირისპირო მიმართულებით გაქანებული ელმავლიდან: ქალაქი ყოველ წუთს პატარავდება და პატარავდება, მაგრამ ისეთი შეგრძნება გაქვს, თითქოს ეს შენ პატარავდები, მარტოსული ხდები, მთელი სინათლე და მღელვარება მილიონობით მილს იქით რჩება.

ლენი და დორინი გამუდმებით ერთმანეთს ეჯახებოდნენ, კოცნიდნენ, მერე სასმელისკენ ბარბაცით მიიწევდნენ და მერე ისევ ერთმანეთს უბრუნდებოდნენ. გადავწყვიტე, უბრალოდ დათვის ტყავზე მივწოლილიყავი და დამეძინა, ვიდრე დორინი სასტუმროში დასაბრუნებლად მზად არ იქნებოდა.

მერე ლენის საშინელი ბლავილი აღმოხდა. წამოვჯექი. დორინი კბილებით ჩამოჰკონწიალებოდა ლენის მარცხენა ყურის ბიბილოს.

- გამიშვი, შე ძუკნა!

ლენი დაიხარა და დორინი აიტაცა. მას კი ხელიდან სასმისი გაუვარდა და მინამ ხის იატაკზე სულელური წკარუნნი გაიღო. ლენი ისე ბლაოდა და ტრიალებდა, რომ დორინის სახეს ვეღარც ვხედავდი.

შევნიშნე, ისე, სხვათა შორის, როგორც, ვთქვათ, ვინმეს თვალის ფერს შეამჩნევ, რომ დორინს ძუძუები კაბიდან ამოსცვენოდა და ლენის მხარზე ყავისფერი ნესვებივით ეკიდა. ფეხებს იქნევდა და იფხაჭნებოდა; და მერე უცებ ორივემ სიცილი დაიწყო, და მიწყნარდნენ, და ლენი უკვე დორინისთვის კაბის ქვეშ თეძოზე ჩქმეტას ცდილობდა, როცა კარიდან გამოვედი, ვიდრე რამე უარესი მოხდებოდა. კიბის მოაჯირს ჩაბლაუჭებული ჩამოვლასლასდი. ასფალტზე რომ გამოვედი, მაშინ ვიგრძენი, რომ ლენის ბინაში ვენტილაცია მუშაობდა.

ტროტუარებმა მთელი დღის შესრუტული ტროპიკული, მდულარე სიცხე სახეში უკანასკნელ დამცირებასავით შემომიტყლაშუნა. წარმოდგენა არ მქონდა, სად ვიყავი.

ჯერ გავიფიქრე, შემიძლია, ტაქსი ავიყვანო და ამ ყველაფრის შემდეგ წვეულებაზე მაინც წავიდე-მეთქი, მაგრამ მაშინვე გადავიფიქრე. ამ დროისთვის მეჯლისი უკვე დასრულებული იქნებოდა და თავლად ქცეულ, კანფეტების ქაღალდებით, სიგარეტის ნამწვებითა და კოქტეილის დაჭმუჭნილი ხელსახოცებით მოფენილ ცარიელ დარბაზში მოხვედრა კი ნამდვილად არ მინდოდა.

წონასწორობა რომ არ დამეკარგა, კედელს ხელით ვეყრდნობოდი და ქუჩის უახლოეს კუთხემდე ასე მივალწიე. იქ ქუჩის მაჩვენებელს შევხედე და მერე ხელჩანთაში ნიუ-იორკის რუკა მოვძებნე. ჩემი სასტუმროდან ზუსტად რომოცდაშვიდი კვარტალი მაშორებდა.

ფეხით სიარულისათვის ყოველთვის მზად ვარ. სწორი მიმართულება ავიღე, კვარტლების დათვლა დავიწყე და როცა სასტუმროს ჰოლში შევაბიჯე, უკვე სავსებით ფხიზელი ვიყავი. ფეხები ცოტათი კი მტკიოდა, მაგრამ ეს უფრო იმის ბრალი იყო, წინდის ჩაცმა რომ დამეზარა.

ჰოლი ცარიელი იყო, თუ დამის პორტიეს არ ჩავთვლით, რომელიც თავის კაბინაში გასაღებების ასხმულებსა და გაყურებულ ტელეფონთან თვლემდა.

ლიფტში შევედი და ჩემი სართულის ღილაკს თითი დავაჭირე. კარები უხმო აკორდეონის ფრთებივით დაიხურა. მერე ყურებმა შხუილი დამიწყო და თვალწინ ვეება, თვალეზათხაპნილი ჩინელი ქალი ამეტუზა, ჩემკენ იდიოტურად მომტერებული. რა თქმა უნდა, ეს მე თვითონ გახლდით. საკუთარმა დაღრეჯილმა, სიქაგაცილილმა გამომეტყველებამ შემამრწუნა.

დერეფანში კაციშვილი არ ჭაჭანებდა. ჩემი ოთახი გაკვამლული დამხვდა. ჯერ ვიფიქრე, ეს კვამლი ჩემი განკითხვის ჟამის ნიშნად საიდანღაც ამოიფრქვა-მეთქი, მაგრამ მერე გამახსენდა, რომ ეს დორინის სიგარეტის კვამლი იყო. სარკმლის გასაღებად ღილაკს დავაწეე. სარკმლები ისე ჰქონდათ ჩაყენებული, რომ მხოლოდ ნაწილი იხსნებოდა. მთლიანად ვერ გააღებდი და რაფას ვერ გადაეყუდებოდი. ეს რატომდაც მაცოფებდა.

სარკმლის მარცხენა მხარეს ჩარჩოზე ლოყამიდეებული ვიდექი და ქვემოთ, სიბნელეში უცნაურად, მარსელების მფრინავი თეფშივით მწვანედ ანთებულ გაეროს შენობას დავცქეროდი. დავყურებდი ქუჩების გასწვრივ მოსრიალე წითელ და თეთრ სინათლეებს და გაკაშკაშებულ ხიდებს, რომლების სახელებიც არ ვიცოდი.

სიჩუმე სასოწარკვეთაში მაგდებდა. სიჩუმის სიჩუმე კი არა, ჩემი საკუთარი სიჩუმე.

მშვენივრად ვიცოდი, რომ ქვემოთ მანქანები ხმაურობდნენ, რომ ამ მანქანებში და სახლების განათებულ სარკმლებს მიღმაც ხალხი ხმიანობდა, რომ მდინარეებიც შხუოდნენ, მაგრამ მე არაფერი მესმოდა. ქალაქი გამოკიდულიყო ჩემს სარკმელში - აფიშასავით ბრტყელი, მოკაშკაშე და მოციმციმე, მაგრამ მიუწვდომელი.

ჩემს ძვლისფერ ტელეფონს შეეძლო ცხოვრებასთან დავკავშირებინე, მაგრამ იდო ასე, თავის ქალასავით გაშემებული. და როცა შევხედე, იმაზე



არ ვიცი, რამდენი ხნის ჩამინებული ვიყავი, როცა კაკუნი მომესმა. თავიდან ყურადღება არ მივაქციე, იმიტომ რომ ის, ვინც აკაკუნებდა, „ელი, ელი, შემომიშვიო“, იმეორებდა და მე კი არავითარ ელის არ ვიცნობდი. მერე, სუსტ კაკუნს სხვანაირი კაკუნი მოჰყვა – მჭახე „ბუხ-ბუხ“; და ახლა უკვე სხვა, ფხიზელმა ხმამ განაცხადა: „მის გრინვუდ, შეუშვით თქვენი მეგობარი“, და მივხვდი, რომ ეს ჩემი მეგობარი – დორინი იყო.

ბარბაცით წამოვდექი და ჩაბნელებული ოთახის შუაგულში, გონების მოსაკრებად, წამით შევჩერდი. დორინზე გავბრაზდი, რომ გამაღვიძა. იმ ნაღვლიანი ღამიდან თავის დადწევის ჩემი ერთადერთი შანსი კარგად გამოძინება იყო; მან კი ახლა გამაღვიძა და ეს შანსიც დავკარგე. გავიფიქრე, თავი რომ მოვიმძინარო, კაკუნს შეწყვეტენ და მომეშვებიან-მეთქი, მაგრამ არ გაჩერდნენ.

„ელი, ელი, ელი“ – ბურტყუნებდა პირველი ხმა და მეორე კიდევ პირდაპირ ჭახჭახებდა: „მის გრინვუდ, მის გრინვუდ, მის გრინვუდ“, თითქოს პიროვნების გაორება ან რაღაც ასეთი მჭირდა.

კარი გავაღე და კამკაშა დერეფანში თვალების ჭუტვით გამოვიხედე. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ღამე ან დღე კი არ იყო, არამედ რაღაც მესამე, ჩახჩახა ინტერვალი, რომელიც უცებ საიდანღაც გამოეკვება მათ შორის და დასრულებასაც აღარ აპირებდა.

დორინი კართან იყო ჩაცურებული. როცა გამოვედი, ხელებში ჩამივარდა. მისი სახე ვერ დავინახე, რადგან თავი გულზე ჰქონდა ჩამოვარდნილი და გახეშეშებული ყვითელი თმაც მუქი ძირებიდან ფუნჯის ბოლოებად ეკიდა.

შავ უნიფორმაში გამოწყობილი დაბალი, სქელი, ულვაშა ქალი მაშინვე ვიცანი – სასტუმროში ღამის მოახლედ მუშაობდა და ჩვენს სართულზე დღის ტანსაცმელსა და საღამოს კაბებს აუთოებდა. არ ვიცი, საიდან იცნობდა დორინს, ან იმის მაგიერ, რომ ჩემს გაღვიძებაში დახმარებოდა, რატომ საკუთარ ოთახში არ მიაბრძანა.

დორინი ჩემს მკლავებში უსაფრთხოდ გაყუჩებული რომ დაიგულა, ქალი სასწრაფოდ მიბრუნდა და დერეფანს გაუყვა თავისი ძველისძველი საკერავი მანქანისა და თეთრი საუთოებელი დაფისაკენ. მიწოდდა, გავკიდებოდი და მეთქვა მისთვის, დორინთან არანაირი საერთო არა მაქვს-მეთქი. მას ძველი ყაიდის ევროპელი ემიგრანტი ქალის მკაცრი, შრომისმოყვარე და წესიერი გამომეტყველება ჰქონდა. ჩემს ავსტრიელ ბებიას მაგონებდა ძალიან.

– დამაწვინე, დამაწვინე, – ბუტბუტებდა დორინი. – დამაწვინე, დამაწვინე, – გავიფიქრე, თუ ზღურბლზე გადავათრევ და ჩემს საწოლში ჩავაწვენ, თავს ცხოვრებაში ვეღარ დავაღწევ-მეთქი.

სხეული თბილი და ფაფუკი ჰქონდა და ხელზე ბალიშით მეწვინა. აწევა რომ ვცადე, თავისი წვრილქუსლა ფეხსაცმელებით სასაცილოდ წამოფორთხილდა. ისეთი მძიმე იყო, ვერანაირად ვერ მოვერეოდი.

ერთადერთი, რაც მოვიფიქრე, ის იყო, რომ ხალიჩაზე დამეწვინა, ოთახში შევსულიყავი, კარი მიმეკეტა და ძილს მივბრუნებოდი. გავიფიქრე, – როცა გამოფხიზლდება, მაინც არ ემახსოვრება რაც მოხდა, და იფიქრებს, რომ უბრალოდ ვერ გამაღვიძა, წყნარად ადგება და თავის ოთახში წავა-მეთქი.

დორინი დერეფნის მწვანე ხალიჩაზე ფრთხილად დავუშვი, მაგრამ

ამოიკვნესა და ისევ ჩემი ხელებისაკენ გამოიწია. მერე პირიდან ყავისფერი სითხე წამოუვიდა და ეს ყველაფერი ჩემს ფეხებთან დაგუბდა.

დორინი კიდევ უფრო დამძიმდა. თავი გუბებში ჩაუგორდა და ყვითელი თმის კულულები შიგ ჩაეწო. მივხვდი, რომ ჩაემინა და უკან გავდექი. თვითონაც ნახევრად მეძინა.

იმ ღამეს გადაწყვეტილება მივიღე. გადაწყვიტე, რომ დორინს ვუყურებდი და მოვუსმენდი – რას იზამდა და რას იტყოდა, მაგრამ სინამდვილეში მასთან არაფერი საერთო აღარ მექნებოდა, ბეტსის და მისი უმანკო მეგობრების ერთგული ვიქნებოდი. გულის სიღრმეში მე ბეტსის უფრო ვგავდი.

ოთახისკენ ფეხაკრეფით დავიხიე და კარი მივხურე. ჩაკეტვასაც ვაპირებდი, მაგრამ თავი ვერ ვაიძულე.

როცა მეორე დღის მოქუფრულ, უმზეო დილას გამომეღვიძა, ჩავიცვი, სახეზე წყალი შევისხი, პომადა წავისვი და კარი ნელა გამოვაღე. მგონი, ველოდი, რომ ჩემი ბინძური ბუნების მახინჯ საბუთად დორინის სხეული ისევ იქ, ნარწყევში იწვებოდა.

დერეფანში არავინ იყო. ხალიჩა მთელ დერეფანს სუფთად, ხასხასა მწვანედ გასდევდა. ჩემი კარის წინაც მხოლოდ ბაცად გადაღბნილი ლაქა დარჩენილიყო: თითქოს ვიდაცას შემთხვევით წყალი დაღვროდა და მერე ამოეშრო.

3

ლედის დეის“ საბანკეტო მაგიდაზე ცვრიანი მწვადი, ცივი ქათმის ხორცი და შუაზე გაყოფილი, კიბორჩხალას ხორცი და მაიონეზით გამოტენილი მოყვითალო-მომწვანო ავოკადოები დახვავებულიყო. მინის ლანგრებიც წარამარა ხიზილალით ივსებოდა. იმ დილას სასტუმროს სასადილოში საუზმობა ვერ მოვასწარი. მარტო ერთი ჭიქა გადადუღებული მწარე ყავა მქონდა დალეული და ძალიან მშობდა.

ნიუ-იორკში ჩამოსვლამდე წესიერ რესტორანში არც კი ვიყავი ნამყოფი. „ჰოუარდ ჯონსონს“ არ ვთვლი, სადაც მხოლოდ ჩიპსს, ჩისბურგერებს და ვანილის ნაყინს შევექცეოდი ბადი უილიარდისნაირ ხალხთან ერთად. არ ვიცი, რისი ბრალია, მაგრამ, მგონი, საჭმელზე მეტად ამქვეყნად არაფერი მიყვარს. თანაც, რამდენიც არ უნდა ვჭამო, წონაში არ ვიმატებ. ერთხელ მოვიმატე ცოტა, თორემ მთელი ათი წლის განმავლობაში ერთი და იმავე წონისა ვიყავი.

ჩემი საყვარელი კერძები სავსეა კარაჩით, ყველითა და არაჟნით. ნიუ-იორკში იმდენი უფასო სადილი გვქონდა ჟურნალის თანამშრომლებთან და გამოჩენილ ადამიანებთან ერთად, რომ უზარმაზარ ხელნაწერ მენიუებში, რომლებშიც ნამცეცისოდენა კერძი ორმოცდაათი-სამოცი ცენტი ღირს, ყველაზე მდიდრული, ყველაზე ძვირადღირებული კერძების ამორჩევასა და შეკვეთას დავეჩვიე.

სადილების ფული ყოველთვის წინასწარ იყო გადახდილი და ამიტომ სინდისის ქეჯნას არ ვგრძნობდი. ისე ჩქარა ვჭამდი, რომ იმ ხალხს, ვინც წონაში დაკლების იმედით მხოლოდ სალაოს და გრეიფრუტის წვენს უკვეთავდა, ჩემი ლოდინი არასოდეს სჭირდებოდა. ნიუ-იორკში ვისაც კი შევხვედრივარ, ყველა წონაში დაკლებას ცდილობდა.

- მინდა მივესალმო იმ ახალგაზრდა ქალბატონთა შორის ყველაზე ლამაზებსა და ჭკვიანებს, ვისი მასპინძლობის პატივიც ჩვენს მომსახურე პერსონალს ოდესმე ჰქონია, - საყელოზე მიმაგრებულ მიკროფონში ჩაიროხროხა მსუქანმა, მელიოტმა დღესასწაულების ორგანიზატორმა, - ეს ბანკეტი მხოლოდ მცირე

დასაწყისია იმ სტუმართმოყვარეობისა, რომლითაც ჩვენი რესტორანი ჟურნალის სადამოზე თქვენს გამასპინძლებას ისურვებდა.

ნაზი, ქალური ტაშის შემდეგ ყველანი უზარმაზარ, გულუხვად გაწყობილ მაგიდას მივუსხედით.

ჟურნალიდან თერთმეტი გოგო ვიყავით, რედაქტორების თანხლებით, და გახამებულ უნიფორმებში გამოწყობილი რესტორნის მთელი პერსონალი თავს დაგვტრიალებდა.

თერთმეტნი იმიტომ ვიყავით, რომ დორინი გვაკლდა. მისი ადგილი რატომღაც ჩემ გვერდით მოახვედრეს. იმიტომ ცარიელი სკამის გვერდით ვიჯექი. დორინს თავისი ადგილის ბარათი შევუწახე, რომელსაც ზედ ჯიბის სარკე ჰქონდა, თავზე „დორინი“ ეწერა და გამხმარი გვირილების გვირგვინში იყო ჩასმული.

დორინი ლენი შეფერდთან ერთად ატარებდა იმ დღეს. საერთოდ, ახლა უკვე დროის უდიდეს ნაწილს მასთან ატარებდა.

„ლედის დეის“ სადილამდე ერთი საათით ადრე (ეს ჟურნალი ყოველთვიურად ორ გვერდს უთმობს სხვადასხვა რესტორნების თვალისმომჭრელი კერძების რეკლამას) უზარმაზარ, კრიალა სამზარეულოებში ექსკურსია მოგვიწყვეს და გვაჩვენეს, თუ როგორი რთული ამოცანაა ძლიერი განათების ქვეშ ვაშლის ღვეზლის სურათის გადაღება, რადგან ნამცხვარზე გადასმული ნაყინი დნება და უკანა მხრიდან გამუდმებით გასწორებას საჭიროებს.

აუარებელმა საჭმელმა, რომლითაც ეს სამზარეულოები იყო გადაჭედული, თავბრუ დამახვია. იმიტომ კი არა, თითქოს სახლში საჭმელი ცოტა გვექონოდა, უბრალოდ, ბებიაჩემი ყოველთვის ყველაფერს მოზომილად ამზადებდა და საჭმელს პირთან მიიტანდი თუ არა, გეტყოდა: „აბა შენ იცი, გემრიელად შეექვცი! ერთი გირვანჯა ორმოცდაერთი ცენტი ღირს“. ჰოდა, სულ ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს შემწვარი ხორცის ნაცვლად ცენტებს ვყლაპავდი.

ვიდრე ჩვენს სკამებთან ვიდექით და მისასალმებელ სიტყვას ვუსმენდით, თავი დახრილი მქონდა და უჩუმრად ხიზილალიანი ლანგრების განლაგებას ვათვალისწინებდი. ერთი ლანგარი ჩემსა და დორინის ცარიელ სკამს შორის იყო სტრატეგიულად მოთავსებული.

გამოვთვალე, რომ ჩემ პირდაპირ მჯდომ გოგოს არ შეეძლო, ამ ლანგარს მოსწვდომოდა, რადგანაც შუაში ხონჩით მარციპანის მთელი მთა ჩაედგათ. ჩემს მარჯვნივ კიდევ ბეტსი იჯდა, რომელიც ისე თავაზიანი იყო, რომ არ შემეცილებოდა, თუკი ლანგარს მარცხნივ არ გადმოვდგამდი.

თან კიდევ, ბეტსის მარჯვნივ მჯდომ გოგოსთანაც იდო ისეთივე ლანგარი და იქიდან შეემლო ხიზილალის ჭამა.

მე და ბაბუას ჩვეული ხუმრობა გვექონდა: ბაბუა ჩვენს ქალაქთან ახლოს, სოფლის კლუბში მთავარ ოფიციალურად მუშაობდა და ყოველ კვირას ბებიაჩემი მანქანით აკითხავდა, რომ ორშაბათობით შინ ჩამოეყვანა უქმეზე. მე და ჩემი ძმა რიგრიგობით ვახლდით ბებიას და ბაბუაც ყოველთვის ვახშმით გვიმასპინძლებოდა, თითქოს კლუბის ჩვეულებრივი კლიენტები ვიყავით. ძალიან უყვარდა ჩემთვის ახალ-ახალი დელიკატესების გაცნობა. შედეგად, ცხრა წლის ასაკში უკვე ვნებინანად ვიყავი შეყვარებული ხიზილალაზე.

ჩვენი ხუმრობა კი ის იყო, რომ ჩემს ქორწილში ბაბუას უნდა ეზრუნა, მაგიდაზე იმდენი ხიზილალა ყოფილიყო დახვავებული, რამდენის ჭამასაც



შევძლებდი. რა თქმა უნდა, ეს ხუმრობა იყო, რადგან გათხოვება არასოდეს მიფიქრია და რომ გავთხოვილიყავი კიდეც, ბაბუა ამდენ ხიზილალას ვერაფრით შესწვდებოდა, თუ თავისი სოფლის კლუბის სამზარეულოს არ გამარცვავდა და ჩემოდნით არ გამოზიდავდა ყველაფერს.

მინის წკარუნისა და ფაიფურზე ვერცხლის წკრიალის ფონზე თეფში ქათმის ხორცის ნაჭრებით გავივსე, მერე ხორცს ზემოდან სქლად გადავუსვი ხიზილალა, თითქოს პურზე მიწისთხილის კარაქი წამესვას, და ხორცის ნაჭრები სათითაოდ გავიქანე პირში.

წლების მანძილზე, სადილებისას საჭირო დროს საჭირო კოვზების არჩევას კარგა ხანს ვანდომებდი; და ხანგრძლივი დაკვირვების შემდეგ იმ დასკვნამდე მივედი, რომ, თუ სუფრასთან რამეს არასწორად გააკეთებ, მაგრამ გარკვეულ თავდაჯერებას შეინარჩუნებ, თითქოს დარწმუნებული იყო, რომ ყველაფერს სწორად აკეთებ, არავინაც არ იფიქრებს, რომ ცუდი მანერები გაქვს, ან ცუდადა ხარ აღზრდილი. პირიქით, იფიქრებენ, რომ ძალიან ორიგინალური და მოხერხებული ხარ.

ეს ხერხი იმ დღეს ვისწავლე, როდესაც ჯეი ქიმ სადილად ერთ ცნობილ მწერალთან წამიყვანა. მას საშინელი მოჯაჯული და დალაქავებული ყავისფერი ტვიდის პიჯაკი, ნაცრისფერი შარვალი და წითელ-ლურჯი კუბოკრული, ყელმოდელილი პერანგი ეცვა. არადა, რესტორანი მაღალი კლასისა იყო, შადრევნებითა და ჭაღებით სავსე, და ირგვლივ ყველა მუქ კოსტიუმებსა და გახამებულ პერანგებში იყო გამოწყობილი.

ეს პოეტი სალათს ფოთოლ-ფოთოლ ხელით გეახლებოდათ და თან ხელოვნებისა და ბუნების ანტითეზის შესახებ მესაუბრებოდა. თვალს ვერ ვაცილებდი პუტკუნა თეთრ თითებს, ჯამიდან სალათის ფოთლებს პოეტის პირისაკენ რომ მიაქანებდნენ. გარშემო არც არავის უხითხითია და არც რამე ჩაულაპარაკიათ უხეშად. პოეტი ისე შეექცეოდა ხელით სალათის ფოთლებს, თითქოს ეს მათი მირთმევის ერთადერთი ბუნებრივი და ჩვეულებრივი გზა იყო.

„ლედის დეის“ თანამშრომლებიდან ჩემ ახლო-მახლო არავინ იჯდა. ბეტსი კი ჩემდამი კეთილგანწყობილი და მეგობრული იყო. თანაც, ჩანდა, ხიზილალა მაინცდამაინც არ უყვარდა. ასე რომ, თავი ლაღად ვიგრძენი. ცივი ქათმის ხორცი და ხიზილალით სავსე პირველი თეფში მოვასუფთავე და მეორეს გადავწვდი. მერე კი ავოკადოს და კიბორჩხალას ხორცის სალათას მივადექი.

ავოკადო ჩემი უსაყვარლესი ხილია. ყოველ კვირას ბაბუას ჩანთით ექვსი ნახმარი პერანგისა და საკვირაო კომიქსის ქვეშ გადანახული ავოკადო მოჰქონდა ჩემთვის. ბაბუამ მასწავლა, როგორ უნდა აურიო ყურძნის ჟელეში ფრანგული სოუსი და მერე ამ ბროწეულისფერი სითხით ავოკადო ამოავსო. ამ ყველაფრის გახსენებამ შინ ყოფნა მომანატრა. შინაურ სოუსთან შედარებით ეს კიბორჩხალას ხორცი ნამდვილად უგემურად მეჩვენა.

- ქურქების ჩვენებამ როგორ ჩაიარა? - ვკითხე ბეტსის, როცა ხიზილალაში შევიღების შიში უკვე აღარ მქონდა. სუფრის კოვზით ხიზილალის ბოლო შავი, მარილიანი კვერცხებიც მოვფხიკე და თეფშიც მოკრიალდა.

- მშვენივრად, - გამიღიმა ბეტსიმ, - გვიჩვენეს, როგორ შეიძლება ყოველდღიური ყელსახვევის გაკეთება სიასამურის კუდიტა და ოქროს ძეწკვით. ძეწკვი შეიძლება უბრალოც იყოს, ოღონდ ოქროსფერი. „ვულვორთსში“ იყიდება ეგეთები ორ დოლარად. ჰოდა, ჰილდა ჩვენების შემდეგ პირდაპირ ბეწვეულის

საბითუმო მაღაზიაში გაქანდა და მთელი შეკვრა სიასამურის კუდები იყიდა ფასდაკლებით. მერე ძეწკვების საყიდლადაც გაიქცა, და ავტობუსში რომ ამოდიოდა, უკვე ყველაფერს ერთმანეთზე აბამდა.

ბეტსის მოპირდაპირე მხარეს ჰილდას გავხედე. ექვსი ფუტის სიმაღლის იყო, ეშმაკური, მწვანე თვალებით, სქელი წითელი ტუჩებითა და ცარიელი, სლავური გამომეტყველებით. ქუდებს აკეთებდა. ჰილდა მოდების განყოფილების რედაქტორის თანაშემწე იყო, რაც მას უფრო განათლებულებისაგან გამოარჩევდა.

ჩვენ – მე, დორინი, ბეტსი და დანარჩენები – ყველანი სვეტებს ვწერდით ჟურნალისათვის, თუმცადა აქედან ზოგი მხოლოდ ჯანმრთელობასა და სილამაზეს ეხებოდა. არ ვიცი, ჰილდას წერა-კითხვა რამდენად შეეძლო, მაგრამ გასაოგნებელ ქუდებს კი აკეთებდა. ნიუ-იორკში ქუდების დიზაინის სპეციალურ სკოლაში დადიოდა და სამსახურში ყოველდღე ახალი ქუდი ეხურა: ხან ჩალის, ხან ბეწვის, ხან ბაფთებით, ხან მოხდენილი ვუალით გაწყობილი – ყველა საკუთარი ხელით დამზადებული.

– პირდაპირ გადასარევი, – ვთქვი მე, – გადასარევი. დორინი მომენატრა. აქ რომ ყოფილიყო, ჰილდას ამ ახალ გადასარევ ბეწვის ყელსაბამზე რამე გამანადგურებელს წამჩურჩულებდა და გამამხიარულებდა.

თავი ნაძირალად ვიგრძენი. იმ დილას თვითონ ჯეი ქიმ ჩამომხსნა ნილაბი, და ახლა ვგრძნობდი, რომ რაც კი უსიამოვნო ექვი მქონდა ჩემს თავთან დაკავშირებით, ყველაფერი სიმართლე იყო; და რომ ამ სიმართლეს საკუთარ თავს ვეღარ დავუმალავდი. ცხრამეტი წლის მანძილზე კარგი ნიშნების, ათასგვარი ჯილდოებისა და გრანტების დევნის შემდეგ ხელის ჩაქნევა, შენელება, შეჯიბრიდან გამოსვლა დავიწყე.

– ბეწვეულის ჩვენებაზე ჩვენთან ერთად რატომ არ წამოხვედი? – ჩამეკითხა ბეტსი. ისეთი გრძნობა გამიჩნდა, რომ ეს კითხვა ერთი წუთის წინაც დამისვა და მე არ ვუსმენდი, – დორინთან ერთად იყავი სადმე?

არა-მეთქი, ვუთხარი. – წამოსვლა კი მინდოდა, მაგრამ ჯეი ქიმ დამირეკა და ოფისში დამიბარა-მეთქი. ჩვენებაზე წასვლის სურვილი მთლად სიმართლეს არ შეეფერებოდა, მაგრამ ახლა თავს ვიჯერებდი, თითქოს მართლაც ვაპირებდი იქ წასვლას, რომ ჯეი ქის ნათქვამით კიდევ უფრო გულნატკენად მეგრძნო თავი.

ბეტსის ვუამბე, როგორ ვიწექი იმ დილას საწოლში და ბეწვეულის ჩვენებაზე წასვლას ვგეგმავდი. არ მითქვამს, რომ უფრო ადრე დორინი შემოვიდა და მითხრა: – რა დაგრჩენია იმ გოიმურ ჩვენებაზე, მე და ლენი კონი აილენდზე მივდივართ და კარგს იზამ, თუ შემოგვიერთდები. ლენი ვინმე კაი ტიპს წამოიყვანს შენთვის. ამათ კიდევ, დღეს იმდენი ღონისძიება აქვთ დაგეგმილი სადილისა და შუადღეზე ფილმის პრემიერის ჩათვლით, რომ ჩვენს არყოფნას მაინც ვერ შეამჩნევენო.

ერთი წუთით ლამის სულმა წამძლია. ჩვენება მართლა სულელური უნდა ყოფილიყო. ბეწვეული სულ არ მაინტერესებდა. მაგრამ ბოლოს გადავწყვიტე, სანამ არ მომბეზრდება, ლოგინში ვიწევი, მერე კი ცენტრალურ პარკში წავალ და იხვებით სავსე ტბასთან, ბალახზე გავვორდები-მეთქი.

დორინს ვუთხარი, რომ არც ჩვენებაზე, არც სადილზე და არც პრემიერაზე არ ვაპირებ წასვლას, მაგრამ არც კონი აილენდზე მოგყვები და ლოგინში ვრჩები-მეთქი. დორინი რომ წავიდა, იმაზე დავიწყე ფიქრი, რატომ აღარ

შემემლო მთელი დღე იმისი კეთება, რაც მევალეზოდა. ამან ხასიათი გამიფუჭა და დამალა. მერე იმაზე ვფიქრობდი, რატომ დორინივით ვერც იმას ვაკეთებ, რაც არ შეიძლება-მეთქი და ამან კიდევ უფრო დამასვედიანა და დამალა.

არ ვიცოდი, უკვე რომელი საათი იყო. დერეფნიდან ჩვენებაზე წასასვლელად მომზადებული გოგოების ფუსფუსი და ხმაური მომესმა და მერე დერეფანიც სიჩუმემ მოიცვა. მე კი ისევ გულაღმა ვიწექი და ცარიელ თეთრ ჭერს ავყურებდი. ირგვლივ სიჩუმე გაიბერა, გაიზარდა და გუგუნნი დაიწყო. და უკვე მეგონა, ამხელა სიჩუმე ყურის ბარაბანს გამიხეთქავს-მეთქი, რომ ტელეფონის ზარი გაისმა.

მთელი წუთი მივმტერებოდი ტელეფონს. ყურმილი თავის ძვლისფერ ბუდეში თითქოს ოდნავ შეირხა კიდევ და დავრწმუნდი, რომ მართლა რეკდა. ვიფიქრე, ალბათ ჩემი ტელეფონის ნომერი ვინმეს ცეკვის დროს ან წვეულებაზე მივეცი და დამავიწყდა-მეთქი. ყურმილი ავიღე და უხეში, გალიზიანებული ხმით ჩავძახე:

- ალო!

- ჯეი ქი ვარ, - უკანვე მომახალა ჯეი ქიმ, - მაინტერესებს, დღეს ოფისში მოსვლას ხომ არ აპირებ?

წამოვჯექი. ვერ მივხვდი, რატომ გადაწყვიტა ჯეი ქიმ, რომ დღეს ოფისში უნდა მივსულიყავი. ყველას გვქონდა განრიგის დაბეჭდილი ასლი, რომ ღონისძიებებისათვის თვალ-ყური გვედევნებინა. ძალიან ხშირად დილაობით და შუადღეზე ოფისს გარეთ, ქალაქში გასვლა გვქონდა დაგეგმილი. რა თქმა უნდა, ზოგ ღონისძიებაზე დასწრება ნებაყოფლობითი იყო.

ყურმილში პაუზა კარგა ხანს გაგრძელდა და მერე ჯეი ქის მოკრძალებით ვუპასუხე, რომ ბეწვეულის ჩვენებაზე ვაპირებდი წასვლას. რა თქმა უნდა, წინასწარგანზრახული არ იყო ეს ტყუილი. უბრალოდ, სხვა ვერაფერი მოვიფიქრე. ვუთხარი, ჩვენებაზე წამოსვლას ვაპირებდი-მეთქი, - ვუამბობდი ახლა ბეტსის, - მაგრამ ოფისში დამიბარა. ჩემთან ლაპარაკი უნდოდა და რაღაც საქმეც იყო გასაკეთებელი.

- უი, - თანაგრძნობით მითხრა ბეტსიმ. მგონი, შეამჩნია, ცრემლები დაპალუპით როგორ ჩამიცვივდა ნაყინის ფინჯანში. მერე ბეტსიმ თავისი დესერტი ხელუხლებლად მომიწია და ჩემი რომ მოვათავე, იმისას მივადექი. ცრემლებისა ცოტა შემრცხვა, მაგრამ ეს ცრემლები ნამალადევი არ ყოფილა. ჯეი ქიმ საშინელებები მითხრა.

როცა ათი საათისათვის ოფისში ფერწასული შევედი, ჯეი ქი წამოდგა და კარი დახურა. მე ჩემი საბეჭდი მანქანის მაგიდასთან ბზრიალა სკამზე დავჯექი და ის კი, თავის მაგიდასთან, ჩემ წინ, ტროპიკული ბალივით ამოზრდილი ქოთნის ყვავილებით სავსე სარკმლის ფონზე მოთავსადა.

- ესთერ, შენი საქმე გაინტერესებს?

- დიახ, ძალიან, - ლამის ვიყვირე, თითქოს ყვირილით რამეში დავარწმუნებდი, მაგრამ, თავი შევიკავე.

მთელი ცხოვრება თავს ვიჯერებდი, რომ სწავლა, კითხვა, წერა და მუშაობა მინდოდა. სინამდვილეში მართლაც ასე იყო - ყველაფერი მშვენივრად გამომდიოდა. ყველა საგანში მაღალი ნიშნები მეწერა და როცა კოლეჯში დავიწყე სწავლა, ჩემი შეჩერება აღარავის შეემლო.

კოლეჯიდან ქალაქის გაზეთის კორესპონდენტის ვიყავი, ლიტერატურული ჟურნალის რედაქტორიც და იმ დროს პოპულარული ორგანოს – „საპატიო საბჭოს“ – თავმჯდომარეც, რომელიც კოლეჯში სასწავლო პროცესისა და სხვა სოციალური სახის დარღვევებს განიხილავს; ჩემი მასწავლებელი კათედრიდან, სახელგანთქმული პოეტი ქალი, აღმოსავლეთ სანაპიროს უდიდეს უნივერსიტეტებში მიწვევდა რეკომენდაციას, რაც სრულ სტიპენდიას მიქადდა; აი ახლაც, ინტელექტუალური მოდების ჟურნალის საუკეთესო რედაქტორის მოწაფე ვიყავი; და მე კი, ამ დროს, მონჯღრეულ ეტლში შებმული ჯაგლაგი ცხენივით დავჩაქჩაქებდი.

„ყველაფერი ძალიან მაინტერესებს.“ – სიტყვები ჯეი ქის ცარიელ მაგიდაზე დამიცვიდა.

– მიხარია ამის მოსმენა, – ცოტა არ იყოს, გესლიანად მიპასუხა ჯეი ქიმ, – თუ იბეჯითებ, ამ ერთი თვის განმავლობაში ჟურნალში მუშაობამ ბევრი რამე შეიძლება გასწავლოს. გოგონა, რომელიც შენამდე იყო აქ, პირდაპირ „თაიმში“ მოხვდა.

– როგორ უყოჩაღია! – ისევ უკმეხად გამომივიდა.

– რა თქმა უნდა, კოლეჯში ერთი წელი კიდევ დაგრჩა, – ოდნავ შერბილებული ტონით გააგრძელა ჯეი ქიმ, – დამთავრების შემდეგ რას აპირებ?

ყოველთვის ვფიქრობდი, რომ კოლეჯის დამთავრების შემდეგ სტიპენდიით უნივერსიტეტში მოვხვდებოდი, ან ევროპაში სასწავლებლად გრანტს მოვიპოვებდი. და მერე პროფესორი გავხდებოდი და თან ლექსების კრებულებს გამოვაქვეყნებდი; ან ლექსებს დაწერდი და სადმე რედაქტორად ვიმუშავებდი. ჩვეულებრივ, ენის წვერზეც ეს გეგმები მაღა.

– არ ვიცი, – ვთქვი ახლა. ვთქვი და საკუთარმა სიტყვებმა თავზარი დამცა, რადგან ამას რომ ვამბობდი, ვიცოდი, – ეს იყო სიმართლე.

სიმართლე იყო და ეს სიმართლე საკუთარ ხმაში ისე ამოვიცანი, როგორც მამას ამოიცნობ ვიღაც უცნობში, რომელიც წლების მანძილზე დაძრწის შენს კართან და ერთხელაც მოულოდნელად მოდის და გეუბნება, შენი ნამდვილი მამა ვარო. და უცებ ხვდები, რომ მართლა გაჭრილი ვაშლივით გგავს, და რომ სწორედ ეს კაცია მამაშენი და არა ის, ვინც მთელი სიცოცხლე მამა გეგონა.

– არ ვიცი.

– ასე არაფერი გამოგივა. – ჯეი ქი წამით შეყოვნდა, – რომელი ენები იცი?

– ფრანგულად ვკითხულობ ცოტას და ყოველთვის მინდოდა გერმანულის სწავლა. – უკვე ხუთი წელი იყო, ხალხს ვეუბნებოდი, გერმანულის სწავლას ვაპირებ–მეთქი.

დედაჩემი ამერიკაში ჩამოსვლის შემდეგაც მთელი ბავშვობა გერმანულად ლაპარაკობდა. ამის გამო პირველი მსოფლიო ომის დროს სკოლაში ბავშვებმა ქვებიც კი დაუშინეს. გერმანულენოვანი მამაჩემი, რომელიც, ცხრა წლისა ვიყავი, რომ გარდაიცვალა, წარმოშობით პრუსიის შავი გულისგულის მანიაკალურ-დეპრესიული სოფლიდან იყო; ჩემი უმცროსი ძმა კი ამჟამად გაცვლითი პროგრამით სწავლობდა ბერლინში და გერმანულს მშობლიურით ლაპარაკობდა.

არავის ვეუბნებოდი, რომ როგორც კი გერმანული ენის ლექსიკონს ვიღებდი

ხელში, ამ გრძელი, შავი, ჩახლართული სიტყვების დანახვაზე გონება ნიჟარასავით მეკეტებოდა.

- ყოველთვის ვფიქრობდი, რომ საგამომცემლო საქმიანობას მივყოფდი ხელს,  
- შევეცადე, ჩემი ძველი გეგმები და ამ გეგმებით ხალხის დაინტერესების უნარი დამებრუნებინა, - ალბათ, რომელიმე გამომცემლობაში შევეცდები მუშაობის დაწყებას.

-- ფრანგული და გერმანული უნდა ისწავლო, - შეუბრალებლად მიპასუხა ჯეი ქიმ, - და ალბათ დამატებით კიდევ რამდენიმე ენაც - ესპანური და იტალიური - უკეთესია, რუსული. ნიუ-იორკში ყოველ ზაფხულს ასობით გოგონა ჩამოდის იმ იმედით, რომ რედაქტორი გახდება. რამე ისეთის შეთავაზება უნდა შეგეძლოს, რაც სხვას არ გააჩნია. უკეთესი იქნება, თუ ენებს ისწავლი.

იმის თავი აღარ მქონდა, ჯეი ქისტვის ამეხსნა, რომ ჩემი გაკვეთილების ცხრილში ენების კი არა, ნემსის ჩასავარდნი ადგილიც აღარ იყო. იმ ერთ-ერთი გაძლიერებული პროგრამით ვსწავლობდი, რომელიც დამოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალიბებაზე იყო კონცენტრირებული და ტოლსტოის, დოსტოევსკის და ლექსების წერის კურსს მოიცავდა. დანარჩენ დროს კი ჯოისის შემოქმედებაში რაღაც ბუნდოვანი თემების შესახებ თხზულებების წერას ვანდომებდი. საბოლოო თემა ჯერ კიდევ არ მქონდა აღებული, რადგან „ფინეგანის ქელები“ ჯერ არ წამეკითხა. ჩემი ხელმძღვანელი ძალიან დაინტერესებული ჩანდა ჩემი თემით და დამპირდა, რომ ტყუპების სახეებთან დაკავშირებით დამაკვლიანებდა.

- მოვიფიქრებ რამეს, - ვუთხარი ჯეი ქის. - იქნებ როგორმე ელემენტარული გერმანულის კურსი ჩავტოო ჩემს განრიგში. გავიფიქრე, ამის გაკეთება მართლა ღირს-მეთქი. გზაც ვიცოდი, ჩვენი კლასის ხელმძღვანელი როგორ უნდა დამეყოლიებინა, რომ ჩემთვის ნება მოეცა, დამატებითი რაღაცეები მეკეთებინა. ის როგორც საინტერესო ექსპერიმენტს, ისე მიყურებდა.

კოლეჯში იძულებული ვიყავი, ფიზიკისა და ქიმიის კურსები მესწავლა. ბოტანიკა უკვე გავლილი მქონდა და ძალიან კარგ შედეგებსაც მივაღწიე. მთელი წლის განმავლობაში არც ერთ ტესტში არც ერთი კითხვა არ ჩამიგდია და ერთი ხანობა იმასაც ვფიქრობდი, ბოტანიკოსი ხომ არ გამოვიდე და აფრიკის ველური ბუნება ან სამხრეთ ამერიკის დაბურული ტყეები ხომ არ შევისწავლო-მეთქი. თანაც, ნაკლები კონკურენციის გამო, ამ ადგილებში კვლევისათვის გაცილებით უფრო იოლი იყო დიდი გრანტების მოგება, ვიდრე იტალიაში ხელოვნების ან ინგლისში ლიტერატურის შესასწავლად.

ბოტანიკის სწავლა მსიამოვნებდა, რადგან მიყვარდა ფოთლების ანათლების აღება, მიკროსკოპის ქვეშ მოთავსება და თავთავებისა და უცნაური, გულის ფორმის ფურცლების დიაგრამების ხატვა. ეს ჩემთვის სიცოცხლით სავსე საქმე იყო.

ხოლო როდესაც პირველად ფიზიკის გაკვეთილს დავესწარი, სიცოცხლე შემძულდა.

დაბალი, შავგვრემანი, როხროხა და ენამოჩლექილი კაცი, რომელსაც ბატონი მანზი ერქვა, კლასის წინ ლურჯ პიჯაკში გამოწყობილი იდგა და ხელში ხის ბურთი ჩაებლუჯა. მერე ეს ბურთი მოღუნულ ფირფიტაზე დადო და ბურთიც ჩამოგორდა. მერე დაიწყო ლაპარაკი: ვთქვით, ა აჩქარებაა და ტ კი დროო; და მერე მიჰყვა და მთელი დაფა გადააჭრელა და ტვინი სულმთლად გამეთიშა.

ფიზიკის სახელმძღვანელო საერთო საცხოვრებელში წავიღე. უზარმაზარი წიგნი იყო, ოთხასგვერდიანი, აგურისფერი მუყაოს ყდაში მოქცეული, ყოველგვარი ნახატისა და ფოტოს გარეშე, მარტო ნახაზებითა და ფორმულებით სავსე. ეს წიგნი თავად ბატონი მანზის დაწერილი იყო სპეციალურად კოლეჯის მოსწავლე გოგონებისათვის; და თუ ჩვენზე ჩატარებული ექსპერიმენტი წარმატებით განხორციელდებოდა, ბატონი მანზი ამ სახელმძღვანელოს გამოქვეყნებას შეეცდებოდა.

ფორმულებიც ვისწავლე, გაკვეთილებზეც კეთილსინდისიერად დავდიოდი, ფირფიტაზე დაგორებულ ბურთებსაც შევცქეროდი და ზარების წკრიალსაც ვუსმენდი. სემესტრის ბოლოს გოგონების უმრავლესობა ჩაიჭრა, მე კი გამართული ფრიადი მივიღე. ისიც ხშირად მესმოდა, იმ გოგოებს, რომლებიც ჩიოდნენ, კურსი მეტისმეტად რთულიაო, ბატონი მანზი როგორ ეუბნებოდა: – არა, ეს ვერ იქნება მეტისმეტად რთული, რადგან ერთმა გოგონამ გამართული ფრიადი მიიღო. – ვინ მიიღო, გვითხარით, რა! – სთხოვდნენ გოგოები, მაგრამ ის თავს აქნევდა და არაფერს ამბობდა. მხოლოდ ტკბილად, იდუმალი შეთქმულივით გამიღიმებდა ხოლმე.

აი, აქედან გამიჩნდა შემდეგ სემესტრში ქიმიის თავიდან აცილების იდეა. ფიზიკაში ეს ჩემი გამართული ნიშანი კი მივიღე, მაგრამ პანიკაში ვიყავი. მთელი სემესტრის განმავლობაში ფიზიკა ცუდად მხდოდა. ვერანაირად ვერ შევეგუე ამ ციფრებად შეკუმშულ სამყაროს. ფოთლების ფორმებისა და იმ უჯრედების მოგრძო დიაგრამების მაგიერ, რომლებითაც ფოთლები სუნთქავენ, და დაფაზე ისეთი მომხიბლავი სიტყვების ნაცვლად, როგორიცაა კაროტინი და ქსენტოფილი, ეს საძაგელი, უშნო, მორიელივით დაგრეხილი ფორმულები იყო ერთადერთი, რასაც ბატონი მანზის წითელი ცარცი ტოვებდა.

ვიცოდი, ქიმია კიდევ უფრო უარესი იქნებოდა, რადგან ქიმიის ლაბორატორიაში გამოკიდული ოთხმოცდარამდენიდაც ელემენტის უზარმაზარი ცხრილი მქონდა ნანახი. ისეთი მშვენიერი სიტყვები, როგორიცაა ოქრო, ვერცხლი, კობალტი და ალუმინი, უშნო შემოკლებებად იყო შემცირებული და ზედ სხვადასხვა ციფრები ჰქონდა მიწერილი. ამ ყველაფრით კიდევ ერთხელ რომ დამეძაბა ტვინი, ჭკუიდანაც შევიშლებოდი და გამოცდაზეც ჩავფლავდებოდი. წლის პირველი ნახევრის ჩათავება ხომ მხოლოდ ნებისყოფის საშინელი დამაბვის ფასად მოვახერხე.

ბოლოს, ჩემი კლასის ხელმძღვანელს ერთი გონივრული გეგმით მივმართე.

ვუთხარი, რომ დრო მჭირდებოდა შექსპირის კურსის ასაღებად, რადგან საბოლოო ჯამში ჩემი სპეციალობა ინგლისური იყო. ორივემ მშვენივრად ვიცოდით, რომ ქიმიის კურსშიც ისევ გამართულ ფრიადს მივიღებდი. ამიტომ აზრი არც ჰქონდა გამოცდაზე ჩემს გასვლას. რატომ არ შეიძლებოდა უბრალოდ მევლო ლექციაზე, ჩათვლებისა და ნიშნების გარეშე? ეს თავმოყვარე ხალხისათვის, უბრალოდ, ღირსების საკითხი იყო. შინაარსი ხომ ფორმაზე მეტს ნიშნავდა და ნიშნებს ხომ სინამდვილეში უკვე აზრი აღარც აქვს, როცა წინასწარ იცი, რომ ყოველთვის ფრიადს მიიღებ? ჩემი გეგმის წარმატება იმანაც განაპირობა, რომ ჩვენი მომდევნო კლასებისათვის კოლეჯმა საერთოდ მოხსნა სავალდებულო მეცნიერებების სწავლების მეორე წელი. ასე რომ, ჩემი კლასი უკანასკნელი იყო, ძველი პროგრამის გამო რომ იტანჯებოდა.

ბატონ მანზის არაფერი ჰქონდა ჩემი გეგმის საწინააღმდეგო. მგონი, კიდევ სიამოვნებდა, რომ მის გაკვეთილებზე რაიმე მატერიალური მიზეზის, ანუ ჩათვლებისა და ნიშნების გამო კი არა, თავად ქიმიის „დიადი ხიბლის“ გამო

დავდიოდი. შექსპირის დამატებითი კურსის აღების შემდეგაც კი ქიმიის კურსზე უბრალოდ დასწრების სურვილის გამოთქმა ჩემი მხრიდან მართლა გონებასაზივლობა იყო. რაღაც ისეთი შესტივით გამომივიდა, თითქოს ქიმიისათვის თავის დანებება არ შემეძლო.

რალა თქმა უნდა, ამ გეგმას წარმატება არ ეწერა, წინა სემესტრში ის ფრიადი რომ არ მქონოდა მიღებული. ჩემი კლასის ხელმძღვანელს რომ სცოდნოდა, როგორი შემინებული და სასოწარკვეთილი ვიყავი და როგორ სერიოზულად ვფიქრობდი ისეთ უკიდურეს ზომებზე, როგორც ექიმისგან ცნობის აღებაა, რომ ქიმიის სწავლა არ შემეძლო, რომ ფორმულებისგან თავი მტკიცდებოდა და ა.შ., დარწმუნებული ვარ, ერთი წუთითაც არ მომისმენდა და კურსის აღებას მაიძულებდა.

მაგრამ კათედრის სხდომამ განიხილა ჩემი თხოვნა და მოგვიანებით კლასის ხელმძღვანელმა მითხრა, რომ რამდენიმე პროფესორი ძალიან მოიხიბლა ამ თხოვნით. მათ ეს ინტელექტუალური სიმწიფისაკენ გადადგმულ ნამდვილ ნაბიჯად მიიღეს.

გამეცინა, როცა წლის დანარჩენი ამბები გამახსენდა. კვირაში ხუთჯერ დავდიოდი ქიმიის გაკვეთილზე. არც ერთი მეცადინეობა არ გამიცდენია. იდგა ბატონი მანზიც უზარმაზარი, მორყეული კათედრის უკან და ერთი კოლბიდან მეორეში სითხის გადაღვრით ლურჯ კვამლს, წითელ ალსა და ყვითელი ღრუბლების ნაკადს აფრქვევდა. მე კი მის ხმას ყურშიც არ ვუშვებდი, თითქოს კოლოს წული იყო სადღაც შორეთში. სკამის საზურგეს მიყრდნობილი გავყურებდი კამკაშა შუქებსა და ცეცხლის ენებს, და რვეულებს ვილანელებითა და სონეტებით ვავსებდი.

ბატონი მანზი დროდადრო გადმოხედავდა ხოლმე, დაინახავდა რომ ვწერდი და მოწონების ღიმილს მიგზავნიდა. ალბათ ფიქრობდა, რომ არც ერთ ფორმულას არ ვტოვებდი ჩაუწერლად. თანაც, სხვა გოგოებივით გამოცდისათვის კი არ ვბეჯითობდი, არამედ მისი ახსნილი გაკვეთილები ისე მხიბლავდა, რომ სხვაგვარად არ შემეძლო.

4

არ ვიცი, ჯეი ქის ოფისში რამ გამახსენა ქიმიისაგან ჩემი თავის დამკრენის ამბავი.

ჯეი ქი მელაპარაკებოდა, მე კი, მის თავს უკან, თითქოს ქუდიდან კვამლად ამოეზარდაო, მისტერ მანზი მელანდებოდა, ხელში ხის ბურთითა და იმ საექსპერიმენტო კოლბით, საიდანაც სააღდგომო არდადეგებამდე ერთი დღით ადრე ყვითელი ბოლი გადმოვიდა და ლაყე კვერცხის სუნი დააყენა, რამაც გოგოებიც და თვითონ ბატონი მანზიც კარგად ახალისა.

ბატონი მანზი მეცოდებოდა. ლამის იყო მივსულიყავი და მუხლებზე დაჩოქილს მომეხადა ბოდიში ჩემი ტყუილის გამო.

ჯეი ქიმ მოთხრობის ხელნაწერის მთელი დასტა მომაწოდა და უფრო რბილად დამელაპარაკა. დილის დარჩენილი ნაწილი მოთხრობების კითხვასა და ოფისის ვარდისფერ თაბახზე ჩემი კომენტარის ბეჭდვაში გავატარე. ამ ყველაფერს ბეტსის გამომცემელს ვუგზავნიდი, რომ მეორე დღეს ბეტსის გადაეკითხა. დროდადრო საქმეს ჯეი ქი მაწყვეტილებდა, რომ რაიმე პრაქტიკული შენიშვნა მოეცა, ან, უბრალოდ, წაეჭორავა.

იმ შუადღეს ჯეი ქი სადილზე ორ ცნობილ მწერალთან, ქალთან და კაცთან

ერთად მიდიოდა. კაცმა ის-ის იყო ექვსი პატარა მოთხრობა მიჰყიდა „ნიუ-იორკერს“ და ექვსიც ჯეი ქის. ამან ძალიან გამოაცა, რადგან არ ვიცოდი, ჟურნალები ექვს მოთხრობას ერთდროულად თუ ყიდულობდნენ. თავბრუ დამეხვა, რომ წარმოვიდგინე, რა შემოსავალი ექნებოდა ავტორს ამ ექვსი მოთხრობისგან. ჯეი ქიმ შენიშნა, რომ დღევანდელ სადილზე ძალიან ფრთხილად უნდა ყოფილიყო, რადგან მწერალ ქალს „ნიუ-იორკერში“ არცერთი მოთხრობა არ გამოუქვეყნებია და ჯეი ქიმაც ხუთი წლის მანძილზე მისგან მხოლოდ ერთი მოთხრობა იყიდა. აქედან გამომდინარე, ცნობილი მწერალი მამაკაცისათვის მეტი ხოტბა უნდა შეესხა და თან, არც მწერალი ქალისათვის უნდა ეტკინა გული. როცა ფრანგულ კედლის საათში ქერუბიმებმა ფრთები შეარხიეს, პაწია მოოქროვილი საყვირები ტუჩებთან მიიტანეს და ერთმანეთის მიყოლებით თორმეტი ნოტი დაუკრეს, ჯეი ქიმ მითხრა, დღეისათვის საკმარისი სამუშაო შეასრულე და შეგიძლია, „ლედის დეის“ მიერ მოწყობილ ექსკურსიას, ბანკეტს და ფილმის პრემიერას დაესწრო, ხვალ კი ისევ დილით ადრე გელი ენთუზიაზმით სავსესო. მერე იისფერ ზედატანზე პიჯაკი მოიცვა, ხელოვნური იასამნებით მორთული ქუდი კინკრიხოზე წამოიკოსა, პუდრა ნაჩქარევად დაიყარა ცხვირზე და სათვალეც დაისკუპა. საშინლად გამოიყურებოდა, მაგრამ ძალიან ჭკვიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ოთახიდან რომ გადიოდა, იასამნიანი ხელთათმანი მხარზე მომითათუნა:

- უფლება არ მისცე ამ წყეულ ქალაქს, რომ დაგიტანოს.

რამდენიმე წუთის განმავლობაში ჩემს ბზრიალს სკამზე გაყუჩებული ვიჯექი და ჯეი ქიზე ვფიქრობდი. ვცდილობდი, თავი მის ადგილას წარმომედგინა - ცნობილ გამომცემლად, კაუჩუკის მცენარეების ქოთნებითა და აფრიკული იეზით სავსე ოფისში, რომლებიც ჩემს მდივანს ყოველდღე უნდა მოერწყა. ვინატრე, ნეტავი ჯეი ქისთანა დედა მაინც მყავდეს-მეთქი. მაშინ ნამდვილად მეცოდინებოდა, რასაც ვიზამდი.

ჩემი საკუთარი დედა მაინცდამაინც ვერ იყო საქმეში გამოსადეგი. დედა სტენოგრაფიასა და ბეჭდვას ასწავლიდა, რომ მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ როგორმე გამოვეკვებეთ. გულის სიღრმეში ეს საქმეც სძულდა და მამაჩემიც, რომელიც ისე მოკვდა, გროშიც არ დაგვიტოვა, რადგან სადაზღვევო კომპანიის თანამშრომლებს არ ენდობოდა. დედა სულ ჩამჩიჩინებდა, სტენოგრაფია შენც ისწავლე, რომ კოლეჯის ხარისხთან ერთად რაიმე პრაქტიკული ცოდნაც გქონდესო, - წინასწარმეტყველებიც კი დურგლები იყვნენ, - მეტყოდა ხოლმე, - მათაც ჩვენსავით უნდა ეშრომათ, რომ ეარსებათო.

თბილი წყლით სავსე ჯამში, რომელიც „ლედის დეის“ ოფიციალტმა ჩემი ორი დაცარიელებული სანაყინის ადგილას მოათავსა, თითები ჩავაწე. მერე თითები საგულდაგულოდ გავიწმინდე ტილოს ხელსახოცით, რომელიც ჯერ კიდევ საკმაოდ სუფთა იყო. მერე ტილოს ხელსახოცი დავკეცე, ტუჩებთან მივიტანე და ტუჩებიც გულდასმით გავიწმინდე. როდესაც ხელსახოცი უკან, მაგიდაზე დავდე, ზედ შუაგულში ტუჩების ფორმის ლაქა პაწია გულივით ბრწყინავდა.

რამხელა გზა გამოვიარე-მეთქი, - გავიფიქრე.

პირველად თითების ჯამი ჩემი პროტექტორის სახლში ვნახე. როგორც სტიპენდიების ოფისში დაბალმა ჭორფლიანმა ქალმა ამიხსნა, ჩემს კოლეჯში წესად იყო, რომ თუკი ის, ვისი სახელობის სტიპენდიაც გვქონდა, ცოცხალი იყო, მისთვის სამადლობელი წერილი უნდა მიგვეწერა.

მე ფილომენა გუინეას სახელობის სტიპენდია მქონდა. ეს ქალი მდიდარი



რომანისტი იყო და ჩემს კოლეჯში სწავლობდა საუკუნის დასაწყისში. მისი პირველი რომანის მიხედვით ბეტ დევისის მონაწილეობით მუნჯი ფილმი გადაიღეს. ერთი რადიოპიესაც დაწერა, რომელსაც ახლაც გადმოსცემენ ხოლმე. ჰოდა, აღმოჩნდა, რომ ეს ქალი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და ბაბუაჩემის სოფლის კლუბიდან არც ისე შორს, დიდ სასახლეში ცხოვრობდა.

ფილომენა გუინეას გრძელი წერილი მივწერე კოლეჯის ტიტულიან ნაცრისფერ ქალაქში, შავი მელნით. ვუამბე შემოდგომის ტყის შესახებ, რომელშიც ველოსიპედით მიყვარდა სეირნობა; მივწერე, რა შესანიშნავი იყო საერთო საცხოვრებელში ყოფნა, ყოველდღიურად სახლიდან ავტობუსით ჩამოსვლის ნაცვლად; რომ მისი სტიპენდიის წყალობით ცოდნის კარიბჭე ფართოდ იყო ჩემთვის გახსნილი; და რომ იქნებ, ერთ მშვენიერ დღეს, ისეთივე დიდებული წიგნების წერაც შემძლებოდა, როგორც მას.

ქალაქის ბიბლიოთეკაში ქალბატონი გუინეას ერთი წიგნი მქონდა წაკითხული. კოლეჯის ბიბლიოთეკაში მისი წიგნები რატომღაც არ ჰქონდათ. ის ერთი წიგნი თავიდან ბოლომდე გრძელი, რიტორიკული კითხვებით იყო სავსე: „მიხვდება ეველინი, რომ გლედისი წარსულში იცნობდა როჯერს? – ცნობისმოყვარეობა ტანჯავდა ჰექტორს“, ან „როგორ შეეძლო დონალდს მისი ცოლად შერთვა, როცა მისის როლმოფთან, სოფლის მივარდნილ ფერმაში გადამალული პაწია ელისის ამბავი შეიტყო? – გრიზელდა თითქოს თავისი ცივი, მთვარის სხივით განათებული ბალიშისაგან ითხოვდა პასუხს“. ამ და სხვა მსგავსმა წიგნებმა ფილომენა გუინეას, რომელმაც მოგვიანებით მითხრა, რომ კოლეჯში ოროსანი იყო, მილიონობით დოლარი მოუტანა.

მისი გუინეამ წერილზეც მიპასუხა და სახლში სადილადაც დამპატიყა. აი, იქ ვნახე პირველად თითების ჯამი. წყალში ალუბლის რამდენიმე ყვავილი ტივტივებდა და გადავწყვიტე, რომ ეს ნამდვილად იაპონური სადილის შემდგომ მისართმევი წვნიანი იყო. ჰოდა, წყალიც დავლიე და პაწია ფურცლებიც სულ ამოვჭამე. მისი გუინეას სიტყვაც არ უთქვამს და მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ, როცა სკოლაში ნაცნობს ვუამბე სადილის შესახებ, გაირკვა, რაც ჩამიდენია.

როცა „ლედის დეის“ გაკაშკაშებული ოფისიდან გამოვედით, ქუჩები ნაცრისფერი იყო და წვიმისაგან ოხშივარი ასდიოდა. შხაპუნა წვიმა კი არ იყო, თავისდაუნებურად გულს რომ გიკრიალებს, არამედ, აი, ისეთი, ჩემი წარმოსახვით, ბრაზილიაში რომ უნდა იცოდეს. პირდაპირ ყავის მარცვლისოდენა წვეთები აცვიოდა ცხელ ტროტუარებს და ბრდღვიალა, მუქ ასფალტსაც ტალღებად ასდიოდა ორთქლის ღრუბლები.

ცენტრალურ პარკში შუადღის მარტო გატარების ჩემს გეგმას „ლედის დეის“ ოფისის ბზრიალა კარების მიქსერში აღმოხდა სული. თბილი წვიმიდან ტაქსის ბნელ მონჯდრეულ სტომაქში შევძვერი ბეტსისთან, ჰილდასთან და ემილი ენ ოფენბახთან ერთად, რომელიც კოპწია, ტანმორჩილი წითური გოგო იყო და ნიუ-ჯერსიში ქმარი და სამი ბავშვი ჰყავდა.

ფილმი ძალიან სუსტი აღმოჩნდა. მასში მონაწილეობდნენ სასიამოვნო ქერა გოგონა, რომელიც ჯუნ ელისონს ჰგავდა, მაგრამ აშკარად ვიდაც სხვა იყო, და სექსუალური შავთმიანი გოგონა, რომელიც ელიზაბეტ ტეილორს ჰგავდა, მაგრამ ასევე სხვა ვიდაც იყო; და კიდევ ორი მხარბუქიანი ტიპი, სახელად რიკი და გილი.

ეს იყო „ტექნიკოლორის“ ლაბორატორიაში გაკეთებული საფეხბურთო რომანი.

ვერ ვიტან „ტექნიკოლორის“ ფილმებს. ამ ფილმებში ყველა მსახიობს

გადაცრეცილი ფერის კოსტიუმი აცვია და სარეცხის საშრობებით გამოჩხერილან ხასხასა მწვანე ხეების, კაშკაშა ყვითელი ყანების, ან კიდევ, ყოველ მხარეს უკიდევანოდ გადაშლილი კრიალა ლურჯი ოკეანის ფონზე.

მოქმედების უდიდესი ნაწილი საფეხბურთო ტრიბუნაზე ხდებოდა და კადრები სავსე იყო ორი გოგოს შემახილებითა და ხელების ქნევით, და ამ გოგოების გამომწვევ მაისურებზე მიბნეული კომბოსტოსხელა ნარინჯისფერი ქრიზანთემებით. ხან კიდევ საცეკვაო მოედნებს გვიჩვენებდნენ, რომლებზეც ეს გოგონები „ქარწალებულნის“ პერსონაჟების მსგავსი კაბებით დასრიალებდნენ თავიანთ სატროფოებთან ერთად და დროდადრო საგრძიმობროში იპარებოდნენ, რომ ერთმანეთის მწველი ვნებები განეხილათ.

ბოლოს, როგორც შევატყვე, სასიამოვნო ქერა გოგონა ასევე სასიამოვნო ფეხბურთელის ცოლი ხდებოდა და სექსუალური გოგონა კი მარტო რჩებოდა, რადგან კაცს, რომელსაც გილი ერქვა, თურმე მთელი ამ დროის მანძილზე მარტო საყვარელი სჭირდებოდა და არა ცოლი, და ახლა ევროპაში გასამგზავრებლად ალაგებდა ბარგს ერთი ბილეთით ხელში.

აი, აქ ვიყავით, როცა თავი უცნაურად ვიგრძენი. გარშემო მიმოვიხედე. თავებს, ყველა რიგში, წინა მხრიდან ერთნაირი გატაცების ღიმილი უბრწყინავდათ და უკნიდან ერთნაირი შავი ჩრდილი ედოთ. ერთი დიდი სისულელის სულელურ ნაწილებს ჰგავდნენ.

ღებინების რეალური საფრთხე ვიგრძენი. არ ვიცოდი, მუცელი ამ საშინელი ფილმისგან ამტკივდა, თუ ყველაფერი ხიზილალის ბრალი იყო.

- სასტუმროში ვბრუნდები, - ვუჩურჩულე სიბნელეში ბეტსის.

ბეტსი მთელი გულისყურით მისჩერებოდა ეკრანს. - ცუდად ხარ? - ჩაიჩურჩულა ტუჩების ოდნავი რხევით.

- ცუდად კი არა, კვდები, - ვუთხარი.

- მეც. შენთან ერთად წამოვალ.

სკამებიდან წამოვდექით და ჩვენი რიგიდან ბოდიშის ხდით გამოვაღწიეთ. ხალხი ბუზღუნებდა და სისინებდა და გზიდან ტალახიან ჩექმებსა და ქოლგებს გვაცლიდა; და მე კი, მგონი მაინც ყველას ფეხზე ვაბიჯებდი, რადგან ერთადერთი, რაც წინ მეწეოდა, - ღებინების საშინელი სურვილი იყო; იმის გარდა ვერც ვერაფერს ვგრძნობდი და ვერც ვერაფერს ვხედავდი.

ქუჩაში რომ გამოვაღწიე, წვიმის უკანასკნელი, თბილი წვეთები ცვიოდა.

ბეტსი გადაფითრებული იყო. ლოყებიდან ვარდისფერი სულმთლად გასცლოდა. თვალეში ამიჭრელდა მისი გამწვანებული და გაოფლილი სახე. ჭადრაკის დაფასავით შეღებულ ტაქსიში შევცვივდით; აი, ისეთში, ყველა ტროტუარზე რომ დგას. სასტუმროში მისვლამდე მე ერთხელ ვაღებინე და ბეტსიმ ორჯერ.

ტაქსის მძღოლი ქუჩის კუთხეებში ისეთი სისწრაფით უხვევდა, რომ მე და ბეტსი სკამზე ხან ერთ მხარეს ვცვიოდით, ხან მეორე მხარეს და ყოველ ჯერზე ერთ-ერთს გული გვერეოდა. ამ დროს სათითაოდ ვიკუზებოდით, თითქოს ძირს რამე დაგვივარდა და იმას ვეძებდით, და მეორე ჩვენგანი კი ზმუკუნებდა და ვითომ ფანჯარაში იხედებოდა.

ტაქსის მძღოლი მაინც მიხვდა, რაც გვჭირდა.

- ჰეი, - აყვირდა, მაგრამ წითელზე იძულებული იყო, გზა გაეგრძელებინა, - ჩემს ტაქსიში არ გაქვთ ამის გაკეთების უფლება. ქუჩაში გადადიო!

მაგრამ არც ერთს ხმა არ ამოგვიღია, და რადგან უკვე სასტუმროსთან ვიყავით, აღარ გადმოგვყარა და მთავარ შესასვლელთან გაგვიჩერა.

ფულის დათვლის თავი არ გვქონდა, მძღოლს მთელი ბლუჯა ხურდა მივაჩერეთ, მანქანის გაბინძურებულ ძირზე რამდენიმე ქალაღის ცხვირსახოცი დავაგდეთ და სასტუმროს ჰოლიდან ლიფტში შევცვივდით. ჩვენს ილბალზე, ხალხი არ იყო. ბეტსის ისევ გული აერია და მე თავი დავუჭირე. მერე მე ვაღებინე და ახლა იმას ვეჭირე.

ჩვეულებრივ, რომ არწყევ, მაშინვე უნდა მოგეშვას. ერთმანეთს გადავხვებით, დავემშვიდობებთ და დერეფნის სხვადასხვა ბოლოებისაკენ გავემშურეთ, რომ საკუთარ ოთახებში დავწოლილიყავით. ისე უცებ არაფერი ამეგობრებს ადამიანებს, როგორც ერთად რწყევა.

მაგრამ რაწამს კარი მივხურე, გახდა დავიწყე და საწოლთან მივლასლასდი, თავი კიდევ უფრო უარესად ვიგრძენი. საპირფარეშოსკენ წავფრატუნდი ჩემს თეთრ, ლილილოებიან ხალათში გახვეული.

ბეტსი უკვე იქ იყო. კარსუკან კვნესა ისმოდა. რაც შემეძლო სწრაფად წავედი მეორე საპირფარეშოსკენ. ისე შორს მეჩვენა, მეგონა, გზაში მოვკვდებოდი. უნიტაზზე დავჯექი და თავით პირსახანს მივეყუდე. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს საჭმელს ნაწლავებიც ამოვაცოლე. ღებინებას ღებინება მოსდევდა. ყოველ ჯერზე კიდევ უფრო ვსუსტდებოდი და ვკანკალებდი, და მერე ყველაფერი თავიდან იწყებოდა. კაშკაშა თეთრი კაფელის კვადრატები ფეხქვეშ და თავს ზემოთ და ოთხივე მხრიდან მოიწევდნენ ჩემკენ და მაწვებოდნენ და მსრესდნენ.

არ ვიცი, ეს ყველაფერი რამდენ ხანს გაგრძელდა. ონკანში ცივი წყალი ბოლომდე მქონდა მოშვებული, რომ ვინც კი გამოივლიდა, ეფიქრა, თითქოს ტანსაცმელს ვრეცხავდი. ბოლოს, ძირს დავწექი და დავრჩი ასე, გაუნძრევლად.

ზაფხულს ვეღარ ვგრძნობდი. თითქოს გარეთ ვიყავი და ზამთარი იყო; სიცივე ძვალ-რბილში მატანდა, კბილს კბილზე მაცემინებდა და სასტუმროს უზარმაზარი პირსახოცი თოვლის გროვად მედო თავქვეშ.

უზრდელი თუ დააბრაზუნებდა საპირფარეშოს კარზე ისე, როგორც ახლა მიბრაზუნებდა ვიდაცა. ხომ შეეძლო, ჩემთვის თავი დაენებებინა და სხვა საპირფარეშოში შესულიყო, როგორც ეს მე გავაკეთე. მაგრამ ეს ვიდაცა აბრაზუნებდა და მეხვეწებოდა შემომეშვა, და მერე ვიცანი ეს ხმა - ემილი ენ ოფენბახი იყო.

„ერთი წუთით“, - ხმა ძლივს ამოვიღე. პირი წებოს კოლოფით მქონდა.

როგორც იქნა წამოვდექი, მეთედ ჩავრეცხე უნიტაზი, ნიჟარა მოვრეცხე და ნარწყევზეც დაკეცილი პირსახოცი დავაგდე, რომ მაშინვე თვალში საცემი არ ყოფილიყო. მერე საკეტი გავწიე და დერეფანში გამოვედი.

ემილი ენისათვის ან ვინმე სხვისთვის თვალეში რომ არ შემეხედა,

პირდაპირ დერეფნის ბოლოში მოლივლივე სარკმელს მივაშტერდი და იმისკენ წავიდა.

შემდეგი, რაც აღვიქვი, ვიღაცის ფეხსაცმელი იყო – ზორბა, საკმაოდ ძველი, დაჭმუჭნილი შავი ტყავისაგან შეკერილი ფეხსაცმელი; გადაცრეცილი ლაქითა და პაწია საჭაერო ნასვრეტებით დაფარული წვეტი პირდაპირ ჩემკენ ჰქონდა მომართული. და ეს ფეხსაცმელი იმავე მწვანე და მაგარ ზედაპირს აწვა, რომელსაც ჩემი მარჯვენა ლოყა.

არ ვინძრეოდი. მგონი, ისიც აღარ მახსოვდა, როგორ უნდა გავნძრეულიყავი. მერე ფეხსაცმლის ოდნავ მარცხნივ, თეთრ ფონზე, ბლუჯად ღილილოები დავლანდე. თვალები თავისით ამევისო ცრემლებით. ეს ჩემი საკუთარი ხალათის სახელო იყო და ბოლოდან კი მკვდარი ზუთხივით გაყვითლებული ჩემი მარცხენა ხელის მტევანი გამოფშეკოდა.

„ახლა უკვე კარგადაა“.

ხმა მაღლიდან, ჩემს თავსზემოდან მოდიოდა. ჯერ ამაში უცნაური არაფერი მომჩვენებია, მაგრამ მერე გავიფიქრე, რომ უცნაური იყო, რადგან ეს მამაკაცის ხმა იყო და ჩვენს სასტუმროში კი, არც დღე და არც ღამე, მამაკაცებს არ უშვებდნენ.

- კიდეც რამდენია? - გააგრძელა ხმამ.

გულისყურით ვუსმენდი. იატაკი სრულქმნილად მყარი იყო. გავიფიქრე, კარგია, რომ უკვე დავეცი და ამის იქით ვეღარსად ჩავვარდები-მეთქი.  
- მგონი თერთმეტი, - უპასუხა ქალის ხმამ. ეს ხმა შავ ფეხსაცმელს მივაკუთვნე, - კიდეც თერთმეტი არიან, მაგრამ ერთი აკლდათ. ასე რომ, კიდეც ათია.

- კარგი, თქვენ ეს დააწვინეთ და დანარჩენებს მე მივხედავ.

ბუხ, ბუხ - რამდენჯერმე მომესმა ბრაზხუნი მარცხენა ყურში და მერე ხმა თანდათან შესუსტდა. შორს კარი გააღეს და იქიდან კვნესის ხმამ მოაღწია. მერე კარი დაიხურა.

იღლიებში ორი ხელი შემიცურდა და ქალის ხმამ მითხრა: „წამოდი, წამოდი, ძვირფასო, მე და შენ შევძლებთ ამას“. და მერე ვიგრძენი, ნახევრად როგორ ავიწიე და ნელ-ნელა კარებები სათითაოდ როგორ ამოდრავდა ჩემ გასწვრივ, ვიდრე გაღებულ კარს არ მივაღწიეთ და იქ არ შევედით.

ჩემს საწოლზე თეთრეული გასწორებული იყო. ქალმა დამაწვინა, საბანი ნიკაპამდე დამაფარა და სულის მოსათქმელად საწოლთან, სავარძელში ჩაჯდა. პუტკუნა, ვარდისფერი ხელით სახეს ინიავებდა, ოქროსფერჩარჩოიანი სათვალე ეკეთა და ექთნის ქუდი ეხურა.

- ვინ ბრძანდებით? - ვკითხე სუსტი ხმით.

- სასტუმროს ექთანი ვარ.

- რა მჭირს?

- მოწამლულები ხართ ყველანი. ასეთი არაფერი მინახავს. რა ჭამეთ, გოგონებო?

- ყველა ცუდადაა? - ვიკითხე იმედით.

- ყველა, - მითხრა დარწმუნებით, - ყველა პაწია ლეკვივით წკმუტუნებს და დედიკოს ითხოვს.

აქამდე თითქოს მთელი ოთახი თავისი სკამებით, მაგიდითა და კედლებით გულზე მაწვა და ახლა ერთბაშად მომეშვა.

- ექიმმა ნემსი გაგიკეთა, - კარიდან მითხრა ექთანმა, - ახლა ჩაგეძინება. და კარი რვეულის ცარიელი ფურცელივით დაიხურა, და მერე კარს კიდევ უფრო დიდი ფურცელი გადაეფარა. მეც იმაში გავეხვებე და ტკბილად დავიძინე.

ვიღაც, თეთრი ფინჯნით ხელში ჩემს ბალიშთან იდგა.

- ეს დალიე, - მითხრა ხმამ.

თავი გავაქნიე. ბალიშმა თივასავით გაიჭრაყუნა.

- დალიე და თავს უკეთ იგრძნობ.

სქელი ფაიფურის თეთრი ფინჯანი ჩემს ცხვირთან დაეშვა. მკრთალ შუეზე, რომელიც ბინდისაც შეიძლებოდა ყოფილიყო და გარიჟრაჟისაც, ქარვისფერ, კრიალა სითხეს ჩავამტერდი. შიგ აქა-იქ ცხიმის ლაქები დაცურავდა და ნესტოებს ქათმის სურნელიც მოსწვდა.

ჩემი თვალები ახლა ფინჯნიდან კაბაზე გადაცურდნენ.

- ბეტსი, - ამოვიღე ხმა.

- ბეტსი კი არა, მე ვარ.

ავიხედე და სარკმლის ფონზე დორინის თავი და ზედ დიადემასავით ოქროსფრად მოელვარე თმა დავლანდე. სახეზე ჩრდილი ეცემოდა და მის გამომეტყველებას ვერ ვხედავდი, მაგრამ როგორღაც მისი თითებიდან წამოსულ ისეთი სინაზის ნაკადს ვგრძნობდი, სხვა დროს უფრო ბეტსის ან დედაჩემს რომ მივაკუთვნებდი.

თავი წამოვწიე და ბულიონი მოვსვი. პირი თითქოს ქვიშით მქონდა სავსე. კიდევ მოვსვი და კიდევ და კიდევ და ფინჯანიც დაცარიელდა.

თითქოს ახლად დავიბადე.

დორინმა ფინჯანი სარკმლის რაფაზე დადგა და სავარძელში ჩაჯდა. გაოცებით შევნიშნე, რომ ხელში სიგარეტი არ ეჭირა. ბეტსი უსიგარეტოდ საერთოდ არ მახსოვს.

- კინაღამ მოკვდი, - თქვა ბოლოს.

- მგონი, ხიზილალის ბრალი იყო.

- არა, კიბორჩხალას ხორცმა ქნა ყველაფერი. შეამოწმეს და ფტომეინით იყო სავსე.

თვალწინ დამიდგა „ლედის დეის“ ზეციურად თეთრი, უკიდევანო სამზარეულოები. წარმოვიდგინე, ავოკადოები როგორ იტენებოდა კიბორჩხალას ხორციტა და მაიონეზით; და მერე ამ ყველაფერს, კაშკაშა განათების ქვეშ

როგორ უღებდნენ ფოტოებს. წარმოვიდგინე ალიგატორის ყბასავით გამოშვერილ მწვანე ავოკადოში მაიონეზიდან მაცდუნებლად ამოშვერილი ნაზი, ვარდისფრად დაწინწკლული ხორცი.

შხამი.

- ვინ შეამოწმა? - ჩემს წარმოსახვაში ექიმმა ერთ-ერთი ჩვენგანის მუცლიდან როგორღაც გამოტუმბა ეს შხამი და თავის ლაბორატორიაში ანალიზი ჩაუტარა.

- „ლედის დეის“ იდიოტებმა. როგორც კი შეიტყვეს, რომ ყველანი ვეხებხვართ, ვიღაცამ ოფისში დარეკა და ოფისიდან „ლედის დეის“ დაუკავშირდნენ, და რაც სადილიდან დარჩა, ყველაფრის ანალიზი აიღეს. ჰეჰ!

- ჰეჰ! - გავიმეორე ფუტუროდ. კარგი იყო, დორინი რომ მყავდა აქ.

- საჩუქრები გამოგზავნეს, - დაამატა დორინმა, - დერეფანში საჩუქრებით სავსე უზარმაზარი ყუთი დგას.

- ასე უცებ როგორ მოიტანეს?

- სპეციალური ფოსტით. რა გგონია, აწყობთ ახლა მაგათ, რომ წახვიდეთ და ყველგან თქვათ, „ლედის დეიში“ მოვიწამლეთო? ერთი ჭკვიანი ადვოკატი რომ იმოვოთ, სულმთლად გააკოტრებთ.

- რა საჩუქრებია? - გავიფიქრე, რადგან თავს ახლა ასე კარგად ვგრძნობ, თუ კარგი საჩუქრებია, რაც მოხდა, დავივიწყებ-მეთქი.

- ჯერ არავის გაუხსნია. შეკრულები დევს. წვნიანი უნდა ჩამოვურიგო ყველას. მე ხომ თქვენ შორის ერთადერთი ვარ, ვინც ვეხებხვართ დგას. მაგრამ პირველად შენთან მოვედი.

- მიდი რა, ნახე, რა საჩუქრებია, - შევხვებოდი. მერე გამახსენდა და ვუთხარი:

- შენთვისაც მაქვს საჩუქარი.

დორინი დერეფანში გავიდა. ჯერ სადღაც წრიალებდა და მერე ქალაღის ხევის ხმა მომესმა. ბოლოს უკან შემოვიდა, ხელში სქელი, პრიალაყდიანი წიგნით, რომელიც გვარებით იყო გადაჭრელებული.

- „წლის საუკეთესო ოცდაათი მოთხრობა“, - წიგნი მომცა, - ყუთში კიდევ თერთმეტი. ალბათ იფიქრეს, რომ ვიდრე გამოჯანმრთელებით, რამის წაკითხვა მოგიწევდათ. დორინი შეყოვნდა და მერე მკითხა:

- ჩემი სადაა?

ჩემს ხელჩანთაში დავიწყე ქექვა და დორინს მისი სახელითა და გვირილებით მორთული სარკე მივაწოდე. შემომხედა და მეც შევხედე და ორივეს სიცილი აგვიტყდა.

- თუ გინდა, ჩემი ბულიონიც დალიე, - მითხრა დორინმა, - შეცდომით ლანგარზე თორმეტი დადგეს. მე და ლენიმ კი, წვიმის გადაღების მოლოდინში, იმდენი ჰოთ დოგი გადავსანსლეთ, რომ ერთ ლუკმასაც ვეღარ შევჭამ.

- შემომიტანე. კუჭი მიხმება.

მეორე დღით, შვიდ საათზე ტელეფონმა დარეკა.

შავი, უსიზმრო ძილის ფსკერიდან ნელა ამოცურდი. სარკეზე უკვე მიკრული იყო ჯეი ქის ბარათი, რომელშიც ის წუხილს გამოთქვამდა კიბორჩხალას ხორციტ ჩვენი მოწამვლის გამო და მეუბნებოდა, რომ ბოლომდე გამოსაჯანმრთლებლად, ერთი დღე კიდევ უნდა დამესვენა. ასე რომ, წარმოდგენა არ მქონდა, ვინ მირეკავდა.

ყურმილი ბალიშზე დავაგდე და ყურსა და მხარს შორის მოვიქციე.

- გისმენთ!

- მის ესთერ გრინგუდი ბრძანდებით? - მსუბუქი უცხოური აქცენტით იკითხა მამაკაცის ხმამ.

- დიახ, მე ვარ, - ვუპასუხე.

- კონსტანტინ ესა-და-ეს გახლავართ.

გვარი ვერ გავიგე, მაგრამ ს-ებით და კ-ებით იყო სავსე. არანაირ კონსტანტინს არ ვიცნობდი, მაგრამ პირდაპირ არ მითქვამს.

უცებ მისის უილიარდი და სინქრონისტი თარჯიმანი გამახსენდა.

- დიახ, დიახ, რა თქმა უნდა! - წამოვიძახე და ყურმილი ორივე ხელით ჩავბლუჯე.

რას ვიფიქრებდი, თუ მისის უილიარდის წყალობით ასეთი გენიალური სახელის მქონე კაცს გავიცნობდი!

საინტერესოსახელებიანი ადამიანების კოლექციას ვაგროვებდი. ერთს - სოკრატეს - უკვე ვიცნობდი. მაღალი და უშნო იყო, მაგრამ ძალიან განათლებული და თანაც ჰოლივუდში ვიღაც ცნობილი ბერძენი კინორეჟისორის ვაჟი გახლდათ. მაგრამ კათოლიკე იყო და ამან გაგვიფუჭა საქმე. კიდევ, სოკრატეს გარდა, ერთ ქერა რუსს ვიცნობდი, რომელსაც ატილა ერქვა და ბოსტონის ბიზნეს-ადმინისტრაციის სკოლაში სწავლობდა.

მივხვდი, რომ კონსტანტინი სადამოსთვის ჩემთან შეხვედრის შეთანხმებას ცდილობდა:

- გინდათ დღეს შუადღეზე გაეროს ნახვა?

- გაეროს უკვე ვხედავ, - ცოტა არ იყოს, უხერხულად ჩავიხითხითე.

კონსტანტინი მთლად ვერ მიმიხვდა.

- ფანჯრიდან ვხედავ, - ჩემი ინგლისური შეიძლება მისთვის ცოტა ჩქარია-მეთქი, გავიფიქრე.

ყურმილში სიჩუმე გაგრძელდა და ბოლოს გაისმა:

- იქნებ მოგვიანებით წაგვესადილა კიდევ.

ნათქვამში მისის უილიარდის სიტყვები ამოვიცანი და თითქოს გული შემეკუმშა. მისის უილიარდი ყოველთვის „წასასადილებლად“ ეპატიჟებოდა

ხალხს. ამ კაცის ისტორიაც გამახსენდა: როცა ამერიკაში პირველად ჩამოვიდა, მისის უილიარდს ესტუმრა. მისის უილიარდი ერთ ასეთ პროგრამაში მონაწილეობდა – შენი სახლის კარი ღიაა უცხოელებისათვის და სამაგიეროდ, როცა შენ წახვალ საზღვარგარეთ, ისინი გიმასპინძლებენ.

აშკარა იყო, რომ ნიუ-იორკში ჩემი „წასადილების“ სანაცვლოდ მისის უილიარდი რუსეთში იჩენდა მასპინძელს.

– სიამოვნებით წავისადილებდი ცოტას, – მშრალად ვუთხარი, – რა დროს გამომივლით?

– მანქანით შემოგივლით ორი საათისთვის. სასტუმრო „ამაზონია“, არა?

– დიახ.

– ჰო, ვიცი სადაცაა. – წამით მომეჩვენა, რომ ეს განსაკუთრებული ტონით თქვა, მაგრამ მერე ვიფიქრე, ალბათ „ამაზონის“ ბინადარი გოგოებიდან ვინმე გაეროში მუშაობს და ამას მოუყვანია-მეთქი. დავაცადე, ვიდრე ყურმილი პირველმა თვითონ დადო, და მერე მეც დავკიდე და ბალიშზე უხალისოდ მივწევი.

აი, წარმოვიდგინე ისევ დიდებული მამაკაცი, რომელიც შეხვედრის წამიდან ვნებიანად შემიყვარდება... და ამის ნაცვლად რა შემრჩა – სავალდებულო ექსკურსია გაეროში და მერე სენდვიჩი.

შევეცადე, მორალის გრძნობა დამებრუნებინა.

ალბათ, მისის უილიარდის სინქრონისტი თარჯიმანი დაბალი და უშნო იქნებოდა და ისევე დავუწყებდი ზემოდან ყურებას, როგორც ბადი უილიარდს. ამის გაფიქრებამ გარკვეული კმაყოფილება მომანიჭა, რადგან ბადი უილიარდს მართლა ზემოდან დავყურებდი. ყველას ეგონა, რომ, როდესაც ტუბერკულოზის მკურნალობას დაასრულებდა, ცოლად გავყვებოდი, მაგრამ მე ხომ ვიცოდი – დედამიწაზე ერთადერთი კაციც რომ ყოფილიყო, ბადის არ მივთხოვდებოდი.

ბადი უილიარდი ფარისეველი იყო.

რა თქმა უნდა, თავიდან წარმოდგენა არ მქონდა, ასეთი ფარისეველი თუ იქნებოდა. მასზე უკეთესი ქვეყნად არავინ მეგონა. შორიდან ვაღმერთებდი მთელი ხუთი წლის განმავლობაში, ვიდრე თვითონაც არ მომაქცია ყურადღება. მერე იყო მშვენიერი დრო, როცა მე მას ჯერ კიდევ ვაღმერთებდი და ჩემით თვითონაც დაინტერესდა. მერე კი უკვე სულ უფრო და უფრო მეტად მოვწონდი, მე კი სრულიად შემთხვევით აღმოვაჩინე, რა საშინელი ფარისეველი იყო. და ბოლოს, ჩემი შერთვა უნდოდა და მე კი მისი ატანაც აღარ შემეძლო.

ყველაზე საშინელი კი ის იყო, რომ არ შემეძლო, პირდაპირ მივსულიყავი და მეთქვა, რასაც ვფიქრობდი. ვიდრე ამას მოვახერხებდი, ტუბერკულოზი დაემართა, და ახლა, სანამ შეულამაზებელი სიმართლის მოსასმენად ბოლომდე არ გამოჯანმრთელდებოდა, იძულებული ვიყავი, ყოველი შეხვედრისას გამემხიარულებინა და მხარდაჭერა გამომეხატა.

გადავწყვიტე, სასაუზმოდ სასადილოში არ ჩავსულიყავი, რადგან ამისათვის უნდა ჩამეცვა და ჩაცმას კი რა აზრი ჰქონდა, როდესაც ლოგინში ვაპირებდი მთელი დილის გატარებას. მგონი, შესაძლებელი იყო ქვემოთ დამერეკა და საუზმის ლანგრით ამოტანა მეთხოვა, მაგრამ მაშინ ფეხის ქირა უნდა გადამეხადა მომტანისთვის და მე კი წარმოდგენა არ მქონდა, რამდენი უნდა



მიმეცა. ამასთან დაკავშირებით რამდენჯერმე სავალალო გამოცდილება მივიღე ნიუ-იორკში.

როცა „ამაზონში“ პირველად ჩამოვედი, სასტუმროს უნიფორმაში გამოწყობილმა მელოტმა ქონდრისკაცმა ჩემი ჩემოდანი ლიფტში შემოიტანა და ოთახიც გამიღო. რა თქმა უნდა, ოთახში რომ შევედი, პირდაპირ სარკმლის ხედს ვეცი. ცოტა ხნის შემდეგ მომესმა, პორტიე ონკანებს როგორ უშვებდა და მეუბნებოდა: „ეს ცხელი წყალია, ეს კი ცივი“; და მერე რადიო ჩართო და ნიუ-იორკის ყველა სადგურის სახელი ჩამომითვალა, და თავი უკვე უხერხულად ვიგრძენი. მიუტრიალებლად განვუცხადე:

- ჩემოდნის ამოტანისათვის გმადლობთ.

- გმადლობთ, გმადლობთ, გმადლობთ, ჰეჰ! - ძალიან უსიამოვნოდ ჩაილაპარაკა და კარი უხეშად გაიჯახუნა.

მერე, როცა მისი უცნაური ქცევის შესახებ დორინს ვუამბე, მან მითხრა:

- შე ჩერჩეტო, ფეხის ქირა უნდოდა.

ვკითხე, რამდენი უნდა მიმეცა-მეთქი და დორინმა მითხრა, ოცდახუთცენტიანი ან, თუ ჩემოდანი მძიმე იყო, ოცდათხუთმეტი ცენტი ერგებოდაო. თვითონაც მშვენივრად შემეძლო ჩემოდნის ჩემს ოთახამდე ატანა, მაგრამ პორტიე ისეთი მონდომებული ჩანდა, რომ წამოვალეზინე. ვიფიქრე, რომ ამ სახის მომსახურებაც ოთახის ფასში შედიოდა.

არ მიყვარს ფულის იმაში მიცემა, რის გაკეთებაც თვითონაც იოლად შემეძლია. ეს ყოველთვის მანერვიულებს.

დორინმა მითხრა, რომ ფეხის ქირა ფასის ათ პროცენტს უნდა შეადგენდეს. მე კი საჭირო მომენტში არასოდეს არ მქონდა ზუსტი ხურდა. თავს ძალიან უხერხულად ვგრძნობდი, როცა ვილაცისათვის ნახევარი დოლარი უნდა მიმეცა და მეთქვა: „აქედან თხუთმეტი ცენტი გეკუთვნით. თუ შეიძლება, ოცდათხუთმეტი ცენტი დამიბრუნეთ“.

პირველად, როცა ნიუ-იორკში ტაქსი ავიყვანე, მძღოლს დამატებით ათი ცენტი მივეცი. გადასახადი ერთი დოლარი იყო და გამოვთვალე, რომ ზუსტად ათი ცენტის დამატება იყო საჭირო. ჰოდა, მანქანიდან რომ გადმოვდიოდი, მძღოლს ჩემი ათცენტიანი მორცხვი ღიმილით გაუწოდე. მძღოლმა ჯერ ერთხელ დახედა თავის ხელისგულს, მერე მეორედ და მერე სულაც დააშტერდა. ეყვი შემეპარა, შემთხვევით კანადური ათცენტიანი ხომ არ მივეცი-მეთქი. იმან კი უცებ ისეთი ხმით მიღრიალა: „ქალბატონო, მეც ისევე მჭირდება ცხოვრება, როგორც თქვენ ან ვინმე სხვასო“, რომ შეშინებული სულ სირბილით გამოვიქეცი. საბედნიეროდ, შუქნიშანზე იყო გაჩერებული, თორემ მგონი მანქანიანად დამედევნებოდა ყვირილით და ქუჩაში თავლაფს დამასხამდა.

როდესაც დორინს ვთხოვე, ამ ინციდენტის მიზეზიც აეხსნა, მითხრა, - ალბათ, ნიუ-იორკში ჩემი ბოლო ვიზიტის შემდეგ ფეხის ქირა ათიდან თხუთმეტი პროცენტამდე გაიზარდა, ან კიდევ ის ტაქსის მძღოლი ნამდვილი ღორმუცელა იყო.

„ლედის დეიდან“ გამოგზავნილ წიგნს გადავწვდი.

როცა გადავშალე, შიგნიდან ბარათი გადმოვარდა. ბარათის ყდაზე კალათა მოჩანდა, რომელშიც ყვავილებით მოჩითულ პიჟამაში გამოწყობილი პუდელი

იჯდა სევდიანი სახით; ბარათის შიდა მხარეს კი, იგივე პუდელი ლამაზად გამოყვანილი იისფერი წარწერის ქვეშ ბედნიერად თვლემდა:

„მალე გამოჯანმრთელდი! შენი ერთგული მეგობრები „ლედის დეიდან“ მოთხრობებს სათითაოდ გადავახტი და ბოლოს, ლედის ხის ამბავს მივადექი.

ეს ლედის ხე მწვანე მოლზე, ებრაელი კაცის სახლსა და მონასტერს შორის იზრდებოდა. ებრაელი კაცი და მშვენიერი შავგვრემანი მონაზონი მწიფე ლედის კრეფისას ხვდებოდნენ ერთმანეთს. ერთ დღესაც, ლედის კრეფისას, ხის ტოტზე მათ თვალი მოჰკრეს, როგორ იჩეკებოდა პაწია ბარტყი; და ვიდრე ბარტყის სინათლეზე გამოსვლას უყურებდნენ, ერთმანეთის ხელებს შეეხნენ. ამ დღის შემდეგ, მონაზვნის მაგიერ, ლედის საკრეფად მოღუშული კათოლიკე მზარეული ქალი გამოდიოდა და ებრაელს სათითაოდ უთვლიდა ლედებს, რომ დარწმუნებული ყოფილიყო, ჩემზე მეტი არ მიაქვსო. რა თქმა უნდა, კაცს ეს აცოფებდა.

ჩემი აზრით, ეს ულამაზესი მოთხრობა იყო, მით უმეტეს ის ადგილები, სადაც ლედის ხე ზამთრის თოვლის ქვეშ იდგა, და მერე კი, გაზაფხულზე, უკვე მწვანე ნაყოფით დახუნძლული იყო აღწერილი. ბოლო გვერდს რომ მივადექი, გული დამწყდა. ისევე მომინდა იმ შავ ნაბეჭდში შეძვრომა, როგორც ღობეში, რომ მშვენიერი მსხმოიარე მწვანე ლედის ქვეშ დამეძინა.

გავიფიქრე, რომ მე და ბადი უილიარდიც იმ ებრაელივით და მონაზონივით ვიყავით, თუმცა, რა თქმა უნდა, ორივენი უნიტარიელები ვიყავით და არა ებრაელი და კათოლიკე. ჩვენც წარმოსახვით ლედის ხესთან შევხვდით ერთმანეთს; ოღონდ, კვერცხიდან გამომავალი ბარტყის მაგიერ, ქალის საშოდან გამომავალი ბავშვი ვიხილეთ. და მერე რაღაც საშინელი მოხდა და ორივე ჩვენ-ჩვენი გზით წავედით.

სასტუმროს ქათქათა საწოლში კარგა ხანს ვიწექი ასე, მარტოსული და დაღლილი. მერე წარმოვიდგინე, რომ ზემოთ, სანატორიუმში ვიყავი ბადისთან. თითქოს მტკივნეულ ბებერაზე დამაჭირეს ფეხი. თავის წერილებში ბადი მწერდა, რომ ვიღაც პოეტის ლექსებს კითხულობდა და რომ ეს პოეტი ამავე დროს ექიმიც იყო. კიდევ, მწერდა, რომ ვიღაც ცნობილი გარდაცვლილი რუსი მწერალიც ექიმი ყოფილა. და ამ ყველაფრის საფუძველზე იმედოვნებდა, ექიმები და მწერლები ერთმანეთს კარგად უგებნო.

ბადისაგან ეს უკვე სულ სხვა ტონი იყო, იმისგან განსხვავებული, რომლითაც მთელი ორი წლის მანძილზე მელაპარაკებოდა. მახსოვს, ერთ დღეს გამიღიმა და მითხრა:

- ესთერ, იცი, ლექსი რა არის?

- რა? - ვკითხე.

- მტვრის ნამცეცი. - და ამ თავისი განსაზღვრებით ისე კმაყოფილმა შემომხედა, რომ კარგა ხანს ვუყურებდი მის ქერა თმას, ცისფერ თვალებს, ქათქათა კბილებს (მსხვილი, ჯანსაღი თეთრი კბილები ჰქონდა)... და ბოლოს ვუთხარი:

- მგონი, მართლა ასეა.

მხოლოდ ახლა, მთელი წლის შემდეგ, უკვე ნიუ-იორკში ჩამოსულმა მოვიფიქრე პასუხი მის მაშინდელ ნათქვამზე.

საერთოდ, საკმაოდ დიდი დრო მაქვს დახარჯული ბადი უილიარდთან წარმოსახვით დიალოგებში. ჩემზე ორიოდ წლით უფროსი იყო და მსჯელობისას მეცნიერულად შეეძლო ყველაფრის დამტკიცება. როცა კი ერთად ვიყავით, დიდი ძალდატანება მჭირდებოდა, რომ ჩემიც მეთქვა რამე.

ამ ჩემს წარმოსახვით დიალოგებში, ჩვეულებრივ, დასაწყისი რეალურად შემდგარი დიალოგების გამეორება იყო; ოლონდ, ბოლოში, უბრალოდ ჯდომისა და თავის ქნევის ნაცვლად, ყოველთვის რამე მახვილგონივრულს ვპასუხობდი.

ახლაც, ვიწექი და ვიხსენებდი, როგორ მითხრა ბადიმ:

- ესთერ, იცი ლექსი რა არის?

- რა?

- მტვრის ნამცეცი.

და მერე, როცა ბადი მოლიმარი და ამაყი გადმომხედავდა, მე ვეტყოდი:

- იგივეა ყველა გვამი, რომელსაც კვით და ყველა ადამიანი, რომელსაც ვითომ კურნავ. ყველა მტვერია, მტვერი და კიდევ ერთხელ მტვერი. და ფაქტია, რომ კარგი ლექსი ბევრად უფრო დიდხანს ძლებს, ვიდრე ასობით ადამიანის სიცოცხლეთა ჯამი.

რა თქმა უნდა, ბადის ამაზე არავითარი პასუხი არ ექნებოდა, რადგან ეს სიმართლეა. ადამიანებიც ხომ მართლა არაფრით არიან მტვერზე მეტი; და არ მესმოდა, მთელი ამ მტვრის მკურნალობა რით იყო უკეთესი ლექსების წერაზე, რომლებსაც იგივე ადამიანები იმახსოვრებენ და იხსენებენ, როცა სევდიანები არიან, თავს ცუდად გრძნობენ და არ ეძინებათ.

ჩემი პრობლემა ის იყო, რომ ყველაფერს, რასაც ბადი უილიარდი მეუბნებოდა, ურყევ სიმართლედ ვიღებდი. პირველი კოცნა გამახსენდა, - იელის უმცროსკურსელთა მეჯლისს რომ მოჰყვა.

ბადიმ ძალიან უცნაურად დამპატიჟა ამ მეჯლისზე.

საშობაო არდადეგების ერთ დღეს, ცამოწმენდილზე გაჩნდა ჩემს სახლში. სქელი, თეთრი, ყელიანი სვიტერი ეცვა და ისეთი ლამაზი იყო, თვალს ვერ ვაცილებდი. მოვიდა და მითხრა:

- ერთ დღეს კოლეჯში გამოგივლი, კარგი?

გაოგნებული ვიყავი. ბადის მხოლოდ შორიდან, ეკლესიაში თუ ვხედავდი კვირაობით, როცა კოლეჯებიდან ორივენი შინ ვიყავით წამოსულები. ახლა ვერაფრით გამეგო, თავში საიდან მოუვიდა ჩემს სანახავად მოსვლა. თან, როგორც თვითონ მითხრა, ჩვენს სახლებს შორის ორი მილი სულ სირბილით გამოიარა.

რა თქმა უნდა, დედაჩვენები კარგი მეგობრები იყვნენ - სკოლაში ერთად დადიოდნენ, ორივე თავის პროფესორს გაჰყვა ცოლად და ერთსა და იმავე ქალაქში დასახლდნენ, მაგრამ ბადი ყოველთვის სადმე სხვაგან იყო წასული სასწავლებლად ან სამუშაოდ. ამიტომ დედების მეგობრობა ჩვენს დაახლოებას მაინცდამაინც ვერ შეელოდა.

ამ მოულოდნელი ვიზიტის შემდეგ ბადისაგან აღარაფერი მსმენია მარტის ერთ შაბათ დილამდე. კოლეჯის საერთო საცხოვრებელში, ჩემს ოთახში პეტრე მწირისა და უოლტერ უქონელის შესახებ მასალებს ვკითხულობდი. მომავალ ორშაბათს ისტორიაში გამოცდა გვექონდა ჯვაროსნობის თემაზე. აი, ამ დროს გაისმა დერეფანში ზარის წკრიალი.

წესით, ხალხი რიგრიგობით უნდა პასუხობდეს საერთო ტელეფონს, მაგრამ ამ სართულზე ერთადერთი უმცროსკურსელი მე ვიყავი; და რადგან ყველა ჩემზე უფროსი იყო, ტელეფონსაც უმეტესწილად მე ვპასუხობდი. ერთი წუთი მაინც დავიცადე იმ იმედით, რომ ვინმე აიღებდა, მაგრამ მერე გამახსენდა, რომ შაბათკვირას ზოგი შინ იყო წასული და ზოგიც ეზოში ბურთს თამაშობდა. ამიტომ თვითონ ვუპასუხე.

- შენ ხარ, ესთერ? - ქვემოდან მორიგე გოგომ ამომძახა, - მამაკაცია შენ სანახავად.

ძალიან გამიკვირდა, რადგან იმ წელიწადს არც ერთ შემთხვევით გაცნობილ ბიჭს მეორედ აღარ შევხვედრივარ. ბიჭებთან საერთოდ ბედი არ მწყალობდა. ატანა არ მქონდა, როცა ყოველ შაბათს ცნობისმოყვარეობის გამო სწავლას თავს ვანებებდი და ქვემოთ ჩავდიოდი და იქ რომელიმე უფროსკურსელი უსათუოდ მაცნობდა დეიდამისის დაქალის ვაჟს. ის კი, ჩვეულებრივ, ვინმე ფერწასული, მოკუნტული ტიპი იყო დაკარკლული თვალებით ან შავი კბილებით, ან კიდევ სულაც კოჭლი. ვფიქრობდი, რომ ამას არ ვიმსახურებდი. ყოველ შემთხვევაში, ხეივანი არ ვიყავი. ერთადერთი, რაც მჭირდა, ის იყო, რომ ძალიან ბევრს ვსწავლობდი და გაჩერება აღარ შემემძლო.

ახლაც, თმა შევიკარი, პომადა წავისვი და ხელში ისტორიის წიგნიც ავიღე, რომ თუ ქვემოთ ვინმე საშინელი დამხვდებოდა, შემძლებოდა მეთქვა, ბიბლიოთეკაში მივდივარ-მეთქი. ჩავედი და იქ კი ჟურნალების მაგიდასთან დახრილი, ხაკისფერ ქურთუკში, ლურჯ ტილოს შარვალსა და გახუნებულ ნაცრისფერ კედლებში გამოწყობილი ბადი უილიარდი შემომღიმოდა.

- უბრალოდ, გამარჯობის სათქმელად შემოგიარე. - მითხრა ბადიმ.

უცნაურად მომეჩვენა. ვინმეს მანქანას უფასოდაც რომ გამოჰყოლოდა, იელიდან აქ მარტო გამარჯობის სათქმელად რამ ჩამოიყვანა-მეთქი.

- გამარჯობა, - წამოდი, ზემოთ ავიდეთ და აივანზე დავსხდეთ, - ვუთხარი,

აივანზე ასვლა იმიტომ მინდოდა, რომ მორიგე გოგო დიდი ჭორიკანა ვინმე იყო და უკვე ცნობისმოყვარედ მომჩერებოდა. აშკარად ფიქრობდა, ბადიმ ეს რა სისულელე ჩაიდინაო.

ორ დაწულ საქანელაში გვერდი-გვერდ ვისხედით. კრიალა, უქარო დღე იყო და თითქმის ცხელოდა.

- მხოლოდ რამდენიმე წუთით შემიძლია დარჩენა - მითხრა ბადიმ.

- კარგი რა, სადილად დარჩი!

- არ შემიძლია. აქ ჯოანასთან ვარ, სტუდენტურ მეჯლისთან დაკავშირებით.

თავი სრულ იდიოტად ვიგრძენი.

- როგორ არის ჯოანა? - ვკითხე ცივად.

ჯოანა გილინგიც ჩვენი ქალაქიდან იყო, ჩვენს ეკლესიაში დადიოდა და კოლეჯში ჩემზე ერთი კურსით წინ სწავლობდა. ცნობილი ვინმე გახლდათ - თავისი კლასის პრეზიდენტი იყო, ფიზიკას სწავლობდა და კოლეჯის ჰოკეის გუნდის კაპიტანიც ბრძანდებოდა. მისი გამჭოლი, კენჭისფერი თვალების, მოელვარე მარმარილოს კბილებისა და ჩახლეჩილი ხმისაგან ყოველთვის მაჭრუოლებდა. თანაც, იმსიმაღლე იყო, ცხენს ჰგავდა. გავიფიქრე, ბადის საკმარად ცუდი გემოვნება ჰქონია-მეთქი.

- ჰო, ჰოანამ ორი თვით ადრე მთხოვა, რომ ამ მეჯლისზე დამეპატიებინა; და დედაჩემს დედამისმაც ჰკითხა, თუ წავიყვანდი. აბა რა უნდა მექნა? - თქვა მან.

- მოიცა, წაყვანა თუ არ გინდა, რაღას მიგყავს? - ვკითხე გესლიანად.

- არა, ჯოანა ძალიანაც მომწონს. გარეთ ყოფნა უყვარს და ყურადღებას არასოდეს აქცევს, ფულს დაახარჯავ თუ არა. ბოლო შაბათ-კვირას იელში რომ ჩამოვიდა, ველოსიპედებით ისტ-როქზე წავედით და უნდა ვაღიარო, რომ ერთადერთი გოგოა, ვისი გორაკებზე ათრევაც არ დამჭირვებია. კარგი გოგოა ჯოანა.

შურისაგან სხეული გამეყინა. იელში არასოდეს ვყოფილვარ. იელზე კი ჩემი კოლეჯის გოგოები ათას რამეს ყვებოდნენ. გადავწყვიტე, ბადი უილიარდზე არავითარი იმედები არ დამემყარებინა. როცა ვილაცისაგან არაფერს მოელი, არც იმედის გაცრუება გემუქრება.

- მაშინ, ჯობია წახვიდე და ჯოანა მოძებნო. - სასხვათაშორისოდ ვუთხარი - ჩემი თაყვანისმცემელი საცაა მოვა და მაინცდამაინც არ მოეწონება, შენთან რომ ვზივარ.

- თაყვანისმცემელი? - გაოცდა ბადი. - ვინ არის?

- ორნი არიან, - ვუთხარი - პეტრე მწირი და უოლტერ უქონელი.

ბადის არაფერი უთქვამს და დავამატე:

- ეს მათი მეტსახელებია.

და მერე კიდევ დავაყოლე:

- ორივე დართმაუსიდანაა.

მგონი, ბადის არასოდეს უსწავლია ისტორია, რადგან პირი გაუშემდა, საქანელადან გადმოხტა, ხელი უხეშად ჰკრა და მე კი იელისემბლემიანი ცისფერი კონვერტი ჩამიდო ხელში.

- აქ წერილია, რომლის დატოვებაც იმ შემთხვევაში ვაპირებდი, თუ არ დამხვდებოდი. შიგ შეკითხვაა, რომელზეც შეგიძლია ფოსტით მიპასუხო. ახლა არა ვარ ამ კითხვის დასმის ხასიათზე.

ბადი რომ წავიდა, კონვერტი გავხსენი. ეს წერილი იელის უმცროსკურსელთა მეჯლისზე მეპატიებოდა. გაოცებისაგან რამდენჯერმე შევყვირე და დერეფანში შემახილით შევირბინე:

- მივდივააააააააააარ!

აივნის კაშკაშა მზის შემდეგ იქაურობა ჩაბნელებული მეჩვენა. ვერაფერს ვხედავდი. მერე მორიგე გოგო დავინახე და დობილივით გადავეხვიე. როცა შეიტყო, რომ იელში მეჯლისზე მივდიოდი, აღფრთოვანებითა და პატივისცემით დამიწყო მოპყრობა.

ამ ამბის შემდეგ საერთო საცხოვრებელში ბევრი რამ შეიცვალა. ჩემს სართულზე უფროსკურსელებმა ჩემთან ლაპარაკი იკადრეს და ტელეფონსაც რიგრიგობით პასუხობდნენ დაუზარებლად. კარსუკანაც ხმამაღალი გესლიანი შენიშვნები აღარ ისმოდა იმათ შესახებ, ვინც თავის საუკეთესო წლებს წიგნებში ცხვირჩარგული კარგავს.

მთელი მეჯლისის განმავლობაში ბადი ისე მეპყრობოდა, როგორც მეგობარს ან ბიძაშვილს.

ცეკვების დროსაც დისტანციას ვინარჩუნებდით, ვიდრე, ბოლო სიმღერის დროს, მოულოდნელად თავზე არ ჩამომაცრდნო ნიკაპი, თითქოს ძალიან დაიდალა. მეჯლისი რომ დასრულდა, უკუნი ცივი ღამის სამი საათი იყო. ქარში ხუთი მილი ფეხით გავიარეთ სახლამდე, სადაც იმ ღამეს სასტუმრო ოთახში დივანზე მეძინა. დივანი ძალიან მოკლე იყო, რადგან ღამის გათევა იქ, ორი დოლარის ნაცვლად, ორმოცდაათი ცენტი ღირდა.

თავს გამოშტერებულად და მოშვებულად ვგრძნობდი და აზრებიც არეული მიტრიალებდა.

წარმოვიდგინე, რომ ამიერიდან ბადის შევუყვარდებოდი და მთელი დარჩენილი წელიწადი თავისუფალი ვიქნებოდი იმაზე ფიქრისაგან, თუ როგორ გამეტარებინა შაბათი საღამოები. როდესაც მივუახლოვდით სახლს, სადაც მე უნდა დავრჩენილიყავი, ბადიმ მითხრა:

- წამოდი, ქიმიის ლაბორატორიაში ავიდეთ.

თავზარი დამეცა.

- ქიმიის ლაბორატორიაში?

- ჰო, - ბადიმ ხელი ჩამკიდა, - ქიმიის ლაბორატორიის უკან, ზემოთ, ულამაზესი ხედია.

მართლაც, ქიმიის ლაბორატორიის უკან გორაკიანი ადგილი იყო, საიდანაც ნიუ-ჰევენის რამდენიმე განათებული სახლი მოჩანდა.

ვიდექი და ვიდრე ბადიც ამოძვრებოდა, ვითომ ამ ხედს შევტრფოდი. როცა მაკოცა, თვალები გახელილი მქონდა და ვცდილობდი, სახლებიდან გამომავალი სხივები, თავიანთი გადატეხის კუთხეებიანად, სამუდამოდ დამემახსოვრებინა.

ბოლოს, ბადიმ უკან დაიხია.

- ჰუჰ!

- რა? - ვვითხე გაკვირვებით. მშრალი, შთაგონებას მოკლებული კოცნა იყო, და მახსოვს, ისიც კი გავიფიქრე, ამ ცივ ქარში ხუთი მილის გამოვლის შემდეგ ორივეს როგორი გაყინული ტუჩები გვაქვს-მეთქი.

- შენი კოცნისაგან თავს გადასარევად ვგრძნობ.

თავმდაბლად გავიტვრინე.

- ალბათ, უამრავი შეყვარებული გყავდა. - მითხრა ბადიმ.

- მგონი კი, - გავიფიქრე, ალბათ, წესით, ყოველ კვირას ახალი შეყვარებული უნდა მყავდეს-მეთქი.

- მე კიდევ ბევრი მაქვს სასწავლი.

- მეც, - ვუპასუხე სასწრაფოდ, - სტიპენდია ხომ უნდა შევინარჩუნო.

- მგონი, სამ კვირაში ერთხელ მაინც მოვახერხებ შენს ნახვას.

- რა კარგია! - ერთი სული მქონდა, კოლეჯში დავბრუნებულიყავი და ყველასთვის მეამბნა.

სახლის ზღურბლთან ბადიმ ისევ მაკოცა. მომდევნო შემოდგომაზე კი, როცა სამედიცინო უნივერსიტეტის სტიპენდია მიიღო, იელის ნაცვლად, მის სანახავად იქ ჩავედი. სწორედ იქ აღმოვაჩინე, თუ როგორ მასულელებდა ამ წლების მანძილზე, და სინამდვილეში როგორი ფარისეველი იყო.

ეს ყველაფერი იმ დღეს შევიტყვე, როცა ბავშვის დაბადება ვნახეთ.

6

ბადის დიდხანს ვემუდარებოდი, რომ ჩემთვის საავადმყოფოში რამე საინტერესო ეჩვენებინა. ჰოდა, ერთ პარასკევსაც გავაცდინე ყველა გაკვეთილი და წამოვედი.

თეთრ ხალათში გახვეული მაღალ სკამზე ვიჯექი და ვუყურებდი, როგორ კვეთდნენ ოთხ გვამს ბადი და მისი მეგობრები. ამას სრულიად მშვიდად შევყურებდი, რადგან გვამებს ადამიანური აღარაფერი ემჩნეოდათ: გახეშეშებული, ხელოვნურივით იისფერი კანი ჰქონდათ და მწნილის ქილებივით ყარდნენ.

მერე ბადიმ სხვა ოთახში შემიყვანა, სადაც მკვდრადშობილი ჩვილებით სავსე მინის კოლბები იყო გამოფენილი. პირველ კოლბაში ჩანასახს მოკუნტულ, ბაყაყისოდენა, პაწია ტანზე უზარმაზარი, თეთრი თავი ჰქონდა გადმოკაკვული. მეორე კოლბაში ჩვილი უფრო დიდი იყო, შემდეგში კიდევ უფრო დიდი; და უკანასკნელი კოლბიდან კი უკვე ნორმალური ბავშვის ზომის ჩანასახი თითქოს თვითონაც მაკვირდებოდა და თხელი პირის რკალით გოჭივით მიღიმოდა.

ვამაყობდი, რომ ამ ამაზრზენ სანახაობას თვალს ასე მშვიდად ვუსწორებდი. ერთადერთხელ შევხტი, როცა გვამს, რომელსაც ბადი ფილტვს აცლიდა, მუცელზე იდაყვით შევებე. იდაყვი უცნაურად ამეწვა. გვამი ისეთი თბილი იყო, გავიფიქრე, ვაითუ ნახევრად ცოცხალიცა-მეთქი. სკამის საზურგეს ავეკარი. ბადიმ ამიხსნა, ეს სიმხურვალე იმ ხსნარის ბრალია, რომელშიც გვამს ინახავენო; და მეც შვებით ამოვისუნთქე.

სადილამდე ერთი საათით ადრე ბადიმ ანემიის და სხვა საშინელი დაავადებების შესახებ ლექციას დამასწრო. ამ ლექციის მსვლელობისას ავადმყოფები ინვალიდის ეტლებით მიაგორეს კათედრასთან და მათ ათასგვარი შეკითხვა დაუსვეს. მერე ავადმყოფები გაიყვანეს და ფერადი სლაიდების ჩვენება დაიწყეს.

ერთი სლაიდი მახსოვს - ლოყაზე ხალიანი, ლამაზი გოგო შემოგვიცინოდა.  
- ხალის გაჩენიდან ოცი დღის შემდეგ გოგონა გარდაიცვალა, - თქვა ექიმმა და წუთით მთელს დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა. მერე ზარიც დაირეკა და ვეღარ გავარკვიე, მაინც რა იყო ეს ხალი.

შუადღისას ბავშვის დაბადებას დავესწართ.

ჯერ ბადიმ საავადმყოფოს დერეფნის კარადიდან ჩემთვის ტილოს ნიღაბი და დოლბანდი გამოიღო. ვიდრე ბაღი თავზე დოლბანდს მახვევდა, სიდნი გრინსტრიტივით უზარმაზარი, მაღალი და სქელი სტუდენტი იქვე იდგა და შემოგვექეროდა. ბადიმ თმებიც სულმთლად ამიხვია და თეთრი ნიღბიდან მარტო თვალებიდა მომიჩანდა.

სტუდენტმა საზიზღრად ჩაიხითხითა:

- დედიკოს ასეთი ეყვარები, - ვითომ გამეხუმრა თავის ჭკუაში.

მე კი ამ დროს იმაზე ვფიქრობდი, კაცისთვის, მით უმეტეს ახალგაზრდა კაცისთვის, რა უბედურებაა ასეთი სიმსუქნე-მეთქი. აბა, რომელი ქალი აიტანდა კოცნისას ამხელა ღიპის მიწოლას. ჰოდა, მისი დაცინვისათვის ყურადღება მაშინვე არც მიმიქცევია. როცა გავიაზრე, რომ როგორც ჩანდა, ამ ვაჟბატონს თავის თავზე დიდი წარმოდგენა ჰქონდა, გადავწყვიტე, საპასუხოდ მეთქვა: - შენისთანა მსუქანი ბიჭებიც მარტო დედიკოებს უყვართ-მეთქი, მაგრამ ის უკვე წასულიყო.

ბაღი კედელზე უცნაურ ხის დაფას ათვალიერებდა, რომელსაც შიგ მწკრივად ჰქონდა ნახვრეტები - ვერცხლის დოლარისოდენა ღრმულიდან დაწყებული, სადილის თეფშისოდენათი დამთავრებული.

- კარგი, წავიდეთ, ამ წუთას აჩენს ვიღაცა, - მითხრა ბადიმ.

სამშობიარო ოთახის კართან გამხდარი, მხრებჩამოყრილი სტუდენტი იდგა, რომელსაც ბაღი იცნობდა.

- გამარჯობა უილ, ვისი მორიგეობაა? - ჰკითხა ბადიმ.

- ჩემი - თქვა მოღუმულმა უილმა. შევამჩნიე, რომ გაცრეცილი შუბლი ოფლის წვეთებით ჰქონდა დანამული. - ჩემი მორიგეობაა და თანაც პირველად. ბადიმ მითხრა, რომ უილი მესამეკურსელი იყო და დამთავრებამდე რვა ბავშვი უნდა მიეღო.

მერე დერეფნის ბოლოში ხალხი აფუსფუსდა. ბაც მწვანე ხალათებსა და ქუდეებში გამოწყობილი კაცები წრიალებდნენ და რამდენიმე ექთანს უზარმაზარ, თეთრ ფარნიან ურიკას ჩვენკენ მოაგორებდა.

- ამას არ უნდა უყურო, - ჩამჩურჩულა უილმა.

- ბავშვის ყოლა აღარასოდეს მოგინდება. ქალებს არ უნდა აყურებიანებდნენ ამას, თორემ ალბათ, ადამიანთა მოდგმა გაწყდება.

მე და ბადიმ გავიცინეთ. მერე ბადიმ უილს ხელი ჩამოართვა და ოთახში შევედით.



მაგიდამ, რომელზეც ქალს აწვენდნენ, იმდენად შემადრწუნა, რომ ხმა წამერთვა. ერთ მხარეს ჰაერში ამოჩხერილი მეტალის შვერილით და მეორე მხარეს დახვავებული ათასგვარი ინსტრუმენტებით, მავთულებითა და მილებით, რაღაც საშინელ, საწამებელ მაგიდას ჰგავდა.

მე და ბადი სარკმელთან, ქალისაგან რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით ვიდექით ერთად და ყველაფერს მშვენივრად ვხედავდით.

ქალის მუცელი იმსიმაღლეზე იყო ამოზურცული, რომ ვერც მის სახეს ვხედავდი და ვერც სხეულის ზედა ნაწილს. თითქოს მის სხეულს, ობობასავით, უზარმაზარი მუცლის გარდა, არც არაფერი გააჩნდა; და დამატებით, მხოლოდ ობობას მსგავსივე ორი პაწია ფეხი გამოსჩაჩხვოდა ჰაერში. მთელი იმ დროის განმავლობაში, ვიდრე ბავშვი გამოდიოდა, ქალი არაადამიანურად კიოდა.

მოგვიანებით, ბადიმ მითხრა, რომ ქალი ტკივილგამაყუჩებელი წამლის მოქმედების ქვეშ იყო და როცა ილანძღებოდა და კვნესოდა, სინამდვილეში ნამდვილ ტკივილს ვერ გრძნობდა, რადგან ნახევრად ბურანში იყო.

გავიფიქრე, - ადამიანის გამოგონილი წამალი ხომ უკეთესი ვერაფერი ბედენა იქნება-მეთქი. ქალს აშკარად საშინელი ტკივილები ტანჯავდა და ყველაფერს გრძნობდა, თორემ ასე არ იკვნესებდა და მაგიდიდანაც, ალბათ, პირდაპირ სახლისაკენ გაქანდებოდა მეორე ბავშვის ჩასასახად; და არც ემახსოვრებოდა ტკივილის ეს გრძელი, ბრმა, უფანჯრო და უკარო დერეფანი, მთელი ამ დროის განმავლობაში მის სხეულში რომ იხსნებოდა და იკეტებოდა.

მთავარი ექიმი, რომელიც უილს ხელმძღვანელობდა, ქალს ჩასძახოდა:

- გაიჭინეთ, მისის, გაიჭინეთ, იყოჩაღეთ, გაიჭინეთ! ბოლოს კი, ფეხებს შორის გახლეჩილი, გაპარსული, დეზინფექციის მიზნით გამოხეხილი ადგილიდან მუქი, თონთხლო რაღაც გამოჩნდა.

- ბავშვის თავია, - ქალის კვნესაში ჩამჩურჩულა ბადიმ.

მაგრამ რაღაც მიზეზის გამო, ბავშვის თავი გაიჭედა და ექიმმა უილს უთხრა, ჩაჭერიო. ქალის კანზე, თითქოს რაღაც ნაჭერზე, მაკრატელმა გაიჭრიალა და სისხლმა ხასხასად, წითლად გადმოჩქეფა. მერე ბავშვი ერთბაშად ამოცურდა უილის ხელეშში; ქლიავის ფერი ჰქონდა, და სისხლში და კიდევ თეთრ რაღაცაში იყო ამოგანგლული. უილი შეძრწუნებული ხმით გაჰყვიროდა:

- ახლა დამივარდება, დამივარდება ახლა.

- არ დაგივარდება, - უთხრა ექიმმა, ახალშობილი ხელიდან გამოართვა და დაზელა დაუწყო. ბავშვს ლურჯი ფერი გადასცილდა და მერე საბრალო, ჩახლეჩილი ხმით ტირილიც დაიწყო. შევნიშნე, რომ ბიჭი იყო.

პირველი, რაც ახალშობილმა გააკეთა, ის იყო, რომ ექიმს სახეში მიაფსა. მოგვიანებით ბადის ვკითხე, ეს ჩვეულებრივი მოვლენა თუ იყო, და ბადიმ მითხრა, ამაში არც არაჩვეულებრივია რამე, თუმცა ეს ძალიან იშვიათად ხდებოდა.

რაწამს ახალშობილი დაიბადა, ოთახში ხალხი ორ ნაწილად გაიყო. ექთნებმა ბავშვს კისერზე ლითონის ფირფიტა შეაბეს, ჩხირზე დახვეული ბამბით თვალები ამოუწმინდეს, გაახვიეს და ტილოგადაკრულ საწოლზე მოათავსეს; ექიმმა და უილმა კი ნემსითა და გრძელი ძაფით ქალის გაკერვა დაიწყეს.

მგონი ვილაცამ ჩასძახა: - ბიჭია, მისის, მაგრამ ქალს არც უპასუხია და არც თავი წამოუწევია.

- აბა, ხომ მაგარი იყო? - კმაყოფილი სახით მკითხა ბადიმ, როცა მწვანე, კვადრატული ბალის გადასწვრივ მისი ოთახისკენ მივდიოდით.
- დიდებული იყო, - ვუპასუხე, - ყოველდღე სიამოვნებით ვნახავდი იმავეს.

ის ვერ ვკითხე, - ბავშვის გაჩენის სხვა გზებიც თუ არსებობსმეთქი. რატომღაც ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, თვითონ დამენახა, თუ როგორ გამოდის ჩემი შვილი, რათა დარწმუნებული ვყოფილიყავი, რომ ნამდვილად ჩემია. გავიფიქრე, ტკივილი გაუსაძლისიც რომ იყოს, ამაღ ღირს-მეთქი.

ხშირად წარმოვიდგენდი ხოლმე საკუთარ თავს სამშობიარო მაგიდაზე - მას შემდეგ, რაც ყველაფერი დასრულდებოდა, იდაყვებზე როგორ წამოვიწევდი - გადაფითრებული, უმაკიაჟოდ, განაწამები, მაგრამ მოდიმარი, გაბრწყინებული სახით, წელამდე ჩამოშლილი თმით; გავიწვდიდი ხელს ჩემი პირველი ფართხალა შვილისაკენ და მის მომავალ სახელს წარმოვთქვამდი.

- თეთრ გარსში რატომ იყო გახვეული? - ვკითხე ბადის, რომ დიალოგი გამეგრძელებინა, და მანაც ამიხსნა, თუ როგორ იცავს რაღაც ცვილისებრი მასა ბავშვის კანს.

ბადის ოთახი შიშველი კედლებით, უბრალო საწოლით, ცარიელი იატაკით, მერხზე გადაშლილი ანატომიის სახელმძღვანელოთი და სხვა სქელი პირქუში წიგნებით ბერის სენაკს მივამსგავსე. ბადიმ სანთელი აანთო და დიუბონეს ბოთლი გახსნა. მერე საწოლზე გვერდიგვერდ დავექეთ. ბადი ღვინოს წრუპავდა, ვიდრე მე თან წაღებული წიგნიდან „სადაც არ ვყოფილვარ“ და სხვა ლექსებს ვუკითხავდი.

ერთხელ ბადიმ მითხრა, ალბათ, პოეზიაში არის რაღაც მნიშვნელოვანი, რადგან შენისთანა გოგო დღეებს თავიდან ბოლომდე ამას უძღვნისო. მას შემდეგ, როცა კი ერთმანეთს ვხვდებოდით, რომელიმე ლექსს ვუკითხავდი და ვუხსნიდი, თუ რა იყო ამ ლექსში ჩემთვის ძვირფასი. ეს ბადიმ მოიფიქრა. ის ყოველთვის ისე გეგმავდა ჩვენს შაბათ-კვირას, რომ მერე, ერთად გატარებული დრო დაკარგულად არ ჩაგვეთვალა. ბადის მამა მასწავლებელი იყო და ჩემი აზრით, ბადიც კარგი მასწავლებელი გამოვიდოდა, რადგან სულ რაღაც ახლის ახსნას ცდილობდა ჩემთვის.

ლექსის კითხვა რომ დავასრულე, მოულოდნელად მკითხა:

- ესთერ, ოდესმე მამაკაცი გინახავს?

ისეთი ტონით მკითხა, რომ მივხვდი, ჩვეულებრივ კაცზე, ან ზოგადად ადამიანზე კი არა, შიშველ კაცზე მეკითხებოდა.

- არა, - ვუთხარი, - მხოლოდ ქანდაკებები.

- გინდა ჩემი ნახვა?

არ ვიცოდი, რა მეპასუხა. დედა და ბებია ბოლო დროს წამდაუწუმ იმეორებდნენ ჩემ გასაგონად, რომ ბადი უილიარდი კარგი და სუფთა ბიძია, კარგი და სუფთა ოჯახიდან; რომ ეკლესიაში მას ყველა სამაგალითო ადამიანად მიიჩნევს; რომ ის თავაზიანია მშობლებისა და მოხუცების მიმართ; რომ ამავე

დროს ათლეტური, ლამაზი და განათლებულიცაა.

რაც კი ბადის შესახებ მსმენია, სულ მისი სიკარგე და სისუფთავე იყო; და ის, რომ ასეთი ბიჭისათვის გოგონაც კარგი და სუფთა უნდა ყოფილიყო. ამიტომ, ბადის ვენდობოდი და მის ქცევასა თუ ზრახვებში ეჭვი არც შემიტანია.

- მგონი, მინდა, - ვუპასუხე.

მივშტერებოდი, ვიდრე შარვალს იხსნიდა. გაიხადა და სკამზე გადაკიდა და მერე საცვალაც მიაყოლა. რაღაც, ნეილონის ბადესავით ქსოვილის საცვალე ეცვა.

- ეს მაგარი ფირმისაა. და დედაჩემი ამბობს, რომ კარგადაც ირეცხება. - ამიხსნა.

მერე, უბრალოდ, იდგა ასე ჩემ წინ და მეც მივშტერებოდი. ერთდერთი, რაზეც ფიქრი შევძელი, ინდაურის კისერი და ხორთუმი იყო. თავი საშინლად ვიგრძენი.

ბადის მგონი ეწყინა, ხმა რომ არ ამოვიღე.

- ვფიქრობ, ასეთსაც უნდა შემეჩვიო, - მითხრა და მერე დააყოლა:

- ახლა, მოდი, მე გნახავ.

უცებ გავიფიქრე, რომ ბადის წინ გაშიშვლება კოლეჯში შიშვლად პოზირებასავით იქნებოდა. როცა იცი, რომ შენი შიშველი ფოტო წინიდანაც და გვერდიდანაც კოლეჯის ფიზკულტურის კათედრაზე ინახება და შეფასებას გიწერენ იმის მიხედვით, თუ რამდენად გამართული ხარ წელში.

- მოდი სხვა დროს იყოს, - ვუთხარი ბადის.

- კარგი - მიპასუხა და ჩაცმა დაიწყო.

მერე ერთმანეთს ვაკოცეთ და ცოტა ხანს ჩახუტებულები ვიყავით. თავი ცოტა უკეთ ვიგრძენი. მერე დარჩენილი დიუბონი დავლიე და ბადის საწოლის კიდეზე ფეხმორთხმული დავჯექი. სავარცხლის მოწოდება ვთხოვე და თმა სახეზე ჩამოვივარცხნე, ისე, რომ ბადის არ შეძლებოდა ჩემი სახის დანახვა. მერე მოულოდნელად ვკითხე:

- ბადი, ვინმესთან გქონია რომანი?

არ ვიცი, რატომ ვკითხე ეს; სიტყვები თავისით ამომიცვივდა პირიდან. არასოდეს, ერთი წამითაც არ მიფიქრია, რომ ბადი უილიარდს შეიძლებოდა რომანი ჰქონოდა ვინმესთან. ახლაც, მოველოდი, რომ მეტყოდა:

- არა, მე თავს ვინახავდი ჩემი მომავალი ცოლისათვის, ისეთი უბიწო ქალწულისათვის, როგორიც შენ ხარ.

მაგრამ ბადიმ არაფერი მიპასუხა, მხოლოდ სახე აუვარდისფრდა.

- გქონია?

- რომანში რას გულისხმობ? - მკითხა გაბზარული ხმით.

- აი, ოდესმე ვინმესთან ერთად წოლილხარ? - თმას სახიდან ისევ რიტმულად ვივარცხნიდი ბადის მხარეს, და ვგრძნობდი, პაწია ელექტრული ნაპერწკლები

როგორ მეხლებოდა ცხელ ლოყებზე. მინდოდა მეკვილა: „გაჩუმდი! გაჩუმდი! არ მითხრა! არაფერი თქვა!“ მაგრამ ხმა არ ამომიღია.

- კარგი, მქონია, - თქვა ბოლოს ბადიმ.

ლამის საწოლიდან ჩამოვვარდი. პირველი ღამიდან მოყოლებული, როცა ბადი უილიარდმა მაკოცა და მითხრა, - ალბათ ბევრ ბიჭთან გქონია პაემანო, - ისეთი გრძნობა გამიჩნდა, თითქოს მე გაცილებით უფრო სექსუალური და გამოცდილი ვიყავი; და რომ ყველაფერი, რასაც ბადი აკეთებდა - კოცნა, მოხვევა და მოფერება, - უბრალოდ მისი ჩემდამი გრძნობის გამო იყო - ინსტინქტური და თავისთავადი.

ახლა დავინახე, მთელი ამ დროის განმავლობაში თურმე როგორ თამაშობდა უბიწოს.

- მიაბზე, - ყოველ ჩამოსმაზე სავარცხელი ლოყაში მერჭობოდა, - ვისთან იყო?

ბადის თითქოს გულზე მოეშვა, რომ არ გავბრაზდი. თითქოს გაუხარდა კიდევ, რომ ვიღაც გამოჩნდა, ვისთვისაც შეემლო ეამბნა, თუ როგორ აცდუნეს.

რა თქმა უნდა, ბადი ვიღაცამ აცდუნა. თვითონ არ წამოუწყია ეს და მართლაც არ იყო მისი ბრალი. სულ იმ სასტუმროს ოფიციალტის ბრალი იყო, ქეიფ ქოლში, სადაც გასულ ზაფხულს ბადი ავტობუსის მძღოლად მუშაობდა. ბადიმ შეამჩნია, როგორ დაჟინებით უცქეროდა ეს ქალი და ვითომ შემთხვევით, სამზარეულოში წამდაუწუმ მკერდით ეხახუნებოდა. ჰოდა, ერთ დღესაც ჰკითხა, რა გჭირსო; და იმანაც, თვალი თვალში გაუყარა და პირდაპირ უთხრა, შენ მინდიხარო.

- ზედ ნიახურდაჭრილი? - უმანკოდ გაეხუმრა ბადი.

- არა, - უპასუხა იმან, - ღამე.

და აი, ასე დაკარგა ბადიმ თავისი სიწმინდე და უმანკოება.

თავიდან ვიფიქრე, რომ მარტო ერთხელ იწვა იმ ოფიციალტთან, მაგრამ, როცა ვკითხე, ერთად რამდენჯერ იწექით-მეთქი, მითხრა, ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ დარჩენილი ზაფხულის მანძილზე კვირაში ორჯერ მაინცო. სამი ათზე გავამრავლე და ოცდაათი გამოვიდა, რაც ყოველგვარ ზღვარს სცილდებოდა.

ამის შემდეგ ჩემში რაღაც უბრალოდ, გაიყინა.

როდესაც კოლეჯში დავბრუნდი, ხან ერთ უფროსკურსელს ვკითხე და ხან მეორეს, რას იზამთ, შეყვარებულმა უცებ რომ გითხრათ, რომ ერთ ზაფხულს, თქვენთან შეხვედრებს შორის, ვიღაც უწესო ოფიციალტთან ოცდაათჯერ იწვა-მეთქი. მაგრამ ამ უფროსკურსელებმა მითხრეს, ყველა ბიჭი ასეთია და მათი დადანაშაულების უფლება არც გაქვს; ყოველ შემთხვევაში, თუ საქმე ნიშნობამდე და ქორწილამდე არაა მისულიო.

პრინციპში, თვითონ ის აზრი, რომ ბადის ვიღაცასთან ეძინა, იმდენად არ მაწუხებდა. იმას ვგულისხმობ, რომ რა აღარ წამიკითხავს ხალხზე. ეს ვინმე სხვა ბიჭი რომ ყოფილიყო, ყველაზე უფრო საინტერესო დეტალებსაც კი გამოვკითხავდი და შეიძლება, მე თვითონაც წავსულიყავი და ვინმესთან დავწოლილიყავი, რომ ბარი-ბარში ვყოფილიყავით და ამაზე აღარ მეფიქრა.

რისი ატანაც ახლა არ შემეძლო, ის იყო, რომ ბადის ყოველთვის, ყველაფერი

ისე გამოჰყავდა, ვითომ მე ვიყავი სექსუალური და თვითონ კი უმანკო იყო. არადა, მთელი ამ დროის განმავლობაში იმ ოფიციალტან ჰქონია რომანი. ესე იგი პირში დამცინოდა.

- იმ ოფიციალტის შესახებ დედაშენი რას ფიქრობს? - ვკითხე ბადის იმ კვირას.

ბადი საოცრად ახლოს იყო დედამისთან. ყოველთვის ციტატებად მოჰყავდა დედამისის გამონათქვამები ქალსა და კაცს შორის ურთიერთობის შესახებ; და ვიცოდი, რომ მისის უილიარდი, როგორც ქალის, ასევე მამაკაცის უბიწოების საკითხთან დაკავშირებით ნამდვილი ფანატიკოსი იყო. როდესაც ვახშამზე პირველად მივედი მათ სახლში, დაჟინებული, გამჭოლი მზერით ამათვალიერა. დანამდვილებით ვიცოდი, რომ იმის გამოცნობას ცდილობდა, ქალწული ვიყავი თუ არა.

- დედაჩემმა მკითხა გლედისზე, - აღიარა ბადიმ.

- შენ რა უთხარი?

- ვუთხარი, რომ გაუთხოვარი იყო, თეთრკანიანი და ოცდაერთი წლის.

აქედანვე ვიცოდი, რომ ბადი დედამისს ჩემს გამო ასე მკვახედ არასოდეს უპასუხებდა. ყოველთვის მიმეორებდა, თუ როგორ თქვა დედამისმა: „კაცს თანამგზავრი სჭირდება და ქალს კი მუდმივი უსაფრთხოების გარანტია“; და „კაცი ისარია - მომავლისაკენ გატყორცნილი, ხოლო ქალი კი ის ადგილი, საიდანაც ისარი იტყორცნება“. და ეს იმდენჯერ გამიმეორა, რომ ბოლოს ამ სიტყვების გაგონებაც კი მზარავდა.

ყოველთვის, როცა კი შეკამათებას ვცდილობდი, ბადი მეუბნებოდა, დედაჩემი ჯერ კიდევ ბედნიერია მამაჩემთან და მათი ასაკის ხალხისათვის ეს ხომ მშვენიერიაო. ეს თან იმას ნიშნავდა, რომ დედამისმა მართლა იცოდა, რა როგორ იყო.

ის-ის იყო გადავწყვიტე, ბადი ერთხელ და სამუდამოდ მიმეტოვებინა, - არა იმის გამო, რომ ოფიციალტან ეძინა, არამედ იმიტომ, რომ იმდენი ვაჟკაცობა არ ჰქონდა, თავისი ხასიათის ყველა მხარე ყველასათვის, და საკუთარი თავისთვისაც, პირდაპირ ეჩვენებინა, - რომ დერეფანში ტელეფონის წკრიალი გაისმა. ვილაცამ ეშმაკურად წაიმღერა:

- ესთერ, შენ გთხოვენ ბოსტონიდან.

მაშინვე მივხვდი, რომ რაღაც ცუდი მოხდა, რადგან ერთადერთი, ვისაც ბოსტონში ვიცნობდი, ბადი იყო, და ის კი იქიდან არასოდეს მირეკავდა, რადგან ეს წერილებზე გაცილებით ძვირი ჯდებაო. ერთხელ, როცა რაღაც სასწრაფო ჰქონდა ჩემთვის სათქმელი, მთელი სამედიცინო სკოლა შემოიარა, რომ წერილის გამოსატანებლად ვინმე ისეთი ეპოვნა, ვინც იმ დღეს ჩემს კოლეჯში მოდიოდა. ასე მარკის ფულიც კი დაზოგა.

ბადი იყო. მითხრა, ყოველწლიური საშემოდგომო შემოწმებისას ტუბერკულოზი აღმომიჩინეს და სამედიცინო სკოლის ჭლექიანი სტუდენტების სპეციალური სტიპენდიით სანატორიუმ „ადრონდაქსში“ მივდივარო. მერე მითხრა, მთელი კვირაა, არ მოგიწერია და იმედია, ჩვენს შორის ყველაფერი კარგადააო. მთხოვა, კვირაში ერთხელ მაინც მომწერე და საშობაოდ ჩემს სანახავად სანატორიუმში ამოდიო.

ბადი ასეთი შეწუხებული არ მახსოვს. ყოველთვის ძალიან ამაყობდა თავისი რკინის ჯანმრთელობით და მეუბნებოდა, შენ რომ ნესტოები გეხშობა და სუნთქვა გიჭირს, ეს რაღაც ფსიქოსომატურიაო. მისი განხრის ექიმის მხრიდან ეს უცნაურ მიდგომად მეჩვენებოდა. ბევრჯერ დავაპირე მეთქვა, ჯობდა ფსიქიატრი გამოსულიყავი-მეთქი.

ბადის ვუთხარი, რომ ძალიან ვწუხდი ტუბერკულოზის გამო და დავპირდი, რომ მივწერდი. მაგრამ, როცა ყურმილი დავდე, თანაგრძნობის ნატამალიც არ მიგრძნია. თითქოს გულზეც კი მომეშვა.

გავიფიქრე, ტუბერკულოზი ალბათ სწორედ ის სასჯელია, რომელიც ბადიმ თავისი ორმაგი ცხოვრებისა და ქედმაღლობის გამო მიიღო-მეთქი. შვებით ისიც გავიფიქრე, რომ კოლეჯში არავისთვის აღარ მომიწევდა ახსნა-განმარტების მიცემა, თუ რატომ მივატოვე ბადი და აღარც ბრმა პაემნებზე გავაგრძელებდი სიარულს.

უბრალოდ, ყველას ვუთხარი, - ბადის ტუბერკულოზი აღმოაჩნდა, არადა, პრაქტიკულად დანიშნულები ვიყავით-მეთქი. და როცა ამის შემდეგ ყოველ შაბათს ჩემს ოთახში ვრჩებოდი და ვსწავლობდი, ყველა ძალიან გულთბილად მექცეოდა: ეგონათ, რომ ამდენი სწავლით დარდის დავიწყებას ვცდილობდი.

X

კონსტანტინი ჩემზე გაცილებით დაბალი, მაგრამ თავისებურად ლამაზი იყო - ღია წაბლისფერი თმით, მუქი ლურჯი თვალებითა და ცოცხალი, გამომწვევი იერით. ისეთი ოქროსფერი კანი და კარგი კბილები ჰქონდა, რომ ამერიკელი გეგონებოდათ. მაგრამ მაშინვე მიხვდები, რომ ამერიკელი არ იყო, რადგან ინტუიციას, რომელიც მასში შევნიშნე, არცერთ ამერიკელ მამაკაცში არ მინახავს.

კონსტანტინი თვიდანვე მიხვდა, რომ მისის უილიარდის პროტექე არ ვიყავი. აქ წარბი ავწიე, იქ ცალყბად ჩავიცინე და სულ მალე ორივენი მის აშკარა გაჭორვაზე გადავედით. და გავიფიქრე: „ეს კონსტანტინი, ალბათ, ყურადღებას არ მიაქცევს, მეტისმეტად მაღალი რომ ვარ, ენები არ ვიცი და არც ევროპაში ვყოფილვარ, მაინც მიხვდება, სინამდვილეში ვინც ვარ“.

კონსტანტინს თავისი მწვანე მანქანით გაეროს შენობისკენ მივყავდი. ძველი მანქანა ჰყავდა, სახურავგადახდილი, ყავისფერი ტყავის სავარძლებით. ჩოგბურთზე მელაპარაკებოდა - ვთამაშობ და კანი ამიტომ მაქვს გარუჯულიო. და ასე, გვერდიგვერდ რომ ვისხედით და მზიან ქუჩებში დავქროდით, ჩემი ხელი აიღო და თავის ხელში მომუყა. მას შემდეგ, ცხრა წლის რომ ვიყავი და მამასთან ერთად, მისი სიკვდილის წინა ზაფხულს, ცხელ, თეთრ სანაპიროზე დავრბოდი, თავი ასე ბედნიერად პირველად ვიგრძენი.

გაეროს დარაბებიან ოთახშიც, ჩასხმული და შეუღებავი რუსი გოგოს გვერდით, რომელიც კონსტანტინის მსგავსად, სინქრონულად თარგმნიდა, ვიჯექი და საკუთარ თავზე ვფიქრობდი. უცნაური იყო, რომ ამაზე უწინ არ მიფიქრია, მაგრამ ნამდვილად ბედნიერი მხოლოდ ცხრა წლამდე ვიყავი. ხოლო მერე, მიუხედავად სკაუტების და ნაოსნების ბანაკებისა და ფორტეპიანოს, ფერწერის და ცეკვის გაკვეთილებისა, რომლებიც დედამ ჩემთვის შეაკოწიწა, და მიუხედავად კოლეჯისა, რომლის დღეებიც ახლა, გონებაში, საუზმეებსა და ძირდამწვარ შაქარლამებს შორის თითქმის სულ გადანისლულიყო, და მიუხედავად ყოველდღე იდეების ახალ-ახალი ნაპერწკლებისა, - ბედნიერი მართლა აღარ ვყოფილვარ.

რუს გოგოს მივაშტერდი. ორმაგსაყელოიან, ნაცრისფერ პიჯაკში, ჩემთვის გაუგებარ ენაზე იდიომას იდიომაზე აწყობდა. კონსტანტინის თქმით, ეს ძალიან ძნელი იყო, რადგან რუსებს არ ჰქონდათ ინგლისურის ზუსტად შესატყვისი იდიომები. უცებ როგორღაც ძალიან მომინდა, შევმძვრალიყავი ამ გოგოს პირის ღრუში, მთელი დარჩენილი ცხოვრება იქ ვმჯდარიყავი და იდიომები მეჩხრიკა. ამით ალბათ ბედნიერი ვერ გავხდებოდი, მაგრამ სრულ მოძრაობაში ვიქნებოდი, როგორც მთლიანი მექანიზმის პატარა ნაწილი.

მერე უცებ ყველა დამცილდა - კონსტანტინი, რუსი თარჯიმანი გოგო და მთელი ბრბო შავი, თეთრი და ყვითელი ადამიანებისა, მიკროფონებში რომ ხმაურობდნენ. შევყურებდი იმათ პირებს, უხმოდ რომ იღებოდა და იხურებოდა, - თითქოს ყველანი მიმავალი ხომალდის გემბანზე ისხდნენ და სიჩუმეში მარტო მტოვებდნენ.

იმაზე დავიწყე ფიქრი, - რისი კეთება არ შემეძლო.

ამ სიაში პირველი საჭმლის მომზადება იყო.

ბებიაჩემი და დედაჩემი ისეთი კარგი დიასახლისები იყვნენ, რომ ეს საქმე მათ მივანდე. სულ ცდილობდნენ, ჩემთვის რაიმე კერძის გაკეთება ესწავლებინათ. მეც შევხედავდი და ვეტყოდი ხოლმე: „დიახ, დიახ, გავიგე“. რეცეპტებს ერთ ყურში კი ვუშვებდი, მაგრამ უმალ მეორედან მისხლტებოდა და მერე ხელს რასაც ვკიდებდი, ისე ვაფუჭებდი, რომ მეორედ აღარავინ მთხოვდა, კიდეც მეცადა.

ჯუდი გამახსენდა, ჩემი საუკეთესო და ერთადერთი მეგობარი კოლეჯში. დაწყებით კურსზე ვიყავით, როცა ერთ დილას თავის სახლში ერბოკვერცხი შემიწვა. არაჩვეულებრივი გემო ჰქონდა. ვკითხე, რამე განსაკუთრებული თუ აქვს-მეთქი. ყველი და ნივრიანი მარილი დაემატებინა. არავის უსწავლებია, თვითონ მოვიფიქრეო. ჯუდი ძალიან პრაქტიკული გოგო იყო.

არც სტენოგრაფიისა მესმოდა რამე.

ალბათ კოლეჯის დამთავრების შემდეგ სამუშაოს ვერ ვიშოვიდი. დედაჩემი სულ ჩამჩინებდა, უბრალო ფილოლოგი არავის სჭირდებაო; კარგი ფილოლოგი და თან სტენოგრაფისტი კი სულ სხვააო. საქმიანი ახალგაზრდები პირდაპირ სანთლით დაეძებდნენ მდივან გოგოებს, რომლებიც მათ წერილებს უპრობლემოდ დაშიფრავდნენ და დააგზავნიდნენ.

მაგრამ საქმე იმაში იყო, რომ ფიქრიც კი მძულდა, მამაკაცებისათვის რამენაირი სამსახური გამეწია. მინდოდა, ჩემი საკუთარი სასწრაფო წერილები მეკარნახა. თანაც, პატარა სტენოგრაფიული სიმბოლოები, დედაჩემმა წიგნში რომ მაჩვენა, ისეთივე არარაობა იყო, როგორც, ვთქვათ, ტ უდრის დროს და ს უდრის მთელ მანძილს.

ჩემი სია გაიზარდა.

საშინლად ვცეკვავდი. რიტმის აყოლა არ შემეძლო და არც წონასწორობის გრძნობა მქონდა. სპორტულ დარბაზში, ვიწრო ფიცარზე გამლილი ხელებით, თავზე წიგნდადებულებს რომ უნდა გაგვევლო, ყოველთვის ვეცემოდი. არც ცხენზე ჯდომა ვიცოდი და არც თხილამურებით სრიალი. არადა, ეს ორი რამე ყველაზე მეტად მინდოდა. იმიტომ, რომ ყველაზე ძვირი ღირდა. ვერც გერმანულად ვლაპარაკობდი, ვერც ჰიბრუს ვკითხულობდი და ვერც ჩინურად ვწერდი. მე ისიც კი არ ვიცოდი, რუკაზე სად მდებარეობდა გაეროს წევრი

შორეული ქვეყნები, რომლის წარმომადგენლებიც ახლა ჩემ თვალწინ ფუსფუსებდნენ.

პირველად ჩემს ცხოვრებაში, აქ, გაეროს შენობის ამ ბგერაგაუმტარ ჯიხურში, კონსტანტინის გვერდით, რომელიც ისევე მშვენივრად თამაშობდა ჩოგბურთს, როგორც თარგმნიდა, და რუსი გოგოს გვერდით, რომელმაც ამდენი იდიომა იცოდა, თავი ამქვეყნად საშინლად ზედმეტად ვიგრძენი. უბედურება ის იყო, რომ, როგორც ჩანს, მთელი დროის მანძილზე ზედმეტი ვიყავი. უბრალოდ, უწინ ამაზე არ მიფიქრია.

ერთდერთი, რაშიც ვვარგოდი, სტიპენდიებისა და ჯილდოების მოგება იყო. და ეს ეპოქაც დასასრულს უახლოვდებოდა. თავს ისე ვგრძნობდი, როგორც დოდის ცხენი უიპოდრომო ქალაქში, ან კოლეჯის ფეხბურთის ჩემპიონი, საქმიანი კაცის პიჯაკით რომ აღმოჩნდება ბირჟაზე, ძველი დიდების დღეები კი პატარა ოქროს თასად შეკუმშულა და ზედ, როგორც საფლავის ქვას, თარიღი აქვს ამოტვიფრული.

ჩემი ცხოვრება დავინახე, მწვანე ლეღვის ხესავით დატოტვილი.

ყოველი რტოდან მშვენიერი მომავალი, მწიფე იისფერი ლეღვის მსგავსად, თვალს მიკრავდა და მეძახდა. ერთი ლეღვი ქმარი იყო და ბედნიერი სახლი და ბავშვები; მეორე ლეღვი ბრწყინვალე პროფესორი იყო; მესამე ლეღვი იყო შესანიშნავი რედაქტორი და სხვა ლეღვი – ევროპა, აფრიკა და სამხრეთ ამერიკა; სხვა ლეღვი – კონსტანტინი, სოკრატე და ატილა და წყება სხვა საყვარლებისა, უცნაური სახელებითა და პროფესიებით; და კიდევ სხვა – ოლიმპიური ჩემპიონი ქალი ნიჩბოსნობაში. და ამ ლეღვების გარდა, და მათ მიღმა იყო კიდევ უამრავი ლეღვი, რომელიც ახლა თვალში არ მხვდებოდა.

ჩემს თავს ვხედავდი. ვიჯექი ამ ხესთან და შიმშილისაგან კუჭი მიხმებოდა, რადგან არ ვიცოდი, რომელი ლეღვი მომეწყვიტა. მათგან სათითაოდ ყველა მინდოდა, მაგრამ ერთის არჩევა სხვების დაკარგვას ნიშნავდა. და ვიდრე ასე ვიჯექი და ვერ გადამეწყვიტა, ლეღვები ჭკნებოდა და შავდებოდა და ჩემს ტერფებთან ცვიოდა.

კონსტანტინის არჩეულ რესტორანში სუნელებისა და არაჟნის სუნი ტრიალებდა. ნიუ-იორკში ყოფნისას ასეთი რესტორანი არ მინახავს. სადაც კი ვყოფილვარ, ყველგან „ოვთაებრივი ჰამბურგერები“ მხვდებოდა. და დახლებიდან, გრძელი სარკეების წინ, უხარმაზარ ჰამბურგერებს, წვნიანებს და ოთხნაირ შაქარლამას ყიდდნენ.

ამ რესტორანში მოსახვედრად, სარდაფის მსგავსად, შვიდი ოდნავ განათებული საფეხური ჩავიარეთ.

გაჭვარტლულ კედლებზე სამოგზაურო რეკლამები შვედური ტბების, იაპონური მწვერვალებისა და აფრიკული უდაბნოებისკენ გაღებული სარკმლებივით მოჩანდა. სქელი, მტვრიანი, კონუსისებრი სანთლები თითქოს საუკუნეების მიღმიდან ბჟუტავდა და მათგან ფერადი ცვილი მოწითალო-მოლურჯო-მომწვანო, მშვენიერ, სამგანზომილებიან მაქმანებად იღვრებოდა. მაგიდები სინათლის რკალებში იდგა, მოლივლივე, თავადაც წამონთებული და აელვარებული სახეებით გარშემორტყმული.

არ მახსოვს, რა შევჭამე, მაგრამ პირველივე ლუკმის შემდეგ გაცილებით უკეთ გავხდი და თავში გამიელვა, რომ მთელი ჩემი წარმოსახვა ლეღვის ხისა და იმ



წიფე ლეღვებისა, რომ ჭკნებოდა და მიწაზე ტყაპატყუპით ცვიოდა, ჩემი სტომაქის სიღრმიდან უნდა ყოფილიყო ამოზრდილი.

კონსტანტინი ჭიქებს ტკბილი ბერძნული ღვინით ავსებდა, რომელსაც ფიჭვის გემო ჰქონდა. ჩემს თავს ყური რომ დაუფუგდე, კონსტანტინს ვეუბნებოდი, რომ გერმანულის სწავლას და მეგი ჰიგინსის მსგავსად ომში კორესპონდენტად წასვლას ვაპირებდი.

იოგურტსა და მარწყვის მურაბაზე როცა გადავედი, თავი უკვე ისე მშვენივრად ვიგრძენი, რომ გადავწყვიტე, კონსტანტინისთვის ნება მიმეცა, ვეცდუნებინე.

მას შემდეგ, რაც ბადი უილიარდმა ოფიციალტ ქალზე მიაბზო, სულ იმას ვფიქრობდი, რომ ვინმესთან თვითონაც უნდა დავწოლილიყავი. ბადისთან დაწოლას აზრი არ ჰქონდა, რადგან, თუ მერე ცოლად გავყვებოდი, ის ჩემთვის მაინც ერთადერთი იქნებოდა. ამიტომ სხვა ვინმე უნდა მეპოვა.

ერთდერთი ბიჭი, ვისთან ყოფნაზეც ოდესმე მიფიქრია, ერთი პირქუში, კუბიანცხვირიანი სამხრეთელი იყო იელიდან. ის ბიჭი ერთ დღეს კოლეჯში მოვიდა და გაიგო, რომ წინა დღეს შეყვარებული ტაქსის მძღოლთან ერთად გაექცა. ის გოგო ჩემთან ცხოვრობდა და რადგანაც იმ ღამეს ჩემ გარდა შინ არავინ იყო, ბიჭის ხასიათზე მოყვანა მე დამეკისრა.

მახლობელ ყავახანაში თვალს მიფარებულ, მაღალზურგიან და ზედ ასობით სახელამოყრიდ ხის სკამებზე მოვკალათდით. მაგარ ყავას ფინჯანს-ფინჯანზე ვსვამდით და სექსზე გულახდილად ვსაუბრობდით.

იმ ბიჭმა (ერიკი ერქვა) თქვა, რომ გულს ურევდა, რასაც ჩემი თანაკოლეჯელი გოგოები აკეთებდნენ: ღამის პირველ საათზე, როცა ძილის დროის მომასწავებელი ზარი რეკდა, განათებულ აივანზე, ბურქებთან გამოდიოდნენ და ტანსაცმელს გიჟებივით იქ იხდიდნენ, გამვლელების დასანახად.

- ევოლუციის მილიონობით წელიწადი, - თქვა კუმტად ერიკმა, - და ვინ ვართ? - ცხოველები.

მერე ერიკმა მიაბზო, თუ როგორ იწვა ქალთან პირველად.

სამხრეთულ სკოლაში დადიოდა. ის სკოლა ყოველმხრივ ჩამოყალიბებულ ჯენტლმენებს უშვებდა და სკოლას რომ დაამთავრებდი, დაუწერელი კანონი იყო, ქალის გემო უნდა გცოდნოდა. გცოდნოდა ბიბლიური გაგებით, როგორც ერიკმა თქვა.

ასე რომ, ერთ შაბათს, ერიკი და მისი რამდენიმე თანაკლასელი ავტობუსით უახლოეს ქალაქში ჩავიდნენ და ცნობილი საროსკიპო მოინახულეს. ერიკის მემავს კაბა არც გაუხდია. სქელი, შუახნის ქალი იყო. წითლად შეღებილი თმა, უცნაურად სქელი ტუჩები და ჩალურჯებული კანი ჰქონდა; და სინათლემ არ ჩაუქრიათ და ასე ყოფილან - ბუზებით დაწინწკლული ოცდახუთვატიანი ნათურის ქვეშ. და არაფერი იმის მსგავსი არ ყოფილა, რასაც მიყვებოდნენო. ისეთივე მოსაწყენი იყო, როგორც საპირფარეშოში ყოფნაო.

მე ვუთხარი, ქალი როცა გიყვარს, შეიძლება ასეთ საძაგლობად არ მოგეჩვენოს-მეთქი. მაგრამ, როგორც ერიკმა თქვა, ამ შემთხვევაში ყველაფერს ის ფიქრი გაუფუჭებდა, რომ ეს ქალიც დანარჩენებივით ცხოველი იყო. ასე რომ, თუ ოდესმე ვინმე ეყვარებოდა, არასოდეს დაწვებოდა მასთან. ისევ მემავთან წავიდოდა და იმ ქალს კი, რომელიც უყვარდა, ამ ჭუჭყიან საქმეში არ გარევედა.

მაშინ გამიელვა თავში, ერიკთან დაწოლა ღირს-მეთქი. გამოცდილი იყო, ეს უკვე გაეკეთებინა და თან, როცა ამაზე ლაპარაკობდა, სხვა ბიჭებისაგან განსხვავებით, არც გარყვნილი და არც სულელი არ ჩანდა. მაგრამ მერე ერიკმა წერილი მომწერა, ნამდვილად შემემლო მყვარებოდი, რადგან ჭკვიანი და ცინიკური ხარ და მაინც ასეთი კეთილი სახე გაქვს, რომელიც საოცრად ჰგავს ჩემი უფროსი დის სახესო. აქედან მივხვდი, რომ ჩემი მხრიდან აზრი აღარ ჰქონდა რაიმე მცდელობას. ისეთ კატეგორიას მიმაკუთვნა, ვისთანაც არასოდეს დაწვებოდა. ჰოდა მივწერე, სამწუხაროდ, უკვე ვთხოვდები ბავშვობისდროინდელ შეყვარებულზე-მეთქი.

რაც უფრო მეტს ვფიქრობდი, სულ უფრო მომწონდა ნიუ-იორკში თარჯიმნის მიერ ჩემი ცდუნების იდეა. კონსტანტინი ზრდასრული და ყურადღებიანი იყო. არავის ვიცნობდი, ვისთანაც მერე ტრავახს მოჰყვებოდა, როგორც კოლეჯის ბიჭები ტრავახობენ ხოლმე ოთახის მეზობლებთან და თანაგუნდელებთან - იმ გოგოსთან მანქანის უკანა სავარძელზე მაგარი დრო ვატარეო. თანაც, მშვენიერი ირონია იქნებოდა - დავწოლილიყავი კაცთან, რომელიც მისის უილიარდმა გამაცნო. თითქოს როგორღაც ეს ამბავი სულ მისი ბრალი იქნებოდა.

როცა კონსტანტინმა მკითხა, ბალალაიკის ჩანაწერების მოსასმენად თუ ისურვებ ჩემთან ამოსვლასო, გამეღიმა. დედაჩემი სულ იმას მარიგებდა, სადილის შემდეგ არავითარ შემთხვევაში არ უნდა წახვიდე მამაკაცთან სახლში, ეს მხოლოდ ერთადერთ რამეს ნიშნავსო.

- ბალალაიკა ძალიან მიყვარს, - ვუპასუხე.

კონსტანტინის ოთახს აივანი ჰქონდა, რომელიც მდინარეს გადაჰყურებდა. სიბნელეში საბუქსირო გემების საყვირის ხმა ისმოდა. ღელვითა და სინაზით ავივსე და დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩანაფიქრის ასრულება მართლა მინდოდა.

ვიცოდი, ბავშვი ჩაისახებოდა, მაგრამ ეს ფიქრი შორეული და ბუნდოვანი იყო და სულაც არ მთრგუნავდა. ასპროცენტისანი საშუალება ბავშვის ჩასახვის წინააღმდეგ არ არსებობსო, ეწერა სტატიაში, რომელიც დედაჩემმა „დაიჯესტიდან“ ამოჭრა და კოლეჯში გამომიგზავნა. ამ სტატიის ავტორი გათხოვილი, შვილებიანი იურისტი ქალი იყო და სტატიას „უბიწოების დასაცავად“ ერქვა.

სტატია გვმოდვრავდა, რომ მამაკაცის სამყარო განსხვავდება ქალის სამყაროსაგან და მამაკაცის გრძნობები განსხვავდება ქალის გრძნობებისაგან და მხოლოდ ქორწინებას შეუძლია, სწორად შეაერთოს ეს ორი სამყარო და გრძნობების განსხვავებული ქსელი. დედაჩემმა თქვა, ეს ისეთი რამეა, რასაც გოგო თავისით ვერ მიხვდება, ვიდრე კისერს არ წაიტეხს და ამიტომ იმ ხალხის რჩევას უნდა უსმინოს, ვინც უკვე გამოცდილია, ანუ გათხოვილი ქალებისო.

ის იურისტი ქალი წერდა, რომ საუკეთესო მამაკაცებს სურთ, უბიწოები იყონ თავიანთი ცოლებისათვის და, თუ თავად არ არიან უბიწოები, უნდათ, ცოლებს თვითონ ასწავლონ ფიზიკური სიყვარულიო. რა თქმა უნდა, ყველა კაცი ცდილობს გოგოსთან დაწოლას და ცოლად შერთვასაც ჰპირდება, მაგრამ გოგო თუ დათანხმდება, მის მიმართ მთელ პატივისცემას კარგავენ და ამბობენ, თუ მან ეს ჩემთან გააკეთა, სხვა კაცთანაც იგივეს იზამსო. და ყველაფერი იმით დამთავრდება, რომ ამ გოგოს ცხოვრება დაენგრევაო.

ერთადერთი, რაზეც ამ სტატიაში არაფერი იყო ნათქვამი, ქალიშვილის გრძნობები იყო.

ალბათ მშვენიერი უნდა იყოს – უბიწო გოგო უბიწო კაცზე გათხოვდე. მაგრამ ვაითუ ქორწინების შემდეგ კაცმა უეცრად აღიაროს, რომ ის უბიწო არ არის, როგორც ეს ბადი უილიარდმა გააკეთა. ვერ ვიტანდი იმ აზრს, რომ ქორწინებამდე ქალს უნდა ჰქონოდა ერთადერთი – უბიწო ცხოვრება, როცა კაცს შეეძლო, ორივე ჰქონოდა – უბიწო ან გარყვნილი.

საბოლოოდ გადავწყვიტე, რომ თუ ასე ძნელია ძლიერი, ჭკვიანი მამაკაცის პოვნა, რომელიც ოცდაერთი წლისა ჯერ კიდევ უბიწო იქნება, ჯობია, მეც დავივიწყო უბიწოება და მერე გავყვე ვინმე გამოცდილს და როცა ის დაიწყებს ჩემთვის ცხოვრების გამწარებას, მეც შევძლებ სამაგიეროს გადახდას–მეთქი.

ცხრამეტი წლისა რომ ვიყავი, უბიწოება განსჯის აქტუალური თემა გახლდათ. იმის ნაცვლად, რომ სამყარო დაყოფილი ყოფილიყო კათოლიკეებად და პროტესტანტებად, ან რესპუბლიკელებად და დემოკრატებად, ან თეთრკანიანებად და შავკანიანებად, ან თუნდაც ქალებად და კაცებად, მე ვხედავდი სამყაროს, დაყოფილს იმ ხალხად, ვინც ვინმესთან იწვა და იმ ხალხად, ვინც მარტო იწვა. და ეს იყო ერთადერთი მნიშვნელოვანი განსხვავება ადამიანებს შორის.

მეგონა, გამყოფ ხაზს რომ გადავკვეთდი, ჩემში უზარმაზარი ცვლილება მოხდებოდა.

მეგონა, ეს იმის მსგავსი იქნებოდა, ოდესმე ევროპაში რომ ჩავიდოდი, მერე კი შინ დავბრუნდებოდი, ჩემს თავს სარკეში დავაკვირდებოდი და თვალის გუგამი ალპების პაწია მწვერვალი გაიბრწყინებდა. ახლა ვფიქრობდი, რომ ხვალ სარკეში თუ ჩავიხედავდი, ჩემს თვალში თოჯინის ზომის კონსტანტინს დავინახავდი, მოლიმარს.

თითქმის მთელი საათი ვიცინოდით კონსტანტინის აივანზე. სავარძლის საზურგეებზე გადაწოლილები ვუსმენდით მუსიკას და ჩვენ შორისაც ბალალაიკის ჩანაწერებიანი ფირფიტები იყო დახვავებული. ქუჩის ნათურებიდან თუ ნახევარმთვარიდან თუ მანქანებიდან თუ ვარსკვლავებიდან – თეთრი, მკრთალი შუქი მოდიოდა. არ ვიცი რატომ, მაგრამ, გარდა იმისა, რომ ჩემი ხელი ეჭირა ხელში, კონსტანტინს ჩემი ცდუნების არანაირი სურვილი არ დასტყობია.

ვკითხე, დანიშნული თუ იყო ან შეყვარებული თუ ჰყავდა. ვიფიქრე, საქმე ამაშია–მეთქი. მაგრამ მიპასუხა, ასეთ ურთიერთობებს ვერიდებო.

მერე ფიჭვის ღვინომ ძილქუში მომგვარა.

– ახლა ალბათ შევალ და დავწვები, – ასე ვუთხარი.

ანგარიშმიუცემლად შევფრატუნდი საძინებელში და ფეხსაცმლის გაძრობა დავიწყე. სუფთა საწოლი მაშველი ნავივით ქანაობდა. მთელ სივრცეზე გავიშოტე და თვალები დავხუჭე. მომესმა, როგორ ამოიოხრა კონსტანტინმა და აივნიდან შემოვიდა. მისი ფეხსაცმელები სათითაოდ დაეცა იატაკზე და თვითონაც ჩემს გვერდით დაემვა.

შუბლზე ჩამოშლილი თმიდან ჩუმად გავხედე.

ზურგზე იწვა, ხელები თავქვეშ ამოეწყო და ჭერს აჰყურებდა. მისი გახამებული პერანგის იდაყვებამდე აკეცილი სახელოები ნახევრად სიბნელეში არამიწიერად ბჟუტავდა და მისი ოქროსფერი კანი თითქმის შავს ჰგავდა. ყველაზე ლამაზ კაცად მომეჩვენა, ვინც კი ოდესმე შემხვედროდა.

სახის ძლიერი ნაკვთები რომ მქონოდა, ან პოლიტიკაზე გამჭრიახი მსჯელობა შემძლებოდა, ან ცნობილი მწერალი რომ ვყოფილიყავი, კონსტანტინს შეიძლება საინტერესოდ მოსჩვენებოდა ჩემთან დაწოლა.

რომ მოვწონებოდი, ნუთუ ჩემთვის უმაღვე ჩვეულებრივ კაცად იქცეოდა? და რაწამს ვიგრძნობდი, რომ შევუყვარდი, დავიწყებდი სათითაოდ მისი ყოველი ნაკლის დანახვას, როგორც ეს ბადი უილიარდთან და იმის წინ სხვა ბიჭებთან დამემართა?

ყოველთვის ერთი და იგივე ხდებოდა: შორიდან ვინმე სრულქმნილ მამაკაცს მოვკრავდი თვალს, მაგრამ ოდნავ მომიახლოვდებოდა თუ არა, სულ არაფრად ვარგოდა.

ეს ერთ-ერთი მიზეზი იყო, რის გამოც გათხოვება არასოდეს მდომებია. ყველაზე ნაკლებად სიმშვიდეს ვეძებდი და სულ არაფრად მეპიტნავებოდა, ვყოფილიყავი მშვილდი, რომელიც ისარს გატყორცნის, თავად კი ადგილზე რჩება. ცვლილება და მღელვარება მინდოდა: რომ ყველა მიმართულებით თვითონ მექროლა, როგორც ფეიერვერკის ფერად ისრებს.

წვიმის ხმამ გამომადღვიძა.

სრული სიბნელე იყო. ცოტა ხანში უცხო სარკმლის კონტურები გავარჩიე. აქა-იქ სინათლის სხივი ჩნდებოდა, ჰაერიდან კედელზე თითის ანაბეჭდვით გადმოდიოდა და მერე სულმთლად ფერმკრთალდებოდა.

მერე ვიღაცის სუნთქვა მომესმა.

თავიდან ვიფიქრე, რომ ჩემივე სუნთქვა იყო და სიბნელეში, საკუთარი სასტუმროს ნომერში ვიწექი. სული გავიკმინდე, მაგრამ სუნთქვა მაინც გაგრძელდა.

ჩემ გვერდით, მწვანე თვალი ენთო, კომპასივით მეოთხედებად დაყოფილი. ფრთხილად დაწვდი და რომ ავწიე, მკლავიც მოჰყვა – მძიმე, როგორც მკვდრის, მაგრამ ძილისგან თბილი.

კონსტანტინის საათი სამს აჩვენებდა.

ის იწვა პერანგით, შარვლით და წინდებით ზუსტად ისე, როგორც დავტოვე, ვიდრე ჩამეძინებოდა. თანდათან, სიბნელეს თვალი რომ შევაჩვიე, მისი თვალები, სწორი ცხვირი და მოკუმული, ლამაზი პირი გავარჩიე. ოღონდ ყველაფერი, როგორც, გამოგონილს ჰგავდა, თითქოს ნისლის მიღმა ბუბუტავდა. რამდენიმე წუთით მისკენ დავიხარე და დავაკვირდი. მამაკაცის გვერდით პირველად მეძინა.

ვცადე წარმომედგინა, როგორ იქნებოდა ყველაფერი, კონსტანტინი ჩემი ქმარი რომ ყოფილიყო.

ეს ნიშნავდა შვიდ საათზე ადგომას და მისთვის კვერცხის, შებოლილი ხორცის, პურის და ყავის მირთმევას და მერე, სამსახურში რომ წავიდოდა, – ფრატუნს ღამის პერანგითა და „ბიგუდით“, რომ ჭუჭყიანი თევზები დამერეცხა და ლოგინი ამელაგებინა. და მერე, როცა ის დაბრუნდებოდა თავბრუდამხვევი დღის შემდეგ, ნოყიერ სადილს მოისურვებდა და მთელი საღამო უფრო მეტი ჭუჭყიანი თევზი უნდა მერეცხა, ვიდრე საწოლში არ ჩავწვებოდი

ქანცგამოცლილი.

თხუთმეტი წლის განმავლობაში ფრიადოსანი გოგოსთვის ამგვარი პერსპექტივა საშინელ უქმად ჩავლილ ცხოვრებას ნიშნავდა, მაგრამ ვიცოდი, რომ ქორწინება სწორედ ეს იყო. მზარეულობა, წმენდა და რეცხვა იყო ერთადერთი, რასაც ბადი უილიარდის დედა აკეთებდა დილიდან დადამებამდე, მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის პროფესორის ცოლი იყო და თვითონაც კერძო სკოლაში ასწავლიდა.

ერთხელ, ბადისთან რომ მივედი, მისის უილიარდს მისტერ უილიარდის ძველი მაისურებიდან გამორღვეული ძაფებით ხალიჩის ქსოვა დაეწყო. იმ ხალიჩის ქსოვას რამდენიმე კვირა მოანდომა. ძალიან მომწონდა ტვიდის ერთად ჩაწული ყავისფერი, მწვანე და ლურჯი ფერები. მაგრამ მისის უილიარდმა ქსოვა რომ დაასრულა, იმის მაგივრად, რომ ხალიჩა კედელზე ჩამოეკიდა, - როგორც ამას მე გავაკეთებდი, - იატაკზე, სამზარეულოს ჭილოფის ნაცვლად დააგდო. ხალიჩა რამდენიმე დღეში გამიწიანდა და გაუფერულდა და ვეღარც გაარჩევდით რომელიმე ერთდოლარიანი ჭილოფისაგან. და მე ვიცოდი, რომ იმ ვარდების, კოცნებისა და რესტორნის ვახშმების მიუხედავად, რითაც მამაკაცი ქალს ცოლად შერთვამდე ანებივრებს, ერთადერთი, რაც ამ მამაკაცს ფარულად სურს, ის არის, რომ საქორწინო ცერემონიალის ჩათავებისთანავე ეს ქალი მისის უილიარდის სამზარეულოს ჭილოფით გაბრტყელდეს მის ფეხქვეშ.

დედამ თვითონ მიაშობო, რომ, როგორც კი მან და მამაჩემმა თაფლობის თვის შემდეგ რენო დატოვეს (მამა პირველ ცოლს უნდა გაჰყროდა), მამამ ასე უთხრა: „მამ, ასე, ახლა შეგვიძლია, საკუთარ თავებს დავუბრუნდეთ!“ და იმ დღიდან დედაჩემს წუთით მოსვენება არ ჰქონია.

მახსოვს, ბადი უილიარდმა როგორ მითხრა თავდაჯერებით, ავისმომასწავებლად, - შვილები რომ გეყოლება, თავს სულ სხვანაირად იგრძნობ - ლექსების წერა აღარ გენდომებაო. და მე დავიწყე ფიქრი: იქნებ მართლა ასეა და როცა გათხოვდები და შვილები გეყოლება, თითქოს ტვინი გადაგირეცხეს, მონასავით თვინიერი გახდები-მეთქი.

დავყურებდი კონსტანტინს, როგორც მბრწყინავ, ხელუწვდენელ კენჭს ჩაჰყურებენ ჭის ფსკერზე. მერე თვალის ქუთუთოები გაეხსნა და რომ შემომხედა, უპეები სიყვარულით ჰქონდა სავსე.

უსიტყვოდ მივაჩერდი. მერე სინაზის ბურუსი ცნობიერებამ გაუფანტა - ფართო გუბები დაეწმინდა და ხელოვნური ტყავივით დაუკრიალდა.

კონსტანტინი მთქნარებით წამოჯდა:

- რა დროა?

- სამია, - ვუთხარი მშვიდად, - აჯობებს, შინ წავიდე. სამსახურში ადრე უნდა ვიყო.

- მანქანით წაგიყვან.

საწოლზე ერთმანეთს ზურგები შევაქციეთ და ღამის ლამფის უსიამოვნოდ ჭახჭახა თეთრ შუქზე ჩვენ-ჩვენს ფეხსაცმელს ხელის ცეცებით დავუწყეთ ძებნა. ვიგრძენი, რომ კონსტანტინი შემოტრიალდა. - თმა ყოველთვის ასეთი გაქვს? - როგორი?

პასუხი არ გაუცია. დაიხარა, ხელი თმაში შემცურა და თითები ნელა გამოასრიალა, თითქოს მვარცხნიდა. სუსტმა დენმა დამიარა. არ გავნძრეულვარ. ბავშვობიდან მიყვარდა, როცა თმას მვარცხნიდნენ – ვშვიდდებოდი და მეძინებოდა.

- ვიცი, რატომაც არის ასეთი, - თქვა კონსტანტინმა, - ახალი დაბანილი გაქვს.

და დაიხარა, რომ ბუცები შეეკრა.

ერთი საათის შემდეგ ჩემი სასტუმროს საწოლზე ვიწექი და წვიმას ვუსმენდი. წვიმის ხმა არც ჰქონდა – თითქოს ონკანიდან ასხამდნენ. მარცხენა წვივში ტკივილი განმიახლდა და იმედი აღარ მქონდა, რომ შვიდამდე დავიძინებდი. შვილზე კი ჩემი მალვიძარა ატეხდა განგაშს.

ყოველთვის, როცა წვიმდა, მოტეხილი ფეხი გამაბეზრებელი ტკივილით მახსენებდა თავს.

ვფიქრობდი: „ბადი უილიარდმა მომატეხინა ეს ფეხი“.

მერე ვფიქრობდი: „არა, მე თვითონ მოვიტეხე. განგებ მოვიტეხე, რომ ჩემი უჯიშო თავისთვის ჭკუა მესწავლებინა“.

8

მისტერ უილიარდმა მანქანით ამიყვანა ადირონდაკში.

შობის მეორე დღე იყო და თავზე თოვლით სავსე, ნაცრისფერი ცის მუცელი ჩამოგვზურცვოდა. თავს თვითონაც დამძიმებულად და იმედგაცრუებულად ვგრძნობდი. შობის შემდეგ ყოველთვის ასე მემართება. აი, ჩაიარა ტოტებისა და სანთლების, ვერცხლისფერი და ოქროსფერი ბაფეთებით შემკული საჩუქრების, ნეკერჩხლის კოცონებისა და საშობაო ინდაურის, მხიარული სიმღერებისა და ფორტეპიანოს კიდევ ერთმა პარტიამ და რა შეიცვალა?

შობას ხშირად მინატრია, კათოლიკე მაინც ვიყო-მეთქი.

მანქანას ჯერ მისტერ უილიარდი მართავდა და მერე მე. არ მახსოვს, რაზე ვლაპარაკობდით. მახსოვს, რომ გადათოვლილ გზას ნაცრისფერი მთებიდან ორივე მხარეს მუქი მწვანე, თითქმის შავი ნაძვები ჩამოჰყუდებოდა და რაც უფრო ზემოთ ავდიოდით, მით უფრო ვიდუშებოდი.

ლამის იყო, მისტერ უილიარდისთვის მეთქვა, გზა მარტო განაგრძეთ, მე კი რამე მანქანას უკან გავყვები-მეთქი.

მაგრამ მისტერ უილიარდი, თავისი ბიჭურად, ზღარბივით გადაკრეჭილი ვერცხლისფერი თმით, კრიალა ცისფერი თვალებითა და ვარდისფერი ლოყებით, სულმთლად ტკბილი საქორწინო ტორტივით დნებოდა; ისეთი ალალი და ნდობით სავსე სახით მიყურებდა, რომ თქმა ვერ მოვახერხე.

შუადღეზე ნაცრისფერი ცა ოდნავ გაფერმკრთალდა. მანქანა მოყინულ მოსახვევში გავაჩერეთ და სადილისათვის მისის უილიარდის გამოტანებული თევზიანი სენდვიჩები, შვრიის ორცხობილები, ვაშლები და ყავის თერმოსი ამოვალაგეთ.

მისტერ უილიარდმა თბილად გამიღიმა, მერე ჩაახველა და ტუჩებიდან ბოლო

ნამცევები მოიცავდა. მივხვდი, ჩემთვის რაღაც სერიოზულის თქმას აპირებდა, რადგან ძალიან დამორცხვებული ჩანდა. ეკონომიკაში თავისი ლექციის დაწყების წინ მინახავს, ზუსტად ასე როგორ ახველებდა.

- მე და ნელის ყოველთვის გვინდოდა, ქალიშვილი გვყოლოდა.

ერთი წამით გავიფიქრე, მისტერ უილიარდი იმის განცხადებას აპირებს, რომ მისი უილიარდი ფეხმძიმედაა და პაწია გოგონას ელოდება-მეთქი. მან კი დააყოლა:

- შენზე უკეთეს ქალიშვილს ვერც ინატრებდა ადამიანი.

მისტერ უილიარდმა მგონი იფიქრა, მისი შვილობა ისე მინდოდა, რომ ჩემი ცრემლები სიხარულისა იყო. ხელი მხარზე მომითათუნა და კიდევ ერთი-ორჯერ ჩაახველა:

- მგონი ერთმანეთის გვესმის. - მერე თავის მხარეს მანქანის კარი გამოაღო და ვიდრე მანქანას შემოუვლიდა, ნაცრისფერი ჰაერი სუნთქვისაგან ორთქლის რკალებით აივსო. ადგილები შევცვალეთ და მანქანის ტარება მან განაგრძო.

არ ვიცი, ბადის სანატორიუმი ზუსტად როგორი წარმომედგინა.

მგონი მოველოდი, რომ პატარა მთის წვერზე რაღაც ხის კოტეჯის მსგავსი გამოჩნდებოდა და მისი აივანი სქელ საბნებში შეფუთნილი, ვარდისფერლოყება და ლამაზი ახალგაზრდებით იქნებოდა სავსე, რომლებსაც ტუბერკულოზი მხოლოდ თვალებში გამოუკრთით.

- ტუბერკულოზი ფილტვებში ბომბსავით არის, - მწერდა კოლეჯში ბადი, - გატრუნული წევხარ იმ იმედით, რომ არ აფეთქდება.

ვერ წარმომედგინა ბადი გატვრენილი მწოლიარე. მთელი მისი ცხოვრების ფილოსოფია ფეხზე ყოფნა და ყოველი წამის მოძრაობაში გაყვანა იყო. ზაფხულში, წყლის ნაპირზეც კი არასოდეს დაწოლილა მზის გულზე ჩემსავით. წინ და უკან დარბოდა და ბურთს თამაშობდა, ან ქვიშაზე სწრაფ აჭიმვებს აკეთებდა, რომ დრო ნაყოფიერად გამოეყენებინა.

მე და მისტერ უილიარდი მთელი შუადღე მისაღებში ველოდებოდით მკურნალობის დასრულებას.

მთელი სანატორიუმი გადაყვითლებული იყო მუქი ხის მასალით, წაბლისფერი ტყავის სკამებით, კედლებით, რომელიც ერთ დროს ალბათ თეთრი იყო, მაგრამ მერე ნესტისა და ღვინოს სენი შეჰყროდა. დალაქავებული ყავისფერი ქეჩა იატაკს აჰყროდა.

დაბალ, მრგვალი და ოვალური ლაქებით დაფარულ ყავის მაგიდაზეც „თაიმის“ და „ლაიფის“ რამდენიმე ნომერი იდო. პირველსავე ჟურნალს დავწვდი და გადავშალე. იქიდან ეიზენშაუერის სახემ შემომანათა - ზუსტად კოლბის ჩანასახვიით თავმოტვლეპილმა და ცარიელმა.

ცოტა ხნის შემდეგ წაკაუნის ხმა გავარჩიე. თავიდან ვიფიქრე, რომ კედლებში გამჯდარი ნესტი საიდანღაც ჟონავდა, მაგრამ მერე ოთახის ერთ კუთხეში პაწია შადრევანი შევნიშნე.

შადრევანი მილიდან ძლივს აღწევდა პატარა ნაკადად და მერე ქვის

ნიჟარაში ყვითლად დაგუბებულ წყალს წვეთ-წვეთად ემატებოდა. ნიჟარა კაფელის თეთრი, ექვსკუთხა ფილებით იყო დაფარული, ზუსტად ისეთით, საზოგადოებრივ ტუალეტებში რომაა. ამ დროს ზარის ხმაც გაისმა. კარები გაიღო და დაიხურა და ბადიც შემოვიდა.

- გამარჯობა, მამა.

ბადი მამამისს გადაეხვია, მერე კი უჩვეულოდ სახეგაბადრული, სწრაფად მოტრიალდა ჩემკენ და ხელი გამომიწოდა. ხელი ჩამოვართვი. სველი და პუტკუნა ჰქონდა.

მე და მისტერ უილიარდი გვერდიგვერდ დავსხედით ტყავის დივანზე. ბადი ჩვენ წინ, ყრიალა სავარძელში მოთავსდა. სულ გვიღიმოდა, თითქოს ტუჩის კუთხეები უხილავი მავთულით ჰქონდა აჭიმული.

ბადის გასუქებას ვერასოდეს წარმოვიდგენდი. როცა კი სანატორიუმში მისი წარმოსახვა მიცდია, თვალწინ ჩამავებული უპეები და ჩაცვნილი ყვრიმალეები წარმომიდგებოდა ხოლმე.

მაგრამ ბადის სხეულზე ყველა ძველი ჩაღრმავება ახლა ამოზურცული ჩანდა. ნეილონის მომდგარი მაისურის ქვეშ ღიპი ეკიდა და ლოყებიც მარციპანის ნაყოფივით ღაჟღაჟა და მრგვალი მოუჩანდა. სიცილიც კი როხროხა გახდომოდა.

ბადის თვალები ჩემსას შეხვდა.

- ჭამის ბრალია. მთელი დღე გვაჭმევენ და თან თითქმის სულ ვწევართ. მაგრამ ახლა სეირნობის ნება დამრთეს. ასე რომ, არ იღელვო, რამდენიმე კვირაში ისევ გავხდები - მითხრა და ბედნიერი მასპინძელივით წამოხტა, - ჩემი ოთახის ნახვა გინდა?

მე ბადის გავყევი და მისტერ უილიარდი მე მომყვა. ცუდად განათებულ, პარკეტის თუ რაღაც დამძალი ხის სუნიით სავსე მოყვითალო დერეფანში ორი ჩაბურღლმინიანი კარი გავიარეთ.

ბადიმ ყავისფერი კარი გააღო და სამივენი ვიწრო ოთახში შევლაგდით. ოთახის უდიდეს ნაწილს მომრგვალებული, თეთრზე ცისფერზოლიანი თეთრეულით გაწყობილი საწოლი იკავებდა. იქვე მაგიდა იდგა, ზედ სურით, წყლიანი ჭიქით და ვარდისფერი სადუზინფექციო ქოთნიდან ვერცხლისფრად ამოწვეტილი თერმომეტრით. წიგნებით, ფურცლებით და თიხის ასიმეტრიული, გამომწვარი და მოხატული, მაგრამ მოუპირკეთებელი ქოთნებით სავსე მეორე მაგიდა კი საწოლსა და ტანსაცმლის კარადას შორის იყო შეჭეჭყილი.

- აქაურობას არა უშავს, კეთილმოწყობილი ჩანს. - ამოისუნთქა მისტერ უილიარდმა.

ბადიმ გაიცინა.

- ეს რა არის? - მუქ მწვანე ფონზე ფაქიზად, ყვითლად მოხატულ შრომანის ფორმის საფერფლეს დაეწვდი. ბადი არ ეწეოდა.

- საფერფლეა, - მითხრა ბადიმ, - შენთვისაა.

საფერფლე უკან დავდე:

- მე არ ვეწევი.



- ვიცი, - მიპასუხა ბადიმ, - მაგრამ მაინც ვიფიქრე, რომ მოგეწონებოდა.  
- კარგით, - თქვა მისტერ უილიარდმა და თხელი ტუჩები მომუწა, - მე ახლა წავალ და ხალგაზრდებს მარტო დაგტოვებთ.

- კარგი, მამა.  
გამიკვირდა. მეგონა, რომ მისტერ უილიარდიც რჩებოდა მეორე დღემდე და უკან ერთად დავბრუნდებოდით.

- მეც წამოვიდე?

- არა, არა, - მისტერ უილიარდმა საფულიდან რამდენიმე კუპიურა ამოიღო და ბადის გაუწოდა, - ესთერს მატარებელში კარგი ადგილი უშოვ. ერთი დღე აქ დარჩება.

ბადიმ მამამისი კარამდე მიაცილა.

თავი მისტერ უილიარდისაგან მიტოვებულად ვიგრძენი. გავიფიქრე, წინასწარვე ასე ჰქონდა დაგეგმილი-მეთქი, მაგრამ ბადიმ თქვა, უბრალოდ, მამაჩემს ავადმყოფობის და მით უმეტეს, საკუთარი ვაჟის ავადმყოფობის ცქერა არ შეუძლია, რადგან თვლის, რომ ყველა ავადმყოფობა ნებისყოფის სისუსტის გამოხატულებააო. მისტერ უილიარდს თავის სიცოცხლეში თვითონ ერთი დღეც არ უავადმყოფიაო.

ბადის საწოლზე ჩამოვჯექი, სხვა დასაჯდომი არ იყო.

ბადიმ თავის ქალაღებში საქმიანად დაიწყო ქექვა. მერე თხელი ნაცრისფერი ჟურნალი მომაწოდა.

- მეთერთმეტე გვერდზე გადაშალე.

ჟურნალი სადღაც, მაინში იყო დაბეჭდილი და გადავსებული იყო ბანალური ლექსებითა და ერთმანეთისაგან ვარსკვლავებით გამოყოფილი, გადაპრანჭული აზნაცებით. მეთერთმეტე გვერდზე ლექსი დამხვდა, რომელსაც „ფლორიდის განთიადი“ ერქვა. საზამთროსფერი შუქების, კუსფერი პალმებისა და ბერძნული ქანდაკებების ნამსხვრევების მსგავსი ნიჟარების მხატვრულ სახეებს სწრაფად ჩავუყევი.

- ცუდი არაა, - ვთქვი; არადა, გავიფიქრე, ეს რა საცოდაობაა-მეთქი.

- და ვინ დაწერა? - უცნაურად ჩაიღულუნა ბადიმ.

გვერდის ქვემოთა მარცხენა კუთხეში სახელს მოვკარი თვალი - ბ. უ. უილიარდი.

- არ ვიცი, - ვთქვი და მერე შევცვალე, - რა თქმა უნდა ვიცი, ბადი, შენი ლექსია.

ბადი ჩემსკენ გადმოიხარა.

უკან გავიწიე. ტუბერკულოზის შესახებ ძალიან ცოტა ვიცოდი, მაგრამ უკიდურესად საშიშ დაავადებად მეჩვენებოდა; მით უმეტეს, რომ გარეგნულად ასეთი შეუმჩნეველი იყო. გავიფიქრე, ბადი ალბათ მთლიანად ტუბერკულოზის ჩხირებით სავსე მომაკვდინებელი აურითაა გარშემორტყმული-მეთქი.

- ნუ გეშინია, - გაიცინა ბადიმ, - დადებითი არ არის.

- დადებითი?

- არაფერი გადაგედება.

ბადიმ ისე ამოიხვნეშა, თოთქოს სადმე, ციცაბოზე ადიოდა.

- რაღაც მინდა გკითხო, - ახალი შემაწუხებელი ჩვევა ჰქონდა - თვალეში ისე მამტერდებოდა, თითქოს თავის ქალას მიხვრეტდა, რომ დაენახა, შიგნით რა ხდებოდა, - წერილობით ვაპირებდი ამის კითხვას.

ჩემს წარმოსახვაში იელისგერბიანმა ცისფერმა კონვერტმა გაიფრიალა.

- მაგრამ მერე გადავწყვიტე, რომ ჯობდა დამეცადა, ვიდრე აქ ამოხვიდოდი, რომ პირადად მეკითხა. - პაუზის შემდეგ დააყოლა: - აბა, არ გინდა გაიგო, რა შეკითხვაა?

- რა შეკითხვაა? - ხმადაბლა, უგულოდ ვკითხე.

ბადი გვერდით მომიჯდა. ხელი წელზე შემომხვია და ყურიდან თმა გადამიწია. არ გავნძრეულვარ. მერე მისი ჩურჩული ჩამესმა: - არ გინდა, მისის ბადი უილიარდი გახდე?

საშინლად მომიინდა გადახარხარება.

წარმოვიდგინე, ეს შეკითხვა რას მიზამდა ჩემ მიერ ბადის შორიდან გაღმერთების მთელ იმ ხუთ თუ ექვსწლიან პერიოდში.

ბადიმ შემატყო, რომ ვყოყმანობდი.

- ვიცი, რომ ახლა ფორმაში არა ვარ, - დაამატა სასწრაფოდ, - ისევ უნდა ვიმკურნალო და შეიძლება ერთი-ორი სემესტრი კიდევ დავკარგო, მაგრამ მომავალ შემოდგომაზე, ან უკიდურეს შემთხვევაში, გაზაფხულზე უსათუოდ უკვე უნივერსიტეტში ვიქნები... .

- რაღაც უნდა გითხრა, ბადი.

- ვიცი, - მშრალად თქვა ბადიმ, - ვილაცას შეხვდი.

- არა, ამაში არ არის საქმე.

- აბა, რაშია?

- არასოდეს გავთხოვდები.

- გიჟი ხარ, - თვალეში გაუბრწყინდა ბადის, - გადაიფიქრებ.

- არა, მე გადავწყვიტე უკვე.

მაგრამ ბადი ისევ მხიარული ჩანდა.

- გახსოვს, - ვუთხარი, - სქიტის ღამის შემდეგ ერთად რომ ვბრუნდებოდით კოლეჯში?

- მახსოვს.
- გახსოვს, რომ მკითხე, სად გირჩევნია ცხოვრება, სოფლად თუ ქალაქშიო?
- და შენ თქვი...
- და მე ვთქვი, სოფელშიც მინდა ცხოვრება და ქალაქშიც-მეთქი.

ბადიმ თავი დამიქნია.

- და შენ, - უცებ ხმა გამიუხეშდა, - გაიცინე და მითხარი, ნამდვილი ნევროტიკის მონაცემები გაქვს და ეს შეკითხვა წინა კვირას ფსიქოლოგიის გაკვეთილზე ტესტებში გვქონდაო.

ბადის სახიდან ღიმილი გადაეცალა.

- ჰოდა, შენ მართალი იყავი. მე ნევროტიკი ვარ. ვერასოდეს დავმკვიდრდები ვერც სოფელში და ვერც ქალაქში.

- ორივეში შეგიძლია იცხოვრო, - გამოსავალი იპოვა ბადიმ, - შეგიძლია, ხან სოფელში იყო და ხანაც ქალაქში.

- და რა არის ამაში ნევროზული?

ბადიმ არ მიპასუხა.

- მითხარი, - დავიჟინე. გავიფიქრე, ამ ავადმყოფებს არ უნდა ელოლიავო, თორემ სულმთლად ხელიდან წავლენ-მეთქი.

- არაფერი, - გაუბედავად, ხმადაბლა ჩაილაპარაკა ბადიმ.

- მაშ, ნევროტიკი! - ზიზღიანად ჩავიცინე, - თუ ორი ურთიერთგამომრიცხავი რამის ერთდროულად ნდომა ისტერიაა, მაშინ ჩემზე ისტერიული არავინ არსებობს. მთელი დარჩენილი ცხოვრება ორ ერთმანეთის გამომრიცხავ ადგილს შორის ვიფრენ.

ბადიმ ხელზე ხელი დამადო.

- ნება მომეცი, მეც შენთან ერთად ვიფრინო.

პისგას მთის სათხილამურო ფერდობის წვეროზე ვიდექი და ქვემოთ ვიცქირებოდი. ამსიმაღლეზე არაფერი მესაქმებოდა. აქამდე ცხოვრებაში არ ვმდგარვარ თხილამურებზე. და მაინც, ვიფიქრე, შემთხვევა ხელიდან არ უნდა გავუშვა და ხედით მაინც დავტკბე-მეთქი.

ჩემ მარცხნივ, ბუქსირით, ერთმანეთის მიყოლებით ამოდიოდნენ მოთხილამურეები და ამდენი სრიალით გადატკეპნილი ბაქანი შუადღის მზის ქვეშ მინასავით კრიალებდა. ცივმა ჰაერმა თავისი სისუფთავით ფილტვები და ნესტოები ჩამიფხრიწა.

ჩემ გარშემო წითელ, ლურჯ და თეთრ ქურთუკებში გამოწყობილი მოთხილამურეები დამაბრმაველად მოელვარე ფერდობზე ამერიკის დროშიდან ამოწყვეტილი ქსოვილის ნაწილებივით ცვიოდნენ. ქვემოთ, კოტეჯის რადიოდან მხიარული სიმღერები არღვევდა სიჩუმეს.

ჩვენი ქოხიდან იუნგფრაუს

დავყურებთ ორნი...

რიტმი და ზუზუნნი ჩემ გარშემო ისე მიექანებოდა, როგორც უხილავი მდინარე თოვლის უდაბნოში. ერთი გაბედული, ბრწყინვალე წამი და მე თვითონაც მოძრაობა წამილებდა ფერდობზე, ქვემოთ, ხაკისფერი წერტილის – მაყურებელთა შორის მდგარი ბადი უილიარდისაკენ.

ბადი მთელი დილა მასწავლიდა თხილამურებზე დგომას. თხილამურები სოფელში მეგობრისაგან ითხოვა; ექიმის ცოლს, რომელსაც ჩემზე მხოლოდ ერთი ზომით დიდი ფეხი ჰქონდა, სათხილამურო ფეხსაცმელები გამოართვა და სტუდენტი ექთნისგანაც წითელი ქურთუკი მომიტანა. მისი დაჟინება თუ მოწადინება პირდაპირ გასაოცარი იყო.

მერე გამახსენდა, რომ კოლეჯში ბადიმ ჯილდოც კი მოიპოვა იმის გამო, რომ წმინდა მეცნიერული ინტერესებით, ბევრი მიცვალებულის ახლობელი გვამის გაკვეთაზე იმ შემთხვევაშიც კი დაიყოლია, როცა გვამს გაკვეთა არ სჭირდებოდა. დამავიწყდა, ჯილდოდ რა მისცეს, მაგრამ თვალწინ დამიდგა თეთრ ხალათში გამოწყობილი ბადი, ჯიბიდან სხეულის დამატებითი ნაწილივით ამოჩრილი სტეტოსკოპით, როგორ იდგა გაღიმებული და მოწიწებითა და ტკბილი ენით იმ მიცვალებულების გამოშტერებულ, ენაჩავარდნილ პატრონებს გვამებზე მინდობილობების ხელმოსაწერად იყოლიებდა.

მერე ბადიმ თავისი ექიმისაგან, რომელსაც თავადაც სჭირდა ტუბერკულოზი და ძალიან გაგებულ იყო, მანქანა ითხოვა და როცა სანატორიუმის უმზეო დერეფნებში სეირნობის საათმა ჩამოჰკრა, მთისკენ გავქროლდით. აქამდე არც ბადი მდგარა თხილამურებზე, მაგრამ თქვა, ელემენტარული პრინციპები საკმაოდ მარტივია და რადგან ხშირად დაკვირვებულარ მოთხილამურეებსა და მათ მწვრთნელებს, შემოძლია, რაც კი საჭიროა, შენც გასწავლო. პირველი ნახევარი საათის მანძილზე პატარა ფერდობზე მორჩილად ვხაზავდი ზიგზაგებს, ჯოხებით ბიძგს ვიღებდი და ქვემოთ მოვცურავდი. ბადი ჩემი პროგრესით კმაყოფილი ჩანდა.

– ძალიან კარგია, ესთერ, – შემაქო, როცა უკვე მეოცედ გავუმკლავდი ამ ჩემს ფერდობს, – აბა ახლა საბაგირო ბაქნიდან ვცადოთ.

გულამოვარდნილი და აქოშინებული შევჩერდი თხრილზე.

– კი მაგრამ, ბადი, ზიგზაგებს ჯერ რომ ვერ ვაკეთებ? ვინც ზემოდან ეშვება, ყველამ ზიგზაგების გაკეთება იცის.

– შენ ნახევრიდან უნდა დაეშვა. მაშინ დიდი ინერციით არ წამოხვალ.

ბადი ბაგირთან მომყვა და მასწავლა, როგორ უნდა ჩამეჭიდა ხელი თოკისათვის, რომ ზემოთ ავსულიყავი.

უარის თქმა აზრადაც არ მომსვლია.

ხეშეშ, დაგრეხილ თოკს თითები შემოვხვიე და ისიც გაცურდა და ზემოთ წამიყვანა.

თოკმა ქანაობით ისე სწრაფად გამათრია, რომ შუა ფერდობზე ხელის გამშვება ვერაფრით გაგებდე. ჩემ წინაც და უკანაც მოთხილამურე იყო და გავიფიქრე, გავჩერდები თუ არა, თხილამურებსა და ჯოხებს შორის გავიჩხირები-მეთქი.

ხიფათის თავი არ მქონდა და თოკს ბოლომდე, წყნარად ჩაჭიდებული ავყევი.

თუმცაღა, ბოლოში რომ ავედი, იქ სხვა საგონებელში ჩავვარდი.

ბადიმ ქვემოდან გამარჩია, წითელ ქურთუკში რომ ვიდექი აბუზული და ვყოყმანობდი. მისი ხაკისფერი ხელები ჰაერში წისქვილის ბორბალივით დატრიალდა. მივხვდი, მანიშნებდა, მოთხილამურეთა ტალღას შორის გათავისუფლებულ ბილიკზე დაეშვიო. მაგრამ ვიდრე ყელგამშრალი ვიდექი და წონასწორობას ვინარჩუნებდი, ჩემსა და ბადის ტერფებს შორის ბილიკი გაიდლაზნა.

ეს ბილიკი ჯერ ერთმა მოთხილამურემ გადაკვეთა მარცხნიდან და მერე მარჯვნიდან – მეორემ; და ქვემოთ, ბადის ხელის მტევნებმაც ანტენის ბოლოებივით შეწყვიტეს ქანაობა პაწია მოლეკულების თუ ფერადი ძახილის ნიშნების მსგავსად მოფუსფუსე სხეულებს შორის.

ჩემი მაღალი ამფითეატრიდან მათ მიღმა გავიხედე.

ცის უზარმაზარი ნაცრისფერი თვალი დამყურებდა; მისი გადაღრუბლული მზე კომპასის ყოველი მხრიდან გაცრეცილი მთებით სავსე თეთრ და მდუმარე სივრცეებს ჩემკენ მოაქანებდა.

შინაგანი ხმა, რომელიც ჩამძახოდა, – არ გასულელდე, ტყავი გადაირჩინე, მოიდრე ეგ თხილამურები, ფიჭვების მხარეს გადადი და ქვემოთ ფრთხილად ჩადიო, – კოლოს ბზულივით მოვიცილე თავიდან. ფიქრი, რომ შეიძლებოდა ასე თავიც კი მომეკლა, ჩემს გონებაში ხესავით თუ ყვავილივით გასუსული დარჩა.

ჩემს და ბადის შორის მანძილი თვალით გავზომე. ბადის ხელები ახლა გადაჯვარედინებული ჰქონდა და ჩამორღვეული ღობის უძრავ, ყავისფერ, მოგრეხილ ფიცარს ჰგავდა.

ზედ მწვერვალზევე, ჯოხების წვეტები თოვლში ჩავარქე და იმის სრული გაცნობიერებით დავქანდი, რომ ვედარავითარი მოხერხებით თუ ნებით გზაზე ვერ დავამუხრუჭებდი.

დავეშვი.

სუსხიანი ქარი, აქამდე რომ უჩინარს ჰგავდა, ახლა პირზე მთელი ძალით შემომეხეთქა და თმა ჰორიზონტალურად გადამისიპა. ქვემოთ ვეშვებოდი, მაგრამ თეთრი მზე არ აწეულა. ეს უგრძობი ჭანჭიკი, ურომლისოდაც ქვეყანა არ იარსებებდა, იმავე სიმაღლეზე ჩამაგრებოდა მთების გამოკიდულ ტალღებს.

ჩემი სხეულის შიგნით რაღაც საპასუხო ძალა სწორედ მისკენ მიექანებოდა. შიგ ფილტვებში მეღვრებოდა პეიზაჟი – ჰაერი, მთები, ხეები, ხალხი. გავიფიქრე: „აი, ეს არის ბედნიერება“.

ჩავუქროლე მოსრიალე მოთხილამურეებს, სტუდენტებს, ინსტრუქტორებს, ჩემს საკუთარ წარსულს – სიბეჯითეს, მოკრძალებას, შიშებს...

ხალხი და ხეები ორივე მხარეს, დერეფნის ბნელი კედლებივით, გვერდზე რჩებოდა; და მე მივიწვედი მზისკენ, როგორც დერეფნის ბოლოში მოელვარე წერტილის, ჭის ფსკერზე მოლაპლაპე კენჭის, დედის საშოში განაბული თეთრი, ტკბილი ჩანასახისაკენ.

კბილებში გამცრა. ყინულის წყალი ჩამდიოდა ყელში.

ბადის სახე ძალიან ახლოდან დამცქეროდა, როგორც უზარმაზარი, დაჟღაჟა პლანეტა. სხვა სახეები მის უკან, თეთრ ფონზე, შავი წერტილებით მოჩანდა. ნაწილ-ნაწილ, ნელა, როგორც ზანტი ფერიას ჯოხის სათითაოდ შეხებით, ძველი სამყარო თავის ადგილს დაუბრუნდა.

- კარგად გამოგდიოდა, - ნაცნობმა ხმამ ინფორმაცია მომაწოდა, - ვიდრე ის კაცი არ გამოგეჩხირა ბილიკზე.

ხალხი თოკებს მხსნიდა და ორივე მხარეს ამოწვეტილ ჩემს სათხილამურო ჯოხებს თოვლიდან ამრობდა. ზედ კოტეჯთან ვეგდე.

ბადი დაიხარა, რომ ჩექმები და მათ ქვეშ რამდენიმე წყვილი მატყლის წინდა გაეხადა ჩემთვის. მისი პუტკუნა ხელი ჩემს მარცხენა ფეხს დაწვდა, მერე წვივზე გადმოვიდა; მისრესდა და გულდასმით მისინჯავდა, თითქოს ტერფში ყუმბარას ეძებდა.

გულგრილი თეთრი მზე ცის ზენიტიდან დამნათოდა. მინდოდა, იმდენ ხანს ვწოლილიყკვი მის ქვეშ, ვიდრე წმინდა ყინულად არ გადავდნებოდი; ვიდრე დანის წვეტივით გალეული და მახვილი არ დავრჩებოდი.

- კარგი, ავდგები ახლა, - ვთქვი, - კიდევ ერთხელ უნდა ვცადო.

- ვერაფერსაც ვერ ცდი.

ბადის სახეზე უცნაურმა კმაყოფილებამ გადაჰკრა.

- ვერაფერსაც ვერ ცდი, - ახლა უკვე ღიმილიც მოაყოლა, - ფეხები ორ ადგილას გაქვს გადამტვრეული. თვეობით იქნები თაბამირში.

9

„ როგორ მიხარია, რომ დაიხოცებინა“.

ჰილდა კატასავით გაიზმორა, მერე საკონფერენციო მაგიდაზე თავი მკლავებში ჩარგო და ისევ დაიძინა. ქუდიდან გამოშვერილი ხაკისფერი ჩალის ღერი წარბზე ტროპიკული ჩიტივით აჯდა.

ხაკისფერის მოდაში შემოსვლას შემოდგომისთვის ვარაუდობდნენ, მაგრამ ჰილდამ, წესისამებრ, ნახევარი წლით გაუსწრო მოდას: ხაკისფერი - შავთან, ხაკისფერი - თეთრთან, ხაკისფერი მწვანესთან, თავის ღვიძლ ბიძაშვილთან...

გონებაში მოდის ბრჭყვიალა, სულელური რეკლამები ბუშტებივით ამომიცურდა და წკაპუნით დასკდა.

როგორ მიხარია, რომ დაიხოცებინა.

იღბალს ვიწყევლიდი, რომ სასტუმროს კაფეტერიაში ჰილდას შევხვდი. ისე ვიყავი წინა ღამიდან დაღლილი, რომ ვეღარ მოვიფიქრე ბოდიშის მოხდა და ჩემს ოთახში დაბრუნება ხელთათმანის, ხელსახოცის, ქოლგის, უბის წიგნაკის, ან რა ვიცი, რამე ვითომ დარჩენილის, ასაღებად. ვერ მოვიფიქრე და სასჯელად „ამაზონის“ მქრქალი მინის კარიდან მედისონ ავენიუს ვარდისფერი მარმარილოს კარიბჭემდე ეს გრძელი, მომაბეზრებელი გასეირნება მივიღე.

ჰილდა მთელი გზა მანეკენივით მობაკუნობდა.

- რა ლამაზი ქუდია, შენ თვითონ გააკეთე?

მეგონა, მომიბრუნდებოდა და მეტყოდა, ხომ არ გაგიჟდით, მაგრამ ჰილდამ ყელი გედვიით მოიღერა:

- დიახ.

წინა ღამეს სპექტაკლი ვნახე, რომელშიც მთავარი მოქმედი გმირი ავი სულით იყო შეპყრობილი და როდესაც ავი სული მისი პირით ლაპარაკობდა, ხმა ისეთი ხორხისმიერი უხდებოდა, ვერ გარჩევდი, ქალს ეკუთვნოდა თუ კაცს. ჰილდასაც სწორედ ასეთი ხმა ჰქონდა.

წამდაუწუმ საკუთარ ანარეკლს აშტერდებოდა მაღაზიების პრიალა ვიტრინებში, თითქოს უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ არსებობას განაგრძობდა. ჩვენ შორის ისეთი უხერხული სიჩუმე იყო, რომ გავიფიქრე, ნაწილობრივ ალბათ ჩემი ბრალია-მეთქი.

ჰოდა, დაველაპარაკე: „ხომ საშინელებაა როზენბერგების ამბავი?“

და ჰილდამაც დაამთქნარა და მისი ღია ნარინჯისფერი პირი შავად გაიპო. მოჯადოებული მივაშტერდი მისი სახის სიღრმეში ბნელ გამოქვაბულს. მერე ტუჩი კვლავ ტუჩს დააწვა და ამოძრავდა და თავისი სამალავიდან ავმა სულმაც ამოილაპარაკა: „როგორ მიხარია, რომ დაიხოცებიან“.

- აბა, გაგვიღიმე.

ჯეი ქის ოფისში, ვარდისფერი ხავერდის სავარძელში, ჟურნალის ფოტოგრაფის წინ ვიჯექი და ხელში ქალაღდის ვარდი მეჭირა. თორმეტი გოგოდან ბოლო მე ვიღებდი სურათს. საგრიმიოროში დამალვა ვცადე, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ბეტსიმ კარის ქვეშ ფეხები დამინახა.

სურათის გადაღება იმიტომ არ მინდოდა, რომ მეტირებოდა. არ ვიცოდი, რატომ მეტირებოდა, მაგრამ ვიცოდი, რომ თუ ვინმე დამელაპარაკებოდა, ან ახლოს შემომხედავდა, ცრემლებს გადმოვღვრიდი და ავსლუკუნდებოდი და მერე მთელი კვირა ვიღრიალებდი. ვგრძნობდი, რომ შიგნით ცრემლები დამიგუბდნენ და ჭყაპუნობდნენ, როგორც გალიპლიპებულ ჭიქაში წყალი.

ჟურნალის გამოსაცემად ჩაბარების წინ ეს ბოლო ფოტოები იყო. მერე ყველანი დავუბრუნდებოდი ჩვენ-ჩვენს ტულზას, ბილოქსს, ტენეკს, ქუს ბეის, თუ ვინც საიდან ვიყავით. ამიტომ ამ ფოტოებზე ხელში რაიმე ჩვენი მომავალი პროფესიის ამსახველი უნდა გვჭეროდა.

ბეტსიმ თავთავების კონა დაიჭირა იმის ნიშნად, რომ ფერმერის ცოლობა უნდოდა; ჰილდას მექუდის მანეკენის უთმო, უსახო თავი ეჭირა, რადგან ქუდების დიზაინერობას აპირებდა; და დორინი კი ოქრომკერდით ნაქარგ სარის გვიჩვენებდა, - სურდა, საზოგადო მოღვაწე გამხდარიყო ინდოეთში (როგორც მითხრა, არავითარი მსგავსი სურვილი არ ჰქონია. უბრალოდ, ხელში სარის დაჭერა უნდოდა).

როცა მე მკითხეს, რა გინდა რომ გამოხვიდეო, ვუთხარი, არ ვიცი-მეთქი.

- რა თქმა უნდა, იცი, - მითხრა ფოტოგრაფმა.

- ამას უნდა, - სწორად შენიშნა ჯეი ქიმ, - რომ ყველაფერი იყოს.

ვთქვი, მინდა, პოეტი ვიყო-მეთქი.

მერე დაიწყეს ჩემთვის რამის ძებნა, რომ ხელში დამეჭირა.

ჯეი ქიმ ლექსების წიგნი შემოგვთავაზა, მაგრამ ფოტოგრაფმა თქვა, ეს ბანალური იქნებაო. რადაც ისეთი უნდა მჭეროდა, რაც ლექსებისათვის შთაგონებას იძლევა. ბოლოს ჯეი ქიმ თავის ახალ ქუდს ერთადერთი, გრძელღეროიანი ქაღალდის ვარდი ამოაცალა.

ფოტოგრაფი კაშკაშა განათების ფონზე დაფაცურდა.

- აბა, გვიჩვენე, როგორი ბედნიერი ხარ ლექსის წერისას.

ჯეი ქის მაგიდის უკან, სარკმელზე დაფენილი კაუჩუკის სქელი ფოთლების მიღმა, ლურჯ ცას მივაცქერდი. რამდენიმე გაქუცული ღრუბელი მარჯვნიდან მარცხნივ მიცურავდა. თვალი ყველაზე დიდს გავადევნე, თითქოს ის რომ ჩაივლიდა, მეც წამიყვანდა.

ვიგრძენი, პირი არ უნდა გამეტოკებინა.

- ႠႠႠႠႠႠႠႠ

ბოლოს ტუჩები მორჩილად, მარიონეტის პირივით ამეჭიმა.

- ჰეი, - ფოტოგრაფმა რაღაც იგუმანა და შეწინააღმდეგება სცადა: - ასე თითქოს ტირილს აპირებ!

თავი ვერ შევიკავე.

სახე ჯეი ქის ვარდისფერი ხავერდის სავარძელში ჩავრგე და უზარმაზარი შვებით, მთელი დილის მანძილზე დაგროვილი მლაშე ცრემლებისა და უბადრუკი ხმაურის ნიაღვარი ოთახში გადმოისხა.

როცა ავიხედე, არც ფოტოგრაფი ჩანდა და აღარც ჯეი ქი. თავი უსუსურად და მიტოვებულად ვიგრძენი. თითქოს სხეული საშინელმა მხეცმა გამომიფატრა. მხეცისაგან განთავისუფლება შვება იყო, მაგრამ თითქოს ამ მხეცმა ჩემი სულიც წაიყოლა და სხვა ყველაფერიც, რასაც კი ბრჭყალი გამოჰკრა.

ხელჩანთაში დავიწყე ქექვა კოსმეტიკის ოქროსფერი კომპლექტის ამოსაღებად, რომელსაც წამწამების ტუში, ფუნჯი, თვალის ჩრდილი, ღრუბელი, სამი პომადა და სარკე ჰქონდა. სახე, რომელმაც იქიდან შემომხედა, გისოსიდან მომზირალი ნაცემი პატიმრისას ჰგავდა: დაღურჯებული და გასიებული იყო. ამ სახეს საპონი, წყალი და ქრისტიანული მოთმინება თუ მოარჯულებდა.

გულის ფორმის პაწია ღრუბლით ჩემი სახის გაფერადება დავიწყე. კარგა ხნის შემდეგ, ჯეი ქიმ მთელი დასტა ხელნაწერებით შემომაკითხა.

ეს გაგართობსო, - მითხრა, - კარგად წაიკითხეო.

ყოველ დილით მხატვრული განყოფილების ოფისში ხელნაწერების ახალი ქათქათა ზვავი ნაცრისფრად გადამტვერილ გროვას ემატებოდა. გეგონება, მთელ ამერიკაში - კაბინეტებში, სხვენებზე, საკლასო ოთახებში - ადამიანები ერთმანეთისაგან საიდუმლოდ სხედან და წერენ. ალბათ, ყოველ წუთს ვინმე ამთავრებს თავის ხელნაწერს. ეს ნიშნავს, რომ ხუთ წუთში უკვე ხუთი



ხელნაწერი დევს მხატვრული განყოფილების მაგიდაზე, ერთ საათში - სამოცი - უკვე იატაკზეა დახვავებული. წელიწადში კი...

გავიღიძე. წარმოსახვაში ახალთახალმა ხელნაწერმა გამიელვა, ზემოთა მარჯვენა კუთხეში ესთერ გრინვუდის სახელით. ერთი თვის წინ ცნობილ მწერალს, მისი საზაფხულო სკოლის კურსზე დასაშვებად, მოთხრობის ხელნაწერი გავუგზავნე და ახლა პასუხს ველოდებოდი.

რა თქმა უნდა, ადგილები ძალიან შეზღუდული იყო. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მოთხრობა უკვე კარგა ხნის გაგზავნილი მქონდა და პასუხი ჯერ არ ჩანდა, რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ შინ ჩავიდოდი და ჩარიცხვის შესახებ წერილი საფოსტო ყუთში დამხვდებოდა.

გადავწყვიტე, ჯეი ქის სიურპრიზს მოვუწყობ და ამ საზაფხულო სკოლაში დაწერილ მოთხრობებს ფსევდონიმით გამოვუგზავნი-მეთქი. მერე, ერთ დღესაც, მხატვრული განყოფილების რედაქტორი პერსონალურად შემოვიდოდა ჯეი ქისთან, მაგიდაზე ხელნაწერს დაუდებდა და ეტყოდა: „აქ რაღაც ჩვეულებრივზე უკეთესია“; და ჯეი ქიც დათანხმდებოდა ამ მოთხრობების დაბეჭდვაზე და ავტორს სადილზეც მიიწვევდა. ეს ავტორი კი მე აღმოვჩნდებოდი.

- მართლა გეუბნები, ეს სხვანაირი ტიპია, - მითხრა დორინმა.

- ვინ არის? - ვკითხე ცივად.

პერუელია.

- დაგვაჯულები არიან, აცტეკებით მახინჯები - ვუპასუხე.

- არა, ჩემო კარგო, ნანახი მყავს.

ჩემს საწოლზე ვისხედით, ბამბისა და ნეილონის ქუყყიანი კაბებისა და საცვლების გროვაში და დორინი მთელი ათი წუთი ცდილობდა, ქანთრი კლუბში საცეკვაოდ წასვლაზე დავეთანხმებინე. იქ ვიღაცასთან უნდა მეცეკვა, ლენის მეგობრის მეგობართან, რომელიც დორინის თქმით, ძალიან განსხვავდებოდა ლენის ჩვენთვის უკვე ნაცნობი მეგობრის, ფრედისაგან. მაგრამ მეორე დღეს უკვე შინ ვბრუნდებოდი დილის რვა საათის მატარებელით და ბარგი მქონდა ჩასალაგებელი.

თანაც, გული მიგრძნობდა, რომ თუ ნიუ-იორკის ქუჩებში დამე მარტოს მომიწევდა წოწიალი, რაც ამ ქალაქთან დაკავშირებით დიდებულისა და მისტიკურის განცდა ჯერ კიდევ შემრჩენოდა, საბოლოოდ წაიშლებოდა.

მაინც დავნებდი.

ბოლო დღეებში სულ უფრო და უფრო მიძნელდებოდა რამის გადაწყვეტა. და თუ მაინც მიმიღია რამე გადაწყვეტილება, ვთქვათ: „ბარგი უნდა ჩავალაგო ჩემოდანში“, - ერთადერთი, რაც გავაკეთე, ის იყო, რომ მთელი ჩემი ჭუჭყიანი, ძვირფასი ტანსაცმელი კარადიდან გამოვყარე და სკამებზე, საწოლსა და იატაკზე მივფანტ-მოვფანტე. მერე დავჯექი და დაბნეულმა დავუწყე ყურება. თითქოს, ამ ყველაფერს საკუთარი, ჯიუტი ავტონომია ჰქონდა და უარს მიცხადებდა დარეცხვაზე, დაკეცვასა და ჩალაგებაზე.

- მერე ამ ტანსაცმელს რა ვუყო? - ვუთხარი დორინს, - რომ მოვალ, ვედარაფრის ჩალაგებას ვედარ მოვასწრებ.

- ამას რა უნდა!

და დორინმა, როგორც სჩვეოდა, მოხდენილად, ერთი ხელის მოსმით შეაგროვა მთელი ეს საცვლები, წინდები, უბრეტელო, მავთულის ძაფებით საგულდაგულოდ შეკერილი ბიუსტპალტერი (რომელიც „პრაიმროუზ კორსეტ კომპანისაგან“ საჩუქრად მერგო და რომლის ჩაცმაც ვერც ერთხელ ვერ გავბედე ცხოვრებაში), და ბოლოს ზედ სათითაოდ მიაყოლა ჩემი ორმოცდოლარიანი უგვანო კაბების სევდიანი მწკრივიც...

- ჰეი, ეგ დატოვე! მაგას ვიცვამ.

დორინმა ბოხჩიდან შავი ნაჭერი ამოაძრო და გადმომიგდო. მერე დანარჩენი ტანსაცმელი ისევ ერთ რბილ, ფუმფულა გორგლად დაახვია და თვალისგან შორს, საწოლის ქვეშ შეტენა.

დორინმა მწვანე კარზე ოქროფერი სახელური ჩამოსწია.

შიგნიდან ნაწყვეტ-ნაწყვეტ აყალმაყალი და კაცების როხროხი აღწევდა. ქერა, მაღალმა, ზღარბივით თმაგაკრეჭილმა ბიჭმა კარი ოდნავ გამოაღო და გამოიჭყიტა.

-- პატარავ! - ჩაიბუხუნა და დორინი მის მკლავებში გაუჩინარდა. გავიფიქრე, ალბათ ესაა ლენის ნაცნობი-მეთქი.

წყნარად ვიდექი კართან ჩემს შავ, მომდგარ კაბასა და ფოჩიან მოსასხამში გამოწყობილი, ფერწასული, მაგრამ არაფრის მომლოდინე. „მე დამკვირვებელი ვარ“, გამოვუცხადე საკუთარ თავს, ვიდრე დორინი ქერა ბიჭმა ახლა სხვა კაცს გადასცა, რომელიც ასევე მაღალი, მაგრამ შავგვრემანი იყო და ოდნავ უფრო გრძელი თმა ჰქონდა. ამ კაცს ბრწყინვალე ქათქათა პიჯაკის შიგნით ღია ცისფერი პერანგი ეცვა და ატლასის ყვითელ ყელსახვევზე მოელვარე ქინძისთავი ჰქონდა დაბნეული.

ამ ქინძისთავს თვალი ვეღარ მოვწყვიტე.

შიგნიდან კამკაშა თეთრი შუქი მთელს ოთახში იტყორცნებოდა. მერე ეს შუქი შიგვე ბრუნდებოდა და ოქროს ბუდეზე ცვრის წვეთს ტოვებდა.

ფეხი უნებურად გადამედგა წინ.

- ეს ალმასია, - თქვა ვიღაცამ და ხალხი ახორხოცდა.

ჩემმა ფრჩხილმა თვალზე გაიწკარუნა.

- მისი პირველი ალმასი.

- აჩუქე, მარკო!

მარკო დაიხარა და ქინძისთავი ხელისგულში ჩამიდო.

შუქი ცივი, ზეციური ცეცხლით ცეკვავდა ჩემს ხელზე. საჩქაროდ ჩემს ყალბი გიშრებით მორთულ სადამოს ხელჩანთაში ჩავაცურე და ირგვლივ მიმოვიხედე. სახეები თეფშებივით ცარიელი იყო. თითქოს არც სუნთქავდნენ.

- საბედნიეროდ, - გამომშრალი, ქვასავით ხელი შემომეჭდო მკლავზე, - მთელი სადამო ამ პატარა ლედის თაყვანისმცემელი ვიქნები. და ალბათ... -

მარკოს თვალები კუპრისფერი გაუხდა, - პატარა სამსახურსაც გამიწევს...  
ალმასის საფასურს.

ვიღაცამ ჩაიხითხითა.

მკლავზე ხელმა უფრო მომიჭირა.

- ვაი!

მარკომ ხელი გამიშვა. დავიხედე. ცერა თითის ანაბეჭდი ალისფრად მაჩნდა.  
მარკომაც დამხედა.

- უკანაც ნახე.

მკლავი მოვაბრუნე და იქაც ოთხი ნათითური დავინახე.

- ხომ ხედავ, არ ვხუმრობ.

მარკოს მოცახცახე, ძლივს შესამჩნევმა ღიმილმა ის გველი გამახსენა,  
ბრონქსის ზოოპარკში რომ გავაბრაზე. გალიის სქელ მინაზე თითით დავუკაკუნე.  
გველმა მექანიკური ყბები გახსნა და თითქოს გამიღიმა. მერე უხილავ მინას  
ეტაკა და კიდევ ეტაკა და კიდევ ეტაკა, ვიდრე არ მოვცილდი.

აქამდე ქალთმომულეს არავის შევხვედროდი.

მარკო აშკარად ქალთმომულე იყო, რადგან მთელი საღამოს მანძილზე,  
მოდელებითა და ტელეფარსკვლავებით გადავსებულ ოთახში, ჩემ გარდა  
ყურადღება არავისთვის მიუქცევია. და მეც ეს ყურადღება მხოლოდ იმიტომ  
დავიმსახურე, რომ წილად ვერგე, როგორც ბანქოს ქალადი.

ქანთრი-კლუბის ორკესტრის ერთ-ერთი წევრი მიკროფონს მიუახლოვდა და  
იმ ჩხარუნა ინსტრუმენტის ქნევა დაიწყო, ლათინურ ამერიკულ მუსიკას რომ  
მოასწავებს.

მარკო ხელზე დამწვდა, მაგრამ მე ჩემი მეოთხე ჭიქა დაიკირი ჩავბლდლუჯე.  
დაიკირი აქამდე არ მქონდა გასინჯული. ახლაც იმიტომ ვსვამდი, რომ ჩემთვის  
მარკომ შეუკვეთა. ძალიან მაღლიერი ვიყავი, რომ პირდაპირ შეუკვეთა და არ  
მკითხა, რისი დაღევა გინდაო, - უსიტყვოდ მოვსვი დაიკირის პირველი ჭიქა და  
და მერე სხვებიც მივაყოლე.

მარკომ შემომხედა.

- არა, - ვუთხარი.

- არა რას ნიშნავს?

- ამ მუსიკაზე ვერ ვცეკვავ.

- ნუ სულელობ.

- აქ მინდა დარჩენა და სასმელის დამთავრება.

მარკო ავი ღიმილით დაიხარა და ჭიქა ლამის ხელში ჩამაფშხვნა. ისე  
ჩამბლუჯა, ან უნდა გავყოლოდი, ან ნამდვილად ხელს მომაწყვეტდა.

- ეს ტანგოა, - მარკომ მოცეკვავეთა შორის შემიტაცა.- მიყვარს ტანგო.

- ვერ ვცეკვავ.

- შენ არც უნდა იცეკვო. მე გაცეკვებ.

მკლავი წელზე შემომხვია და თავის ელვარე თეთრ პიჯაკს ამაკრა. მერე მითხრა: - წარმოიდგინე, თითქოს იხრჩობი.

თვალეები დავხუჭე. მუსიკა თავსხმად დამატყდა. მარკოს ფეხი ჩემი ფეხისკენ გამოცურდა და ჩემმა ფეხმა უკან დაიხია და თითქოს მთლიანად ზედ ავეწებე, ყველა კიდურით, ავმოძრავდი, როგორც ის მოძრაობდა, ყოველგვარი საკუთარი ნებისა და ცოდნის გარეშე, და ცოტა ხანში გავიფიქრე: „ცეკვისათვის თურმე ორი ადამიანი არაა საჭირო; არამედ მარტო ერთი...“ და მატრიალებდა და მაქანავებდა, როგორც მცენარეს ქარი.

- აბა, რა გითხარი? - მარკოს სუნთქვამ ყური ამიწვა. - მშვენიერი მოცეკვავე ბრძანდები.

ახლა მივხვდი, ქალთმობულები ასე როგორ ასულელებენ ქალებს. ქალთმობულები ღმერთებს ჰგვანან: ვერაფერს ატკენ, ძალაუფლებით არიან ავსებულნი. მოდიან და მალევე ქრებიან. დაჭერას ვერ მოასწრებ.

სამხრეთამერიკული მუსიკის შემდეგ პაუზა იყო.

მარკომ ფრანგული კარიდან ბაღში გამიყვანა. საცეკვაო დარბაზის სარკმლებიდან სინათლე და ხმები იღვრებოდა, მაგრამ რამდენიმე ნაბიჯიც და ყველაფერი სიბნელემ შთანთქა. ვარსკვლავების უშორესი ციმციმის ქვეშ ხეები და ყვავილები მძაფრ სურნელს აფრქვევდნენ. მთვარე არ ჩანდა.

შენობა უკან დაგვრჩა. წინ, რამდენიმე ხის ამობურცულ ჩრდილამდე, გოლფის ცარიელი მოედანი გადაიყიმა. უცებ ვიგრძენი მთელი ამ სცენის უბადრუკობა - ქანთრი კლუბი, ცეკვები და ეს მოედანი ზედ ერთადერთი კრიკეტის ბურთით...

არ ვიცოდი ზუსტად, სად ვიყავი, მაგრამ ნიუ-იორკის რომელიღაც მდიდრული გარეუბანი იყო.

მარკოს ხელში თხელი სიგარა და ტყვიის ფორმის ვერცხლისფერი სანთებელა გაჩნდა; სიგარა ტუჩებს შორის მოიქცია და სუსტი ალისაკენ დაიხარა. მისი სახე, ზედ აცოცებული უზარმაზარი ჩრდილებითა და სინათლეებით, ლტოლვილის სახესავით უცხო და გატანჯული ჩანდა.

ვუყურებდი.

- ვინ გიყვარს? - ვკითხე.

ერთი წუთი მარკო ჩუმად იყო. მხოლოდ პირი გააღო და ორთქლის ლურჯი რკალი ამოუშვა.

- კარგია! - გადაიხარხარა.

რკალი გაფართოვდა და გაიცრიცა შავ ჰაერში.

მერე თქვა: - ჩემი ბიძაშვილი მიყვარს.

არ გამიკვირვია.

- რატომ ცოლად არ მოიყვან?

- შეუძლებელია.

- რატომ?

მარკო შეიშმუშნა.

- ჩემი ღვიძლი ბიძაშვილია. მონაზონი უნდა გახდეს.

- ლამაზია?

- მას ვერავინ შეედრება.

- იცის რომ გიყვარს?

- რა თქმა უნდა.

შევჩერდი. მათ შორის წინააღმდეგობა ხელოვნური მეჩვენა.

- თუ ის გიყვარს, ოდესმე სხვასაც შეიყვარებ.

მარკომ სიგარა ფეხქვეშ გასრისა.

მოულოდნელად მიწას დავენარცხე. თითებს შორის ტალახი ამომეგლისა.

მარკომ დამაცადა, ვიდრე ნახევრად წამოვიწყოდი. მერე ორივე ხელით მხრებში ჩამაფრინდა და უკან დამაგდო.

- კაბა!..

- კაბა! - ტალახი მხრებზე ამეწება. - შენი კაბა! მარკოს სახე ღრუბელივით გადამეფარა, - შენი კაბა შავია და ჭუჭყიც შავია.

მერე ზედ დამემხო, თითქოს ჩემი სხეულის გავლით ტალახს უნდა ჩაზელოდა.

- ახლა მოხდება, - გავიფიქრე, - თუ ასე ვიწვები და არაფერს ვიღონებ, მოხდება.

მარკო კბილებით დამწვდა თასმაზე და კაბა წელამდე ჩამომახია. შიშველმა კანმა იელვა, როგორც ორ მოსისხლე მტერს შორის ქათქათა მანდილმა.

- „კახპა!“

სიტყვები ყურთან ასისინდნენ.

- „კახპა!“

მტვერი გაიფანტა და თვალში გაიელვა სხეულების ბრძოლამ.

ჯაჯგური და კბენა დავიწყე.

მარკომ მიწას მიმასრისა.

- კახპა!

ფეხსაცმლის ბასრი წვეტი ამოვცხე ფეხში. გადაბრუნდა და ნატკენს დაუწყო სრესა. მერე თითები მუშტად შეკვარი და ცხვირში გავუქანე. თითქოს საბრძოლო

გემის ფოლადს დავარტყი. წამოჯდა. ტირილი დავიწყე. მარკომ თეთრი ხელსახოცი ამოიღო და ცხვირზე დაიდო. ქათქათა ნაჭერმა სიშავე მელანივით გაიწოვა.

მე ჩემს გადატყავებულ მუშტს ვწუწნიდი.

- დორინთან მინდა.

მარკო გოლფის მინდორს გაჰყურებდა.

- დორინთან მინდა. სახლში მინდა.

- კახპები, ყველანი კახპები არიან, - მარკო თავის თავს ელაპარაკებოდა, - გნებდებიან თუ არა, მნიშვნელობა არა აქვს.

შევანჯღრიე.

- დორინი სად არის?

ხელი ამიქნია.

მანქანების სადგომთან წადი. ყოველი მანქანის უკანა სავარძელზე ეძებე.

მერე მიმოიხედა.

- ჩემი ალმასი!

სიბნელეში მოსასხამი მოვძებნე და წამოვდექი. მარკო გზაზე გადამელობა. გამიზნულად, თითი სისხლიან ცხვირზე მოისვა და ორჯერ ჩამომისვა ლოყაზე. - ჩემი ალმასი ამ სისხლით მოვიპოვე. მომეცი.

„არ ვიცი სად არის“.

გამახსენდა, რომ ალმასი ხელჩანთაში მქონდა და როცა მარკომ ძირს დამაგდო, ხელჩანთამ სიბნელეში გაიფრიალა ღამის ჩიტით. გავიფიქრე, რომ წავა, დავბრუნდები და მოვძებნი-მეთქი. წარმოდგენა არ მქონდა, ამ ზომის ალმასით ზუსტად რის ყიდვა შეიძლებოდა, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ ძალიან ძვირფასი იყო.

მარკო ორივე ხელით ჩამაფრინდა.

- მითხარი, - მკაფიოდ გამოცრა, - მითხარი, თორემ კისერს მოგიგრებ.

ვიგრძენი, რომ ალმასი სულ არ მადარდებდა.

- ჩემს ხელჩანთაშია, სადღაც ტალახში გდია.

მარკო იდაყვებზე და მუხლებზე მოფორთხილად დავტოვე. სიბნელის რომელიღაც ნაფლეთი მის მძვინვარე თვალებს ჯიუტად უმაღავდა კაშკაშა ალმასს.

დორინი არც საცეკვაო დარბაზში იყო და არც მანქანების სადგომზე.

სულ ჩრდილ-ჩრდილ დავდიოდი, რომ არავის შეემჩნია ჩემს კაბასა და ფეხსაცმელზე აკრული ბალახი. შიშველ მკერდსა და მხრებს მოსასხამით

ვიფარავდი.

ჩემს იღბლად, ცეკვები უკვე მთავრდებოდა და ხალხი ჯგუფებად გამოდიოდა მანქანებთან. მანქანებს სათითაოდ ჩამოვუარე და ბოლოს ვიპოვე ერთი, რომელშიც თავისუფალი ადგილი ჰქონდათ და შუა მანქეტენამდე მიმიყვანეს.

ღამესა და განთიადს შორის გაურკვეველი საათი იყო და „ამაზონის“ სახურავი უკაცრიელი ჩანდა.

ჩემს ღიღილოებიან ხალხში გახვეული, ქურდივით ავიპარე მოაჯირთან. მოაჯირი თითქმის მხრამდე მწვდებოდა. ამიტომ კედელთან დახვავებული გროვიდან მოყანყალეული, გასაშლელი სკამი მოვატრიე და ზედ ავძვერი.

ჰაერის ძლიერმა ნაკადმა თმა ამიფრიალა. ჩემს ფერხთით ქალაქს სინათლეები ძილში უქრებოდა და შენობები ნელ-ნელა, ჭირისუფლებივით შავდებოდნენ.

აქ ეს ჩემი ბოლო ღამე იყო.

ბოხჩას დავწვდი, რომელიც თან ამოვიტანე და მოაჯირთან დავახვავე. უბრეტელო ვიწრო კაბამ, ტარებისაგან მოფლართულმმა, ჩემს ხელში ზავის დროშასავით გაიფრიალა - ერთხელ, ორჯერ... ნიავი წასწვდა და გავუშვი.

ღამეში ფანტელმა გაიტვიტოდა და ნელ-ნელა დაშვება დაიწყო. მაინტერესებდა, რომელ ქუჩაზე ან სახურავზე დაეცემოდა.

კვლავ ბოხჩას დავწვდი.

ქარმა თავისი კიდევ სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და ღამურას ფორმის ჩრდილი მოპირდაპირე მხარეს, კერძო სახლის სახურავს დაეცა.

ნაჭერ-ნაჭერ ვკვებავდი ღამის ქარს ჩემი გარდერობით. და ნაზად, როგორც სატრფოს ფერფლი, ნაცრისფერი ნაფლეთები ცვიოდა აქეთ და იქით, არ ვიცოდი ზუსტად სად... ყველგან, ნიუ-იორკის შავ გულში.

10

სახე, რომელიც სარკიდან შემომყურებდა, ავადმყოფი ინდიელისას ჰგავდა.

პარფიუმერიის ყუთი ჩანთაში ჩავაგდე და მატარებლის სარკმლიდან გავიხედე. ნამსხვრევებით სავსე გროვა, რომელშიც ფრაგმენტებს არაფერი აქვთ ერთმანეთთან საერთო... გიგანტური ნაგავსაყრელივით, კონექტიკუტის ჭაობები და მიწის ნაკვეთები უკან დარჩა.

რა აჭაფსანდალია სამყარო!

ჩემს უცხო ქვედაბოლოსა და ზედატანს დავხედე.

ქვედაბოლო მწვანე იყო, ტრაპეციის ფორმის, და წვრილი შავი, თეთრი და ღალანა ლურჯი კაწრებით ფარანივით ანათებდა. თეთრ ზედატანს კი, სახელოების ნაცვლად, მხრებზე ჭრილები ჰქონდა და ქსოვილი ზედ ანგელოზის პატარა ფრთებივით ეკიდა.

დამავიწყდა, ნიუ-იორკის თავზე გადაფრიალებული ბოხჩიდან ერთი ხელი ტანსაცმელი მაინც შემომენახა. ამიტომ ბეტსის ჩემი ღიღილოებიანი ხალხთი ამ ქვედაბოლოსა და ზედატანში გავუცვალე.

ჩემი მკრთალი ანარეკლი, თეთრი ფრთებითა და ყავისფერი ნაწნავით, პეიზაჟს აჰკვროდა.

- სოფლელი გომბიო, - ვთქვი ხმამაღლა.

მოპირდაპირე სკამზე ქალმა გაზეთში ჩარგული თავი ასწია.

ბოლო მომენტში დამენანა ლოყიდან ორ დიაგონალურ ზოლად შემხმარი სისხლის ჩამობანა. ისე შთამბეჭდავად გამოიყურებოდა, რომ გადავწყვიტე, ლოყაზევე დამეტოვებინა და გარდაცვლილი შეყვარებულის სახსოვარივით მეტარებინა, ვიდრე თავისით არ წაიშლებოდა.

გაცინება და თავის მკვეთრად მობრუნებაც საკმარისი იყო, რომ შემხმარი სისხლი ბოლომდე ჩამომფშვნიდა. ამიტომ ვცდილობდი, სახე არ შემეტოკებინა და ლაპარაკის დროსაც სათქმელს კბილებში ვცრიდი, ტუჩების გაუნძრევლად.

ვიფიქრე, ვისი რა საქმეა-მეთქი.

ქუჩაში ბევრი გამოიყურებოდა ჩემზე უცნაურადაც.

ჩემი ნაცრისფერი ჩემოდანი თავსზემთ, თაროზე იდო. შიგ მხოლოდ „წლის ოცდაათი საუკეთესო მოთხრობა“, თეთრი პლასტმასის სათვალის ბუდე და დორინის მიერ გამომშვიდობების ნიშნად ნაჩუქარი ოცი ავოკადო ეყარა.

ავოკადოები მკვახე იყო, გზაში რომ არ გაფუჭებულიყო, და როცა ჩემს ჩემოდანს ზემოთ ან ქვემოთ ვწევდი, ან მივათრევდი, სულ წინ და უკან დაგრუხუნობდა.

„სადგური ას ოცდარვა!“ - დაიღრიალა კონდუქტორმა.

ფიყვების, არყებისა და მუხების ნაცნობი ჯოგი გაჩერდა და მატარებლის სარკმლის ჩარჩოში დაბურული ნახატივით გაიჭედა. ჩემი ჩემოდანი გასასვლელში აგრუხუნდა.

ვაგონის კონდიცირებული ჰაერიდან სადგურის ბაქანზე გადავაბიჯე და გარუხუნების მშობლიურმა ნიავმა შემომასუნთქა - გაზონების, მიკროავტობუსების, ჩოგბურთის ჩოგნების, ძაღლებისა და ბავშვების სუნით სავსემ.

ზაფხულის სიმშვიდის უძრავი ხელი ედო ყველაფერს, როგორც სიკვდილი.

დედაჩემი ნაცრისფერ შევროლესთან მიცდიდა.

- საყვარელო, სახეზე რა გჭირს?

- გავიკაწრე, - მოკლედ ვუთხარი და ჩემოდნიანად უკანა სავარძელზე შევძვერი. არ მინდოდა, მთელი გზა ჩემი ლოყისთვის ეცქირა.

სავარძლის გადასაკრავი ახალი და პრიალა იყო.

დედა მოტრიალდა, მუხლებზე რამდენიმე წერილი დამიგდო და ისევ მიბრუნდა. მანქანამ დაიკნავლა.

- ჯობია ახლავე გითხრა, - მითხრა დედამ. ცუდი ამბავი მის კისერზევე წავიკითხე, - წერის კურსზე არ მიგიღეს.

მუცელი ამეწვა.



მთელი ივნისის განმავლობაში ეს წერის კურსი, ზაფხულის მოსაწყენ ჭაობზე გადებულ ერთადერთ კაშკაშა, უსაფრთხო ხიდად მესახებოდა. ახლა ეს ხიდი დაიბზარა და ჩამოიფშვნა და ჩემი სხეულიც, ამ თეთრი ზედატანითა და მწვანე ქვედაბოლოთი, უფსკრულისაკენ დაქანდა.

ტუჩები დამეკრუნჩხა.

გულის სიღრმეში მოველოდი ამას.

ფანჯრის ჩარჩოსთან ჩავცურდი და მინაზე ცხვირმიდებული ვუყურებდი, როგორ მიცურავდა ბოსტონის გარეუბნის სახლები. მერე ნაცნობი შენობები გამოჩნდა და კიდევ უფრო ქვემოთ ჩავიკუნჭე. თითქოს არ მინდოდა, რომ ვინმეს დავენახე.

მანქანის ნაცრისფერი სახურავი ციხის ჭერივით მეფარა; და თეთრი, განათებული, ერთნაირი ფანერის სახლები, მოვლილი ნარგავების ინტერვალებით, მოდიოდნენ და მოდიოდნენ, როგორც დაკითხვის მოწმეები.

ჩვენს დაბაში აქამდე არასოდეს გამიტარებია ზაფხული.

საბავშვო ეტლის ბორბლების ჭრიალმა ყურთასმენა წაიღო. ფარდიდან შემომძვრალმა მზემ კი თვალები გააწამა. არ ვიცი, რამდენ ხანს მეძინა, მაგრამ გათანგული ვიყავი.

გვერდითა საწოლი ცარიელი და აულაგებელი იყო.

შვიდზე მომესმა, დედაჩემი როგორ ადგა, ჩაიცვა და ოთახიდან ფეხაკრეფით გაიპარა. მერე ქვემოთა სართულიდან ფორთოხლის საწურის ზუზუნის გაისმა და კარის ღრიჭოდან ყავისა და ბეკონის სუნმაც შემოაღწია. მერე ონკანის წყალი აშხუილდა და თეფშებიც აწკრიალდა, - დედაჩემი ამშრალეზდა და თაროზე აწყობდა.

მერე წინა კარი გაიღო და დაიხურა. მერე მანქანის კარი გაიღო და ისიც დაიხურა და მერე ძრავამ დაიწყო დრრრმ-დრრრმ, და როგორც იქნა, დაიდრა და შორეთში მიჩუმდა.

დედაჩემი მთელი ქალაქის გოგონებს სტენოგრაფიასა და ბეჭდვას ასწავლიდა; შუადღემდე გარეთ იქნებოდა.

ისევ ეტლის ბორბლებმა გაიჭრიალა. ვიღაცა, აშკარად, ჩემი ოთახის ფანჯრის ქვეშ ასეირნებდა ბავშვს წინ და უკან.

საწოლიდან ფარდაგზე გადმოვძვერი და ფანჯარასთან ჩუმად მივბობლდი, რომ დამენახა, ვინ იყო.

ჩვენი ფანერის თეთრი, პატარა სახლი ორი წყნარი ქუჩის კუთხეში, პაწია მწვანე მდელოზე იდგა და ჭადრების ნარგავებით იყო გარშემორტყმული. მაგრამ ტროტუარიდან ნებისმიერ გამვლელს შეეძლო დაენახა ფანჯრის მიღმა, რა ხდებოდა მეორე სართულზე.

ეს ჩვენი კარის მეზობლის, ერთი ავი ქალის, სახელად მისის ოკენდენის, წყალობით შევიტყვე.

მისის ოკენდენი, პენსიაში გასული ექთანის, ის-ის იყო მესამედ გათხოვდა (წინა ორი ქმარი გაუგებარ ვითრებაში გარდაეცვალა) და დროს სულ თავისი გახამებული ფარდებიდან გარეთ ჭყეტაში ატარებდა.

დედაჩემს ორჯერ დაურეკა ჩემთან დაკავშირებით: ერთხელ მოახსენა, მთელი საათი ქუჩის ფარნის შუქზე სახლის წინ იჯდა და ვიღაც ლურჯქურთუკიანს ეკონავებოდაო და მეორედ უთხრა, უკეთესი იქნება, თუ თავის ოთახში ფარდებს ჩამოაფარებს, რადგან ერთ ღამეს ჩემს შოტლანდიურ ტერიერს ვასეირნებდი და ნახევრად შიშველი დავინახე, ძილის წინ რომ იხდიდაო.

თვალეები უხმაუროდ გავუსწორე რაფას.

ქალი, სიმაღლით ხუთი ფუტიც რომ არ იქნებოდა, სასაცილოდ გამობურთული მუცლით, ძველ, შავ საბავშვო ეტლს ქუჩაში მიაგორებდა. სხვადასხვა ზომის ორი თუ სამი პატარა ბავშვიც, ყველა ერთნაირად ფერმკრთალი, ერთნაირად მოთხუპნილი სახეებითა და ჭუჭყიანი, ტიტველი მუხლებით, მისი კაბის ჩრდილში დაბაჯბაჯებდა.

ქალის სახეს წყნარმა, თითქმის რელიგიურმა ღიმილმა გადაჰკრა და თავი, იხვის კვერცხზე დადებულ ბელურას კვერცხს რომ უგავდა, უკან გადაწია ბედნიერი ღიმილით. ქალი მზეს შესცქეროდა.

ამ ქალს კარგად ვიცნობდი.

დოდო კონუეი იყო.

დოდო კონუეი კათოლიკე იყო და ბარნარდში სწავლობდა. მერე არქიტექტორს გაჰყვა ცოლად, რომელიც კოლუმბიის უნივერსიტეტში სწავლობდა და ისიც კათოლიკე იყო. ქუჩის თავში, დაგრეხილი ფიყვების უკან – ჭოჭიალებით, სამთვლიანი ველოსიპედებით, თოჯინის ეტლებით, სათამაშო სახანძრო მანქანებით, ბეისბოლის ჯოხებით, ბადმინტონის ბურთებით, ზაზუნების გალიებითა და კოკერ-სპანიელის ლეკვებით გარშემორტყმული დიდი, უცნაური კონსტრუქციის სახლი ჰქონდათ.

მიუხედავად იმისა, რომ ჭორაობა მაინცდამაინ არ მიყვარს, დოდოს პიროვნება მაინტერესებდა.

მისი სახლი ჩვენს უბანში ყველა დანარჩენისაგან განსხვავდებოდა თავისი ზომით (გაცილებით უფრო დიდი იყო) და თავისი ფერით (მეორე სართული მუქი ყავისფერი ფანერისა იყო; პირველი კი ნაცრისფერი ქვის ფილებით იყო დაფარული და აქა-იქ გოლფის ბურთის ფორმის, ნაცრისფერი და იისფერი ქვები ჰქონდა ჩასმული), და ფიჭვის ხეები სახლს თვალისგან სულმთლად ფარავდა, რაც ჩვენს ერთ მდელოდ გაშლილი, დაბალი გაზონებით გამოყოფილი სახლების ფონზე ჩაკეტილობად ითვლებოდა.

დოდო ექვს ბავშვს ზრდიდა, და უეჭველია, მეშვიდესაც გაზრდიდა – ბრინჯით, მიწისთხილის კარაქიანი სენდვიჩებით, ვანილის ნაყინითა და რძით სავსე ბიდონების ჯარით.

ყველას უყვარდა დოდო, თუმცა მისი უზარმაზარი ოჯახი ყველას სალაპარაკო თემაც იყო. ახლო-მახლო უფროსი ასაკის ხალხს, დედაჩემის მსგავსად, ორ-ორი შვილი ჰყავდა, და უფრო ახალგაზრდებს, ვინც უფრო შეძლებულიც იყო – ოთხ-ოთხი. დოდოს გარდა, შვიდი არავის ჰყოლია. ექვსიც კი მეტისმეტად

ითვლებოდა. მაგრამ თან ყველა ამბობდა, დოდო ხომ კათოლიკეაო.

ვუყურებდი, თითქოს ჩემს ჯიბრზე, როგორ დააგორებდა დოდო წინ და უკან უმცროს კონუეის.

ბავშვები ცუდად მხდიან.

იატაკმა გაიჭრაჭუნა და თავი ისევ ჩავმალე, მაგრამ ზუსტად ამ დროს, ინსტინქტურად თუ რაღაც სუპერ სმენის წყალობით, კისრის პაწია ხრახნზე დოდოს სახე მოტრიალდა.

ვიგრძენი, მისმა მზერამ როგორ გახვრიტა თეთრი ფანერა და ვარდისფერი შპალერის ვარდები და იქვე, რადიატორის ვერცხლისფერ რკინასთან ჩაკუნტული მიპოვნა.

უკან, საწოლთან მივცოცდი და ზეწარი თავზე გადავიფარე. სინათლე ამანაც ვერ დაახშო. ამიტომ თავი ბალიშის ქვეშ, სიბნელეში შევყავი და წარმოვიდგინე, თითქოს ღამე იყო. ადგომაში აზრს ვერ ვხედავდი.

არაფერს ველოდი.

ცოტა ხნის შემდეგ ქვემო სართულზე ტელეფონი აწკარუნდა. ბალიში ყურებზე შემოვიხვიე და ხუთი წუთი არ გავნძრეულვარ. მერე თავი გამოვყავი. ზარი აღარ ისმოდა.

იმ წამსვე ისევ აწკარუნდა.

ლანძღვა დავუწყე, - მეგობარი იყო, ნათესავი თუ უცნობი, - ვინც ჩემი შინ დაბრუნების ამბავი იცნოსა. ფეხშიშველა ჩავფრატუნდი. შემოსასვლელის მაგიდაზე შავი აპარატი ერთსა და იმავე ნოტზე გაჰკიოდა შერეკილი ჩიტივით.

ყურმილი ავიღე.

- ალო! - ვთქვი დაბალი, მოგუდული ხმით.

- ალო, ესთერ, რა გჭირს, ანგინა გაქვს?  
ეს ჩემი მეგობარი ჯოდი იყო კემბრიჯიდან.

ჯოდი იმ ზაფხულს ფერმაში მუშაობდა და პარალელურად სოციოლოგიის ლექციებზე დადიოდა. ის და ორი სხვა გოგო ჩემი კოლეჯიდან ჰარვარდის სამართლის ფაკულტეტის ოთხი სტუდენტისაგან ზაფხულში დიდ ბინას ქირაობდნენ და როცა ჩემი წერის კურსი დაიწყებოდა, მეც მათთან ვაპირებდი გადასვლას.

ჯოდის სურდა, გაეგო, როდის ჩავდიოდი.

- აღარ მოვდივარ, კურსზე არ დამიშვეს.

პატარა პაუზა იყო.

- ვირია ეგ შენი მწერალი, - თქვა მერე ჯოდიმ, - კარგს ცუდისგან ვერ არჩევს.

- მეც ზუსტად ეგრე ვფიქრობ. ჩემი ხმა ყურებში უცნაურად, ფუტუროდ ჩამესმა.

- მაინც ჩამოდი. რამე სხვა კურსი აილე.

თავში გერმანულის ან ანომალური ფსიქოლოგიის სწავლის იდეამ გამიელვა. ნიუ-იორკში აღებული თითქმის მთელი ხელფასი შემონახული მქონდა და თავისუფლად შემემლო, ამ კურსებს შევწვდომოდი.

მაგრამ ჩემ მაგივრად ფუტურო ხმამ განაცხადა: - უკეთესი იქნება, თუ სხვა მეზობლის ძებნას დაიწყებთ.

- კარგი, - დაიწყო ჯოდიმ, - კიდევ არის ერთი გოგო, რომელსაც ჩვენთან გადმოსვლა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ვინმე უარს იტყვის...

- ჰოდა, ძალიან კარგი. იმას შესთავაზებთ.

რაწამს ყურმილი დავდე, ვინანე. უნდა მეთქვა, ჩამოვალ-მეთქი. თორემ, ერთ დილას დოღო კონუეის ბავშვის ეტლის ჭრიალი ჭკუიდან შემშლიდა. გადაწყვეტილი მქონდა, დედაჩემთან ერთად ამ სახლში ერთ კვირაზე მეტ ხანს არასოდეს მეცხოვრა. ყურმილს წავეტანე.

მაგრამ ხელი ისევ უკან გამოიწია თავისით და უღონოდ დაეშვა. ხელს კვლავ ძალა დავატანე, რომ ყურმილი აეღო, მაგრამ ისევ გაშეშდა, თითქოს მინას შეეჯახა.

სასადილო ოთახში დავბორიალობდი.

მაგიდაზე საზაფხულო სკოლიდან გამოგზავნილი გრძელი, საქმიანი წერილის კონვერტი ეგდო და კიდევ თხელი, ცისფერი კონვერტი, იელის საკანცელარიო ნიშნით, - ბადი უილიარდის მკაფიო ხელით ჩემთვის მოძღვნილი.

საზაფხულო სკოლის წერილი დანით გავხსენი.

იუწყებოდა, რომ რადგან წერის კურსზე ვერ ჩავირიცხე, შემემლო, რაიმე სხვა კურსი ამერჩია. მაგრამ ამისათვის მიმღებ ოფისში იმ დილითვე უნდა დამერეკა. წინააღმდეგ შემთხვევაში, რეგისტრაცია დაგვიანებული იქნებოდა, რადგან კურსები თითქმის სავსე იყო.

მიმღები ოფისის ტელეფონის ნომერი აკვრიფე და მოვუსმინე, ზომბის ხმამ როგორ შეატყობინა, რომ მის ესთერ გრინვუდი საზაფხულო სკოლაში დამატებით კურსზე ჩარიცხვის წინადადებას არ იღებს.

მერე ბადი უილიარდის წერილი გავხსენი.

ბადი მწერდა, რომ ლამის, ექვანი შეჰყვარებოდა, რომელსაც ასევე ტუბერკულოზი ჰქონდა, მაგრამ დედამისმა ადრონდაკში ივლისისთვის კოტეჯი იქირავა და თუ მეც მასთან ერთად ავიდოდი, იქნებ ბადი გრძნობებში გარკვეულიყო და აღმოეჩინა, რომ ექვანთან მხოლოდ ვნებიანი გატაცება აკავშირებდა.

ხელი ვტაცე კალამს და ბადის წერილი გადავჩხაპნე. მერე წერილის ფურცელი მეორე მხარეს გადმოვაბრუნე და დავწერე, რომ სინქრონისტ თარჯიმანზე დავინიშნე და არასოდეს აღარ მინდოდა ბადის დანახვა, რადგან არ მსურდა, ჩემს შვილებს ფარისეველი მამა ჰყოლოდათ.

მერე წერილი უკანვე ჩავტენე კონვერტში, დავაწებე და ზედ ბადის მისამართი დავაწერე. ახალი მარკაც კი არ მიმიკრავს. გავიფიქრე, სამ ცენტზე მეტი არ ეღირება-მეთქი.

მერე გადავწყვიტე, რომ ამ ზაფხულს რომანის წერაში გავატარებდი.

ამ რომანში ძალიან ბევრი პერსონაჟი იქნებოდა.

სამზარეულოში შევფრატუნდი, უმი კვერცხი ფინჯანში ჩავახალე, ავთქვიფე და შევჭამე. მერე ბანქოს მაგიდა გავათრიე პატარა ეზოში, სახლსა და ფარებს შორის, მოფარებულ ადგილას.

წინ ფორთოხლის უზარმაზარი ნარგავი იყო ამოშვერილი და ქუჩისგან მთლიანად მფარავდა. გვერდებიდან სახლისა და მანქანის ფარდულის კედლები მეფარებოდა, ხოლო უკან არყის ნარგავები და დახვავებული ყუთები მიცავდა მისის ოკენდენისაგან.

დერეფნის კარადაში ძველი ქუდების, ტანსაცმლის ჯაგრისებისა და ნაქსოვი შარფების გროვის ქვეშ დედაჩემის გადამალული საბეჭდი ქალაღის შეკვრიდან სამას ორმოცდაათი ფურცელი გადმოვიტვალე.

მერე უკან, ეზოში დავბრუნდი და ჩემს საბეჭდ მანქანაში პირველი ქათქათა ფურცელი ჩავდე.

შევეცადე, შორიდან შემეხედა საკუთარი თავისათვის: აი, ვიჯექი ეზოში, ორი თეთრი ფანერის კედლით, ველური ფორთოხლის ბუჩქითა და ყუთების გროვით გარშემორტყმული, როგორც თოჯინა - სათამაშო სახლში.

გული სინაზით ამევსო. ჩემი რომანის მთავარი გმირი თავად ვიქნებოდი, ოღონდ შენიღბული. მას ელაინი ერქმეოდა. ელაინი. თითებზე ასოები გადავთვალე. ესთერშიც ექვსი ასო იყო. კარგ ნიშნად მეჩვენა.

ელაინი იჯდა ეზოში, დედამისის ყვითელ ღამის პერანგში გახვეული და ელოდა, რომ რაღაც მოხდებოდა. ივლისის დახუთული დილა იყო და ოფლის წვეთები მის ზურგზე ერთმანეთის მიყოლებით, ზანტი მწერებივით მიცოცავდნენ.

საზურგეს მივეყუდე და წავიკითხე, რაც დავწერე.

საკმაოდ ცოცხალ სურათს ჰგავდა და ოფლის წვეთების მწერებთან შედარების გამო თვითკმაყოფილებაც ვიგრძენი, მაგრამ ისეთი შეგრძნება გამიჩნდა, რომ ეს დიდი ხნის წინათ სადღაც მქონდა ამოკითხული.

თითქმის ერთი საათი ვიჯექი ასე და ვფიქრობდი, შემდეგ რა დამეწერა; და ჩემს გონებაში, ფეხშიშველი თოჯინაც, დედამისის ძველი ღამის პერანგით, იჯდა და სივრცეს მიშტერებოდა.

- ძვირფასო, რად არ ჩაიცვამ?

დედაჩემი არასოდეს მავალებდა რამის გაკეთებას. მხოლოდ ტკბილად შემომთავაზებდა ხოლმე, როგორც ერთი ზრდასრული, შეგნებული ადამიანი - მეორეს.

- უკვე თითქმის სამია.

- რომანს ვწერ, გამოსაცვლელად არ მცალია.

ეზოში ტახტზე დავწეი და ნიავში თვალები დავხუჭე. მესმოდა, როგორ წმენდდა დედაჩემი საბეჭდ მანქანას, ქალაქებს ალაგებდა ბანქოს სათამაშო მაგიდიდან და ვახშმისთვის დანა-ჩანგალსაც აწყობდა, მაგრამ არ გავნძრეულვარ.

ინერტულობა კუპრივით გაიგლისა ელანის კიდურებში. ალბათ მალარიით დაავადებულნიც რაღაც ამის მსგავსს გრძნობენ, - გაიფიქრა მან.

ყოველ შემთხვევაში, დღეში ერთი გვერდის დაწერას თუ მოვახერხებდი, ესეც კარგი იყო.

მივხვდი, რატომაც არ გამომდიოდა არაფერი.

გამოცდილება მჭირდებოდა.

როგორ უნდა დამეწერა ცხოვრების შესახებ, თუ არც საყვარელი მყოლია არასოდეს, არც ბავშვი გამიჩენია და მომაკვდავიც კი არავინ მინახავს. ერთმა ჩემმა ნაცნობმა გოგომ მოკლე მოთხრობისათვის პრემია მოიგო. ეს მოთხრობა აფრიკაში, პიგმეებს შორის თავისი თავგადასავლების შესახებ დაწერა. როგორ შემეძლო, ასეთი რაღაცისათვის კონკურენცია გამეწია?

ვახშმის ბოლოს დედაჩემმა დამარწმუნა, რომ ჯობდა სადამოობით სტენოგრაფიაში მემეცადინა. ასე ერთი გასროლით ორ კურდღელს მოვკლავდი: თან რომანს დავერდი და თან რაღაც პრაქტიკულსაც ვისწავლიდი. თან ბლომად ფულსაც დავზოგავდი.

იმავე საღამოს დედამ სარდაფიდან ძველი დაფა ამოათრია და აივანზე გამოდგა. მერე დადგა ამ დაფასთან და თეთრი ცარცით უცნაური ორნამენტები გამოჰყავდა. მე კი, ვიჯექი სკამზე და ვუყურებდი.

თავიდან ოპტიმისტურად ვიყავი განწყობილი.

ვიფიქრე, სტენოგრაფიას უცებ ვისწავლი და როცა სტიპენდიების ოფისში ჭორფლიანი ქალი მკითხავს, ივლისსა და აგვისტოში რატომ არ მუშაობდიო (როგორც, წესით, ყველა სტიპენდიატი გოგო უნდა იქცეოდეს), შემეძლება ვთქვა, რომ ამის ნაცვლად სტენოგრაფიაში უფასო გაკვეთილები ავიღე, რომ კოლეჯის დამთავრებისთანავე შევძლო თავის რჩენა-მეთქი.

ერთადერთი პრობლემა ის იყო, რომ როცა კი ვცადე წარმომედგინა საკუთარი თავი რამე სამუშაოზე, სადაც ფაციფუცით ვიწერდი სტენოგრაფიის ხაზებს, ტვინი მიცარიელდებოდა. ვერცერთი სამუშაო ვერ მოვიფიქრე, სადაც სტენოგრაფიას გამოვიყენებდი და რომელიც მომეწონებოდა. და ვიდრე ვიჯექი ასე და ვუყურებდი, მთელი ეს თეთრი ცარცით ნახატი ორნამენტები უაზრობად გაიდღაბნა.

დედას ვუთხარი, თავი საშინლად მტკივა-მეთქი და დავწეი.

ერთი საათის შემდეგ კარი ოდნავ გაიღო და დედა ფეხაკრეფით შემოვიდა ოთახში. ტანსაცმლის შარიშური მესმოდა, როცა იხდიდა. მერე საწოლზე ამოძვრა. მერე სუნთქვა ნელი და თანაბარი გაუხდა. ქუჩის ფარნების მკრთალ შუქზე, რომელიც გაწეულ ფარდებში აღწევდა, დედას კულულები მავთულების გროვასავით უელავდა.

გადავწყვიტე, რომანის წერა იქამდე გადამედო, ვიდრე ევროპაში არ ჩავიდოდი და საყვარელი არ მეყოლებოდა; სტენოგრაფიის არც ერთ სიტყვასაც არ ვისწავლიდი. თუ არ ვისწავლიდი, არც არასოდეს მომიწევდა მისი გამოყენება.

მერე ვიფიქრე, ზაფხულს „ფინეგანის ქელების“ კითხვაში გავატარებ-მეთქი. ეს უკვე წინ წაგდებული საქმე იქნებოდა, როცა სექტემბერში სწავლა დაიწყებოდა და შევძლებდი, ჩემი ბოლო წლით დავმტკბარიყავი. არც კოსმეტიკის გარეშე და თმდაუფარცხნელს დამჭირდებოდა ზუთხვა, და არც ყავისა და ბენზედრინის დიეტას დავიცავდი, რასაც ფრიადოსან უფროსკურსელთა უმრავლესობა აკეთებდა საკურსოს დამთავრებამდე.

მერე ვიფიქრე, რომ სჯობდა, კოლეჯში ერთი წლით აკადემიური ამელო და მეთუნეს დავდგომოდი შეგირდად.

ან როგორმე გერმანიაში წავსულიყავი და ოფიციალტად მემუშავა, ვიდრე ორენოვანი არ გავხდებოდი.

მერე გეგმები თავში შერეკილი კურდღლების ოჯახივით გამიმრავლდა.

ჩემი ცხოვრების წლებს გზაზე ერთმანეთთან სადენებით დაკავშირებულ სატელეფონო ანძებად ვხედავდი. დავთვალე ერთი, ორი, სამი... ცხრამეტი სატელეფონო ანძა; და მერე სივრცე მავთულებში გამოიხლართა და ცხრამეტის შემდეგ ველარცერთი ანძა ველარ დავინახე.

მზერაში ოთახი ისე გაცისფრდა, ვერ მივხვდი, ღამე სად გაქრა. დედაჩემი ნახერხის ბუნდოვანი გროვიდან მძინარე შუა ხნის ქალად გადაიქცა, რომელსაც პირი ოდნავ გაღებოდა და ყელიდან ხვრინვა ამოსდიოდა. ღრუტუნის მსგავსი ხმა ნერვებს მიშლიდა. რაღაც მომენტში გავიფიქრე, რომ ამის შეჩერების ერთადერთი გზაა, ხელით ტუჩებზე დავწვდე და ერთმანეთს მივასრისო-მეთქი.

ვიდრე დედაჩემი სკოლაში არ წავიდა, თავს ვიმძინარებდი, მაგრამ დახუჭულ ქუთუთოებშიც აღწევდა სინათლე. ქუთუთოების პაწია კანის წითელი ეკრანები ნაჭრილობევივით მძიმედ ამკვროდა თვალებზე. ლეიბსა და საწოლის ჩარჩოს შორის შევძვერი და ლეიბი საფლავის ქვასავით დავიდე ზემოდან. აქ საკმაო სიბნელე იყო და თავს მყუდროდ ვგრძნობდი, მაგრამ ლეიბი არ იყო საკმარისად მძიმე.

ზემოდან კიდევ რამდენიმე ტონა იყო საჭირო, რომ დამეძინა.

მდინარის სრბოლა, ადამისა და ევას იქით, ამ ადგილას კალაპოტს არღვევს, ტრიალდება, უკან გვაბრუნებს და თვალწინ გვიშლის კვლავ ნაცნობ ჰაუზის ციხეს და შემოგარენს...

სქელი წიგნის დანახვაზე მუცელში უსიამოვნოდ გამჩხვლიტა.

მდინარის სრბოლა, ადამისა და ევას იქით...

გავიფიქრე, წინადადება აქ პატარა ასოთი იმის აღსანიშნავად იწყება, რომ სინამდვილეში თავიდან არაფერი არ იწყება-მეთქი; რომ ყველაფერი უკვე არსებულის გამეორება და გამომდინარეობაა. ევა და ადამი - გასაგებია, რომ ევა და ადამი იყო, მაგრამ აქ შეიძლება სხვა მნიშვნელობაც ჰქონდათ.

იქნებ ბარი იყო დუბლინში?

ფურცლის შუაში თვალეები უზარმაზარი სიტყვის ასოების წვნიანში ჩამეხარშა.

ბაბადღაღჳარაგჳტაკამინარრონკონნბრონტონნერრონტუნონტროვარჳ  
ოუნაწნსკაწნტოოჳოოჳოორდენენტჳჳურნუჳ!

ასოები დავთვალე. ზუსტად ასი იყო. გავიფიქრე, ეს, ალბათ,  
მნიშვნელოვანია-მეთქი.

რატომ უნდა ყოფილიყო ასი ასო?

ენის ტეხვით ვცადე სიტყვის ხმამალა წარმოთქმა.

ისეთი ჟღერადობა ჰქონდა, თითქოს ხის მძიმე საგანი ჩაგორდა კიბეზე: ბუხ  
ბუხ ბუხ, - საფეხურიდან - საფეხურზე. წიგნი ავწიე და ფურცლები მარაოსავით  
ნელა გავიფრიალე თვალებთან. სიტყვები, ბუნდოვნად ნაცნობი, მაგრამ  
რადაცნაირად გაველურებული, როგორც სახეები სიცილის ოთახის სარკეებში,  
ტრიალებდნენ, მირბოდნენ, ირეკლებოდნენ ჩემი ტვინის მინის ზედაპირზე და  
შიგ არანაირ შთაბეჭდილებას არ ტოვებდნენ.

ფურცელს აღმაცერად დავხედე.

ასოები ეკლიანებს და რქიანებს ჰგავდნენ. დავყურებდი, ერთმანეთისგან  
დამოუკიდებლად, სულელურად როგორ დახტუნავდნენ აღმა-დაღმა. მერე  
საერთოდ რაღაც ფანტასტიკური, უთარგმნელი ფორმები მიიღეს, როგორც  
ვთქვათ, არაბულმა ან ჩინურმა.

გადავწყვიტე, თავი გამენებებინა ჩემი საკურსოსათვის.

გადავწყვიტე, წარჩინებულთა სპეციალური პროგრამისთვის თავი  
გამენებებინა და ჩვეულებრივი ინგლისური ენის ფაკულტეტის სტუდენტი  
გავმხდარიყავი. ჩემს კოლეჯში ჩვეულებრივი ინგლისური ენის ფაკულტეტის  
მოთხოვნები მოვიძიე.

ძალიან ბევრი მოთხოვნა იყო და მათ ნახევარსაც კი ვერ ვაკმაყოფილებდი.  
ერთ-ერთი მოთხოვნა მეთვრამეტე საუკუნის ლიტერატურის კურსის გავლა იყო.  
მეთვრამეტე საუკუნეზე ფიქრიც კი მძულდა: გადავსებული იყო მთელი იმ  
თვითკმაყოფილი კაცებით, ლაკონურ, მოკლე, გართიმულ სტრიქონებს რომ  
წერდნენ და ასე ისტერიულად იყვნენ სიუჟეტზე მიჯაჭვულები. ფრიადოსნების  
პროგრამაში ამ კურსის გამოტოვების უფლებას გაძლევდნენ. იმდენად  
თავისუფალი ვიყავი, რომ დროის უდიდეს ნაწილს მარტო დილან ტომასს  
ვუთმობდი.

ერთმა ჩემმა მეგობარმა, რომელიც ასევე წარჩინებულთა პროგრამით  
სწავლობდა, შექსპირისაგან თავი ისე დაიძვრინა, რომ მისი ერთი სიტყვაც არ  
წაუკითხავს. სამაგიეროდ, ოთხი კვარტეტის ნამდვილი ექსპერტი იყო.

წარმოვიდგინე, როგორი შეუძლებელი და თანაც სამარცხვინო იქნებოდა  
წარჩინებულთა თავისუფალი პროგრამის - ჩვეულებრივით, უფრო მკაცრით  
შეცვლა. ამიტომ, ახლა ქალაქის კოლეჯის ინგლისური ფაკულტეტის მოთხოვნები  
მოვძებნე, სადაც დედაჩემიც ასწავლიდა.

იქ კიდევ უარესი იყო.

ძველი ინგლისურიც უნდა გცოდნოდა, ინგლისური ენის ისტორიაც და



ბეოვულფიდან მოყოლებული დღემდე დაწერილი წიგნების სპეციალური სიაც.

ამან გამაოცა. დედაჩემის კოლეჯს ყოველთვის ზემოდან დავცქეროდი, რადგან ის შერეული იყო: გოგოები და ბიჭები ერთად სწავლობდნენ, და თან, გადავსებული იყო იმ ხალხით, ვინც დიდი კოლეჯებისათვის სტიპენდია ვერ მოიპოვა.

ახლა ვხედავდი, რომ დედაჩემის კოლეჯში ყველაზე უფრო უტვინოვანი კი ჩემზე მეტი იცოდა. კარშიც არ შემახედებდნენ, დიდ სტიპენდიაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რომელსაც ჩემს კოლეჯში ვიღებდი. გავიფიქრე, – უკეთესი იქნება, თუ ერთი წლით წავიმუშავე და ყველაფერს ავწონ–დავწონი–მეთქი. იქნებ, პარალელურად, მეთვრამეტე საუკუნეც მესწავლა.

მაგრამ სტენოგრაფია რომ არ ვიცოდი, როგორ უნდა მემუშავა?

შემემლო ოფიციანტი ვყოფილიყავი ან მბეჭდავი.

მაგრამ თავის ოფიციალურად ან მბეჭდავად წარმოდგენაც კი მძულდა.

- შენ ამბობ, რომ უფრო მეტი საძილე აბი გინდა?
- დიახ.
- კი, მაგრამ გასულ კვირას რომ მოგეცი, ძალიან ძლიერმოქმედია.
- აღარ მოქმედებს.

ტერეზამ დიდი შავი თვალებით დაფიქრებით ამომხედა. ეზოდან, საკონსულტაციო ოთახის ფანჯრის ქვეშ, მისი სამი ბავშვის ხმა მესმოდა. დედაჩემი, ლიბი, იტალიელს გაჰყვა ცოლად და ტერეზა დედაჩემის მული და ჩვენი ოჯახის ექიმი იყო.

მომწონდა ტერეზა. დახვეწილი, ინტუიციით სავსე მიდგომა ჰქონდა.

ვფიქრობდი, ალბათ იმიტომ, რომ იტალიელია–მეთქი.

ცოტა ხანს პაუზა იყო.

- რა ხდება შენს თავს? – მკითხა მერე ტერეზამ.
- ვერ ვიძინებ. ვერ ვკითხულობ. – შევეცადე, გულგრილი, მშვიდი ხმით ამეხსნა, მაგრამ ყელში რაღაც გამეჩხირა და გამგუდა. ხელები გავასავსავე.
- მე მგონი, – ტერეზამ თავისი რეცეპტების წიგნაკიდან ფურცელი მოხია და სახელი და გვარი ჩამიწერა, – ჯობია, თუ ჩემს ნაცნობ სხვა ექიმს ნახავ. ვფიქრობ, ჩემზე მეტი დახმარების გაწევა შეუძლია.

ნაწერში ჩავიჭყიტე, მაგრამ ვერ წავიკითხე.

- ექიმი გორდონი, – მითხრა ტერეზამ, – ფსიქიატრია.

11

ექიმი გორდონის მოსაცდელი დახმული და კრემისფერი იყო.

კედლებიც კრემისფერი იყო, ხალიჩებიც და სავარძლის გადასაკრავებიც. კედლებზე არც ნახატი ჩანდა და არც სურათი; მხოლოდ სხვადასხვა სამედიცინო

სკოლების სერტიფიკატები იყო გამოკიდული და ზედ ყველას ექიმ გორდონის სახელი ეწერა ლათინურად. ყველგან ღია მწვანედ დაფოთლილი გვიმრითა და უფრო მუქმწვანე, ეკლიანი ფოთლებით სავსე ქოთნები იდგა - დერეფნის ბოლოშიც და ყავის და ჟურნალის მაგიდეებზეც.

თავიდან ვერ მივხვდი, ამ ოთახში თავს რატომ ვგრძნობდი ასე უსაფრთხოდ. მერე აღმოვაჩინე ამის მიზეზი - ოთახს ფანჯრები არ ჰქონდა.

ჰაერის კონდიციონერმა კანკალი დამაწყებინა.

ჯერ კიდევ ბეტსის თეთრი ზედატანი და ტრაპეცია ქვედაბოლო მეცვა. ორივე ცოტათი მოიფლართა, რადგან სახლში ყოფნის სამი კვირის მანძილზე არ გამირეცხავს. ოფლით გაჟღენთილ ბამბას მყავე, მაგრამ ჩემეული სუნი ჰქონდა.

სამი კვირის მანძილზე არც თავი დამიბანია.

შვიდი ღამე უძილოდ გავათენე.

დედაჩემმა მითხრა, ალბათ გეძინა, რადგან წარმოუდგენელია, ამდენ ხანს არ გძინებოდაო. თუ მეძინა, მაშინ, თვალებილულს მძინებია, რადგან საწოლი ოთახის საათის მწვანედ მზინავ წამების ისარს და წუთების ისარს და საათების ისარს - წრიდან წრეზე და ნახევარწრეებზე - თან დავდევი - ყოველდამ, შვიდი ღამის განმავლობაში, ერთი საათის და წუთის და წამის გამოუტოვებლად.

მიზეზი, რის გამოც არც ტანსაცმელი გამირეცხავს და არც თავი დამიბანია, ის იყო, რომ ეს სისულელედ მეჩვენებოდა.

წელიწადის დღეებს ვხედავდი, ჩემ წინ კაშკაშა, თეთრი ყუთების მწკრივად ჩარიგებულს; და ყუთებს ერთმანეთისგან პატარა მანძილები - ძილის ჩრდილები აცალკევებდა. მაგრამ ჩემთვის ეს ჩრდილის ზოლები ყუთებს შორის უცაბედად ამოქრა და დღეები წინ თვალისმომჭრელ, ფართო, უსასრულო პროსპექტად გადაიყიმა.

სისულელედ მეჩვენებოდა ერთ დღეს რამის გარეცხვა, როცა მეორე დღეს ისევ გასარეცხი მექნებოდა.

ამაზე ფიქრიც კი მლლიდა.

მინდოდა, ყველაფერი ერთხელ და სამუდამოდ გამეკეთებინა და მომესვენა.

ექიმი გორდონი ხელში ვერცხლისფერ ფანქარს ათამაშებდა.

- დედაშენი მეუბნება, რომ თავს ცუდად გრძნობ.

გრძელი, პრიალა მაგიდის გამოსწვრივ, ექიმი გორდონის პირისპირ, ტყავის სკამზე ვიყავი მოკუნტული.

ექიმი გორდონი მიცდიდა, რას ვეტყოდი და - კაკ-კუკ- ფანქარს მაგიდის წიგნაკზე აკაკუნებდა.

წამწამები ისეთი გრძელი და სქელი ჰქონდა, რომ ხელოვნურს უგავდა. შავი პლასტმასის წიწვები, ორ მწვანე კრიალა ტბაზე ჩამოშვერილი.

ექიმ გორდონს იმდენად სრულქმნილი ნაკვთები ჰქონდა, თითქმის ქალივით

ლამაზი იყო.

რაწამს კარში შევაბიჯე, უკვე მძულდა.

წარმოდგენილი მყავდა კეთილი, უშნო, ინტუიციით სავსე კაცი, რომელიც ამომხედავდა და რამეს მეტყობდა გამამხნეველად, თითქოს შეეძლო იმის დანახვა, რასაც მე ვერ ვხედავდი. მეც მოვძებნიდი სიტყვებს, რომ მეთქვა, როგორი შეშინებული ვიყავი; რომ თითქოს შავ, უჰაერო ტომარაში მტენიდნენ სულ უფრო ღრმად, რომ მერე პირი მოეკრათ.

მერე ის კაცი მიეყუდებოდა სკამის საზურგეს, ხელებს ერთად მომუჭავდა და ამიხსნიდა, თუ რატომ ვერ ვიძინებდი, ვერ ვკითხულობდი, ვერ ვჭამდი და რატომ მეჩვენებოდა ყველაფერი, რასაც ხალხი აკეთებს, ასეთ სისულელედ, რადგან ბოლოს ყველა იხოცება; და დამეხმარებოდა ნაბიჯ-ნაბიჯ საკუთარ თავს დაგბრუნებოდა.

მაგრამ ექიმი გორდონი სულაც არ იყო ასეთი. ახალგაზრდა იყო, კარგი გარეგნობისა და აშკარად – თვითკმაყოფილი.

ექიმ გორდონს მაგიდაზე ფოტო ედგა, ვერცხლის ჩარჩოში, ნახევრად მისკენ და ნახევრად ჩემი ტყავის სკამისკენ მობრუნებული. ოჯახური ფოტო იყო: ლამაზი, მუქთმიანი ქალი, რომელიც დასავით ჰგავდა ექიმ გორდონს, ორი ქერა ბავშვის თავს ზემოთ ილიმოდა.

მგონი ერთი ბავშვი ბიჭი იყო და მეორე – გოგო, მაგრამ შეიძლება ორივე ბიჭი იყო, ან ორივე – გოგო. როცა ბავშვები ასე პატარები არიან, გარჩევა ძნელია. მგონი, კიდევ ძალიან იყო იმ სურათზე, კუთხესთან – ერდელტერიერი ან მეძებარი, მაგრამ შეიძლება ეს მხოლოდ ნახატი იყო ქალის ქვედაბოლოზე.

რატომღაც ეს სურათი მაცოფებდა.

არ მესმოდა, რატომ იყო ნახევრად ჩემკენ მობრუნებული, თუ ექიმი გორდონი ამით არ ცდილობდა, ჩემთვის აქედანვე დაენახებინა: მომაჯადოებელ ქალზე ვარ დაქორწინებული და უკეთესია, თუ თავში რამე სულელური აზრი არ მოგივაო.

მერე გავიფიქრე, საერთოდ როგორ შეუძლია ექიმ გორდონს ჩემი დახმარება, როდესაც გარშემო საშობაო ბარათზე დახატული ანგელოზებივით ლამაზი ცოლი, ლამაზი ბავშვები და ლამაზი ძალი ახვევია-მეთქი.

- მოდი, შეეცადე და მითხარი, შენი აზრით, რა გაწუხებს.

სიტყვებს დაეჭვებით ვარჩევდი, როგორც მრგვალ, ზღვის წყლით გაპრიალებულ კენჭებს, რომლებმაც შეიძლება უცაბედად ბრჭყალი გამოყოფონ და რაღაც სხვად გადაიქცნენ.

ჩემი აზრით, რა მაწუხებს?

ეს ისე ჟღერდა, თითქოს სინამდვილეში არაფერი მაწუხებდა და მხოლოდ ჩემი აზრით იყო ასე.

ფუტურო, მშრალი ხმით (რათა მეჩვენებინა, რომ მისი კარგი გარეგნობითა და ოჯახური ფოტოთი სულაც არ ვიყავი მოხიბლული) ექიმ გორდონს ვუთხარი, რომ ვერც ვიძინებდი, ვერც ვჭამდი და ვერც ვკითხულობდი. მაგრამ ხელნაწერის შესახებ, რომელიც ყველაზე მეტად მაწუხებდა, არაფერი მითქვამს.

იმ დილას დორინისათვის დასავლეთ ვირჯინიაში წერილის მიწერა ვცადე. მინდოდა მეკითხა, თუ შემეძლო მასთან საცხოვრებლად ჩასვლა და კოლეჯში რაიმე სამუშაოს შოვნა.

მაგრამ, როდესაც კალამი ავიღე, ჩემმა ხელმა დიდი და დაგრეხილი ასოები გამოიყვანა, ბავშვებმა რომ იციან - ისეთი. ნაწერი ფურცელზე მარცხნიდან მარჯვნივ თითქმის დიაგონალურად ჩამოკონწიალდა, თითქოს ქაღალდზე ძაფი ეგდო, ვიღაცამ სული შეუბერა და დაგრეხილი დატოვაო.

ვიცოდი, ასეთ წერილს ვერ გავზავნიდი. ამიტომ პატარა ნაკუწებად დავხიე და უბის წიგნაკში შევინახე, ჩემს ერთგულ პარფიუმერის კომპლექტთან ერთად, რომ ფსიქიატრი თუ მომთხოვდა, მეჩვენებინა.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ექიმ გორდონს არ უთხოვია მათი ჩვენება, რადგან არ მიხსენებია. კმაყოფილმა გავიფიქრე, რა ჭკვიანი ვარ-მეთქი. გადავწყვიტე, მისთვის მხოლოდ ის მეთქვა, რისი თქმაც მინდოდა. ამ გზით ექიმის მიერ აღქმულ ჩემს სურათს თავად გავაკონტროლებდი; მაშინ, როცა მას ეგონა, რომ ძალიან ჭკვიანი იყო.

მთელი იმ დროის განმავლობაში, მე რომ ვლაპარაკობდი, ექიმ გორდონს თავი ჰქონდა ჩახრილი, თითქოს ლოცულობდა; და ჩემი ფუტურო, მშრალი ხმის გარდა, ერთადერთი ხმა - ფანქრის „კაკ-კუკ“ იყო მწვანე წიგნაკის ერთსა და იმავე წერტილში.

როცა სათქმელი დავამთავრე, თავი ასწია.

- რა თქვი, რომელ კოლეჯში ვსწავლობო?

დაეჭვებულმა ვუთხარი, კოლეჯი აქ რა შუაშია-მეთქი.

- აჰ! - ექიმი გორდონი სკამის საზურგეს მიეყუდა ჩემ მიღმა წასული მზერითა და მოგონების ღიმილით.

ვიფიქრე, რომ დიაგნოზის თქმას აპირებდა, და რომ მეტისმეტად სწრაფი და უხეში დასკვნები გავაკეთე მის შესახებ. მაგრამ მხოლოდ ეს თქვა: - შენი კოლეჯი კარგად მახსოვს. ომის დროს ვიყავი. მანდ რადიოსადგური ჰქონდათ, დაბლიუ-ეი-სი, არა? თუ ტალღები ერქვა?

არ ვიცი-მეთქი.

- ჰო, დაბლიუ-ეი-სი რადიოსადგური, ახლა გამახსენდა. მანდ ექიმად ვმუშაობდი, ვიდრე ევროპაში გამგზავნიდნენ. ღმერთო, რამდენი გოგო იყო.

ექიმმა გორდონმა გაიცინა.

მერე ერთბაშად წამოიმართა და მაგიდის კუთხის შემოვლით ჩემკენ გამოსწია. ვერ მივხვდი, რის გაკეთებას აპირებდა და მეც წამოვდექი.

ექიმი გორდონი ჩემს მარჯვენა მხარეს ჩამოკონწიალებულ ხელს დასწვდა და ჩამომართვა.

- მაშინ, მომავალ კვირას შევხვდებით.

გადაფოთლილი, სავსე ჭადრები ქომონუელზ ავენიუს ყვითელი და წითელი აგურის შენობების გასწვრივ ჩრდილის დერეფანს ქმნიდა; ტროლეიბუსი თავისი

წვრილი, ვერცხლისფერი ბილიკით ბოსტონისკენ მიგორავდა. დავიცადე, ვიდრე ტროლეიბუსი გაივლიდა, და ქუჩა მოპირდაპირე ტროტუართან მდგარი ცისფერი შვეროლესკენ გადავკვეთე.

მანქანის სარკულიდან დედა ლიმონის ნაჭერივით მყავე, შეწუხებული სახით შემომყურებდა.

- აბა, რა გითხრა?

მანქანის კარი მოვიჯახუნე, მაგრამ არ ჩაიკეტა. გავაღე და ისევ ყრუდ მოვიჯახუნე.

- მომავალ კვირას გნახავო.

დედამ ამოიოხრა.  
ექიმი გორდონი საათში ოცდახუთი დოლარი ღირდა.

- შენ ეი, რა გქვია?

- ელი ჰიგინზოტომი.

მეზღვაურმა ნაბიჯი გამისწორა და მეც გავუღიმე.

გავიფიქრე, ამ მოედანზე მტრედებზე მეტი მეზღვაურია-მეთქი: გამოდიოდნენ და გამოდიოდნენ მოედნის გადასწვრივ ნაცრისფრად შეღებილი მოხალისეთა სახლიდან, რომელსაც ყოველი მხრიდან ლურჯად და თეთრად ეკრა მოწოდება „შემოუერთდით ფლოტს!“.

- საიდანა ხარ, ელი?

- ჩიკაგოდან.

ჩიკაგოში არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ ერთი-ორ ბიჭს ვიცნობდი, რომლებიც ჩიკაგოს უნივერსიტეტში სწავლობდნენ; და ეს იმ ადგილს ჰგავდა, სადაც არასტანდარტული, შერეული ხალხი ცხოვრობდა.

- შორს წამოსულხარ სახლიდან.

მეზღვაურმა წელზე ხელი შემომხვია და კარგა ხანს ასე დავსერირობდით მოედანზე. მეზღვაური ხელს თემოზე მიფათურებდა ტრაპეციის ფორმის მწვანე ქვედაბოლოს ზემოდან, მე კიდევ, სულელურად ვიღიმოდი და ვცდილობდი, არ წამომცდენოდა, რომ ბოსტონიდან ვიყავი. ნებისმიერ მომენტში შეიძლებოდა მისის უილიარდს შევხვედროდი, ან დედაჩემის რომელიმე სხვა მეგობარს, რომელიც მოედანს ბეკონ ჰილში ფინჯანი ჩაის ან საყიდლების შემდეგ კვეთდა.

გავიფიქრე, თუ ოდესმე ჩიკაგოში მოვხვდები, სახელი მართლა ელი ჰიგინზოტომად უნდა შევიცვალო-მეთქი. მაშინ არავის ეცოდინებოდა, რომ აღმოსავლეთ სანაპიროს დიდ ქალთა კოლეჯში სტიპენდია მივატოვე, ერთი თვე ნიუ-იორკში სისულელეებს მივედ-მოვედებოდი და საკმაოდ პერსპექტიულ სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტს, რომელიც ერთ დღეს ამერიკის სამედიცინო ასოციაციის წევრი გახდებოდა და ფულიც ჩეჩქივით ექნებოდა, ცოლობაზე უარი ვუთხარი.

ჩიკაგოში ხალხი ისეთს მიმიღებდა, როგორც ვიყავი.

უბრალოდ, ელი ჰიგინბოტომი ვიქნებოდი, ობოლი. ხალხს ვეყვარებოდი ჩემი თბილი, წყნარი ბუნების გამო. არც წიგნების კითხვას დამამალეზდნენ და არც ჯეიმს ჯოისის შემოქმედებაში ტყუპების მხატვრულ სახეთა შესახებ თემების წერას; და ერთ დღესაც, უბრალოდ, ცოლად წავყვებოდი ვინმე კუნთმაგარ, მაგრამ გულკეთილ მანქანების მექანიკოსს; და მექნებოდა დიდი, ტკბილი ოჯახი, როგორც დოლო კონუეის.

...თუკი მოვისურვებდი.

- საზღვაო სამსახურს რომ დაასრულებ, მერე რისი გაკეთება გინდა? - მოულოდნელად ვკითხე მეზღვაურს.

შეცბა, რადგან ეს ყველაზე გრძელი წინადადება იყო, რომელიც მთელი ამ დროის მანძილზე წარმოვთქვი; თეთრი, კექსის მსგავსი კეპი გვერდზე მოიგდო და თავი მოიქექა.

-- რა ვიცი, ელი, ალბათ კოლეჯში წავალ.

შევეყვნდი. მერე შევთავაზესავით:

- მანქანების სადგომის გახსნა არასოდეს გიფიქრია?

- არა, - მითხრა მეზღვაურმა, - არასდროს.

თვალის კუთხიდან გავხედე. თექვსმეტზე მეტის არ იქნებოდა.

- იცი, რამდენი წლისა ვარ? - გამკიცხავად ვუთხარი.

მეზღვაური გამეკრიჭა:

- არც ვიცი და არც მაინტერესებს.

ახლა შევნიშნე, რომ ეს მეზღვაური საკმაოდ ლამაზი იყო. ჩრდილოური და უმანკო იერი ჰქონდა. აქედან უცებვე დავასკვენი, სუფთა და ლამაზ ხალხს ვხიბლავ-მეთქი.

- მაშ კარგი, ოცდაათისა ვარ, - ვუთხარი და პასუხს დაველოდე.

- კაი რა, ელი, არ ჰგავხარ. - მეზღვაურმა თემოზე მიჩქმიტა. მერე მარცხნიდან მარჯვნივ სწრაფად გაიხედა:

- მისმინე, ელი, თუ იმ კიბის უკან წავალთ, ძეგლის ქვეშ, კონცაობა შეგვიძლია.

იმ მომენტში მოედნის გადმოსწვრივ დაბალძირიანი, მოხერხებული ფეხსაცმლით ჩემკენ წამოსული ყავისფერი სილუეტი შევნიშნე. შორიდან მონეტისხელა სახეზე ნაკვთები ვერ გავარჩიე, მაგრამ ვიცოდი, რომ ეს მისის უილიარდი იყო.

- მეტროს გზას ხომ ვერ მიმასწავლიდი? - ხმამაღლა ვკითხე მეზღვაურს.

- ჰა?

- მეტროს ხაზი მჭირდება, რომელიც დირ აილენდის ციხისკენ მიდის.

როცა მისის უილიარდი მოგვიახლოვდებოდა, შევძლებდი, თავი

მომეჩვენებინა, თითქოს ამ მეზღვაურს მხოლოდ გზას ვეკითხებოდი და საერთოდ არ ვიცნობდი.

- ხელი მომაშორე, - გამოვცერი კბილებში.

- ელი, რა მოხდა?

ქალი მოგვიახლოვდა და ისე ჩაიარა, რომ არც შემოუხედავს და არც თავი დაუქნევია. რა თქმა უნდა, მისის უილიარდი არ იყო. მისის უილიარდი თავის კოტეჯში იყო, ადირონდაკში.

ქალის ზურგს შურისმგებელი მზერა გავაყოლე.

- თქვი, ელი..

- ვილაც ნაცნობში ამერია, ერთ წყეულ ქალში, ჩიკაგოს ობოლთა სახლიდან. მეზღვაურმა ხელი მომხვია ისევ.

- ესე იგი, დედ-მამა არ გყავს, ელი?

- არა მყავს, - ცრემლი მზად მქონდა; ჩამომიგორდა და ლოყაზე პაწია ცხელი კვალი დამიტოვა.

- კარგი რა, ელი, ნუ ტირი. ეს ქალი ცუდად გექცეოდა?

- ჰო... საშინლად!

ტირილი წამსკდა და ვიდრე ამერიკული ჭადრის ქვეშ მეზღვაური მეხვეოდა და ცრემლებს დიდი, სუფთა, თეთრი ტილოს ცხვირსახოციტ მიმშრალეზდა, მართლა იმაზე ვფიქრობდი, თუ რა საშინელი იყო ის ყავისფერპიჯაკიანი ქალი; და ამის შესახებ თვითონ იცოდა თუ არ იცოდა, - პასუხისმგებელი ის იყო ჩემი ყველა უბედურების, გზიდან აცდენის და ყველაფერ იმ ცუდისათვისაც, რაც მომავალში მოხდებოდა.

„აბა, ესთერ, ამ კვირაში როგორ გრძნობდი თავს?“

ექიმი თავის ფანქარს პაწია ვერცხლის ტყვიასავით ათამაშებდა ხელში.

- ისევ ისე.

- ისევ ისე? - წარბი ისე ასწია, თითქოს ჩემი არ სჯეროდა.

ისევ გავუმეორე - იმავე ფუტურო, მშრალი, ოღონდ ახლა უფრო გაღიზიანებული ხმით, რადგან ეს ექიმი ასე ნელა აზროვნებდა, რომ თოთხმეტი ღამეა, არ მძინებია და არც წერა შემემლო, არც კითხვა და არც ლუკმის გადაყლაპვა.

რა თქმა უნდა, ექიმ გორდონზე ამას შთაბეჭდილება არ მოუხდენია.

უბის წიგნაკში დავიწყე ქექვა. დორინისადმი ჩემი წერილის ნაკუწები ამოვიღე და ხელის ცახცახით ექიმი გორდონის პრიალა მწვანე სამაგიდო წიგნაკზე დავყარე. ეყარნენ უტყვად, როგორც გვირილას ფურცლები ზაფხულის მდელოზე.

- ამაზე რას ფიქრობთ?

მეგონა, ექიმი გორდონი მაშინვე შეამჩნევდა, რა საშინელი ხელწერაც იყო, მაგრამ მარტო ეს მითხრა:

- მგონი, დედაშენთან დალაპარაკება მინდა. წინააღმდეგი ხომ არ ხარ?
- არა.

არადა, სულ არ მომწონდა ექიმი გორდონის დედაჩემთან გასაუბრების იდეა. ვიფიქრე, ეტყვის, გამოსაკეთიაო. დორინისადმი ჩემი წერილის ყველა ნაკუწი წამოვკრიფე, ექიმ გორდონს რომ არ აეწყო, წაეკითხა და გაერკვია, გაქცევას რომ ვაპირებდი. სიტყვაც აღარ მითქვამს, ოთახიდან ისე გამოვედი.

ვუცქეროდი, დედაჩემი ჯერ როგორ დაპატარავდა და ექიმი გორდონის ოფისის კარში გაუჩინარდა, მერე კი იქიდან გამოსული თანდათან ისევ გაიზარდა და მანქანას მოუახლოვდა.

- რაო? - მივხვდი, რომ ნამტირალევი იყო.

დედამ არ შემომხედა. მანქანა დაძრა.

მერე, ჭადრების ზღვასავით ღრმა ჩრდილში რომ გავცურდით, მითხრა:

- ექიმ გორდონის აზრით, არანაირი პროგრესი არ გაქვს. ფიქრობს, რომ უოლტონში, მის კერძო კლინიკაში შოკური მკურნალობა უნდა ჩაგიტარდეს.

ისეთი ცნობისმოყვარეობა დამეუფლა, თითქოს გაზეთში ვიღაც სხვის შესახებ წამეკითხოს შემამრწუნებელი სათაური.

- იმის თქმა უნდა, რომ იქ უნდა დავრჩე?
- არა, - თქვა დედამ და ნიკაპი აუკანკალდა.

გავიფიქრე, იტყუება-მეთქი.

- სიმართლე მითხარი, თორემ აღარასოდეს დაგელაპარაკები.
- ყოველთვის სიმართლეს არ გეუბნები? - მითხრა და ცრემლები წამოსკდა. თვითმკვლეელი მეშვიდე სართულიდან

გადმოხტომას გადაარჩინეს

ორი საათის განმავლობაში მანქანების სადგომთან შეგროვილი ბრბოს თავზე, მეშვიდე სართულის ვიწრო შვერილზე მყოფმა მისტერ ჯორჯ პოლუჩიმ, ჩარლზ სტრიტის პოლიციის განყოფილების სერჟანტს უილ კილმარტინს უფლება მისცა, რომ მიმდებარე ფანჯრიდან უსაფრთხოდ გადმოეყვანათ.

მტრედებისთვის მოტანილი მიწისთხილის ატცენტიანი შეკვრა გავხსენი და თვითონ დავიწყე ჭამა. კუნძის ქერქივით მკვდარი გემო ჰქონდა.

გაზეთი თვალებთან ახლოს მივიტანე, რომ უკეთ შემეთვალაიერებინა ჯორჯ პოლუჩის სახე, რომელიც აგურისა და შავი ცის ბუნდოვან ფონზე ნახევარმთვარესავით იყო გამუქებული. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ამ კაცს რაღაც ჰქონდა ჩემთვის სათქმელი და ეს რაღაც სახეზე უნდა ჰქონოდა დაწერილი.

მაგრამ, რომ ვუყურებდი, ჯორჯ პოლუჩის სახის ნაკვთების გადაღბნილი ბორცვები სულმთლად ამოქრა და შავი, თეთრი და ნაცრისფერი წერტილების



გროვად გადაიქცა.

მსხვილი შავი შრიფტით დაბეჭდილი სვეტი არაფერს ამბობდა იმის შესახებ, თუ რატომ იყო მისტერ პოლუჩი მეშვიდე სართულის შვერილზე, ან სერჟანტმა კილმარტინმა ფანჯრიდან გადმოყვანის შემდეგ სად წაიყვანა.

გადმოხტომის მთელი უბედურება ის იყო, რომ თუ საჭირო სიმაღლიდან არ გადმოხტებოდი, შეიძლება, მიწაზე დასკდომის შემდეგაც ცოცხალი დარჩენილიყავი. გავიფიქრე, მეშვიდე სართული საიმედო სიმაღლე უნდა იყოს-მეთქი.

გაზეთი დავკეცე და ბალის სკამის ღრიჭოში შევტენე. ამ გაზეთს დედაჩემი სკანდალურს უწოდებდა და ის სავსე იყო ადგილობრივი მკვლევლობების, თვითმკვლევლობების, ცემისა და ქურდობის ამბებით; და ყოველ გვერდზე დაბეჭდილი იყო ნახევრად შიშველი ქალის სურათი, კაბიდან ამოჩრილი მკერდითა და ისეთნაირად გაჩაჩხული ფეხებით, რომ წინდების ბოლო ზოლებს დაუნახავდით.

არ ვიცოდი, აქამდე რატომ არასოდეს მიყივია ეს გაზეთები. ახლა ეს ერთადერთი რამე იყო, რის წაკითხვაც შემეძლო. სურათებს შორის, სათაურების ქვეშ აბზაცები მანამდე თავდებოდა, ვიდრე სიტყვები გაველურებასა და ჩახუჭუჭებას მოახერხებდნენ. ერთადერთი, რასაც შინ ვხედავდი, „ქრისჩენ საიენს მონიტორი“ იყო, რომელიც ჩვენს კიბეზე, კვირის გარდა, ყოველდღე, ხუთ საათზე ჩნდებოდა და რომელიც თვითმკვლევლობების, სექსუალური ძალადობისა და ავიაკატასტროფების ამბებს სრულიად უგულვებლყოფდა.

დიდი თეთრი გედი, ბავშვებით სავსე, ჩემს სკამს მოუახლოვდა, მერე მოტრიალდა, იხვებით სავსე პატარა ბუჩქებიან კუნძულს შემოუარა და ხიდის მუქი თალის ქვეშ უკან გაცურდა. ყველაფერი, რასაც ვუცქეროდი, კამკაშა და არაჩვეულებრივად პაწია ჩანდა.

თითქოს კარის გასაღების ღრიჭოდან, რომლის გაღებაც არ შემეძლო, საკუთარი თავი და ჩემი უმცროსი ძმა დავინახე, - ცეროდენები, ხელში კურდღლისყურება ბუშტებით. მიწისთხილის ნაჭუჭებით მოფენილი წყლის ზემოთ, გედის გემბანზე გადავძვერით და გვერდითა სკამისათვის ჩხუბი დავიწყეთ. პირი პიტნის გემოთი მქონდა სავსე. თუ კბილის ექიმთან კარგად მოვიქცეოდით, დედა ყოველთვის გედით გვასეირნებდა.

სახალხო პარკს შემოვუარე, ხიდზე გადავედი და ჩავუარე მოლურჯო-მომწვანო ქანდაკებებს, ამერიკის დროშას და ნარინჯისფრად და თეთრად დაზოლილ ჯიხურს, სადაც ოცდახუთ ცენტად შეგეძლო სურათის გადაღება. გზად ხეების სახელებს ვკითხულობდი.

ჩემი საყვარელი ხე მტირალა სწავლულის ხე იყო. გავიფიქრე, იაპონელი უნდა ვყოფილიყავი-მეთქი. იაპონიაში ესმოდათ სულისა.

როცა რაღაც ისე ვერ იყო, ნაწლავებს იყრევინებდნენ.

შევეცადე წარმომედგინა, ამას როგორ აკეთებდნენ. ალბათ უკიდურესად ბასრ დანას იღებდნენ. არა, ალბათ ორ დანას. მერე სხდებოდნენ ფეხმორთხმულნი, ორივე ხელში დანით. მერე ხელებს გადააჯვარედინებდნენ და მუცლის ორივე მხარეს დანის პირს უმიზნებდნენ. შიშვლები უნდა ყოფილიყვნენ, რომ დანა ტანსაცმელში არ გამოხლართულიყო.

მერე, ერთი სწრაფი გაელვებით, ვიდრე მეორედ მოფიქრების დრო

დარჩებოდათ, დანას დაირტყამდნენ და შემოიტარებდნენ – ერთს ზემოთა ნახევარმთვარედ და მეორეს ქვემოთა ნახევარმთვარედ, სრულ რკალად. მერე მათ მუცლებზე კანი თეფშივით გადაიხსნებოდა, შიგნეულობა გადმოუცვივდებოდათ და დაიხოცებოდნენ.

ასე სიკვდილს, ალბათ, ძალიან დიდი სიმამაცე სჭირდება.

ჩემი უბედურება ის იყო, რომ სისხლის დანახვას ვერ ვიტანდი.

გავიფიქრე, აჯობებს, თუ მთელი დამე პარკში დავრჩები-მეთქი.

მეორე დღით დოდო კონუეის მე და დედაჩემი მანქანით უნდა წავეყვანეთ უოლტონში და სანამ გვიანი არ იყო, თუ მართლა ვაპირებდი გაქცევას, ეს ახლა უნდა მომეხერხებინა. საფულეში ჩავიხედე და ათ, ხუთ და ერთცენტიანებით ერთი დოლარი და სამოცდაცხრამეტი ცენტი დავითვალე.

წარმოდგენა არ მქონდა, ჩიკაგომდე ჩასვლას რამდენი დასჭირდებოდა. ბანკში წასვლას და მთელი ჩემი ფულის გამოტანას ვერ ვბედავდი, რადგან ვიფიქრე, ექიმ გორდონს ბანკის მოხელე გაფრთხილებული ეყოლება, რომ თუკი გაქცევას დავაპირებ, დამაკავოს-მეთქი.

გამვლელი მანქანების გაყოლა მომივიდა თავში, მაგრამ ისიც კი არ ვიცოდი, ბოსტონიდან ჩიკაგოში რომელი გზატკეცილი გადიოდა. რუკაზე ადვილია მიმართულების პოვნა, მაგრამ ორიენტაციის უნარი არ მქონდა. ყოველთვის, როცა მსურდა გამერკვია, საით იყო დასავლეთი და საით აღმოსავლეთი, – ან შუაღლე იყო, ან ცა იყო მოღრუბლული, ან ღამე იყო და მე კი, დიდი დათვისა და კასიოპეას გარდა, ვარსკვლავებს შორის ვერაფერს ვცნობდი. ეს ჩემი მიწის ყოველთვის გულს სწყვეტდა ბადი უილიარდს.

გადავწყვიტე, ავტობუსების სადგურზე მივსულიყავი და ჩიკაგომდე მგზავრობის ფასი გამეგო, მერე ბანკში წავსულიყავი და მხოლოდ რამდენიც დამჭირდებოდა, იმდენი ფული გამომეტანა, რაც დაეჭვებას არ გამოიწვევდა.

ის-ის იყო, სადგურის მინის კარში შევედი და მარშრუტების ფერადი ცხრილებისა და განრიგების თვალთვლება დავიწყე, რომ გამახსენდა – ბანკი ჩემს ქალაქში ამ დროს უკვე დაკეტილი იქნებოდა; ესე იგი, მეორე დღემდე ფულის გამოტანას ვერ მოვახერხებდი.

უოლტონში ათ საათზე ვიყავი დაბარებული. ამ დროს მეგაფონი გამოცოცხლდა და გასასვლელად გამზადებული ავტობუსის გაჩერებების გამოცხადება დაიწყო. მეგაფონში ხმა ბლუყუნებდა, როგორც სჩვევიათ, ერთ სიტყვასაც რომ ვერ გაიგებ. და უცებ ამ ბგერით ხარვეზებში ნაცნობი ადგილის სახელი მომესმა ისევე გარკვევით, როგორც პიანინოს კლავიშის ხმას გამოიცნობ ორკესტრის ინსტრუმენტებში.

ეს გაჩერება ჩემი სახლიდან ორ კვარტალში იყო.

ივლისის მიწურულის ცხელი, მტვრიანი დღე იყო. წითელი ავტობუსის ძრავა უკვე თუხთუხებდა. გაოფლილი და პირგამმრალი, თითქოს რთულ ინტერვიუზე მაგვიანდებოდა, ქოშინით ავედი და დავჯექი.

მძლოლს ბილეთის საფასური გავუწოდე; და ზურგსუკან კარი უხმაუროდ მოიკეტა.

კვარცის ჩამოშლილი ქანებით გადათეთრებული, მივარდნილი სამანქანო გზა ბოლოს ბიზინა გორაკზე, ექიმ გორდონის კერძო კლინიკით დაგვირგვინდა. მოზრდილ შენობას ყვითელი ფანერის კედლები, ზედ მომრგვალებული აივნით, მზის გულზე უელავდა. მწვანე ეზო ცარიელი იყო.

მეც და დედაც ზაფხულის სიცხისაგან მოთენთილები მივფრატუნებდით. ჩვენ უკან, სპილენძისფერი ბამბუკის ტოტზე, ჭრიჭინა აჭრიალდა გაზონის საკრეჭი საჭაერო მანქანასავით და ამ ბგერამ კიდევ უფრო გაამძაფრა აქ გამეფებული სიჩუმე.

კართან ექთანი დაგვხვდა.

- სასტუმრო ოთახში დაიცადეთ, გეთაყვა. ექიმი გორდონი მალე გეახლებათ.

იმან, რომ ამ შენობაში ყველაფერი ნორმალურს ჰგავდა, შემაწუხა. ვიცოდი, რომ გიჟებით უნდა ყოფილიყო გადაჭედილი. სარკმლებზე გისოსებს ვერ ვხედავდი და არც ველური და გამყინავი ხმები ისმოდა. მზის სხივები გრძლად ეფინა გაცვეთილ, მაგრამ რბილ წითელ ხალიჩებს და ჰაერს ახლად მოჭრილი ბალახის სურნელი ატკბობდა.

სასტუმრო ოთახის კართან შევყოვნდი.

ერთი წუთით გავიფიქრე, რომ ეს ოთახი ზუსტი ასლი იყო იმ სასტუმრო ოთახისა, რომელიც მაინის სანაპიროსთან, კუნძულზე, კლუბში ვნახე. ფრანგული კარიდან თეთრი შუქი კონად იფრქვეოდა და ოთახის სიღრმეში მთელი კუთხე როიალს ეჭირა. საზაფხულო ტანსაცმელში გამოწყობილი ხალხი ბანქოს მაგიდას უსხდა. ზოგიც ოვალურ, დაწულ სავარძლებში მოკალათებულიყო, აი, ისეთებში, სანაპირო კურორტებზე ყველგან რომაა.

მერე შევნიშნე, რომ არავინ იძვროდა.

უკეთ დავაკვირდი, რომ გამომეცნო, რატომ იყო ყველა ასეთ გაშეშებულ პოზაში. ქალები, კაცები და ჩემი ხნის გოგოები და ბიჭები გავარჩიე. თუმცა, ასაკის მიუხედავად, ყველას ერთი და იგივე იერი ჰქონდა. თითქოს დიდი ხნის მანძილზე ყველა ერთად ეწყო სადღაც სიბნელეში, თაროებზე და ზედ მზიხინავი მტვერი აცვიოდათ.

მერე შევნიშნე, რომ ზოგიერთი ინძვროდა, მაგრამ ისე ნელა, რომ ერთი შეხედვით შეუძლებელი იყო შემჩნევა. ნაცრისფერსახიანი კაცი ბანქოს ქაღალდებს ითვლიდა - ერთი, ორი, სამი, ოთხი... ვიფიქრე, ალბათ, უნდა დარწმუნდეს, რომ სრული კომპლექტია-მეთქი, მაგრამ როცა თვლა დაასრულა, ისევ თავიდან დაიწყო. მის გვერდით მსუქანი ქალი ხის მძივით თამაშობდა, - მძივს ძაფის ერთი ბოლოდან მეორესკენ მარცვლავდა. მერე კი - ტკაც, ტკაც, ტკაც და - ისევ უკან ყრიდა.

ფორტეპიანოსთან ახალგაზრდა გოგონა ნოტებს ჩაჰყურებდა. მაგრამ როცა დაინახა, რომ ვუცქეროდი, გაბრაზებულმა გადახია ფურცლები.

დედამ მკლავში ჩამკიდა ხელი და ოთახში შევყევი.

ორივენი უსიტყვოდ ჩავსხედით მორყეულ სავარძელში, რომელიც ყოველ განძრევაზე ჭრიალებდა. მერე თვალი გამჭვირვალე ფარდის მიღმა მოკაშკაშე მწვანე ფონზე გამოფენილი ხალხისკენ გამექცა. ისეთი შეგრძნება მქონდა,

თითქოს ყველანი უზარმაზარი უნივერსალის ვიტრინაში ისხდნენ და ადამიანები კი არ იყვნენ, არამედ მალაზიის მანეკენები, ადამიანებით გამოწყობილები და სხვადასხვა პოზაში ცოცხლებივით გამოდგმულები.

ექიმი გორდონის შავქურთუკიან ზურგს კიბეზე ავყევით.

ქვემოთ, შემოსასვლელში, ვცადე მეკითხა – შოკით მკურნალობა როგორია–მეთქი, მაგრამ პირი რომ დავადე, სიტყვაც არ ამომსვლია. მხოლოდ თვალეზგაფართობული მივაშტერდი მომღიმარ ნაცნობ სახეს, რომელიც ჩემ წინ დაპირებებით სავსე თეფშივით ტივტივებდა.

კიბის თავზე შინდისფერი ხალიჩა გაჩერდა და კედლებზე მიხურული თეთრი კარებით სავსე დერეფანში უბრალო ყავისფერი ლინოლეუმი გაიჭიმა. ექიმ გორდონს რომ მივყვებოდი, შორს კარი გაიღო და ქალის ყვირილი გაისმა.

იმ წამსვე დერეფნის კუთხიდან ექთანი გამოჩნდა, რომელიც ლურჯ ხალათში გახვეულ, წელამდე თმაგაჩეჩილ ქალს მიათრევდა. ექიმი გორდონი განზე გადასა და მეც კედელს ავეკარი.

ექთნის მკლავებში მომწყვდეული ქალი გასხლტომას ცდილობდა და გაჰყვიროდა: „ფანჯრიდან გადავხტები, ფანჯრიდან გადავხტები!“

დალაქავებულ უნიფორმაში გამოწყობილ მოღუმულ და დაკუნთულ ელამ ექთანს ისეთი სქელი სათვალე ეკეთა, რომ ორი მრგვალი ჩარჩოდან ოთხმა თვალმა შემომხედა. შევეცადე გამომეცნო, რომელი ორი იყო ნამდვილი თვალი და რომელი ყალბი, და ნამდვილი თვალებიდან რომელი იყო ელამი და რომელი ნორმალური. ექთანმა გაბადრული სახე ცხვირთან მომიტანა და თითქოს დასამშვიდებლად ჩამსისინა: „ამას ჰგონია, რომ ფანჯრიდან გადახტება, მაგრამ ყველა ფანჯარა დალუქულია“.

როცა ექიმი გორდონი სახლის უკანა მხარეს ცარიელ ოთახში შემიძღვა, დავრწმუნდი, რომ შენობის ამ ნაწილში ფანჯრები მართლა დალუქული იყო და ყველა კარს და ყველა უჯრას გასაღების ღრიჭო ჰქონდა ჩასაკეტად.

საწოლზე დავწექი.

ელამი ექთანი დაბრუნდა. საათი მომხსნა და ჯიბეში ჩაიგდო. მერე თმიდან თმის სარკების ამოდრობა დამიწყო.

ექიმმა გორდონმა კარადიდან რაღაც დანადგარიანი, ბორბლებიანი მაგიდა გამოათრია და ჩემი საწოლის თავთან მოაგორა. ექთანმა მყრალი ქონით საფეთქლების დაზელა დამიწყო. კედლის მხარეს რომ დაიხარა ჩემი თავისაკენ, სქელმა მკერდმა ბალიშივით დამიცო სახე. წამლის სუნით იყო გაჟღენთილი.

– ნუ ნერვიულობ, – ექთანი ყურებამდე ღიმილით დამცქეროდა, – პირველ ჯერზე ყველა დაფეთებულია შიშისგან.

შევეცადე, გამედიმა, მაგრამ კანი პერგამენტივით გამხმობოდა.

ექიმმა გორდონმა თავზე ორივე მხრიდან მეტალის ფირფიტები დამიმაგრა და თოკით გადააბა, რომელიც შუბლზე მქონდა შემოხვეული. მერე მავთული მომცა, რომ კბილებით დამეჭირა.

თვალები დავხუჭე.

ჩასუნთქვასავით მოკლე სიჩუმე იყო.

და უცებ რაღაც დაიხარა, ჩამებლაუჭა და სამყაროს დასასრულივით შემაზანზარა. ვვუუუუუუუუუ-უუუუუ-უუუუ - ღმუოდა ლურჯი შუქით დაბზარულ ჰაერში და ყოველი გაელვების შემდეგ უფრო ძლიერი დარტყმა მკრუნჩხავდა. მეგონა, ძვლები ჩამემტვრეოდა და სისხლს გასრესილი ყვავილის წვენივით გამოვასხამდი.

გავიფიქრე, - ასეთი საშინელი რა ჩავიდინე-მეთქი.

დაწულ სკამზე ვიჯექი და ხელში ტომატის წვენივით სავსე პატარა კოქტეილის ჭიქა მეჭირა. საათი ისევ შეეზათ ჩემთვის მაჯაზე, მაგრამ უცნაურად გამოიყურებოდა. მერე მივხვდი, რომ უკუღმა იყო შეკრული. თმაშიც სარკების უცნაური განლაგება ვიგრძენი.

-- თავს როგორ გრძნობ?

გონებაში ძველი მეტალის ლამფა ამომიცურდა. ეს ლამფა მამაჩემის კაბინეტის მცირე რელიკვიებიდან ერთ-ერთი იყო; სპილენძის ზარის ფორმის ბუდეში ნათურა ჰქონდა ჩამაგრებული და კედელში ჩამრთველის ბუდეს გადახეხილი, დაზოლილი სადენით უერთდებოდა.

ერთ დღეს გადავწყვიტე, დედაჩემის საწოლის მხრიდან ლამფა ოთახის მეორე ბოლოში, ჩემს საწერ მაგიდასთან გადამეტანა. სადენი საკმაოდ გრძელი იყო და ვიფიქრე, რომ საწერ მაგიდას მისწვდებოდა. ამიტომ არ გამომირთავს. ლამფას და მავთულს ორივე ხელი შემოვხვებო.

უცებ რაღაც ამოვარდა ლურჯი ელვით და ისე შემაზანზარა, კბილმა კბილზე დამიწყო კრაჭუნი. ხელის გაშვება ვცადე, მაგრამ თითქოს მიმწებებოდა. ვიკვილე. უფრო სწორედ, ყელი გაფხრიწა კვილიმა, რადგან საკუთარი ხმა ვერ ვიცანი. ჰაერში მომესმა საკუთარი წივილი და ჟღრიალი, როგორც სხეულიდან ამოვარდნილი სულისა.

მერე უცებ ხელები გამითავისუფლდა და უკან, დედაჩემის საწოლზე გადავვარდი. მარჯვენა ხელისგულზე პატარა, ფანქრის წვეტივით გაშავებული ნახვრეტი გამჩენოდა.

- თავს როგორ გრძნობ?  
- კარგად.

არადა, თავს საშინლად ვგრძნობდი.

- რა თქვი, რომელ კოლეჯში დავდიოდით?

ვუთხარი ჩემი კოლეჯის სახელი.

- აჰ! - ექიმი გორდონის სახე ნელმა, თითქმის ტროპიკულმა ღიმილმა გაანათა, - რადიოსადგური ჰქონდათ მანდ ომის დროს, არა?

დედაჩემის ხელები ძვლისფერი იყო, თითქოს ლოდინის საათმა კანი გადააცალა. მზერა ჩემგან სწრაფად გადაიტანა ექიმ გორდონზე და იმან, მგონი, თავი დაუქნია ან გაუღიმა, რადგან დედას სახე დაუმშვიდდა.

- რამდენჯერმე კიდევ დასჭირდება შოკით მკურნალობა, მისის გრინვუდ, და

ვფიქრობ, მშვენიერ ცვლილებას შენიშნავთ, - მომესმა ექიმის ნათქვამი.

ის გოგო ჯერ კიდევ ფორტეპიანოს სკამზე იჯდა და დახეული ნოტები ფეხებთან მკვდარი ჩიტივით ესვენა. მომაშტერდა და მეც მივაშტერდი. თვალები დაუვიწროვდა. ენა გამომიყო.

დედაჩემი ექიმ გორდონს კარისკენ მიჰყვებოდა. ფეხი ავითრიე და როცა დერეფნის კუთხეში გაუხვიეს, გოგონას შემოვუტრიალდი და დავეყყანე. ენა შესწია და სახე გაუქვავდა.

მზეში გამოვედი.

ხის პანტერასავით დაწინწკლულ ჩრდილში დოდო კონუეის შავი სტაციონარული ვაგონი გველოდებოდა.

ეს სტაციონარული ვაგონი თავდაპირველად ვიღაც მდიდარმა ქალბატონმა შეუკვეთა. ასეთი უნდოდა - გარედანაც სულმთლად შავი და შიგნითაც შავი ტყავის გადასაკრავებით. მაგრამ როცა ვაგონი მიუყვანეს, დეპრესიაში ჩავარდა - კუბოს ჰგავსო. სხვებიც ასე ფიქრობდნენ და ვერავის მიჰყიდა. კონუეებმა კი ნახევარ ფასად წამოიყვანეს და, ამგვარად, რამდენიმე ასეული დოლარი დაზოგეს.

წინა სავარძელში ვიჯექი, დედაჩემსა და დოდო კონუეის შორის. თავს განადგურებულად ვგრძნობდი. რამდენჯერაც კი გონების მოკრება ვცადე, ტვინი უკიდევანო, ცარიელ სივრცეში გამიცურდა და იქ დაქანაობდა უმიზნოდ.

- გათავდა, ამ ექიმი გორდონის დანახვაც აღარ მინდა, - ვთქვი, როცა დოდო და მისი შავი სტაციონარული ვაგონი ფიყვების უკან დავტოვეთ.

- შეგიძლია მიხვიდე და უთხრა, რომ მომავალ კვირას აღარ წამოვალ.

დედამ გაიღიმა.

- ვიცოდი, რომ ჩემი პაწია ასეთი არ იყო.

შევხედე.

- როგორი?

- იმ საშინელი ხალხის მსგავსი. საშინელი, მკვდარი ხალხის მსგავსი - იმ კლინიკაში რომ იყო, - თქვა დედამ და წამით შეჩერდა, - ვიცოდი, რომ გადაწყვეტი, კვლავ სიცოცხლეს დაბრუნებოდი.

ამომავალი ვარსკვლავი 68-საათიანი

კომის შემდეგ ილუპება

უბის წიგნაკი მოვქექე. ქაღალდის ნახევები, პარფიუმერიის კომპლექტი, მიწისთხილის ნაფცქვენები, ატცენტიანები და ხუთცენტიანები, ცისფერი კოლოფი ცხრამეტი ცალი ერთჯერადი სამართებლით - ყველაფერი მომხვდა ხელში, ვიდრე იმ შუადღეს ნარინჯისფრად და თეთრად დაზოლილ ჯიხურში გადაღებულ ჩემს ფოტოს ვიპოვიდი.

ამოვიღე და მკვდარი გოგონას გადღაბნილ ფოტოსურათს გვერდით მივუდე.

ზუსტად დაემთხვა - პირი - პირს და ცხვირი - ცხვირს. ერთადერთი განსხვავება

თვალეში იყო. ჩემს ფოტოზე თვალეები ღია იყო და გაზეთის სურათზე კი დახუჭული. მაგრამ ვიცოდი, რომ მკვდარი გოგონას თვალეები ძალით რომ გაეხსნათ, ზუსტად ისეთივე მკვდარი, შავი, ცარიელი მზერით შემომხედავდნენ, როგორც თვალეები ჩემი ფოტოდან.  
ფოტო უკან, ჩემს უბის წიგნაკში ჩავტენე.

„კიდევ ხუთი წუთი ვიჯდები ბაღში, ვიდრე იმ შენობის საათში ისარი თორმეტთან არ მივა“, ვუთხარი საკუთარ თავს, და მერე წავალ სადმე და მოვათავებ.“

გონებაში ხმების პატარა გუნდი მოვკრიბე:

„შენი სამუშაო გაინტერესებს, ესთერ?“

„იცი, ესთერ, ნამდვილი ნევროტიკის მონაცემები გაქვს.“

„ასე ვერაფერს მიაღწევ, ასე ვერაფერს მიაღწევ, ასე ვერაფერს მიაღწევ.“

ზაფხულის ერთ ცხელ ღამეს, მთელი საათი გორილასავით გაბანჯგვლულ იელის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტს ვკოცნიდი. შემეცოდა, ისეთი მახინჯი იყო. როცა კოცნაობას მოვრჩით, მითხრა:

- მაგარი ძველმოდური ხარ, პატარავ. ორმოცი წლისა ნამდვილი მორალისტი იქნები.

- არტეფაქტულია! - ჩემი მხატვრული წერის პროფესორმა უგულოდ დახედა ჩემს მოთხრობას, რომელსაც „გრძელი შაბათ-კვირა“ დავარქვი.

არტეფაქტის ყველა მნიშვნელობა მოგებზე ლექსიკონში.

ფიქტიური, ხელოვნური, ყალბი.

„ასე ვერაფერს მიაღწევ.“

ოცდაერთი ღამე არ მძინებია.

გავიფიქრე, რომ სამყაროში უმშვენიერესი რამ ჩრდილია, ჩრდილის მილიონობით მოძრავი სილუეტი და ლაბირინთი. ჩრდილი - კარადის უჯრებში და სათავსოებში და ყუთებში, და ჩრდილი სახლების და ხეების და ქვების ქვეშ, და ჩრდილი ადამიანების თვალეების და ღიმილის უკან, და ჩრდილი, კილომეტრებად და კილომეტრებად გადაწოლილი, დედამიწის ღამეში მოხვედრილ მთელს ნახევარსფეროზე.

ჩემს მარჯვენა ფეხზე ჯვრად გადაჭიმულ ორ ხორცისფერ საფენს დავხედე.

იმ დილას ვცადე.

აბაზანაში ჩავიკეტე, აბაზანა თბილი წყლით ავავესე და „ჯილეტის“ ერთი სამართებელი ამოვიღე.

როცა რომაელ ფილოსოფოსებს ეკითხებოდნენ, როგორი სიკვდილი გსურთო, ყველა ამბობდა, ვენებს გადავიხსნიდით თბილ აბაზანაშიო. მეც ვფიქრობდი, რომ ეს ადვილი უნდა ყოფილიყო. ჩავწვებოდი აბაზანაში და ვუყურებდი, სუფთა წყალში სიწითლე ახალ-ახლი ნაკადით როგორ გაიკვირტებოდა ჩემი მაჯებიდან, ვიდრე არ ჩავიძირებოდი ყაყაჩოების კაშკაშა მდელოსავით ელვარე ზედაპირის

ქვეშ.

მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგა, მაჯაზე კანი ისეთი თეთრი და უსუსური გამომიჩნდა, რომ ამის გაკეთება ვერ შეეძელი. თითქოს ის, რის მოკვლაც მინდოდა, ამ კანში, ან ჩემი ცერის ქვეშ მფეთქავ წვრილ ცისფერ ვენაში კი არა, არამედ სადღაც სხვაგან, გაცილებით უფრო ღრმა, ძნელად მისაღწევ ადგილას ჩაეჩურთათ.

ამას მხოლოდ ორი მოძრაობა დასჭირდებოდა: ჯერ ერთი მაჯა და მერე მეორე. არა, სამი მოძრაობა, თუ სამართებლის ხელიდან ხელში გადატანასაც ჩავთვლით. მერე აბაზანაში ჩავაბიჯებდი და ჩავწვებოდი.

წამლების კარადასთან მივედი. თუ ამის გაკეთებისას სარკეში დავიწყებდი ყურებას, სულაც ისე გამოვიდოდა, თითქოს სხვას ვუცქეროდი – წიგნში ან სცენაზე.

მაგრამ ადამიანი, რომელიც სარკეში მოჩანდა, დამბლადაცემული თუ გამომტერებული იყო და ვერაფერსაც ვერ აკეთებდა.

მერე გავიფიქრე, იქნებ ჯობია, წავარჯიშებისათვის ჯერ ცოტა სისხლი გამოვიდინო–მეთქი. აბაზანის კიდეზე ჩამოვჯექი და მარჯვენა მუხლი მარცხენაზე გადავიდე. მერე მარჯვენა ხელი ავწიე და სამართებელი გავუშვი – წვივს საკუთარი სიმძიმით დაეცა, როგორც გილიოტინა. არაფერი მიგრძენია. ოდნავ, ღრმად გამწვა და ყრილობა წითლად ამოივსო. სისხლი ნაყოფივით მუქად დაგუბდა და წვივიდან ჩემი ხელოვნური შავი ტყავის ფეხსაცმლის ყელში ჩაიღვარა.

აბაზანაში ჩაწოლა დავაპირე, მაგრამ უცებ გამახსენდა, რომ ამ ჩემს ყოყმანში მთელი დილა გავიდა. მალე ალბათ დედაჩემი დაბრუნდებოდა და მომისწრებდა, ვიდრე გავთავდებოდი.

ჭრილობა შევიხვიე, ჯილეტის სამართებლები ჩანთაში ჩავიდე და თორმეტისნახევრიან ავტობუსს ბოსტონისაკენ გავყევი.

– ვწუხვარ, პატარავ, მაგრამ დირ აილენდის ციხისკენ მეტრო არ მიდის. ალბათ, სადღაც გადაკარგულშია.

– არა, ის კუნძული აღარაა. კი იყო, მაგრამ წყალი ტორფით ამოავსეს და ახლა ხმელეთს უერთდება.

– მეტრო არ მიდის.

– როგორმე უნდა მოვხვდე იქ!

– მოიცა, – ბილეთების ჯიხურის გისოსიდან სქელმა კაცმა გამომხედა.

– ნუ ტირი. ვინ გყავს იქ, ჩემო კარგო, ვინმე ნათესავი?

ცუდად განათებულ, ჩაბინდულ დერეფანში აქეთ–იქიდან ხალხი მეჯახებოდა. ყველა თავისი მატარებლისაკენ გარბოდა; და გვირაბი, მოედნის კუჭ–ნაწლავი, გრუხუნს ამოევსო. ვიგრძენი, რომ დაჭიმული უპეები ცრემლით გამილიპლიპდა.

– მამაჩემია.



სქელმა კაცმა თავისი ჯიხურის კედელზე სქემას შეხედა.

- აი, როგორ უნდა მოიქცე: იმ გზატკეცილზე მანქანას უნდა გაჰყვე. მერე ორიენტ ჰეითზე უნდა გადმოხვიდე და ავტობუსს შეახტე, რომელსაც „ზი ფონით“ ეწერება, - შემომღიმა კაცმა, - პირდაპირ ციხის კართან მიგიყვანს.

- ჰეი, შენ! - ლურჯუნიფორმიანმა ახალგაზრდამ ფიცრულიდან ხელი დამიქნია. მეც დავუქნიე ხელი და გზა განვაგრძე.

- ჰეი, შენ!

გავჩერდი. ფიცრული მრგვალი სასტუმრო ოთახივით ამოზრდილიყო ქვიშაზე.

- იქით წასვლა არ შეიძლება: ციხის საკუთრებაა და უცხო პირებისთვის იქ ყოფნა აკრძალულია.

- მე მეგონა, რომ სანაპიროს გასწვრივ ყველგან შეიძლებოდა სიარული, - ვუთხარი მე, - თუკი შემოდობილს არ გადასცდები.

ბიჭი ცოტა ხანს ჩაფიქრდა. მერე მითხრა:

- ამ სანაპიროზე არა.

სასიამოვნო, სუფთა სახე ჰქონდა.

- ლამაზი ადგილი გაქვთ, - ვუთხარი, - პატარა სახლივითაა.

დაწული ფარდაგითა და ნაქსოვი ფარდებით მორთულ ფიცრულს გახედა და გაიღიმა.

- ყავადანიც კი გვაქვს.

- მე აქვე ვცხოვრობდი.

- რას მეუბნები! მე თვითონ ამ ქალაქში დავიბადე და გავიზარდე.

ქვიშის გადასწვრივ მანქანების სადგომს გავხედე, რომლის უკანაც გადაღობილი კარიბჭე ჩანდა, ხოლო იმის მიღმა ვიწრო ზოლი, ორივე მხრიდან ოკეანით გარშემორტყმული, ყოფილ კუნძულს უერთდებოდა.

წითელი აგურის შენობები მეგობრულად მიყურებდნენ, თითქოს ციხის კი არა, სანაპირო კოლეჯისა ყოფილიყვნენ. მარცხნივ, მდელის მწვანე კუზზე პაწია თეთრი და ოდნავ უფრო დიდი ვარდისფერი წერტილები მოძრაობდნენ. დარაჯს ვკითხე, „ისინი რა არის-მეთქი“, და „ღორები და ქათმებიო“ - მითხრა. გავიფიქრე, ამ ქალაქში რომ გამეგრძელებინა ცხოვრება, ალბათ, ამ ციხის დარაჯს სკოლაში შევხვდებოდი, ცოლად გავყვებოდი და ამ დროისთვის უკვე პატარა ბავშვებით ვიქნებოდი გარშემორტყმული. ლამაზი იქნებოდა ზღვასთან ცხოვრება ბავშვებთან, გოჭებთან და ქათმებთან ერთად. მეცმეოდა, რასაც ბებიჩემი საშინაო ხალათს ეძახდა, ვიჯდებოდი, მკლავებგასქელებული, რომელიმე კრიალა ლინოლეუმიან სამზარეულოში და განუწყვეტლივ ყავის ფინჯანი მეჭირებოდა ხელში.

- ამ ციხეში როგორ ხვდება ადამიანი?

- საშვი უნდა მიიღო.

- არა, შიგ როგორ სვამენ?
- აჰ, - გაიცინა დარაჯმა, - მანქანას მოიპარავ, ან მაღაზიას გაქურდავ.
- მკვლელები გყავთ?
- არა. მკვლელები შტატის მთავარ ციხეში მიდიან.
- კიდევ ვინ არის აქ?
- ზამთრის პირველ დღეებში ბოსტონიდან მოხუცი მაწანწალები მოჰყავთ. სადმე ქვით მინას ამსხვრევენ და მერე, სიცივეში ყოფნის მაგივრად, ზამთარს ტელევიზორთან ატარებენ. საჭმელიც ბლომად აქვთ და კვირაობით კალათბურთსაც თამაშობენ.
- კარგია.
- კარგია, თუკი მოგწონს, - თქვა დარაჯმა.

დავემშვიდობე და წავედი. მხოლოდ ერთხელ მივხედე უკან. დარაჯი ისევ თავისი სამეთვალყურეო ჯიხურის კართან იდგა და რომ მივხედე, ხელი დამიქნია.

კუნძი, რომელზეც ჩამოვჯექი, ტყვიასავით მაგარი იყო და კუპრის სუნად ყარდა. საგუშაგო გორაკის კოშკის სქელი, ნაცრისფერი ცილინდრის ქვეშ ქვიშის ვიწრო ზოლი ზღვაში იკარგებოდა. ქვიშის ეს ზოლი ბავშვობიდან მახსოვს, - მოქცევის დროს საერთოდ ქრებოდა; და მერე ზედ გასაოცარი ფორმის ნიჟარა რჩებოდა, რომლის მსგავსსაც სანაპიროზე ვერსად იპოვიდით. ნიჟარა გლუვი იყო, ცერა თითქვით სქელი, ჩვეულებრივ, თეთრი, ზოგჯერ ვარდისფერი ან ატმისფერი, და პაწია ბერძნული ხომალდის ფორმა ჰქონდა.

„დედი, ის გოგო ისევ იქ ზის.“

ზანტად ავიხედე და დავინახე პატარა, ქვიშით ამოგანგლული ბავშვი, რომელიც გამხდარმა, წითელ შორტებსა და წითლად და თეთრად დაწინწკლულ მაისურში გამოწყობილმა ჩიტისთვალემა ქალმა წყლის ნაპირს ძლივს მოაცილა.

არ მეგონა, თუ სანაპირო ზაფხულის დამსვენებლებით იქნებოდა სავსე. ჩემი აქ არყოფნის ათი წლის მანძილზე მდიდრული ლურჯი, ვარდისფერი და ღია მწვანე აგარაკები ჭრელი სოკოებივით ამოზრდილიყო პოინტის ბრტყელ ქვიშაზე და მათ სახურავებს ჭექა-ქუხილად ევლებოდა რეაქტიული თვითმფრინავების ხმა, რომლებსთვისაც ყურის გადასწვრივ აეროპორტი დაეთმოთ ძველ ვერცხლისფერ თვითმფრინავებსა და ჩიბუხის ფორმის შვეულმფრენებს.

პლაჟზე ერთადერთი გოგო ვიყავი, ვისაც ქვედაბოლო და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვა. ყველა მე შემომყურებდა. ცოტა ხანში ხელოვნური ტყავის ფეხსაცმელი გავიძრე, რადგან ქვიშაში საშინლად იჭედებოდა. სიამოვნება მომგვარა იმის წარმოდგენამ, რომ ასე დარჩებოდნენ, ვერცხლისფერ კუნძზე, სულის კომპასივით - ზღვისაკენ ცხვირმოქცეულები, როცა მე უკვე მკვდარი ვიქნებოდი.

უბის წიგნაკში სამართებლების კოლოფი მოვსინჯე.

უცებ გავიფიქრე, რომ სულელი ვიყავი. სამართებლები კი მქონდა, მაგრამ თბილი აბაზანა?

ოთახის დაქირავება გადავწყვიტე. ამ საზაფხულო სახლებს შორის სადმე პანსიონი იქნებოდა. მაგრამ ბარგი რომ არ მქონდა, ეს ეჭვს გამოიწვევდა. თან, პანსიონებში ყოველთვის რიგი დგას აბაზანებთან. ჩაწოლასაც ვერ მოვასწრებდი, როცა ვინმე უკვე კარზე დამიწყებდა კაკუნს.

თოლიები ნაპირის გასწვრივ, ხის ბოძებზე კატებივით ჩხაოდნენ. მერე თავიანთი ფერფლისფერი ქურთუკებით სათითაოდ წამოფართხაოდნენ და კარგა ხანს დამტრიალებდნენ თავზე ტირილით.

- ქალბატონო, ჯობია, აქედან ადგეთ. მოქცევა იწყება, - პატარა ბიჭი ჩემგან რამდენიმე ნაბიჯში ჩაცუცქდა. მრგვალი იისფერი კენჭი აიღო და წყლისკენ გაისროლა. წყალმა კენჭი წკაპუნით ჩაყლაპა. ბიჭმა ისევ ქვიშა მოქექა. მშრალი კენჭები ხურდა ფულივით აკაკუნდა. ბიჭმა ბრტყელი ქვა ირიბად გაუშვა და ისიც, ვიდრე ჩაიყლაპებოდა, ექვსჯერ ასხლტდა მომწვანო ზედაპირზე.

- შენ თვითონ რატომ არ მიდიხარ სახლში?

ბიჭმა ახლა უფრო დიდი ქვა ისროლა. მეორე ასხლეტის შემდეგ ქვა ჩაიძირა.

- არ მინდა.

დედაშენი გეძებს.

- არ მეძებს, - შეწუხებული ხმა ჰქონდა.

- შინ თუ წახვალ, კანფეტს მოგცემ.

ბიჭი ახლოს მომიჩოჩდა.

- როგორ კანფეტს?

მაგრამ გამახსენდა, რომ ჩანთაში მარტო მიწისთხილის ქერქი მეყარა.

- ფულს მოგცემ, რომ კანფეტი იყიდო.

- არ-თურ!

დედამისი მართლა მოდიოდა პლაჟისკენ; ქვიშაზე ფეხი უცურავდა და აშკარად ილანძღებოდა, რადგან მკაცრ დამახილებს შორისაც ტუჩები უცმაცუნებდა.

- არ-თურ!

ქალი თვალებს ცალი ხელით იჩრდილავდა, თითქოს ზღვის გასქელებულ ბინდში ასე უკეთ გაგვარჩევდა.

დედის მოახლოებასთან ერთად ბავშვის ინტერესი დაცხრა. თავი მოიკატუნა, თითქოს არ მიცნობდა. რამდენიმე ქვა კიდევ მოქექა, ვითომ რამეს ეძებდა და გამეცალა.

გამაკანკალა.

შიშველი ფეხების ქვეშ ქვები ხორკლიანი და ცივი იყო. ცოტა ხანს კიდევ ვიჯექი და შთაგონებით ვფიქრობდი პლაჟზე დარჩენილი შავი ფეხსაცმლის შესახებ. ტალღამ უკან დაიწია ხელივით; მერე ისევ წამოვიდა და ჩემს ფეხს შეეხო.

ნესტს თითქოს ზღვის სიღრმიდან ვისრუტავდი, სადაც ბრმა თეთრი თევზები საკუთარი სხეულის შუქით ინათებდნენ გზას უზარმაზარ პოლარულ სიცივეში. წარმოვიდგინე, ზვიგენების კბილები და ვეშაპების ყბის ძვლები საფლავის ქვებივით როგორ ბჟუტავდნენ ფსკერზე.

კიდევ დავიცადე, თითქოს ზღვა ჩემ მაგივრად მიიღებდა გადაწყვეტილებას.

მეორე ტალღა ტერფთან გადამემსხვრა და თეთრ ქაფად გაიშალა. ყინვამ წვივები მიწიერი ტკივილით ამიწვა.

ასეთი სიკვდილის წარმოდგენამ მთელი ტანი ლაჩრულად ამიძაგმაგა.

უბის წიგნაკი ავიღე და ცივ ქვებს იქით გავუყევი, სადაც ჩემი ფეხსაცმელი ზღვას კვლავ ერთგულად გასცქეროდა იისფერ შუქში.

13

„ რა თქმა უნდა, ბოლოს მოკლა დედამისმა.“

ბიჭის პირს შევყურებდი. სქელი, ვარდისფერი ტუჩები ჰქონდა და ფაფუკი, ქერა თმის ქვეშ ბავშვური სახე მოუჩანდა. ჯოდიმ გამაცნო. ბიჭს კალი ერქვა, რაც, ჩემი აზრით, შემოკლებული სახელი იყო. ოღონდ, ვერ მოვიფიქრე, კალიფორნიის გარდა, რის შემოკლება შეიძლებოდა ყოფილიყო.

-- რატომ ხარ ასე დარწმუნებული, რომ მოკლა? - ვკითხე.

კალი ძალიან ჭკვიანად ითვლებოდა. ჯოდიმ ტელეფონში ისიც მითხრა, ძალიან საყვარელია და უსათუოდ მოგეწონებაო. ეჭვი მეპარებოდა, რომ მომეწონებოდა, ისეთივეც რომ ვყოფილიყავი, როგორც უწინ.

უკვე ძნელი იყო ამის გამოცნობა.

- ჯერ არა, არა, არას ამბობს და მერე - კი, კი, კის.

- მაგრამ მერე ისევ არა, არას ამბობს.

მე და კალი გვერდიგვერდ ვიწექით ნარინჯისფერ-მწვანე ზოლებიან პირსახოცზე, სილიან სანაპიროზე. ჯოდი და მარკი (ბიჭი, რომელსაც ჯოდი ეტორლიალებოდა), ერთად ცურავდნენ. კალს ცურვა არ უნდოდა და პიესას განვიხილავდით, სადაც ახალგაზრდა კაცს ტვინის უკუბრუნებელი სიმსივნე სჭირს და ნელ-ნელა ილუპება; მამამისი უწესო ქალებთან დაწონწიალებს და იმედგადაწურული დედა კი მსჯელობს, მოკლას თუ არა შვილი, რომ ტანჯვა შეუმოკლოს.

ეჭვი მქონდა, რომ ჯოდის დედაჩემმა დაურეკა და სთხოვა, როგორმე გარეთ გამოვეყვანე ჩემი ჩარაზული ოთახიდან. თავიდან წამოსვლა არ მინდოდა. მეშინოდა, რომ ჯოდი ცვლილებას შემამჩნევდა და სხვებიც ერთი შემოხედვისთანავე მიხვდებოდნენ, როგორი ტვინდაცარიელებული ვიყავი. მაგრამ მანქანში, რომლითაც ჯერ ჩრდილოეთით და მერე სამხრეთით

მივექროდით, ჯოდი სულ მიცინოდა და მეჭორავებოდა და ყურადღებას არ აქცევდა, რომ ყველაფერზე მხოლოდ ასე ვკასუხობდი: „უი, მართლა?“ ან „კარგი ერთი“.

სანაპიროზე ჰოთდოგები შევბრაწეთ. ჯოდის, მარკს და კალს ყურადღებით დავაკვირდი და ზუსტად დროულად გამოვწიე ჩემი შამფური – ჰოთდოგი არც დამიწვავს და არც კოცონში ჩამიგდია, როგორც თავიდან მეშინოდა. მაგრამ მერე, როცა არავინ მიყურებდა, ეს ჩემი ჰოთდოგი ქვიშაში ჩავფალი.

ჭამის შემდეგ ჯოდი და მარკი ხელიხელ ჩაკიდებულნი გაიქცნენ წყლისკენ, მე კი ზურგზე დავწექი და ცას მიმტერებელი ვუსმენდი კალს, რომელიც ისევ იმ პიესას ჩასციებოდა.

ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ეს პიესა მახსოვდა, მისი შეშლილი გმირი იყო. ყველაფერი, რაც კი ოდესმე წამიკითხავს შეშლილებზე, დღემდე მკაფიოდ მახსოვდა. არადა, ტვინი სხვა ყველაფრისაგან დაცლილი მქონდა.

– მაგრამ „კი“-ს რომ ამბობს, ეს უფრო მთავარია, – თქვა კალმა, ბოლოს მაინც ამ „კი“-ს დაუბრუნდება.

თავი წამოვწიე და ზღვის კრიალა ლურჯ თევზს, ქაფის ჭუჭყიანი ზედაპირი რომ ჰქონდა, ცერად გავხედე. დიდი მრგვალი ნაცრისფერი კლდე ქვიანი სანაპიროდან დაახლოებით ერთ მილზე ნახევარი კვერცხივით ამობურცულიყო.

– რითი აპირებდა მის მოკვლას? დამავიწყდა.

არაფერიც არ დამვიწყებია. მშვენივრად მახსოვდა, მაგრამ მინდოდა გამეგო, კალი რას იტყოდა.

– მორფიუმის ფხვნილით.

– ამერიკაში აქვთ ვითომ მორფიუმის ფხვნილი?

კალი წუთით ჩაფიქრდა და თქვა:

– არა მგონია. ჩვენს დროში თავს ასე ვინ იკლავს.

მუცელზე გადავბრუნდი და ახლა მეორე მხარეს, ქალაქს გავხედე. შამფურებისა და მიწის გამჭვირვალე ოხშივრის მიღმა ცადაწვდენილი ცისტერნების, ქარხნის მილების, ამწეებისა და ხიდების ჭუჭყიანი ზოლი აყირავდა.

ჯართის გროვას ჰგავდა.

ისევ ზურგზე გადმოვტრიალდი და სხვათაშორის ვკითხე:

– თავის მოკვლა რომ გადაწყვიტო, რას გააკეთებ?

კალს კითხვა მოეწონა.

– ამაზე ხშირად მიფიქრია. ტვინს გავისხმევენებ იარაღით.

გული დამწყდა. ეს სუფთა კაცური სიკვდილი იყო. თან პისტოლეტს ვერსად ვიშოვიდი; და რომ მეშოვა კიდეც, ვერ გადავწყვეტიდი, ჩემი სხეულის რომელი ნაწილისათვის მესროლა.

წაკითხული მქონდა, რომ ვინც თავის მოკვლას იარაღით შეეცადა, მაგრამ ტყვია თავის ქალაში გაეჭედა და, ქირურგებისა თუ რაღაც სასწაულების წყალობით, მაინც გადარჩა.

იარაღი არ გამომადგებოდა.

მაინც ვკითხე:

-- რა იარაღით?

- მამაჩემის თოფით. დატენილს ინახავს. შეიძლება ერთ დღეს, უბრალოდ, მის კაბინეტში შევიდე და... გამოვკრა! - კალმა თითი საფეთქელზე მიიღო და ღია ნაცრისფერი თვალები გადმოკარკლა.

- მამაშენი ბოსტონის ახლო-მახლო ცხოვრობს? - ვკითხე ზმორებით.

- არა, კლექტონში. ინგლისელია.

ჯოდიმ და მარკმა ხელიხელჩაკიდებულებმა მოირბინეს. წყლის წვეთებს ლეკვებით იბერტყავდნენ. ახალმოსულები ზედმეტ ხალხად ჩავთვალე და ნაძალადევი მთქნარებით წამოვდექი.

- საცუროდ წავალ.

ჯოდისთან, მარკთან და კალთან ყოფნა ნერვებს უკვე ისე მაწყვეტდა, როგორც ფორტეპიანოს სიმებს ხის კლავიშები. ვშიშობდი, რომ ნებისმიერ მომენტში შეიძლებოდა, თავის კონტროლი დამეკარგა და წამომეროშა, რომ ვეღარც ვკითხულობდი და ვეღარც ვწერდი, და რომ ალბათ ქვეყნად ერთადერთი ცოცხალი ადამიანი ვიყავი, რომელსაც მთელი თვე თვალი არ მოუხუჭავს.

ნერვებზეც ისეთივე ოხშივარი ამდიოდა, როგორც შამფურებსა და მზეგამჯდარ მიწას. მთელი პეიზაჟი - სანაპირო, ზღვის კიდე, ზღვა და კლდე ხარვეზებიანი ეკრანივით თვალებში მიჭრიალებდა.

ნეტა სივრცის რომელი წერტილიდან გაშავდა-მეთქი ცის გადაცრეცილი ლურჯი...

- კალ, შენც წადი საცუროდ.

ჯოდიმ კალს ხითხითით უბიძგა.

- ოოჰჰ! - კალმა სახე პირსახოცში ჩამალა.- ცივია ძალიან.

წყლისკენ წავედი.

შუადღის ბრტყელ, უჩრდილო შუქში წყალი როგორდაც საამოდ, კეთილად შემომეყურებდა. გავიფიქრე, დახრჩობა ალბათ სიკვდილის საუკეთესო გზაა, დაწვა კი - უსაშინლესი-მეთქი. ზოგიერთ ჩანასახს კოლბებში, რომლებიც ბადი უილიარდმა მაჩვენა, მისი თქმით, ლაყურებიც ჰქონდა. განვითარების იმ სტადიაში იყვნენ, როცა თევზებს ჰგავდნენ.

კანფეტის ნაფცქვენებით, ფორთოხლის ქერქებითა და წყალმცენარეებით გაგლესილ ქვიშაზე ფეხთან პატარა ტალღა მომწვდა.

უკანაც ქვიშამ გაიჭრიალა და მხარში კალი ამომიდგა.

- მოდი, იმ კლდემდე მივცუროთ. - გავიშვირე ხელი.

- გადაირიე? იქამდე მთელი მილია.
- შენ კიდე ლაჩარი ხარ.

კალი მხარში მომწვდა და წყალში შემათრია. როცა წელამდე შევედით, ჩამაყურყუმელავა. ხელ-ფეხს ვიქნევდი, თვალეზი მარილმა ამიწვა. შიგნიდან წყალი მწვანე და თითქმის კვარცივით გაუმჭვირვალე იყო.

ცურვა დავიწყე, ზომიერი ძაღლურით; სახე კლდისაკენ მქონდა მიქცეული. კალი ნელი კროლით მომყვებოდა. ცოტა ხნის შემდეგ თავი ამოყო და წყალი შემომადგაფუნა.

- არ შემიძლია. - მიმედ სუნთქავდა.
- კარგი. გაბრუნდი.

გადავწყვიტე, წინ იქამდე მეცურა, ვიდრე უკან დასაბრუნებელი ძალაც არ გამომეღოდა. მივცურავდი და ყურებში ჩემი გულისცემა ძრავას გუგუნვით ჩამესმოდა:

მე ვარ მე ვარ მე ვარ

იმ დილით თავის ჩამოხრჩობა ვცადე.

რაწამს დედაჩემი სამსახურში წავიდა, მის ყვითელ აბაზანის ხალათს აბრეშუმის ქამარი გამოვაცალე და საძინებელი ოთახის ქარვისფერ ჩრდილში სრიალა ნასკვი გავაკეთე. ამისთვის კარგა ხანი დამჭირდა. ნასკვების დიდი ოსტატი არასოდეს ვყოფილვარ და ძლივს მოვახერხე, საჭირო ფორმით გამომეხლართა.

მერე თოკის მისამაგრებლად ადგილს დავუწყე ძებნა.

საქმე ის იყო, რომ ჩვენს სახლს სხვანაირი ჭერი ჰქონდა. ოთახებში ჭერი დაბალი იყო, თეთრი, ბრტყელი ფირფიტებით დაფარული, და ზედ არც ნათურის მისამაგრებელი ჰქონდა და არც ხის ჩარჩო. ბეზიას სახლი მომენატრა, რომელიც ბებომ გაყიდა და ჯერ ჩვენთან და მერე დეიდა ლიბისთან გადავიდა საცხოვრებლად.

ბეზიასის სახლი უზადო, მეცხრამეტე საუკუნის სტილში იყო აშენებული, ფართო ოთახებით, მაღალი საჭადე ჭერით, სქელ ჩარჩოებში ჩასმული კარადებით და სხვებით, სადაც არასოდეს არავინ ადიოდა და რომელიც სავსე იყო მავთულებით, თუთიყუმის გალიებით, თერძის მანეკენებითა და გემის ანძებივით მაგარი საკიდებით.

მაგრამ ის სახლი ძველი იყო და ბეზიამ გაყიდა. სხვას კი არავის ვიცნობდი, ვისაც ისეთი სახლი ჰქონდა.

ყელზე ყვითელი კატის კუდივით ჩამოკონწიალებული თოკით, კარგა ხანს ვიზოდიალე შესაფერისი ადგილის საპოვნელად. ბოლოს დედაჩემის საწოლზე ჩამოვჯექი და თოკის მოჭერა ვცადე. მაგრამ რამდენჯერაც კი ისე გავიჭირე, რომ ყურებმა შხუილი დამიწყო და სახეზე სისხლი მომაწვა, ხელი გამეშვა.

მერე საკუთარ სხეულზე გავბრაზდი - ასე ნაწილ-ნაწილ რომ

ეწინააღმდეგებოდა საკუთარ თავს. მაგალითად, ეს ხელები, რატომ ხევდებოდნენ ზუსტად საჭირო მომენტში?! მთელს სხეულს რომ ერთი, საერთო ნება ჰქონოდა, ხომ უკვე კარგა ხნის მკვდარი ვიქნებოდი.

უბრალოდ, თუ კიდევ გამაჩნდა აზროვნების ნატამალი, უნდა მომეფიქრებინა, როგორ შეიძლებოდა საკუთარი სხეულის დაყოლიება. თუ არა და ასე უაზროდ კიდევ ორმოცდაათ წელიწადს ვეყოლებოდი გამომწყვდეული თავის უტვინო გალიაში. და როცა ხალხი შეამჩნევდა, რომ ტვინი აღარ მიმუშავებს (ამას კი ადრე თუ გვიან უსათუოდ შენიშნავდნენ), დედაჩემს სამკურნალოდ ჩემს საგიჟეთში ჩასმაზე დაიყოლიებდნენ.

მაგრამ ჩემი შემთხვევა უკურნებელი იყო.

აფთიაქში რამდენიმე სქელყდიანი წიგნი ვიყიდე პათოფსიქოლოგიაზე და ჩემი სიმპტომები იქ აღწერილ სიმპტომებს შევადარე. აშკარა იყო, რომ ეს სიმპტომები ყველაზე უფრო უიმედო შემთხვევებს ემთხვეოდა.

სკანდალური სტატიების გარდა, ერთადერთი, რის კითხვაც შემეძლო, პათოლოგიური ფსიქოლოგიის სახელმძღვანელოები იყო. თითქოს გონებისაკენ პატარა ღრიჭო კიდევ მქონდა დარჩენილი, რომ ჩემი დაავადების შესახებ ყველაფერი შემეტყო და მისთვის ბოლოს მოსაღებად სწორი გზა მეპოვა. თავის ჩამოხრჩობის ჩაფლავებული მცდელობის შემდეგ გავიფიქრე, ხომ არ ჯობია, შევეშვა და ექიმებს მივმართო-მეთქი; მაგრამ ექიმი გორდონი და მისი შოკის დანადგარი გამახსენდა. თუ გამომკეტავდნენ, შეეძლოთ, ეს დანადგარი დაუსრულებლად ეცადათ ჩემზე.

და მერე წარმოვიდგინე, დედაჩემი, ჩემი ძმა და მეგობრები ყოველდღიურად როგორ დაიწყებდნენ ჩემს მონახულებას იმ იმედით, რომ გამოვჯანმრთელდებოდი. მერე მათი ვიზიტები თანდათან შემცირდებოდა, - იმედს დაკარგავდნენ. მერე კი დაბერდებოდნენ და მე სულაც დავავიწყდებოდი.

ისინიც ცოდოები იქნებოდნენ.

თავიდან ენდომებოდათ, რომ საუკეთესო მზრუნველობა მქონოდა და მთელ თავიანთ ფულს ექიმი გორდონის კერძო კლინიკის მსგავს საავადმყოფოში დამახარჯავდნენ. ბოლოს კი, როცა ფული შემოეღოდათ, სახელწიფო ჰოსპიტალში გადამიყვანდნენ, სადაც დიდი გალია დაბლა სართულზე გადავსებული იქნებოდა ჩემნაირებით.

რაც უფრო უიმედო ხარ, უფრო საიმედოდ გმაღავენ.

კალი შეტრიალდა და უკან გაცურა.

ვუყურებდი, ყელამდე წყლიდან როგორ ნელ-ნელა გაათრია სხეული ნაპირზე. ხაკისფერ ქვიშასა და მწვანე ტალღებს შუა, რაღაც მომენტში, მისი სხეული თეთრი მატლივით გაიხლიჩა; მერე მთლიანად გადაცოცდა მწვანიდან ხაკისფერზე და ათობით სხვა მატლს შეერია, რომლებიც ზღვასა და ცას შორის ფუთფუთებდნენ ან, უბრალოდ, ეყარნენ.

ხელები წყალში მოვუსვი და ფეხებს ვუბიძგე. კვერცხისებრი კლდე ისევ ისე შორს მოჩანდა, როგორც ნაპირიდან, მე და კალი რომ ვუცქეროდით.

მერე გავიფიქრე, რომ კლდემდე მიცურვა უაზრობა იქნებოდა, რადგან ჩემი სხეული ამ კლდეს მოიმიზეზებდა, ზედ აცოცდებოდა და მზის გულზე იქამდე



იწვებოდა, ვიდრე უკან გამოსაცურად საჭირო ძალას არ მოიკრებდა.

ერთადერთი გზა – თავის აქვე და ახლავე დახრჩობა იყო.  
გავჩერდი.

ხელები მკერდთან მივიტანე, ჩავყვინთე და წყალი ქვემოთ გავაპე. ნაკადი ყურებზე და მკერდზე მასკდებოდა. ფსკერისაკენ მივიწევდი, მაგრამ თვალის დახამხამებაში ზღვამ მზისკენ ამომაფურთხა; სამყარო კვლავ ჩემ გარშემო ბრწყინავდა მთელი თავისი ლურჯი, მწვანე და ყვითელი ძვირფასეულობით.

თვალებიდან წყალი ამოვიწმინდე.

ამდენი ძალისხმევის შემდეგ მძიმედ ვსუნთქავდი, მაგრამ ძალდაუტანებლად ვტივტივებდი.

კიდევ და კიდევ ჩავყვინთე, მაგრამ ყოველ ჯერზე საცობივით უკან ამოვვარდი.

სამაშველო რგოლივით მოტივტივეს, ნაცრისფერი კლდე შორიდან დამცინოდა.

დამარცხებას ვცნობდი.

უკან მოვტრიალდი.

დერეფანში, ბორბლებიანი მაგიდით რომ მივაგორებდი, ყვავილები ჭკვიანი, დამჯერი ბავშვებივით მიქნევდნენ თავებს.

თეთრუნიფორმიანი ექიმებისა და ექთნების, ან თუნდაც, ყავისფერუნიფორმიანი დამლაგებელი ქალების გვერდით, რომლებიც თავიანთი ჯაგრისებითა და ვედროებით უსიტყვოდ მიდი-მოდიოდნენ, ჩემს გაცრეცილ, მწვანე მოხალისეს უნიფორმაში თავს სულელად და ზედმეტად ვგრძნობდი.

ფული რომ გადაეხადათ, მნიშვნელობა არა აქვს რამდენი, თუნდაც სულ ცოტა, ჩავთვლიდი, რომ ეს ნორმალური სამუშაო იყო. მაგრამ მთელი დილის მანძილზე ჟურნალების, კანფეტებისა და ყვავილების დატარების სანაცვლოდ მხოლოდ უფასო სადილს მთავაზობდნენ.

დედაჩემმა თქვა, საკუთარ თავზე ზედმეტი ფიქრისაგან განსაკუთრნად შენზე უარეს მდგომარეობაში ჩავარდნილებს უნდა დაეხმარო. ამიტომ, ტერეზამ მოხალისედ გამაფორმა ჩვენი ქალაქის საავადმყოფოში. ამ საავადმყოფოში მოხალისედ მოხვედრა ძნელი იყო, რადგან ძალიან ბევრი უმცროსკურსელი გოგო გამოთქვამდა სურვილს. მაგრამ, ჩემს იღბლად, ახლა უმრავლესობა არდადეგებზე იყო წასული.

იმედი მქონდა, რომ მძიმე ავადმყოფებიან პალატაში გამანაწილებდნენ, სადაც პაციენტები ჩემი გაქვავებული, უტყვი სახის მიუხედავად იგრძნობდნენ მზრუნველობას და მადლიერები იქნებოდნენ. მაგრამ მოხალისეების უფროსმა, ჩვენი ეკლესიის მრევლის წევრმა ქალბატონმა, შემომხედა და მითხრა:

– შენ მშობიარებთან იქნები.

ლიფტით სამი სართული ავიარე სამშობიარო განყოფილებისაკენ და მთავარ ექთანს წარვუდექი. მან კი ყვავილებით სავსე, ბორბლებიანი მაგიდა მომაბარა.

კუთვნილი ლარნაკები კუთვნილ პალატებში, კუთვნილ საწოლებთან უნდა დამედგა.

მაგრამ ვიდრე პირველი ოთახის კარს მივადგებოდი, შევნიშნე, რომ ძალიან ბევრი ყვავილი ფურცლის კიდებში მიმჭკნარი და გაყავისფრებული იყო. გავიფიქრე, რომ ქალისათვის, რომელსაც ეს-ესაა ბავშვი შეეძინა, უსიამოვნო იქნებოდა, ვინმეს მკვდარი ყვავილებით სავსე თაიგული დაედო მის ცხვირწინ. ამიტომ მაგიდა დერეფნის ბოლოში, ონკანისაკენ წავაგორე და მკვდარი ყვავილების ამოკრეფა დავიწყე.

მერე მომაკვდავ ყვავილებზე გადავედი.

სანაგვე ყუთი არ ჩანდა და ყვავილები ონკანის ღრმა, თეთრ ნიჟარაში ჩავაწყვე. ნიჟარა საფლავის ქვასავით ცივი იყო. გავიღიმე. ალბათ, ასე აწყობენ გვამებს საავადმყოფოს მორგში. ამ ყვავილებისათვის იგივე ვიყავი, რაც ექიმები და ექთნები იმ გვამებისათვის.

პირველივე ოთახის კარი შევაღე და მაგიდა შევაგორე. ორი ექთანი წამოხტა. წამლებით სავსე თაროებს თვალი დაბნეულმა მოვაველე.

- რა გინდა? - თითქმის მიღრიალა ერთ-ერთმა ექთანმა. ერთმანეთს ისე ჰგავდნენ, ვერ გარჩევდი.

- ყვავილებს ვარიგებ.

ექთანი მხარში მწვდა, ოთახიდან გამომიყვანა და მეორე ხელით მაგიდაც გამოაგორა. მერე გვერდითა ოთახის მორყეული კარი შეაღო, თავი დამიქნია და უკან გაბრუნდა.

კარის მიხურვამდე ისევ გაისმა ექთნების ხითხითი.

ოთახში ექვსი საწოლი იყო და ექვსივეზე ქალი წამომჯდარიყო: ზოგი ქსოვდა, ზოგი ჟურნალს ფურცლავდა, ზოგიც თმას იხვევდა; თან, თუთიყუშებივით, ექვსივე ერთდროულად ლაპარაკობდა.

მოველოდი, რომ მძინარეები დამხვდებოდნენ, ან ფერმიხდილები იწვებოდნენ წყნარად; მე კი თითის წვერებზე შევიპარებოდი და ლარნაკებს შესაბამისნომრიან მაგიდებზე უჩუმრად დავაწყობდი.

ვიდრე პირველ ლარნაკს დავწვდებოდი, ქერა, მხიარულმა, წაწვეტებულსახიანმა ქალმა თავისთან მიმიხმო. მაგიდა შუაგულ ოთახში დავტოვე და მივუახლოვდი, მაგრამ ქალმა კისერი წაიგრძელა.

მაგიდა ღიმილით წამოვაგორე მისი საწოლისაკენ.

- ჰეი, ჩემი შრომანები სადაა? - მოპირდაპირე საწოლიდან არწივის თვალით გადმოიხედა ფაშვამა ქალბატონმა. წაწვეტებულსახიანი ქერა მაგიდაზე გადმოიხარა.

- აი, ჩემი ყვითელი ვარდები, მაგრამ ვიღაცის ზამბახებთანაა არეული.

ამ ორი ქალის ხმას ახლა დანარჩენი ხმებიც აჰყვა: ხმამაღალი და გაღიზიანებული.

პირი გავაღე, რათა ამეხსნა, რომ მთელი ბლუჯა მკვდარი შრომანები

პირსაბანში ჩავტოვე და რომ ზოგიერთი ლარნაკი, რომლებიდანაც ყვავილები ამოვაკელი, ძალიან დაცარიელდა და ამიტომ, შესავსებად, თაიგულებიდან გადმოვანაწილე. მაგრამ ამ დროს კარი გაიღო და ექთანმა შემოვიდა იმის გასარკვევად, თუ რატომ ატყდა აურზაური.

- ექთანო, მისმინეთ, ლარიმ წუხელის შროშანების უზარმაზარი თაიგული მომიტანა.
- ამან ჩემი ყვითელი ვარდები აურ-დაურია!

მოვრბოდი და მწვანე უნიფორმის ღილებს გზაში ვიხსნიდი; მერე გავიხადე და გზადვე, პირსაბანში, მკვდარ ყვავილებთან ჩავჩურთე. მერე ცარიელ კიბეებს ჩავყევი ქვემოთ; ორ-ორს ერთად ვახტებოდი. არავინ შემხვედრია.

- სასაფლაო საით არის?

შავი ტყავისქურთუკიანი იტალიელი შეჩერდა და ქვემოთ, თეთრი მეთოდისტური ეკლესიის უკან, შესახვევისაკენ მიმანიშნა. მეთოდისტური ეკლესია მახსოვდა. ჩემი ცხოვრების პირველი ცხრა წელიწადი მეთოდისტი ვიყავი, ვიდრე მამაჩემი გარდაიცვლებოდა და ჩვენ უნიტარიანელები გავხდებოდით.

დედაჩემი კათოლიკე იყო, ვიდრე მეთოდისტი გახდებოდა. ჩემი ბებია და ბაბუა და დედაჩემი ლიბი დღემდე კათოლიკეები იყვნენ. დედაჩემმაც მაშინ დატოვა კათოლიკური ეკლესია, როცა დედაჩემმა, მაგრამ მერე იტალიელი კათოლიკე შეუყვარდა და ეკლესიასაც დაუბრუნდა.

ბოლო ხანებში თვითონაც ვფიქრობდი კათოლიკურ ეკლესიაში წასვლაზე. ვიცოდი, რომ კათოლიკეები თვითმკვლელობას საშინელ ცოდვად თვლიდნენ. თუ მართლა ასე იყო, ალბათ რაღაც გზაც ეცოდინებოდათ, რომ გადავერჩინე.

რა თქმა უნდა, არც სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის მჯეროდა, არც უბიწოდ ჩასახვის, არც ინკვიზიციის და არც პაპის წმინდანობისა, მაგრამ აუცილებელი არ იყო, მღვდლისათვის ეს მეგრძნობინებინა; შემემძლო მხოლოდ ჩემს ცოდვაზე მომეთხრო, რათა მონანიებაში დამხმარებოდა.

მაგრამ სამწუხაროდ, ეკლესია, - კათოლიკურიც კი, ადამიანის მთელ ცხოვრებას ვერ ავსებს. რამდენსაც არ უნდა ლოცულობდე დაჩოქილი, დღეში სამჯერ მაინც მოგიწევს ჭამა, სამსახურში სიარული და ამქვეყნად თავის გატანა.

გადავწყვიტე გამეგო, მონაზვნობისათვის რამდენი ხანი იყო საჭირო კათოლიკედ ყოფნა.

დედაჩემმა დამცინა: - შენ რა, გგონია ყოველ შენისთანა გამვლელს მონაზვნად აკურთხებენ? ან რაში გჭირდება მთელი იმ კატეხიზმებისა და დოგმების გაზუთხვა და თავის გამოკეტვა? თან შენისთანა მგრძნობიარე გოგოს! მაინც, წარმოსახვაში სულ რომელიმე ბოსტონელ მღვდელთან მივდიოდი. მღვდელთან ბოსტონში უნდა წავსულიყავი, რადგან ჩემს პატარა ქალაქში არ მსურდა, ვინმეს სცოდნოდა, რომ თავის მოკვლაზე ვფიქრობდი. მღვდლები დიდი ჭორიკანები იყვნენ.

გამოვეწყობოდი შავებში და ჩემი გადაფითრებული სახით მღვდლის ფეხებთან დავეცემოდი: „მამაო, დამეხმარეთ.“

მაგრამ ამაზე მანამდე ვფიქრობდი, ვიდრე ხალხი უცნაურად დამიწყებდა

ყურებას; როგორც ჰოსპიტალში მიყურებდნენ ის ექთნები.

დარწმუნებული ვიყავი, რომ კათოლიკეები გიჟებს არ იღებდნენ მონაზვნებად. ერთხელ დედაჩემის, ლიბიას ქმარმა გვაცინა ერთ მონაზონზე, რომელიც მონასტრიდან ტერუზას გაუგზავნეს გასასინჯად. ამ მონაზონს ყურებში არფის სიმების ხმა და ალილუიას გალობა ჩაესმოდა გაბმულად. მაგრამ კარგად რომ გამოჰკითხეს, დარწმუნებული არ იყო, ეს ხმა „ალილუიას“ ამბობდა თუ „არიზონას“; - ის მონაზონი წარმოშობით არიზონადან იყო. მე მგონი, ბოლოს საგიჟეთში მოათავსეს.

შავი საბურველი ნიკაპამდე ჩამოვიფარე და რკინისგისოსებიან კარიბჭეს გავცდი. ვფიქრობდი - რა უცნაურია, რომ ამდენი ხანია, მამაჩემი ამ სასაფლაოზეა დაკრძალული და ჩვენ კი ერთხელაც არ მოვსულვართ-მეთქი. დედაჩემმა დაკრძალვაზე არ წამოგვიყვანა, რადგან მაშინ პატარები ვიყავით. მამა საავადმყოფოში გარდაიცვალა და დღემდე მისი სამარეც და სიკვდილიც ჩემთვის როგორღაც გამოგონილივით რჩებოდა.

მოგვიანებით ბევრს ვცდილობდი, მამაჩემისათვის ამდენი წლის უყურადღებობა ამენაზღაურებინა. მისი საფლავის მოვლა დავიწყე. მამას ყოველთვის განსაკუთრებულად ვუყვარდი და ვიფიქრე, რომ წესით, ჩემს თავზე უნდა ამელო საჭირო გლოვა, რომლითაც დედაჩემს თავი არასოდეს შეუწუხებია.

ვფიქრობდი, მამა რომ არ მომკვდარიყო, მწერების შესახებ ყველაფერს მასწავლიდა-მეთქი. მწერები უნივერსიტეტში მისი სპეციალობა იყო. გერმანულსაც მასწავლიდა, ბერძნულსაც და ლათინურსაც. და მე, ალბათ, ლუთერანი გავხდებოდი. მამაჩემი ვისკონსინში ლუთერანი იყო, მაგრამ ნიუ-ინგლენდის „მოდის“ გამო ჯერ ყოფილი ლუთერანი გახდა და მერე, როგორც დედაჩემი ამბობდა, მწარე ათეისტი. სასაფლაომ გული დამწყვიტა: ქალაქგარეთ, ტალახიან დაბლობზე იყო გაფენილი და საფლავებს შორის რომ დავდიოდი, შორიდან მლაშე ჭაობების სიმყრალე მცემდა.

სასაფლაოს ძველი მხარე წესრიგში იყო, თავისი გადახუნებული, ბრტყელი ქვებითა და დახავსული ქანდაკებებით, მაგრამ მალე მივხვდი, რომ მამა ახალ ნაწილში იყო დაკრძალული, ათას ცხრაას ორმოციანი წლებით წაწერილ საფლავთა შორის.

სასაფლაოს ახალ ნაწილში ქვები გადამტვერილი, უბრალო და მოუპირკეთებელი იყო და მარმარილო მხოლოდ აქა-იქ თუ ლაპლაპებდა, ხოლო ზედ სამარეებზე პლასტმასის ყვავილებით სავსე რკინის დაჟანგული ლარნაკები ამოშვერილიყო.

ნაცრისფერმა ცამ წვრილად გამოცრა და სასოწარკვეთა დამეუფლა.

მამა ვერსად მოვძებნე.

ჩამოწეული, გაწეწილი ღრუბლები ზღვის მხარეს, ჰორიზონტისაკენ მიიწეოდა, ჭაობებითა და ფიცრულებით დაფარული სანაპიროს მიღმა, და ჩემს იმ დილას ნაყიდ შავ საწვიმარს წვეთები დასდიოდა. ნესტი თითქოს კანშიც გამიჯდა.

- წვიმის საწინააღმდეგოა? - ვკითხე გამყიდველ გოგოს.

- არანარი საწვიმარი არაა წვიმის საწინააღმდეგო. წყალგაუმტარია, - მივიღე პასუხად.

როცა ვკითხე, რამდენად წყალგაუმტარია-მეთქი, მითხრა, ჯობია, ქოლგა იყიდო.

მაგრამ ქოლგისთვის ფული არ მეყო. ბოსტონისაკენ და უკან - ავტობუსის ბილეთებმა, მიწისთხილმა, გაზეთებმა, პათოფსიქოლოგიის სახელმძღვანელოებმა და ბავშვობის ქალაქში ვიზიტმა ჩემი ნიუ-იორკის ხელფასი თითქმის სულ ამოწურა.

გადაწყვეტილი მქონდა, რაწამს ბანკში ჩემი ანგარიში გამოცარიელდებოდა, ყველაფერს გავათავებდი. და აი, იმ დილას, დარჩენილი კაპიკებიც შავ საწვიმარს მივახარჯე.

მერე უცებ მამაჩემის საფლავის ქვას მოგვკარი თვალი.

მეორე საფლავის ქვას ზედ იყო მიჭექყილი, როგორც მოხუცებით გადაჭედულ უპატრონოთა თავშესაფარში. ქვა, დაკონსერვებული თართივით, ხალებიანი ვარდისფერი მარმარილოსი იყო და ზედ მხოლოდ მამაჩემის სახელი და პაწია ხაზით გამოყოფილი ორი თარიღი მოჩანდა.

ქვის ტერფთან მთელი ბლუჯა ნაწვიმარი ასკილის ყვავილები დავაფინე, რომლებიც იქვე, სასაფლაოს კარიბჭესთან, ბუჩქიდან დავკრიფე. მერე ფეხები თავისით მომეკეცა და თვითონაც სველ ბალახზე დავეშვი. არ ვიცოდი, ასე გულამოსკვნით რა მატირებდა.

მერე გამახსენდა, რომ მამაჩემის სიკვდილის გამო ჯერ არ მეტირა.

არც დედაჩემს უტირია. მხოლოდ გაიღიმა და თქვა, რომ მამასთვის სიკვდილი ღვთის წყალობასავით იყო, რადგან გადარჩენის შემთხვევაში მთელი დარჩენილი სიცოცხლე ხეიბრად უნდა გაეტარებინა. მას კი ამას სიკვდილი ერჩიაო.

მარმარილოს გლუვ სახეს ლოყა მივადე და ცივ მლაშე წვიმაში დავყმუდი ჩემს დანაკლისს.

ვიცოდი, როგორც უნდა მოვქცეულიყავი.

რაწამს მანქანის ძრავა გზაზე მიყუჩდა, ჩემი თეთრი ზედატანით, მწვანე კუბოვრული ქვედაბოლოთი და შავი საწვიმრით საწოლიდან წამოვხტი. საწვიმარი წინა დღიდან ისევ სველი იყო, მაგრამ მალე ამას მნიშვნელობა აღარ ექნებოდა.

ქვემოთ ჩავედი, სასადილო ოთახის მაგიდიდან ცისფერი კონვერტი ავიღე და უკან მივაწერე: სასეირნოდ მივდივარ დიდი ხნით.

წერილი ისეთ ადგილას დავდე, სადაც დედაჩემი შემოსვლისთანავე დაინახავდა.

მერე გამეცინა.

ყველაზე მთავარი მქონდა დავიწყებული.

ზემოთ გავიქეცი და დედაჩემის კარადას სკამი მივადგი. მერე ზედ ავძვერი და ზემოთა თაროზე დალუქულ პატარა მწვანე ყუთს მივწვდი. ისეთი პაწია ბოქლომი ჰქონდა, რომ ლითონის თავსახური შემემლო ხელითვე ამეგლიჯა,

მაგრამ მინდოდა, ყველაფერი წყნარად, წესრიგიანად გამეკეთებინა.

დედაჩემის კომოდის ზემოთა მარჯვენა უჯრა გამოვწიე და სურნელოვანი ირლანდიული ტილოს ხელსახოცების ქვეშ დამალული ლურჯი სამკაულების ყუთი ამოვიღე. მუქ ხავერდში პაწია გასაღები მოვძებნე, პირველი უჯრა გავხსენი და აბებით სავესე ბოთლი ამოვაცალე. იმაზე მეტი იყო, ვიდრე მეგონა.

ორმოცდაათი მაინც იქნებოდა.

რომ მეცადა, ვიდრე დედა ყოველდამ, სათითაოდ გამომიზოგავდა, მოსაგროვებლად ორმოცდაათი ღამე დამჭირდებოდა. ორმოცდაათ ღამეში კი კოლეჯში სწავლა დაიწყებოდა, ჩემი ძმაც დაბრუნდებოდა გერმანიიდან და უკვე ძალიან გვიანი იქნებოდა.

გასაღები უკან, სამკაულების ყუთში ჩავდე, შიგ აბურდულ იაფფასიან ძეწვევებსა და ბეჭდებს შორის; მერე ყუთი ისევ უჯრაში, ხელსახოცების ქვეშ შევაცურე, ლითონის ყუთიც კარადის თაროზე დავაბრუნე და სკამიც ხალიჩაზე დავდგი, ზუსტად იმ ადგილას, საიდანაც წავატარიე.

მერე ქვემოთ, სამზარეულოში ჩავედი. ონკანი მოვუშვი და მაღალი ჭიქა წყლით გავივსე. მერე წყლიანი ჭიქა და აბების ბოთლი წავიღე და სარდაფში დავეშვი.

სარდაფის სარკმლების გისოსებიდან მკრთალი, წყალქვეშა შუქი იღვრებოდა. გათბობის საქვების უკან, კედელში, მხრის სიმალლეზე შავი ღრიჭო მოჩანდა, რომელიც დერეფანში გადიოდა. დერეფანი სახლს მაშინ მიაშენეს, როცა მიწურში სარდაფი ამოთხარეს და ამოაშენეს.

ღრიჭოს ძველი ბუხრის რამდენიმე დამძალი ძელი ჰქონდა გადაფარებული. ოდნავ გავწი-გამოვწიე. მერე ერთ-ერთ ძელზე წყლიანი ჭიქა და აბებიანი ბოთლი გვერდი-გვერდ დავდგი და ნაპრალში შეძრომა დავიწყე. კარგა ხანი დამჭირდა, ვიდრე სხეულს ღრიჭოში შევჭყქყავდი, მაგრამ ბოლოს, როგორც იქნა, მოვახერხე და სიბნელის ხახაში შევიკუნტე.

შიშველი ფეხების ქვეშ მიწა ცივი, მაგრამ საამო იყო. გავიფიქრე, ნეტავ რამდენი ხანია, რაც აი, ამ მიწას მზის სხივი არ უნახავს-მეთქი.

მერე ძელები, ერთმანეთის მიყოლებით, ნაპრალისკენ მოვწიე. სიბნელე ხავერდივით გასქელდა. ჭიქას და ბოთლს მივწვდი და ნელ-ნელა, მუხლებამდე მოხრილი თავით, სიღრმეში შევჩოჩდი.

აბლაბუდები ჩრჩილებივით რბილად ამედო სახეზე. შავი ქურთუკი საკუთარი ტკბილი ჩრდილივით შემოვიხვიე, ბოთლს თავსახური ავხადე და აბების ყლაპვა დავიწყე სათითაოდ, წყლის ყლუპებს შორის.

თავიდან არაფერი მომხდარა, მაგრამ ბოთლის ძირამდე რომ ჩავედი, თვალებში წითელმა და ლურჯმა ნაპერწკლებმა გამიელვა. ბოთლი ხელიდან გამიცურდა და კიდევ უფრო ჩავიკუნტე.

სიჩუმემ უკან დაიხია და კენჭები, ნიჟარები, ჩემი ცხოვრების ნამსხვრევები ერთბაშად აკაკუნდა; მერე ეს ყველაფერი თვალების ფსკერზე მოიკრიბა და ერთიანი, წამლეკავი ტალღით გამაქანა ძილისაკენ.

უკუნეთი იყო.

სიბნელის გარდა, ვერაფერს ვგრძნობდი; მერე თავი მატლივით ამეკლაკნა. ვიღაც კვნესოდა. მერე ლოყა გიგანტური სიმძიმით მიმესრისა კედელზე და კვნესა შეწყდა.

სიჩუმე უკან ამოსკდა და დადგა, როგორც შავი წყლის ზედაპირი კალაპოტში ჩადგაფუნებული ქვის ჩაძირვის შემდეგ.

გრილი ნიავი გამოფრიალდა. უზარმაზარი სიჩქარით ვეშვებოდი გვირაბში. მერე ნიავი შეწყდა. ხმები აგუგუნდა – მრავლად, შორეთში ახროტინებული, აფოფრილი. მერე ხმებიც ჩაწყნარდა.

თვალზე საჭრეთელმა გამიჭრიალა და სინათლე ჭრილობის პირივით გადმოიხსნა, ვიდრე კვლავ სიბნელემ არ დაახშო. სინათლიდან გამოცოცება ვცადე, მაგრამ ხელები ისე მქონდა ფეხებზე შემოხვეული, როგორც მუმიას დოლბანდი და ვერ გავინძერი.

გავიფიქრე: ალბათ გაკაშკაშებულ, მიწისქვეშა დარბაზში მოვხვდი, რომელიც ხალხითაა სავსე და ეს ხალხი რაღაც მიზეზის გამო დამსევია-მეთქი.

მერე ისევ საჭრეთელმა გამკრა, თავის ქალაში სინათლე მომასკდა და შედედებულ, ცხელ, ამოზანჯგვლულ უკუნეთში ხმამ ამოიძახა:

- დედა!

სახეზე ჰაერი დამთამაშებდა.

გარშემო ოთახის ფორმას ვგრძნობდი – ფართოს, გაღებული სარკმლებით. ჩემს თავქვემ ბალიში ჩაფუშულიყო და სხეული თხელ ზეწრებს შორის მისრიალებდა

მერე სითბო ვიგრძენი, – ხელივით, სახეზე მითათუნებდა. გავიფიქრე, ალბათ მზეზე ვწევარ და თვალეები რომ გავახილო, ირგვლივ მოწყალეების დებევით მოფუსფუსე ათინათები დამხვდება-მეთქი.

გავახილე.

უკუნეთი იყო.

ჩემ გვერდით ვიღაც სუნთქავდა.

- ვერ ვხედავ.

სიბნელეში ხმამ გაიწკრიალა:

- ქვეყნად უამრავი უსინათლოა. ერთ მშვენიერ დღესაც ერთ კარგ უსინათლო ბიჭს მისთხოვდები.

საჭრეთლიანი კაცი დაბრუნდა.

- რატომ წუხდებით? – ვკითხე, – აზრი არა აქვს.

- ასე არ უნდა თქვა, – მისი თითები ჩემს მარცხენა თვალზე ამობურცული ხორცის უზარმაზარ, მტკივან ბუმბუს რაღაცას უჭერდა. მერე ის რაღაც მომხსნა და თვალში შუქის ნაპრალი კედლის ბზარივით გამოირღვა. შუქს კაცის ხელი

შემორკალვოდა.

- მხედავ?
- დიახ.
- სხვა რამესაც ხედავ?

მერე გამახსენდა.

- ვერაფერს ვხედავ, - ნაპრალი შევიწროვდა და გაშავდა, - მე ბრმა ვარ.
- რა სისულელეა! ვინ გითხრა?
- ექთანმა.

კაცმა ჩახხველა და თვალზე დოლბანდის დახვევა დაასრულა. „ძალიან ილბლიანი გოგო ხარ. მხედველობაზე არაფერი მოგსვლია.“

- ვიღაცას შენი ნახვა უნდა.

ექთანმა გაიელვა და გაუჩინარდა.

დედა ღიმილით მოუახლოვდა საწოლის კიდეს. ალისფერი, კოპლებიანი კაბა ეცვა და საშინლად გამოიყურებოდა.

დიდი, მაღალი ბიჭი მოჰყვებოდა. ჯერ ვერ გავარჩიე, ვინ იყო, რადგან შორს ვერ ვხედავდი, მაგრამ მერე დავინახე, რომ ჩემი ძმა იყო.

- მითხრეს, რომ მოხვიდოდი.

დედა საწოლის კიდეზე ჩამოჯდა და ფეხზე ხელი დამადო. ალერსიანად, მოსიყვარულედ მიყურებდა და მინდოდა, წასულიყო.

- მგონი, მოსვლა არ მითხოვია.
- იმათ მითხრეს, რომ მეძახდი. - საცაა ტირილი წასკდებოდა. სახე უფერო ჟელესავით დაუნაოჭდა და აუთიმიტიმდა.
- როგორა ხარ? - მკითხა ჩემმა ძმამ.

დედას თვალი თვალში გავუყარე.

- ისევ ისე.
- მნახველი გყავს.
- არ მინდა მნახველი.

ექთანი გაფართხუნდა და დერეფანში ვიღაცას ჩურჩულით დაელაპარაკა. მერე უკან შემობრუნდა:

- ძალიან უნდა შენი ნახვა.

თეთრი აბრეშუმის პიჯამიდან გამოფარჩხულ, უცხო ყვითელ ფეხებზე დავიხედე. განძრევისას ხორცი მითახთახებდა, თითქოს კუნთები სულმთლად გამოსცლოდა; და სქელი მოკლე შავი ბეწვით იყო დაწინწკლული.



- ვინაა?
- ვიღაც, შენი ნაცნობი.
- რა ჰქვია?
- ჯორჯ ბეიქველი.

არანაირ ჯორჯ ბეიქველს არ ვიცნობ.

- ის ამბობს, რომ გიცნობს.

მერე ექთანს გავიდა და ოთახში ძალიან ნაცნობსახიანი ბიჭი შემოვიდა:

- წინააღმდეგი ხომ არ ხარ, შენს საწოლზე რომ ჩამოვჯდე?

თეთრი ხალათი ეცვა და ჯიბიდან სტეტოსკოპი ამოსწროდა. გავიფიქრე, ამას აშკარად ვიცნობ, მაგრამ ექიმად რომაა გადაცმული, იმიტომ ვერ ვიხსენებ-მეთქი.

ვინმე თუ შემოვიდოდა, ფეხებზე დაფარებას ვაპირებდი, მაგრამ ახლა უკვე გვიანი იყო. ამიტომ ისევე დავტოვე - გაფარჩხული, მახინჯი და გულისამრევი.

- ეს მე ვარ, - ვფიქრობდი, - აი, ეს ვარ მე.
- ესთერ, ხომ გახსოვარ?

ჯანმრთელი თვალთ გავხედე. მეორე თვალს ჯერ ვერ ვახელდი, მაგრამ ექიმმა თქვა, რამდენიმე დღეში ისიც წესრიგში იქნებაო.

ბიჭი ისე მიყურებდა, თითქოს რაღაც ეგზოტიკური ჯიშის ცხოველი ვიყავი, ზოოპარკში ახლად მოყვანილი, და მალე სიცილით გასკდებოდა.

- ესთერ, ხომ გახსოვარ? - ნელა მელაპარაკობდა, როგორც გონებაჩლუნგ ბავშვს დაელაპარაკებიან, - ჯორჯ ბეიქველი ვარ. შენს ეკლესიაში დავდივარ. ამჰერსტში ჩემი ოთახის მეზობელი შენი შეყვარებული იყო.

ბიჭის სახე თითქოს აღვიდგინე. კარგა ხანს ბუნდოვნად მიტივტივებდა მეხსიერებაში - ერთ-ერთი იმ სახეთაგანი, რომლის სახელის დამახსოვრებისთვისაც თავს არასოდეს შევიწუხებდი.

- აქ რას აკეთებ?
- ამ საავადმყოფოში პრაქტიკას გავდივარ.

გავიფიქრე, ნეტა როგორ შეძლო ამ ჯორჯ ბეიქველმა ასე უცებ ექიმად ქცევა-მეთქი. ერთმანეთს ნორმალურად არც ვიცნობდით. ამას უბრალოდ, თვითმკვლელობის ჩამდენი, შეშლილი გოგოს ნახვა მოუწია.

სახე კედლისკენ შევაბრუნე.

- გაეთრიე, - მოშორდი აქედან და აქ აღარ დაგინახო!
- სარკე მინდა.

ექთანი საქმიანად ფუსფუსებდა - კარადის უჯრებიდან დედაჩემის მოტანილ ახალთახალ საცვლებს, ღამის პერანგებსა და ქვედაბოლოებს ხელოვნური ტყავის შავ ჩემოდანში ტენიდა.

- რატომ არ შეიძლება, სარკეში ჩავიხედო?

ვიწრო, საბნის პირივით თეთრ-ნაცრისფრად დაზოლილ კაბაში გამომაწყვეს, წელზე ბრტყელი, წითელი ქამარი შემომარტყეს და სავარძელში გამომეჭიმეს.

- რატომ არ შემიძლია?

- იმიტომ, რომ ჯობია, არ ჩაიხედო. - ექთანმა ჩემოდნის საკეტი დაატკაცუნა.

- რატომ?

- იმიტომ, რომ არც ისე ლამაზად გამოიყურები.

- ჩამახედეთ, რა!

ექთანმა ამოიოხრა, კომოდის ზემოთა უჯრა გამოსწია, იქიდან კომოდისავე ფერის ხის ჩარჩოში ჩასმული სარკე ამოიღო და მომაწოდა.

თავიდან ვერ მივხვდი, რა მჭირდა. ეს სარკე კი არა, სურათი უფრო იყო.

ვერ გაარკვევდი, სურათზე გამოსახული პიროვნება ქალი იყო თუ კაცი, რადგან თავი გადაპარსული ჰქონდა და ზედ თმა აქა-იქ ბლუჯა-ბლუჯად, ქათმის ბუმბულელებით ამოზრდოდა; ნახევარი სახე ალისფერი ჰქონდა, უფორმოდ მოზრეცილი მწვანე, მოყვითალო ლაქებით; ხოლო ბაცი ყავისფერი ტუჩები კუთხეებში ნაიარევებივით ჩავარდისფრებოდა.

ყველაზე არაჩვეულებრივი ამ სახეზე არეული ფერების სიკაშკაშე იყო.

გავიღიმე.

სარკეში პირი მოიბრცა.

მსხვრევის ხმაზე სხვა ექთანი შემოვარდა. ჯერ გატეხილ სარკეს შეავლო თვალი, მერე ბრმა, თეთრი ნამსხვრევებიდან მზერა ჩემზე ამოიტანა და ახალგაზრდა ექთანი ოთახიდან კინწისკვრით გააგდო.

- არ გაგაფრთხილე?! - მესმოდა მისი ხმა.

- მაგრამ მე მხოლოდ...

- არა, არ გაგაფრთხილე?!

ცნობისმოყვარედ ვუსმენდი. რა მოხდა ახლა ისეთი? ნებისმიერს შეიძლება სარკე გაუტყდეს.

მერე ეს მეორე, უფროსი ექთანი ოთახში დაბრუნდა. დოინჯშემოყრილი მომშტერებოდა.

- შვიდი წელიწადი ნავსიანი იქნება.

- JC

- რა და, - ექთანმა ხმას აუწია, თითქოს ყრუს ელაპარაკებოდა, - შვიდი

წელიწადი ნავსიანი იქნება!

ახალგაზრდა ექთანი ნამსხვრევების ასაკრეფად ცოცხითა და აქანდაზით დაბრუნდა.

- ეგ მხოლოდ ცრურწმენაა, - ვუპასუხე.

- ჰაჰ! - უფროსმა ექთანმა ჩამუხლულ ექთანს მიმართა, თითქოს მე იქ არ ვიყავი:

- სადაც საჭიროა, იქ მიხედავენ ამას!

სასწრაფოს მანქანის უკანა მინებიდან ვხედავდი, ნაცნობი ქუჩები ზაფხულის მწვანე გვირაბში როგორ მიექანებოდა. ცალ მხარეს დედა მეჯდა, მეორე მხარეს - მმა.

თავი მოვისულელე, თითქოს არ ვიცოდი, რატომ გადავყავდი ჩემი ქალაქის საავადმყოფოდან დედაქალაქის საავადმყოფოში. მინდოდა, მათთვის მეთქმევინებინა.

- იქ განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ ეყოლები, - მითხრა დედამ, - ამ საავადმყოფოში არ ჰქონდათ ასეთი პირობები.

- სადაც ვიყავი, მომწონდა.

დედას ტუჩები გაუწვრილდა.

- მაშინ უკეთესად უნდა მოქცეულიყავი.

- რა?

- ის სარკე არ უნდა გაგეტეხა. მაშინ შეიძლება, დაეტოვებინე.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ვიცოდი, რომ სარკე არაფერ შუაში იყო. ზეწარში კისრამდე ჩამალული, საწოლზე წამოვჯექი.

- რატომ არ შემიძლია ადგომა? ავად არ ვარ.

- მორიგე შემოივლის და მერე შეგეძლება ადგე, - ექთანმა საწოლის ფარდა გადასწია და გვერდითა საწოლში მსუქანი იტალიელი ქალი გამოაჩინა.

იტალიელს შუბლზე ჩამოწეწილი, კინკრისოზე აზვინებული და მხრებზე ჩამოშვებული სქელი შავი კულულები ჰქონდა. როცა ინძრეოდა, უზარმაზარი ვარცხნილობაც უყანყალებდა, თითქოს შავი მუყაოსაგან ყოფილიყო გაკეთებული.

ქალმა შემომხედა და გადაიხარხარა. - აქ რატო ხარ? - და პასუხს არც დალოდებია, ისე გააბა:

- მე აქ ჩემი ფრანგ-კანადელი დედამთილის გამო ვარ. ჩემმა ქმარმა იცის, რომ იმ ქალს ვერ ვიტან და მაინც მოიპატიჟა ჩვენთან სტუმრად. ჰოდა, როცა მოვიდა, ჭკუიდან გადავედი, ენა გადმომივარდა. სასწრაფოში გამაქანეს და მერე კიდევ აქ მომიყვანეს, - ქალმა ხმას დაუწია: - გიჟებთან. - მერე დაამატა: - შენ რაღა გჭირს?

ჩემი ალისფერ-მწვანედ გასივებულთვალისანი სახე მივუტრიალე, - თავის მოკვლა ვცადე.

ქალი მომაჩერდა. მერე საჩქაროდ საწოლის გვერდითა მაგიდიდან ფილმების ჟურნალს დაავლო ხელი და თავი მოიკატუნა, თითქოს კითხულობდა.

ჩემი საწოლის პირდაპირ მორყეული კარი გაიღო და თეთრ ხალათებში გამოწყობილი გოგოებისა და ბიჭების მთელი რაზმი შემოლაგდა, ჭადარათმიან კაცთან ერთად. ყველას კაშკაშა, ყალბი ღიმილი უბრწყინავდა. ჩემი საწოლის კიდესთან ჩამომწკრივდნენ.

- აბა, ამ დილით როგორ გრძნობთ თავს, მის გრინვუდ?

შევეცადე გამომეცნო, რომელი დამელაპარაკა. მძულს ხალხის ჯგუფებთან ლაპარაკი. როცა ჯგუფს მივმართავ, ყოველთვის ერთ ვინმეს ვირჩევ და იმას ველაპარაკები; და რომ ველაპარაკები, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს დანარჩენები ამით სარგებლობენ და თავიდან ფეხებამდე მათვალისწინებენ. ისიც მძულს, ხალხი მომღიმარი სახით რომ გეკითხება, როგორ ხარო, და მოელიან, რომ ეტყვი „გმადლობთ, კარგად“, მაშინ, როცა იციან, რომ თავს საშინლად გრძნობ.

- თავს საზიზღრად ვგრძნობ.

- საზიზღრად! ჰმ! - გაიმეორა ვიღაცამ და ერთმა ბიჭმა ღიმილით გადაიქნია თავი. ვიღაც სხვამ რაღაც მოინიშნა უბის წიგნაკში. კიდევ სხვა ვიღაცა კი სერიოზული სახით ჩამეკითხა:

- რატომ გრძნობთ თავს საზიზღრად?

გავიფიქრე, ამ გოგო-ბიჭებიდან ზოგი, ალბათ, ბადი უილიარდის მეგობარია-მეთქი. ალბათ, ჩემი ნახვა აინტერესებდათ, რომ მერე ჩემზე ეჭორავათ. ისეთ ადგილას მინდოდა ყოფნა, სადაც ვერცერთი ნაცნობი ვერ მომაგნებდა.

- ვერ ვიძინებ...

შემაწყვეტინეს.

მაგრამ ექთანმა თქვა, რომ წუხელ გეძინათ. - ჯანსაღი, უცნაური სახეების რკალს მოვაველე თვალი.

ვერ ვკითხულობ, - ხმას ავუწიე, - ვერ ვჭამ. - გამახსენდა, რომ, რაც აქ გადმომიყვანეს, სვაფივით ვჭამდი.

ჯგუფმა ზურგი შემაქცია. ერთმანეთთან გამართეს ხმადაბლა ჩურჩული. ბოლოს, ჭადარა კაცმა მომმართა:

- გმადლობთ, მის გრინვუდ. მალე ერთ-ერთი უფროსი ექიმი მოგინახულებთ.

მერე ჯგუფმა იტალიელი ქალის საწოლისაკენ გადაინაცვლა.

- თქვენ როგორდა გრძნობთ თავს დღეს, მისის... თქვა ვიღაცამ. ქალის სახელი გრძელი იყო და შიგ „ტომოლილო“ თუ რაღაც ასეთი ერია. მისის ტომოლილომ ჩაიკისკისა.

- ოჰ, მე კარგად გახლავართ ექიმო. კარგად ვარ. მერე ხმას დაუწია და რაღაც ჩაიჭურჭულა ისე, რომ ვერ გავიგე. ჯგუფიდან რამდენიმემ ჩემკენ გამოიხედა. მერე ვიღაცამ თქვა:

- კარგი, მისის ტომოლილო, - და ჩვენს შორის თეთრი ფარდა კედელივით ჩამოაფარა.

საავადმყოფოს ოთხ აგურის კედელს შიგნით, ბალახიან ეზოში, ხის სკამის კიდეზე ვიჯექი. დედაჩემი, თავისი ალისფერი კოპლებიანი კაბით მეორე ბოლოში იჯდა. თავი ხელებში ჰქონდა ჩარგული, საჩვენებელი თითები - ლოყებზე, ხოლო ცერი ნიკაპზე მიედო.

გვერდითა სკამზე მისის ტომოლილო ვიღაც შავთმიან როხროხა იტალიელებს შორის იჯდა. რამდენჯერაც კი დედაჩემი გაინძრეოდა, მისის ტომოლილოც მას ბამავდა. მისის ტომოლილოსაც საჩვენებელი თითი ლოყაზე ედო, ცერი - ნიკაპზე და თავი სევდიანად ცალ მხარეს ჰქონდა გადახრილი.

- არ გაინძრე, - ხმადაბლა ვუთხარი დედაჩემს. - ის ქალი გაჯავრებს.

დედაჩემმა მიმოიხედა, მაგრამ თვალის დახამხამებაში მისის ტომოლილომ სქელი, თეთრი ხელები კალთაში ჩამოიწყო და თავის მეგობრებს გამალებით დაუწყო ლაპარაკი.

- რა? სულაც არა - მითხრა დედაჩემმა, - ყურადღებასაც კი არ გვაქცევს.

მაგრამ რაწამს დედა მომიბრუნდა, მისის ტომოლილომ თითები ზუსტად დედაჩემივით გადააჯვარედინა და შავი, დამცინავი მზერა მტყორცნა.

ეზო ექიმებით იყო გადათეთრებული.

როცა კი მე და დედაჩემი აქ, მაღალი აგურის კედლებს შორის ჩამოდწეული მზის ვიწრო, კონუსურ სინათლეზე ვსხდებოდით, ჩემთან ექიმები მოდიოდნენ და მეცნობოდნენ. „მე ექიმი ესა-და-ეს ვარ, მე ექიმი ესა-და-ეს ვარ.“

ზოგიერთი ისე ახალგაზრდად გამოიყურებოდა, რომ მათი ექიმობის ნამდვილობაში ეჭვი მეპარებოდა. ერთს ისეთი უცნაური სახელი ჰქონდა, რაღაც ექიმ სიფილისის მსგავსი, რომ ვიეჭვე, სახელებსაც იგონებენ-მეთქი. აი ახლაც, ვიღაც შავთმიანი ახალგაზრდა კაცი, რომელიც ექიმ გორდონს ჰგავდა ძალიან, მაგრამ კანის ფერი ჰქონდა ექიმ გორდონზე ბევრად უფრო მუქი, მომიახლოვდა, „ექიმი პანკრეასი გახლავართო“, მითხრა და ხელი ჩამომართვა.

აი, ასე, მეცნობოდნენ და შორიახლოს დგებოდნენ. მერე ეს ექიმები დედასთან ჩემს საუბარს აყურადებდნენ და ყველაფერს სიტყვასიტყვით იწერდნენ. ჰოდა, დავიხარე და ამის შესახებ დედას ვუჭურჭულე.

- ოჰ, ესთერ, მინდა, რომ ითანამშრომლო მათთან. ამბობენ, რომ კონტაქტში არ შედიხარ, არცერთ ექიმს არ ელაპარაკები და შრომით თერაპიაში არ მონაწილეობ... .

-- აქაურობას თავი უნდა დავაღწიო როგორმე, - ვუთხარი მოდუშულმა, - მაშინ ჩემს თავს ყველაფერი რიგზე იქნება. შენ ჩამსვი აქ, - და დავაყოლე: - და შენვე უნდა გამიყვანო.

გავიფიქრე, დედას აქედან ჩემს წაყვანაზე თუ დავიყოლიებ, მაშინ იმ

ბიჭვით, პიესაში, ტვინის ავადმყოფობა რომ სჭირდა, მის თანაგრძნობასაც მოვიპოვებ და დავარწმუნებ, თუ რა იქნება საუკეთესო გამოსავალი.

ჩემდა გასაოცრად, დედამ თქვა:

- კარგი, შევეცდები, აქედან წაგიყვანო, ოღონდ სადმე უკეთეს ადგილას. თუ შენს გადაყვანას მოვახერხებ, - ხელი მუხლზე დამადო, - მპირდები, რომ კარგად მოიქცევი?

მოვბრუნდი და პირდაპირ ექიმ სიფილისს შევხედე, რომელიც ჩემს მხართან იდგა და პაწია, თითქმის უჩინარ წიგნაკში შენიშვნებს იწერდა.

- გპირდები, - ვთქვი ხმამაღლა, ხაზგასმით.

ზანგმა პაციენტების სასადილო ოთახში საჭმლის ურიკა შემოაგორა. საავადმყოფოს ფსიქიატრიული განყოფილება ძალიან პატარა ზომისა იყო - მხოლოდ ორი დერეფანი, ოთახების მწკრივით, პატარა ჯიხურით და ამ დერეფნებს შორის, მომცრო ფართობზე, სარკმელთან მიდგმული მაგიდითა და რამდენიმე სკამით, რომელიც ჩვენი სასადილოს როლს ასრულებდა. ჩვეულებრივ, საჭმელი ჩვენთვის თეთრ, დანაოჭებულსახიან მოხუცს მოჰქონდა, მაგრამ დღეს ზანგმა მოგვიტანა. ზანგს ცისფერ, მაღალქუსლა ფეხსაცმელზე შემდგარი ქალი ახლდა და მითითებებს აძლევდა, თუ რა უნდა გაეკეთებინა. ზანგი სულელურად იკრიჭებოდა.

მერე ჩვენს მაგიდასთან ლანგრით სამი თავდახურული წვნიანის ჯამი მოიტანა და მაგიდაზე გადმოგვირახუნა. ქალი ოთახიდან გავიდა და კარი მიიკეტა. ზანგმა რახარუხი აუყენა ჯამებს, კოვზებს და ფაიფურის სქელ თეფშებს. თან, უზარმაზარი, გადმოკარკლული თვალებით სულელურად მოგვმტერებოდა.

აშკარა იყო, რომ გიჟებს პირველად ხედავდა.

მაგიდასთან არავინ განმრეულა და არც ჯამებისათვის აუხდიათ თავსახურები. ექთანი იდგა და გვაცდიდა, რომ ვისაც გვსურდა, თვითონ აგვებოდა თავსახური და დანარჩენებისთვის კი მას მოეხედა. ჩვეულებრივ, ჯამებს თავსახურებს მისის ტომოლილო ხდიდა და საჭმელს დედასავით, ყველას მზრუნველად უნაწილებდა თეფშებზე; მაგრამ მერე შინ გაუშვეს და როგორც ჩანს, არავის სურდა მისი ადგილის დაკავება.

შიმშილით კუჭი მიხმებოდა. ამიტომ პირველ ჯამს ავხადე თავსახური.

- ყოჩაღ ესთერ, - სასიამოვნოდ მითხრა ექთანმა, - ცოტა ლობიოს ხომ ვერ გადაიღებ და შემდეგ სხვებსაც გადააწოდებ, გეთაყვა?

ბლომად მწვანე ლობიო გადმოვიღე და მივბრუნდი, რომ ჯამი ჩემს მარჯვნივ, უზარმაზარ წითელთავიანი ქალისათვის მიმეწოდებინა. ეს პირველი დღე იყო, როცა წითელთავა მაგიდასთან მოუშვეს. უწინ ერთხელ მყავდა დანახული, დერეფნის სულ ბოლო პალატაში, გისოსისსარკმლიანი გაღებული კარის წინ იდგა, უხეშად ყვიროდა, ხარხარებდა და გამვლელ ექიმებს თემოების ქნევით აჯავრებდა. იქვე თეთრხალათიანი მორიგე, რადიატორს მიყუდებული, სიცილით სკდებოდა.

წითელთავიანმა ჯამი გამომტაცა და თეფშზე ამოიპირქვა. ლობიო თეფშზე დაუხვავდა და კალთაში და იატაკზე მარცვალმარცვალ ჩამოიპნა.

- ოჰ, მისის მოულ! - სევდიანი ხმით თქვა ექთანმა. - მგონი, აჯობებს, თუ დღეს თქვენს ოთახში მიირთმევთ.

ექთანმა ლობიოს უმეტესი ნაწილი ჯამში ჩააბრუნა და მისის მოულის გვერდით მჯდომს მიაწოდა, ხოლო მისის მოული მაგიდიდან წამოაყენა. თავისი ოთახისკენ რომ მიდიოდა, დერეფანში, მისის მოული წამდაუწუმ ჩვენკენ ტრიალდებოდა, გვეჯღანებოდა და ავად ბუტბუტებდა.

ზანგი უკან დაბრუნდა და იმათი ცარიელი თევზების აკრეფა დაიწყო, ვისაც ლობიო ჯერ კიდევ არ ჰქონდა გადაღებული.

- ჯერ არ დაგვიმთავრებია, - ვუთხარი მე. - შეგიძლიათ მოიცადოთ.

- ვაა! - ზანგს დამცინავი თვალები გაოცებისაგან გაუფართოვდა. გარშემო მიმოიხედა. ექთანი, რომელმაც მისის მოული წაიყვანა ოთახში ჩასაკეტად, ჯერ არ დაბრუნებულყო. ზანგმა ზიზღიანად დამიკრა თავი და ჩაიხიხინა:

- მის შერევილს ვახლავარ.

მეორე ჯამს ავხადე თავსახური და შიგ მაკარონი დამხვდა, ყინულივით ცივი და წებოვან საწებელაში ახელილი. მესამე, უკანასკნელი ჯამი ლობიოს ღვეზელებით იყო ამოტენილი.

ექთანი დაბრუნდა და ზანგი გაგვცილდა. იმდენი ლობიოს ღვეზელი შევყამე, რამდენიც შემემლო. მერე წამოვდექი და მაგიდას შემოვუარე. ზანგი ჭუჭყიან თევზებს ალაგებდა. ექთანი მაგიდის მეორე ბოლოდან მხოლოდ წელსზემით მხედავდა. ჰოდა, ამ ზანგს ერთი კარგი წიხლი ჩავაზილე ტერფში.

ზანგი ღმუილით გახტა განზე და თვალები გადმომიკარკლა.

- ოჰ, მის! - წკმუტუნებდა და ტერფს იზელდა, - ეს არ უნდა გექნათ, მართლა არ უნდა გექნათ.

- იცოდე, კიდევ მიიღებ! - ვუთხარი და დერეფანს გავუყევი.

- დღეს ადგომას არ აპირებ?

- არა.

საწოლში კიდევ უფრო ღრმად შევიკუნტე და თავზე ზეწარი გადავიფარე. მერე ზეწრის კიდე ავწიე და გავიჭყიტე. ექთანი ჩემი პირიდან გამოცლილ თერმომეტრს ბერტყავდა.

- ხომ ხედავ, ნორმალურია. - როგორც ყოველთვის, თერმომეტრი თვითონვე გავსინჯე, ვიდრე ექთანი მოვიდოდა.

- ხომ ხედავთ, რომ ნორმალურია, რაღას მიზომავთ წამდაუწუმ?

მინდოდა მეთქვა, ნეტა ჩემს სხეულს სჭირდეს რამე და არა თავს-მეთქი, მაგრამ ამ აზრსაც ჩახვეულად და უცნაურად ჩამითვლიდნენ. ამიტომ გავჩუმდი და ისევ საწოლში შევიკუნტე უფრო ღრმად.

მერე უცებ ზეწრის ქვეშ ფეხზე რაღაც არასასიამოვნო სიმძიმე ვიგრძენი. გამოვიჭყიტე. ექთანს თერმომეტრებით სავსე ყუთი ჩემს ფეხებთან დაედო და თვითონ ჩემს გვერდითა საწოლში, მისის ტომოლილოს ადგილას მოყვანილ

პაციენტს პულსს უსინჯავდა.

ვენებში სისხლი ონავრად, ამოღებული კბილის ტკივილივით აბეზრად და თან სასიამოვნოდ ამიჩუხჩუხდა. დავამთქნარე და ავწრიალდი, ვითომ გადაბრუნება მინდოდა და ყუთს ფეხი ამოვკარი.

- ოჰ! - ექთნის უმწეო ყვირილზე პალატაში მეორე ექთანი შემოვარდა, - ნახე, რა ქენი!

ზეწრიდან თავი ამოვყავი და საწოლიდან ჩამოვიხედე. გადმობრუნებული ემალის ლანგარს ვარსკვლავით, გარშემო თერმომეტრების ნამსხვრევები უციმციმებდა. ვერცხლისწყლის წვეთები ზეციური ნამივით თრთოდა.

- მაპატიეთ, შემთხვევით მოხდა.

მეორე ექთანმა ავად გადმოხედა.

- განგებ გააკეთე. მე დაგინახე.

მერე საჩქაროდ გავიდა და თითქმის იმ წამსვე ორი მომვლელი შემოვიდა. საწოლიანად მისის მოულის ძველი ოთახისკენ გამაგორეს. მაგრამ მანამდე ვერცხლისწყლის ბურთის აღება მოვასწარი.

კარი რომ მომიკეტეს, ზანგის სახე დავინახე, გამურულ მთვარესავით, სარკმლის გისოსებს მიღმა ამოგორებული, მაგრამ თავი მოვიკატუნე, ვითომ ვერ შევამჩნიე.

თითები ოდნავ გავხსენი, როგორც ბავშვმა, საიდუმლოს რომ ინახავს და მუჭში ჩაგროვილ ვერცხლისფერ ბურთს ღიმილით დავხედე. ხელი რომ გამეშვა, ის მილიონობით თავისივე მსგავს პაწია მარცვლად დაიმსხვრეოდა, და თუ ერთმანეთთან მივაგორებდი, ისინი კვლავ ერთმანეთს შეერწყმოდნენ, ბზარის გარეშე, ერთ სრულქმნილ მთლიანობად.

პაწია ვერცხლისფერ ბურთს ვუღიმოდი და ვუღიმოდი. წარმოდგენა არ მქონდა, სად წაიყვანეს მისის მოული.

15

ფილომენა გუინეას შავ კადილაკს მანქანები გზას ცერემონიულად უთმობდნენ პიკის საათის საცობში. მალე ჩარლზის კუნძულიდან თაღად გადმორკალულ ერთ-ერთ მოკლე ხიდზე გავიდოდით; და აი, გამოვალეზდი კარს და წამში ხიდის ჯებირთან აღმოვჩნდებოდი; მერე კიდევ ერთი ნახტომიც და წყალი მშთანქავდა.

თითებშუა მოვსრისე ქაღალდის ხელსახოცი. კადილაკის უკანა სავარძლის ცენტრში ვიჯექი, დედასა და ძმას შორის, მანქანის კარებს რომ მიღობავდნენ.

თვალწინ მძლოლის სქელი, ძეხვისფერი, ლურჯ ქუდსა და ლურჯპიჯაკიან მხრებს შორის სენდვიჩით გაჭეჭილი კისერი მითახთახებდა; მის გვერდით კი ეგზოტიკური ჩიტივით ნაზი, ვერცხლისფერი თმითა და ზურმუხტისფერი ფრთებით გაწყობილი ქუდით, ცნობილი რომანისტი, ფილომენა გუინეა იჯდა.

ზუსტად არ ვიცოდი, მისის გუინეა საიდან გამოჩნდა. მარტო ის გავიგე, რომ ჩემმა შემთხვევამ დააინტერესა; თურმე ოდესღაც, კარიერის მწვერვალზე, თვითონაც საგიჟეთში მოხვედრილა.

დედამ მითხრა, მისის გუინეამ დეკემბა გამომიგზავნა ბაკამებიდანო.



ბოსტონის გაზეთიდან შეუტყვია ჩემ შესახებ; დეპეშაში კითხვას სვამდა: „ამ საქმეში ბიჭია გარეული?“

თუ ბიჭის გამო ვიყავი ასე, რა თქმა უნდა, მისის გუინეა ვერაფერს იღონებდა.

მაგრამ დედამ დეპეშითვე უპასუხა: „არა, ყველაფერი მწერლობის გამოა. ესთერს ჰგონია, რომ წერას ველარასოდეს შეძლებს“.

შედეგად, მისის გუინეა ბოსტონში ჩამოფრინდა და აი, ქალაქის უბადრუკი საავადმყოფოდან კერძო საავადმყოფოსაკენ მივყავდი, რომელსაც კარგი რეპუტაცია ჰქონდა და იქ გოლფის კურსები და ბაღებიც კი იყო. მისის გუინეა სრულ გამოჯანმრთელებამდე გადამიხდიდა მკურნალობის ფასს, თითქოს სტიპენდია მქონოდა.

დედას თქმით, ძალიან მადლიერი უნდა ვყოფილიყავი; თვითონ რაც კი ფული გააჩნდა, თითქმის სულ ამოვწურე და მისის გუინეა რომ არა, არავინ იცოდა, სად მოვხვდებოდი. თუმცა ვიცოდი, სადაც მოვხვდებოდი, – დიდ სახელმწიფო საავადმყოფოში გადამიყვანდნენ, რომელიც ამ კერძო კლინიკის სრული საპირისპირო იქნებოდა.

მადლიერი უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ ვერაფერს ვგრძნობდი. მისის გუინეას ბილეთიც რომ მოეცა ევროპაში ან მსოფლიოს გარშემო სამოგზაუროდ, ჩემთვის მაინც სულ ერთი იქნებოდა, რადგან სადაც არ უნდა ვმჯდარიყავი – გემბანზე, პარიზის კაფეში თუ ჰონკონგში, – ერთი და იმავე შუშის ზარხუფის ქვეშ იქნებოდი, საკუთარ ოფლში ჩახარშული.

მდინარეზე ლურჯი ცის თალი გადაიშალა; წყალი ნავებით იყო დაწინწკლული. გავემზადე, მაგრამ დედაჩემიც და ჩემი ძმაც იმწამსვე კარის სახელურებს მისწვდნენ. საბურავებმა ხიდზე სწრაფად გადაისრიალეს. წყალმა, იახტებმა, ლურჯმა ცამ და ჰაერში გამოკიდულმა თოლიებმა არარეალურად, ლამაზი საფოსტო ბარათივით გაიელვა და უკვე ხიდის გადაღმა ვიყავით.

ნაცრისფერ, ფაფუკ საზურგეზე მივწეკი და თვალები დავხუჭე. გარშემო ზარხუფის ჰაერი მაწვა და განძრევა არ შემეძლო.

კვლავ ცალკე ოთახი მქონდა.

ამ ოთახმა ექიმი გორდონის საავადმყოფოს ოთახი გამახსენა – საწოლი, კომოდი, კარადა, მაგიდა და სკამი. ფანჯარას ბაღე ეკრა, გისოსების ნაცვლად. ჩემი ოთახი პირველ სართულზე იყო, ფიჭვის პარკეტი ჰქონდა და სარკმელი წითელი აგურის კედლით გადაღობილ, ხეებით სავსე ეზოს გადაჰყურებდა. რომ გადავმხტარიყავი, მუხლსაც კი არ დავიშავებდი. მაღალი კედელი მინასავით გლუვი ჩანდა.

ხიდზე მგზავრობამ ნერვები ამიშალა.

მშვენიერი შანსი გავუშვი ხელიდან. მდინარემ პირდაუკარებელი სასმელივით ჩამიარა. ეჭვი მქონდა, რომ დედაჩემი და ჩემი ძმა იქ კიდევ რომ არ ყოფილიყვნენ, გადახტომას ვერ გავბედავდი.

როცა საავადმყოფოს მთავარ შენობაში შემიყვანეს, ტანადი, ახალგაზრდა ქალი მოვიდა და გამეცნო: „მე ექიმი ნოლანი ვარ. ესთერის ექიმი ვიქნები“. გამიკვირდა, ქალი ექიმი რომ მყავდა. არ მეგონა, ქალი ფსიქიატრებიც თუ არსებობდნენ. ექიმს თეთრი პერანგი და ბრტყელი ტყავის ქამრით შეკრული მთლიანი კაბა ეცვა; და მოდური, ვიწრომინებიანი სათვალე ეკეთა.

მაგრამ მას შემდეგ, რაც ექთანმა ბაღის გადასწვრივ პირქუმ აგურის შენობაში, რომელსაც კაპლანი ერქვა, გადამიყვანა და ოთახიც მომიჩინა, ექიმ ნოლანს არც ერთხელ არ ვუწახივარ; მის მაგივრად, უცნაური კაცების მთელი რაზმი დამესია.

სქელი, თეთრი ზეწრის ქვეშ ვიწექი. სათითაოდ შემოლაგდნენ ოთახში და გაცნობა დამიწყეს. ვერ მივხვდი, ამდენი კაცი რაში იყო საჭირო, ან რატომ უნდა გამეცნო ისინი. ამიტომ დავასკვენი, რომ მამოწმებდნენ, – აბა, შევამჩნევდი თუ არა, რომ ძალიან ბევრნი იყვნენ.

ბოლოს წარმოსადეგი, ჭადარა ექიმი მომიახლოვდა და მითხრა, საავადმყოფოს დირექტორი ვარო. მერე პილგრიმებზე და ინდიელებზე დამიწყო ლაპარაკი და ჩამოთვალა ახლომახლო მდინარეები; და მოყვა, თუ ვინ ააშენა თავდაპირველად ეს საავადმყოფო და მერე როგორ გაანადგურა ის შენობა ხანძარმა; და ბოლოს გავიფიქრე, ალბათ ეს კაცი ელოდება, როდის გავაჩერებ და ვეტყვი, – ვიცი, რომ სისულელეებს მიყვებით-მეთქი.

მაგრამ მერე გავიფიქრე, რომ ამ ამბის ნაწილი შეიძლება სიმართლეც იყო. შევეცადე გამერჩია, რა შეიძლებოდა ყოფილიყო სიმართლე და რა არა, მაგრამ ვიდრე ამას მოვახერხებდი, კაცი დამემშვიდობა.

დავიცადე, ვიდრე ყველა ექიმის ხმა არ მიჩუმდა. მერე ზეწარი გადავიხადე, ფეხსაცმელი ჩავიცვი და დერეფანში გავედი. არავის გავუჩერებია. ჩემი დერეფნის კუთხიდან მეორეში, უფრო გრძელ დერეფანში გავუხვიე და სასადილო ოთახსაც ჩავუარე.

მწვანეუნიფორმიანი მოახლე ვახშმისათვის მაგიდას აწყობდა. მაგიდას თეთრი ტილო ევარა და ზედ ჭიქები და ქაღალდის ხელსახოცები ეწყო. ფაქტი, რომ ეს ნამდვილი მინა იყო, გონებაში გადავავლო, როგორც ციყვი გადააგორებს თხილს თავის ფულუროში შესანახად. ქალაქის საავადმყოფოში ქაღალდის ჭიქებიდან ვსვამდით და არც დანები გვქონდა ხორცის დასაჭრელად. ხორცი ყოველთვის ისე იყო გადახარშული, რომ ჩანგლითაც იჭრებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, დიდ, გაქუცული ავეჯითა და გადახეხილი ხალიჩით მორთულ დარბაზს მივადექი. მრგვალი, ფუნჯულასახიანი გოგონა, მოკლედ შეჭრილი შავი თმით, სავარძელში იჯდა და ჟურნალს კითხულობდა. ჩემი ძველი სკაუტების ბანაკის ლიდერი გოგო გამახსენდა. ფეხებზე შევხედე და ზუსტად ისეთივე სქელი ყავისფერი ტყავის ფეხსაცმელი ეცვა, როგორც სკაუტს, ამოჩაჩული ენითა და მეტალის სამაგრებში ამოყრილი თასმებით.

გოგონამ თვალები ასწია და გამიღიმა. „მე ვალერია ვარ. შენ ვინ ხარ?“

ვითომ ვერ გავიგე, დარბაზიდან დერეფნის მეორე ფრთას გავუყევი. გზად წელამდე სიმაღლის კარი გავიარე, რომლის მიღმაც რამდენიმე ექთანი დავინახე.

– ხალხი სადაა?

– გარეთ.

ექთანი პაწია მისაკრობ ქაღალდებზე რაღაცას წერდა. კარს გადავეყუდე, რომ ასოები გამერჩია. ე. გრინვუდი, ე. გრინვუდი, ე. გრინვუდი – დავინახე.

– სად გარეთ?

- სპორტულ მოედანზე. გოლფუს ან ბადმინტონს თამაშობენ.

ექთანის გვერდით, სკამზე ტანსაცმლის გროვა შევნიშნე. იგივე ტანსაცმელი იყო, წინა საავადმყოფოში ექთანი ტყავის ჩემოდანში რომ ალაგებდა, როცა მე სარკე გავტეხე. ექთნებმა წარწერების მიწებება ტანსაცმელზე დაიწყეს.

უკან, დარბაზში დავბრუნდი. ვერ გამეგო, ეს ხალხი ბადმინტონს და გოლფს თუ თამაშობდა, აქ რა უნდოდათ. თამაშის თავი თუ ჰქონდათ, ესე იგი, ცუდად არც იყვნენ.

ვალერიასთან ჩამოვჯექი და გულდასმით დავაკვირდი. გავიფიქრე, ეს გოგო თავისუფლად შეიძლება სკაუტების ბანაკში იყოს-მეთქი. ვოგის დაფხრეწილ ნომერს დიდი ინტერესით კითხულობდა.

„აქ რა ჯანდაბა უნდა?“ - ვერ გამეგო, - „აშკარად არაფერი სჭირს.“  
- წინააღმდეგი ხომ არ იქნები, რომ მოვწიო? - ექიმი ნოლანი ჩემი საწოლის გვერდით, სავარძლის საზურგეს მიეყუდა.

ვუთხარი, არა-მეთქი. კვამლის სუნი მომწონდა. გავიფიქრე, ექიმი ნოლანი თუ მოწევეს, ჩემთან უფრო დიდხანს დარჩება-მეთქი. იმ დღეს პირველად მოვიდა სალაპარაკოდ. წავიდოდა და ისევ, როგორც ზეწარში, ისე გავეხვეოდი სიცარიელეში.

- ექიმი გორდონის შესახებ მიაბზე, - მოულოდნელად მითხრა ექიმმა ნოლანმა, - მოგწონდა?

ექვით შევხედე. გავიფიქრე, ეს ექიმები ყველა ერთნაირია და ამ საავადმყოფოშიც, სადმე მოფარებულ კუთხეში, ალბათ ზუსტად ისეთივე მანქანაა ჩასაფრებული, როგორც ექიმ გორდონს ჰქონდა, - ჩემი ძვლების კანიდან ამოსაგდებად გამზადებული.

- არა, სულ არ მომწონდა.

- საინტერესოა. რატომ?

- არ მომწონდა რასაც მიშვრებოდა.

- გიშვრებოდა?

ექიმ ნოლანს ვუამბე დანადგარის, იმისი ლურჯი ნაპერწკლების, ბიძგებისა და ღმუილის შესახებ. სულგანაბული მისმენდა.

- ეს შეცდომა იყო, - მითხრა ბოლოს, - წესით, ასე არ უნდა ყოფილიყო.

მივაშტერდი.

- თუ სწორად გაკეთდა, - დაამატა ექიმმა ნოლანმა, - ძილის მსგავსია.

- თუ ვინმე კიდევ გამიკეთებს ამას, თავს მოვიკლავ.

ექიმმა ნოლანმა დარწმუნებით მითხრა:

- აქ არანაირი შოკური მკურნალობა არ ჩაგიტარდება. თუ დაგჭირდა, - შეასწორა, - წინასწარ გაგაფრთხილებ. გპირდები, რომ არაფერი იმის მსგავსი არ

იქნება, რაც გამოსცადე. ზოგს მოსწონს კიდევ.

ექიმი ნოლანის წასვლის შემდეგ ფანჯრის რაფაზე ასანთის კოლოფი ვიპოვე. ეს ჩვეულებრივი ზომის კოლოფი არ იყო, არამედ ძალიან პაწია. გავხსენი და ვარდისფერწვეტიანი პატარა თეთრი ჩხირები დავინახე. ერთის ანთება ვცადე, მარამ ხელში ჩამეფშხენა.

ვერ მივხვდი, ექიმ ნოლანს რატომ უნდა დაეტოვებინა ჩემთვის ასეთი სისულელე. ალბათ უნდოდა, შევემოწმებინე, უკან დავუბრუნებდი თუ არა. სათამაშო ასანთი ჩემი ახალი შალის ხალათის უბეში საგულდაგულოდ შევმალე. თუ ექიმი ნოლანი მკითხავდა ასანთის შესახებ, ვეტყოდი, - კანფეტები მეგონა და შევჭამე-მეთქი.

გვერდითა ოთახში ახალი ქალი გადმოიყვანეს.

ჩემი გამოთვლით, ამ შენობაში ეს ქალი ერთადერთი იყო, ვინც ჩემს შემდეგ მოიყვანეს. ასე რომ, ჯერ არ ეცოდინებოდა, რა ცუდად იყო ჩემი საქმე. ამიტომ გადავწყვიტე, შევალ და დავუმეგობრდები-მეთქი.

ქალი საწოლზე იწვა, ჩექმებიანად, კამეის გულსაბნევით შეკრულ, იისფერ კაბაში გამოწყობილი. წითურ თმაზე ბაფთი ეკეთა და მკერდთან, ჯიბეში შავთოკიანი, ვერცხლისფერჩარჩოიანი სათვალე მოუჩანდა.

- გამარჯობა, - დავაპირე საუბრის გაბმა და საწოლის კიდეზე ჩამოვუჯექი, - მე ესთერი მქვია, თქვენ?

ქალი არ განძრეულა, მხოლოდ ყერს მიშტერებოდა. გული მეტკინა. ალბათ, ვალერია ამ ვინმე სხვამ მოყვანისთანავე უთხრა, რა გამოშტერებულიც ვიყავი.

კარში ექთანმა შემოყო თავი.

- შენ თურმე მის ნორისის მოსანახულებლად მოსულხარ. ძალიან კარგი! - მითხრა და ისევ გაუჩინარდა.

არ ვიცი, იქ რამდენხანს ვიჯექი, შევეყურებდი ამ იისფერებში გამოწყობილ ქალს და მაინტერესებდა, მოკუმული ვარდისფერი ტუჩები ბოლოს და ბოლოს, გაეხსნებოდა თუ არა; და თუ გაეხსნებოდა, რას იტყოდა.

ბოლოს, ისე, რომ არც დამლაპარაკებია და არც შემოუხედავს, მის ნორისმა თავისი მაღალქუსლა, შავი, მაღალყელიანი ჩექმები საწოლიდან მეორე მხარეს გადასწია და ოთახიდან გავიდა. გავიფიქრე, ალბათ, ჩემი თავიდან მოცილება უნდა-მეთქი. დერეფანში შორიახლოს გავყევი ჩუმად.

მის ნორისი სასადილოს კარის სახელოს მისწვდა და შეჩერდა. მთელი გზა ნაბიჯებს თანაბრად, ხალიჩაზე მიხატული კომბოსტოების ზუსტად შუაგულეებში ადგამდა. კართან წამით შეჩერდა. მერე, ფეხები სათითაოდ ასწია და კარის ჩარჩოზე ისე გადაალაგა, თითქოს უხილავ ღობეზე ძვრებოდა.

ერთ-ერთ მრგვალ, ტილოს გადასაფარებლიან მაგიდასთან დაჯდა და კალთაზე ხელსახოცი გაიშალა.

- ვახშამდე კიდევ ერთი საათია დარჩენილი, - გამოიხედა მზარეულმა.

მაგრამ მის ნორისს არ უპასუხია. მხოლოდ იჯდა და სადღაც, მზარეულის მიღმა იცქირებოდა ზრდილობიანად.

მის პირდაპირ სკამი გამოვწიე და ხელსახოცი გავშალე. ხმის ამოუღებლად ვისხედით ასე, ახლობლურ, დურ სიჩუმეში, ვიდრე დერეფნის ზარმა ვახშობის დრო სხვებსაც არ აუწყა.

- დაწეი, - მითხრა ექთანმა, - ნემსი უნდა გაგიკეთო.

მუცელზე გადავბრუნდი და კაბის ქვეშ ვარდისფერი პიჟამის შარვალი ჩავიწიე.

- ღმერთო ჩემო, შიგნით რა გაცვია?

- პიჟამა. რომ გამუდმებით ჩაცმა-გახდა არ დამჭირდეს.

ექთანმა მხიარულად ჩაიკაკანა:

- რომელ მხარეს გირჩევნია?

თავი წამოვწიე და ჩემს შიშველ დუნდულებს გავხედე. ძველი ნანემსრებით წითელ-მწვანე-ლურჯად მქონდა აჭრელებული. მარცხენა მხარე მარჯვენაზე მუქი ჩანდა.

- მარჯვენა.

- შენი არჩეულია! - და ექთანმა ნემსი დამარჭო. ტკივილისაგან დავიღრიჯე. ექთნები დღეში სამჯერ მარჭობდნენ ნემსს. ყოველი ნესის გაკეთებიდან ერთი საათის შემდეგ კი შაქრიანი ხილის წვენს მაძლევდნენ და მიყურებდნენ, რომ დამელია.

- ინსულინს იღებ. - მითხრა ვალერიამ

- მაგრამ არაფერი ხდება.

მოხდება. მეც ეგრე ვიყავი. როცა რეაქცია დაიწყება, მითხარი.

მაგრამ არანაირი რეაქცია არ იწყებოდა. მარტო ვსუქდებოდი და ვსუქდებოდი. უკვე გავჭედე ახალი, დიდი ზომის ტანსაცმელი, რომელიც დედამ მიყიდა, და როცა ჩემს სქელ ღიპსა და განიერ თეძოებს დავყურებდი, ვფიქრობდი, რა კარგია, მისის გუინეა ასეთს რომ არ მხედავს-მეთქი. ცხრა თვის ფეხმძიმეს ვგავდი.

- ჩემი ნაჭრილობევეები ნანახი გაქვს?

ვალერიამ შავი თმა გადაიწია და შუბლის ორივე მხარეს თითო მქრალი ნიშანი გამოუჩნდა, თითქოს ოდესღაც რქების ამოსვლა დასწყებოდა, მაგრამ მოექლიბა.

ჩვენ ორნი სპორტულ თერაპევტთან ერთად ვსეირნობდით. ახლა უკვე სულ უფრო ხშირად მიშვებდნენ სასეირნოდ. მის ნორისი გარეთ საერთოდ არ გამოჰყავდათ.

ვალერიამ თქვა, მის ნორისი, კაპლანის ნაცვლად, უიმარკში უნდა იყოს, სადაც უარეს მდგომარეობაში მყოფი პაციენტები ჰყავთ.

- იცი, ეს ნაჭრილობევეები რისია? - დაიჟინა ვალერიამ.

- არა. რისია?

ლობოტომია ჩამიტარდა.

ვალერიას კრძალვით შევხედე, პირველად დავაფასე მისი მუდმივი, მარმარილოსებრი სიმშვიდე. - ახლა როგორ გრძნობ თავს?

- კარგად. ბრაზმა გამიარა. მანამდე სულ ვბრაზობდი. მანამდე უიმარკში ვიყავი და ახლა კაპლანში გადმომიყვანეს; ქალაქში გასვლაც შემიძლია და, ექთანთან ერთად, საყიდლებზე და კინოში სიარულიც.

- აქედან რომ წახვალ, რას გააკეთებ?

- ოჰ, არსად არ მივდივარ, - გაიცინა ვალერიამ. - აქ ძალიანაც მომწონს.

- გადასვლის დღეა!

- რატომ უნდა გადავიდე?

ექთანი ჩემი უჯრების გაღება-დახურვას მხიარულად აგრძელებდა; კარადას აცარიელებდა და ჩემს ნივთებს შავ ჩემოდანში ალაგებდა.

გავიფიქრე, ალბათ, ბოლოს და ბოლოს, უიმარკში გადავყავარ-მეთქი.

- სახლის წინა მხარეს გადადიხარ, - მხიარულად მითხრა ექთანმა, - მოგეწონება. იქ გაცილებით მეტი მზეა.

როცა დერეფანში გამოვედი, დავინახე, რომ მის ნორისიც გადადიოდა. მისი ექთანიც, ისეთივე ახალგაზრდა და მხიარული, როგორც ჩემი, ოთახის კართან იდგა და მის ნორისს იისფერ, ციყვისბეწვიანი საყელოთი გაწყობილ ქურთუკს აცმევდა.

საათობით ვიჯექი ხოლმე მის ნორისს საწოლთან; სპორტულ თამაშებზე, სეირნობაზე, ბადმინტონის თამაშზე და ჩემს საყვარელ საკვირაო ფილმებზეც კი უარს ვამბობდი. მის ნორისს ვერსად მიდიოდა. და მეც მასთან ვრჩებოდი, რომ უბრალოდ მისი ტუჩების გაცრეცილი უსიტყვო რკალისთვის მედარაჯა.

წარმოვიდგენდი ხოლმე, რა ამაღელვებელი იქნებოდა, ერთ მშვენიერ დღესაც რომ გაეხსნა პირი და ამოელაპარაკა. დერეფანში გავვარდებოდი და ექთნებს ვახარებდი. ისინიც შემაქებდნენ მის ნორისს მხარდაჭერის გამო და, ალბათ, ქალაქში საყიდლებზე და ფილმებზეც გამიშვებდნენ. და ჩემი გაქცევა გარანტირებული იქნებოდა.

მაგრამ მთელი ჩემი სიფხიზლის განმავლობაში მის ნორისს სიტყვაც არ უთქვამს.

- თქვენ სად გადადიხართ? - ვკითხე ახლაც.

ექთანმა მის ნორისს მკლავზე მოჰკიდა ხელი და ისიც ბორბლებზე შემდგარ თოჯინასავით ამოძრავდა.

- უიმარკში გადადის, - ხმადაბლა მითხრა ჩემმა ექთანმა, სამწუხაროდ, მის ნორისსი შენსავით უკეთ არაა.

ვუყურებდი, მის ნორისმა წინა კართან როგორ ასწია ჯერ ერთი ფეხი, მერე -

მეორე, რომ უჩინარი ღობისათვის გადაეხიჯებინა.

- სიურპრიზი მაქვს შენთვის, - მითხრა ექთანმა უკვე შენობის წინა მხარეს, მზიან ოთახში, რომელიც გოლფის მწვანე ბილიკებს გადაჰყურებდა, - დღეს ერთი შენი ნაცნობი მოიყვანეს.

- ჩემი ნაცნობი?

ექთანმა გაიცინა.

- ასე ნუ მიყურებ. პოლიციელი არ არის. ამბობს, რომ შენი ძველი მეგობარია. გვერდითა ოთახში ცხოვრობს. რატომ არ მოინახულებ?

გავიფიქრე, ექთანი მეხუმრება და გვერდითა ოთახის კარზე რომ დავაკაკუნო, პასუხს არავინ გამცემს, შიგნით კი თავის იისფერ ციყვისბეწვიანი საყელოთი გაწყობილი ქურთუკით მწოლიარე მის ნორისი დამხვდება, სხეულის გატვრენილი ლარნაკიდან ვარდის ფურცლებივით წითლად ამოშლილი ტუჩებით-მეთქი.

მაინც გავედი და მეზობელ კარზე დავაკაკუნე.

- შემოდით! - გამომძახა მხიარულმა ხმამ.

კარი ოდნავ გამოვალე და ოთახში შევიჭყიტე. სარკმელთან მიმჯდარმა, ბრიჯებში გამოწყობილმა ცხენივით გოგომ ფართო ღიმილი შემომამგება.

- ესთერ! - ისე ქოშინებდა, თითქოს საიდანღაც, ძალიან შორიდან მორბოდა და ეს-ესაა გაჩერდაო.

- რა კარგია შენი ნახვა. მითხრეს, რომ აქა ხარ.

- ჯოანა? - ვთქვი ყოყმანით და მერე - ჯოანა! - შევყვირე გოგებისაგან.

ჯოანას სახე გაუბრწყინდა და უტყუარ საბუთად თავისი უზარმაზარი, ელვარე კბილები გამოაჩინა.

- მართლა მე ვარ. ვიცოდი, რომ სახტად დარჩებოდი.

16

ჯოანას ოთახი თავისი კომოდით, მაგიდით, სკამითა და საწოლზე აფუებული თეთრი საბნით, რომელსაც ზედ დიდი ლურჯი ც ეხატა, ჩემი ოთახის ანარეკლს ჰგავდა. გავიფიქრე, ალბათ ჯოანამ გაიგო ჩემი ადგილსამყოფელი და ეს ოთახი განზრახ, სახუმაროდ დაიქირავა-მეთქი და ამიტომაც უთხრა ექთანს, რომ ჩემი მეგობარი იყო. არადა, ახლოს არასოდეს მცნობია.

- აქ როგორ მოხვდი? - მოვუკალათდი საწოლზე.

- შენზე წავიკითხე, - მიპასუხა ჯოანამ.

- რა?

- შენს შესახებ წავიკითხე და გავიქეცი.

- რატომ? - მშვიდად ჩავეკითხე.

- მოკლედ, - ჯოანა საგიჟეთის მოჩითულპირიანი სავარძლის საზურგეს მიეყუდა, - საზაფხულო სამუშაო ვიშოვე, რაღაც მასონების მსგავსი, ოღონდ

მასონების არა, რაღაც სხვა რელიგიური სამმოს უფროსის მდივნად. ჰოდა, იქ დამემართა. თავს საშინლად ვგრძნობდი. ფეხები კოჭრებით გამევესო. ბოლო დღეებში ძლივს დავდიოდი, - სამსახურში ფეხსაცმლის ნაცვლად კალოშების ჩაცმას მთხოვდნენ. წარმოიდგინე, ამან როგორ იმოქმედა ჩემს თავმოყვარეობაზე...

გავიფიქრე, ჯოანა ან ნამდვილად გიჟია, სამსახურში მართლა კალოშებით თუ დადიოდა, ან კიდევ, ცდილობს გაარკვიოს, მე თვითონ რამდენად გიჟი ვარ და ამ ყველაფერს თუ დავიჯერებ-მეთქი. თან, როგორც ვიცოდი, კოჭრები მარტო მოხუცებს უჩნდებათ. გადავწყვიტე, თავი ისე მომეჩვენებინა, თითქოს ვფიქრობდი, რომ ჯოანა იყო გიჟი და მე, უბრალოდ, მისი ნაამბობით ვხალისობდი.

- უფეხსაცმლოდ თავს ყოველთვის არარაობად ვგრძნობ, - ვუთხარი ორაზროვანი ღიმილით, - ფეხები ძალიან გტკიოდა?

- საშინლად. ჩემი უფროსი ის-ის იყო ცოლს გაეყარა, მაგრამ არ შეეძლო გაყრა პირდაპირ ოფიციალურად გაეფორმებინა, რადგან ეს სამმოს წესების დარღვევა იყო... და ეს ჩემი უფროსი წამდაუწუმ მიძახებდა და სიარულისას ფეხები ჯოჯოხეთურად მტკიოდა. მერე მივუჯდებოდი მაგიდას და იმწამს ისევ მიძახებდა და რაღაც მორიგ სისულელეს მავალებდა..."

- რატომ არ გაანებე თავი?

- თითქმის გავანებე. ავადმყოფობის გამო შვებულება ავიღე. გარეთ არ გავდიოდი. არავის ვნახულობდი. ტელეფონი უჯრაში ჩავტენე და ერთხელაც არ მიპასუხია... მერე ჩემმა ექიმმა ფსიქიატრთან გამგზავნა ქალაქის მთავარ საავადმყოფოში. თორმეტი საათისთვის მქონდა მიღება დანიშნული; თავს საშინლად ვგრძნობდი. ბოლოს, პირველის ნახევარზე მდივანი გამოვიდა და მითხრა, ექიმი სადილზეა წასულიო. მკითხა, თუ დაიცდიო და მე ვუთხარი, დიახ-მეთქი.

- დაბრუნდა?

ჯოანა ისეთი გადაჭარბებული აღფრთოვანებით ყვებოდა ამ ამბავს, რომ მის სიმართლეში ეყვი შევიტანე. დავაცადე, სადამდე მივიდოდა.

- ჰო, დაბრუნდა. მეც შენსავით თავის მოკვლა მინდოდა. ვფიქრობდი, თუ ამ ექიმმა სასწაული არ მოახდინა, დასასრულია-მეთქი. ჰოდა, მდივანი დერეფანში გამიძღვა და კართან რომ მივედი, შემომიბრუნდა და მითხრა: - წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, თუ ექიმთან რამდენიმე სტუდენტიც იქნებაო. რა უნდა მეთქვა? ოჰ, არა-მეთქი, ვუპასუხე. შევედი და ჩემკენ მომტერებული ცხრა წყვილი თვალი დამხვდა. ცხრა! თვრამეტი თვალი.

იმ ექთანს რომ ეთქვა, ოთახში ცხრა კაცი იქნებაო, შიგ არასოდეს შევაბიჯებდი. მაგრამ უკვე იქ ვიყავი და აღარაფერი ეშველებოდა. თან იმ დღეს ბეწვის ქურქი მეცვა...

- აგვისტოში?

- ცივი, წვიმიანი დღე იყო და თან ვიფიქრე, მაინც ჩემი პირველი ფსიქიატრია-მეთქი და ხომ იცი... ერთი სიტყვით, ის ფსიქიატრი, მთელი იმ დროის განმავლობაში, რომ ველაპარაკებოდი, ჩემს ქურქს ათვალიერებდა და უკვე ვიცოდი, რასაც მეტყოდა, სრული გადასახადის ნაცვლად, სტუდენტური



შეღავათი რომ მეთხოვა. თვალეზში დოლარის ნიშნები მოუჩანდა. ვუამბე ეს ყველაფერი – კოჟრების, უჯრაში ჩატენილი ტელეფონის და თვითმკვლელობაზე ფიქრის შესახებ და მთხოვა, გარეთ დამელოდეთ, ვიდრე კოლეგებთან თქვენს შემთხვევას განვიხილავო. როცა უკან გამომიძახა, იცი რა მითხრა?

- რა?

- დონიკი შემოიყარა, შემომხედა და განმიცხადა: მის გილინგ, ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ თქვენ ჯგუფური თერაპია გარგებდათ.

- ჯგუფური თერაპია?! - თავად გამიკვირდა, რა ნაყალბევი ხმით შევიცხადე-მეთქი, მაგრამ ჯოანას ყურადღება არ მიუქცევია.

- აი, ასე მითხრა. წარმოგიდგენია?! მე თავის მოკვლა მინდა და ამ დროს უნდა მივიდე და უცნობების ჯგროს დავუწყო ამაზე ლაპარაკი; თან მათი უმრავლესობა იმავე დღეშია..."

- რა სიგიჟა! - მიუხედავად ჯოანასადმი ჩემი განწყობისა, მართლა აღვშოთდი, - პირდაპირ არაადამიანურია.

- მეც ზუსტად ეგრე ვუთხარი. შინ წავედი და იმ ექიმს ერთი კარგი წერილი მივწერე, რომ მისნაირი კაცი ავადმყოფს ვერაფრით დაეხმარება...

- პასუხი მოგწერა?

- არ ვიცი. აი, იმ დღეს წავიკითხე შენს შესახებაც.

- ეგ როგორ?

- წავიკითხე, როგორ ეგონა პოლიციას, რომ მკვდარი იყავი და ეგეთები. სადღაც მაქვს ამონაჭრების მთელი დასტა, - ჯოანა წამოიყალცა და ნესტოები ცხენის სუნმა ამიწვა; ცხენოსნობაში კოლეჯის ყოველწლიური შეჯიბრებების ჩემპიონი იყო და ახლა ლამის ვკითხე, თავლაში ხომ არ გეძინა-მეთქი.

ჯოანამ თავახდელი ჩემოდანი მოჩხრიკა და მთელი ბლუჯა გაზეთის ამონაჭრები ამოიღო.

- აი, ნახე!

პირველ ფურცელზე თვალეზჩათხაპნილი და შავად გატატყულტუჩებიანი გოგოს დიდი, გადღაზნილი სურათი მოჩანდა. ვერ წარმოვიდგინე, ასეთი ვულგარული სურათი სად უნდა გადაეღოთ, ვიდრე არ შევამჩნიე ბლუმინგდეილის საყურეები და ბლუმინგდეილისავე ყელსაბამი, ზედ მოლიცლიცე პაწია ვარსკვლავებით.

სტიპენდიატი გოგონა დაიკარგა. დედა შემფოთებულია

სტატია იუწყებოდა, რომ დაიკარგა გოგონა, თავისი სახლიდან, 17 აგვისტოს.

ეცვა მწვანე ქვედაბოლო და თეთრი მაისური და დატოვა წერილი, რომელშიც ეწერა, შორს მივდივარ სასეირნოდო. მის გრინვუდის დედამ შუალამედე დაიცადა და შემდეგ ქალაქის პოლიციას აცნობა.

გაზეთის მეორე ამონაჭერზე ჩვენს ეზოში ერთად მოდიმარი დედაჩემის, ჩემი ძმის და ჩემი ფოტო იყო დაბეჭდილი. ჯერ ვერ გავიხსენე, ეს ფოტო ვისი

გადაღებული იყო, მაგრამ მერე გავარჩიე, რომ სარჯის პერანგი და თეთრი სპორტული ფეხსაცმელები მეცვა და მომაგონდა ის ზაფხული, ისპანახს რომ ვკრეფდი. ერთ ცხელ შუადღეს დოდო კონუემ შემოიარა და რამდენიმე ოჯახური ფოტო გადაგვიღო.

მისის გრინვუდმა იმ იმედით გვთხოვა ამ ფოტოს გამოქვეყნება, რომ ეს მის ქალიშვილს დაბრუნებას გადააწყვეტინებს.

შიშობენ, რომ გოგონასთან ერთად

სადილე აბებიც გაქრა.

მუქ, ჩაბნელებულ სურათზე, ტყის ფონზე ათობით მთვარისსახა კაცი მოჩანდა. ჯერ გავიფიქრე, მწკრივის ბოლოს ეს რა უცნაური, უჩვეულოდ მოკლე ხალხი მოჩანს-მეთქი. მერე მივხვდი, რომ ხალხი კი არა, ძაღლები იყვნენ.

დაკარგული გოგონას საპოვნელად მეძებარ ძაღლებს იყენებენ. პოლიციის სერჟანტ ბილ ჰინდლის განცხადებით, ამ საქმეს კარგი პირი არ უჩანს. გოგონა ცოცხალი იპოვეს!

ბოლო სურათზე პოლიციელი სასწრაფოს მანქანის უკანა განყოფილებაში გრძლად დახვეულ, მომჩვარულ საბანს ათავსებდა, რომლიდანაც უცხვირპირო, კომბოსტოსთავიანი რადაც გამოჩრილიყო.

სტატია იუწყებოდა, თუ როგორ ჩაიტანა დედაჩემმა სარდაფში სარეცხი და კედლის ძველისძველი ხვრელიდან სუსტი კვნესა მოესმა...

გაზეთის ამონაჭრები თეთრად გადატკეცილ ლოგინზე გავშალე.

- შენ შეინახე, - მითხრა ჯოანამ, - ერთად ჩააწებე სადმე.

ამონაჭრები დავკეცე და ჯიბეში ჩავიცურე.

- ჰოდა, შენზე წავიკითხე, - გააგრძელა ჯოანამ, - პოვნის ამბავი არა, მაგრამ მანამდე რაც იყო. და მთელი ჩემი ფული მოვაგროვე და პირველივე თვითმფრინავით ნიუ-იორკში გავფრინდი.

- ნიუ-იორკში რატომ?

- რა ვიცი, ვიფიქრე, თავის მოკვლა ნიუ-იორკში უფრო ადვილი იქნება-მეთქი.

- მერე რა ქენი?

ჯოანამ სულელურად ჩაიქირქილა და მკლავები ამოიტრიალა. მინიატიურული უღელტეხილის ზოლივით გრძელი, მოწითალო ზიგზაგები გასდევდა მაჯების თეთრ კანს.

- როგორ გააკეთე? - თავში პირველად გამიელვა, რომ მე და ჯოანას რაღაც გვექონდა საერთო.

- ჩემი თანამეოთახის სარკმელი ჩავამსხვრიე.

- რომელი თანამეოთახის?

- ძველი, კოლეჯის მეგობრის. ნიუ-იორკში მუშაობდა და დასარჩენად სხვა

ადგილი ვერ მოვიფიქრე. თან, ფულიც თითქმის აღარ მრჩებოდა. ამიტომ, მასთან მივედი. მშობლებმა იქ მიპოვეს. – ამ გოგოს მიუწერია, უცნაურად იქცევაო და მამაჩემი მაშინვე ჩამოფრინდა და უკან დამაბრუნა.

– მაგრამ ახლა კარგადა ხარ, – ვუთხარი დარწმუნებით.

ჯოანამ თავისი ნათელი, კენჭივით ნაცრისფერი თვალები შემომანათა.

– მგონი კი, შენ?

სადილის შემდეგ ჩამეძინა.

ყვირილმა გამომადვიმა. მისის ბანისტერ, მისის ბანისტერ, მისის ბანისტერ, მისის ბანისტერ. სიზმრიდან გამორკვეულმა, აღმოვაჩინე, რომ საწოლის მოაჯირს ხელებს თავად ვურტყამდი და ვყვიროდი. თვალებში მისის ბანისტერის, ღამის ექთნის დაგრეხილმა სილუეტმა გამიელვა.

– მოიცა, ეს არ გატეხო, – მაჯიდან საათი მომხსნა.

– რა მოხდა?

მისის ბანისტერის სახეზე ღიმილი გადაიყიმა:

– რეაქცია გაქვს.

– რეაქცია?

– ჰო, თავს როგორ გრძნობ?

– უცნაურად. ჰაერი და სინათლე არ მყოფნის.

მისის ბანისტერი დაჯდომაში მომეხმარა.

– უკეთესად გახდები ახლა. ძალიან მალე უკეთ იქნები. გინდა ცხელი რძე?

– დიახ.

და როცა მისის ბანისტერმა ტუჩებთან ფინჯანი მომიტანა, ენით ისე ხარბად, გემრიელად შევევლიპე, როგორც ახალშობილმა დედის რძე.

– მისის ბანისტერმა მითხრა, რომ რეაქცია გქონია, – ექიმი ნოლანი ფანჯარასთან, სავარძელში მოთავსდა და ასანთის პაწია კოლოფი ამოიღო. ზუსტად ისეთი, მე რომ ხალათის უბეში დავმალე. ერთი წამით გავიფიქრე, – ექთანმა ხომ არ იპოვა და ექიმ ნოლანს ჩუმად დაუბრუნა–მეთქი.

ექიმმა ნოლანმა ასანთის ღერი კოლოფის გვერდს ჩამოჰკრა. ცხელ ყვითელ ალს სული შთაებერა და ექიმმა სიგარეტს მოუკიდა.

– მისის ბ. ამბობს, რომ თავს უკეთ გრძნობ.

– ჰო, ერთხანს უკეთ ვიყავი, მაგრამ ახლა უწინდებურად ვარ.

– შენთვის ახალი ამბავი მაქვს.

დავიცადე. ბოლო ხანებში, არ ვიცი, რამდენი დღის განმავლობაში, დილას, შუადღესა და საღამოს ერთთავად ჩემს თეთრ ზეწარში გახვეული, ვიჯექი

აივანზე და ვითომ ვკითხულობდი. ბუნდოვნად წარმომედგინა, რაც მოხდებოდა – ექიმი ნოლანი კიდევ რამდენიმე დღეს დამაცდიდა და მერე ექიმი გორდონივით მეტყობდა: ვწუხვარ, მაგრამ უკეთესობის არაფერი გეტყობა. ჩემი აზრით, შოკური თერაპია გჭირდებაო...

– აბა, არ გინდა გაიგო, რა სიახლე გვაქვს?

– რა? – მშრალად ვიკითხე და დავიძაბე.

– ცოტა ხანს მნახველები აღარ გეყოლება.

ექიმ ნოლანს გაოცებით მივაშტერდი.

– ეგ ხომ ძალიან კარგია!

– ვიცოდი, რომ მოგეწონებოდა, – გამიღიმა.

მერე მეც და ექიმმა ნოლანმაც ერთდროულად შევხედეთ ჩემი კომოდის გვერდით მდგარ სანაგვე კალათას. სანაგვედან მთელი ბლუჯა გრძელდეროანი, სისხლისფერი ვარდის კოკრები ამოჩრილიყო. იმ დღეს დედამ მომინახულა.

დედა მხოლოდ ერთ-ერთი იყო მნახველთა გრძელ ნაკადში; ჩემმა ყოფილმა უფროსმა, „ქრისჩენ საიენთისტიდან“, ეზოში გამასეირნა და იმ ნისლის შესახებ მელაპარაკა, რომელიც ბიბლიის კითხვისას იფანტება; მითხრა, რომ ეს ნისლია, ადამიანის ცნობიერებას რომ აკრავს გარს და მთელი ჩემი უბედურება იმაშია, რომ მე იმ ნისლიდან შეცდომით დანახულის მჯერა; და რაწამს შევწყვეტ ამას, ნისლი გაქრება და დავინახავ, რომ მე ყოველთვის კარგად ვიყავი. ჩემი სკოლის ინგლისურის მასწავლებელიც მოვიდა და ცდილობდა, კროსვორდებით გავერთე, რადგან, მისი აზრით, ამას შეეძლო სიტყვებისადმი ჩემი ინტერესი დაებრუნებინა; ფილომენა გუინეამაც მომაკითხა, რომელიც სულაც არ იყო კმაყოფილი იმით, რასაც ექიმები მიკეთებდნენ და მათაც პირდაპირ ასე განუცხადა.

მძულდა ეს ვიზიტები.

ვიჯექი ხოლმე ჩემთვის აივანზე ან ოთახში და უცებ მომღიმარი ექთანის შემოვიდოდა და გამომიცხადებდა, ესა თუ ის მნახველი მოვიდაო. ერთხელ უნიტარიული ეკლესიის მოძღვარიც კი მომიყვანეს, რომელიც არასოდეს მომწონდა. მთელი ვიზიტის განმავლობაში საშინლად ნერვიულობდა. ვგრძნობდი, ფიქრობდა, რომ შეურაცხადი ვიყავი, რადგან ვუთხარი, ჯოჯოხეთის მჯერა და ზოგი, ჩემს მსგავსად, ჯოჯოხეთში სიკვდილამდე უნდა ცხოვრობდეს, რომ სიკვდილის შემდეგი სიცარიელე აინახდაუროს, რამეთუ სიკვდილის შემდეგ სიცოცხლისა არ სჯერა და ყველა ადამიანს ის ემართება სიკვდილის შემდეგ, რისიც სწამს-მეთქი.

მძულდა ეს ვიზიტები, რადგან ვგრძნობდი, როგორ ადარებდნენ მნახველები ამ ჩემს გაბურძენულ თავს ჩემს წინანდელ მეს, რომლის ნახვაც მათ სურდათ; და ვიცოდი, რომ თავზარდაცემულნი მიდიოდნენ.

ვფიქრობდი, თავს რომ დამანებებდნენ, სიმშვიდეს ვპოვებ-მეთქი.

ყველაზე უარესი დედაჩემი იყო. არასოდეს მეჩხუბებოდა, მხოლოდ გატანჯული სახით მემუდარებოდა, მეთქვა, რაში იყო მისი შეცდომა. მითხრა,

ექიმები დარწმუნებულნი არიან, რომ რაღაც შეცდომა დავუშვით. მთელი რიგი კითხვები დაუსვამთ ჩემს აღზრდასთან დაკავშირებით. არადა, ადრეული ასაკიდან ძალიან სწორად იზრდებოდი და ჩემთვის არანაირი პრობლემა არ შეგიქმნიაო.

იმ შუადღეზე დედაჩემმა ვარდები მომიტანა.

- დასაფლავებისთვის შემინახე.

დედას სახე სატირლად აუცახცახდა.

- ესთერ, არ გახსოვს, დღეს რა დღეა?

- არა.

- შენი დაბადების დღეა.

და აი, მაშინ მოვისროლე ვარდები სანაგვეში.

- სისულელე გააკეთა, - ვუთხარი ექიმ ნოლანს.

ექიმმა ნოლანმა თავი დამიქნია. ჩანს, მიმიხვდა, რასაც ვფიქრობდი.

- მძულს, - ვთქვი და მეხის დაცემას დაველოდე. მაგრამ ექიმმა ნოლანმა მხოლოდ გამიღიმა, თითქოს რაღაც ძალიან, ძალიან ესიამოვნა და მითხრა:

- მგონი, გძულს.

17

- დღეს იღბლიანი დღე გაქვს.

ახალგაზრდა მომვლელმა ჩემი საუზმის ლანგარი აიღო და თეთრ ზეწარში გახვეული დამტოვა ჰაერზე, როგორც მგზავრი დილის გემბანზე.

- იღბლიანი - რატომ?

- დარწმუნებული არა ვარ, უკვე უნდა იცოდე თუ არა, მაგრამ დღეს ბელსაიზში გადადიხარ, - ექთანმა გამომცდელად შემომხედა.

- ბელსაიზში? იქ ვერ გადავალ.

- რატომ?

- მზად არ ვარ. არც ისე კარგად ვგრძნობ თავს.

- რა თქმა უნდა, კარგადა ხარ. ნუ ნერვიულობ, კარგად რომ არ იყო, არ გადაგიყვანდნენ.

ექთანი რომ წავიდა, შევეცადე გამომეცნო, რას ნიშნავდა ექიმ ნოლანის ეს ახალი სვლა. რის დამტკიცებას ცდილობდა? მე არ შევეცვლილვარ. არაფერი შეცვლილა. და ბელსაიზი კი საავადმყოფოს საუკეთესო ნაწილი იყო. ბელსაიზიდან ხალხი სამსახურს, სასწავლებელსა და სახლს უბრუნდებოდა.

ბელსაიზში ჯოანას ადგილი იყო, - მისი ფიზიკის სახელმძღვანელოების, გოლფის კლუბების, ბადმინტონის ჯოხებისა და მძლავრი ხმის ადგილი. ჯოანასი, რომელიც ჩემსა და თითქმის ჯანმრთელთა შორის უფსკრულის სანიშნესავით

იყო გავლენიანი. მას შემდეგ, რაც ჯოანამ კაპლანი დატოვა, საგიჟეთის ხეივანის მიღმა ვადევენბილი თვალყურს მის პროგრესს.

ჯოანას სეირნობის, საყიდლებზე სიარულისა და ქალაქში გასვლის პრივილეგიები ჰქონდა. ჯოანას ამბები თითქოს მახარებდა, მაგრამ სინამდვილეში, გულში ჩხვლეტასავით ვგრძნობდი. ჯოანა ჩემი ძველი „მეს“ მბრწყინავი ორეულივით იყო – სპეციალურად შექმნილი, რათა ყველგან გამომყოლოდა და ვეტანჯე.

ალბათ ბელსაიზში რომ გადავიდოდი, ჯოანა უკვე შინ იქნებოდა წასული.

ყოველ შემთხვევაში, ბელსაიზში შოკური თერაპიის შიში აღარ უნდა მქონოდა. კაპლანში ძალიან ბევრ ქალს უტარდებოდა შოკური თერაპია. შემემლო თქმა, ასეთი ვინც იყო, რადგან მათთან, დანარჩენების მსგავსად, საუზმის ლანგარი არ მიჰქონდათ; ვიდრე ჩვენ-ჩვენს ოთახებში ვსაუზმობდით, მათ შოკური თერაპია უტარდებოდათ და მერე საუზმისათვის ჰოლში გამოჰყავდათ, გაყურებულები და ჩამქრალეები, ბავშვებით ექთნებთან ხელჩაკიდებულები.

ყოველ დილით, როცა კარზე ლანგრით ხელში ექთანი მიკაკუნებდა, უზარმაზარი შვება მეუფლებოდა, რადგან იმ დღეს გადარჩენილი ვიყავი საფრთხეს. ვერ გამეგო, ექიმ ნოლანს საიდან უნდა სცოდნოდა, რომ შოკური თერაპიის დროს პაციენტი იძინებს, თუკი საკუთარ თავზე ეს არასოდეს გამოუცდია? საიდან იცოდა, რომ ეს ხალხი მძინარეს მხოლოდ გარეგნულად არ ჰგავდა, მაშინ, როცა მთელი ამ ხნის მანძილზე შიგნით ლურჯი ნაპერწკლებითა და ხრიალით იყვნენ ამოვსებულები?

დერეფნის ბოლოდან ფორტეპიანოს ხმა ისმოდა.

ვახშამზე ჩუმად ვიჯექი და ბელსაიზის ქალების ჭორაობას ვუსმენდი. ყველანი მდიდრულად იყვნენ გამოწყობილები და მაკიაჟიც საგულდაგულო ჰქონდათ. რამდენიმე მათგანი გათხოვილი იყო. იმ დღეს ზოგი ქალაქში საყიდლებზე ყოფილა გასული, ზოგმაც მეგობრები მოინახულა და ვახშმის დროს პირადული ამბების მოყოლით ერთობდნენ თავს.

- ჯეკს დავურეკავდი, - თქვა ქალმა, რომელსაც დი-დი ერქვა.

- მაგრამ ვშიშობ, შინ არ იქნება. თუმცა, ვიცი, სადაც შეიძლება მისი მოძებნა.

ჩემს მაგიდასთან დაბალმა, მოუსვენარმა ქერა ქალმა ჩაიცინა:

- დღეს თითქმის ხელში ჩავიგდე ექიმი ლორინგი. - და ლურჯი თვალები თოჯინასავით აახამხამა, - ბებერ პერსის სიამოვნებით გავცვლიდი ვინმეში.

ოთახის მეორე ბოლოს ჯოანა მადიანად ყლაპავდა პაშტეტსა და ჩაშუმულ პომიდორს. ამ ქალებს შორის თავს ძალიან თავისუფლად გრძნობდა და ცივად მექცეოდა, ოდნავ შესამჩნევი ირონიით, როგორც შორეულ და უმნიშვნელო ნაცნობს.

ვახშმის შემდეგ პირდაპირ დასაძინებლად წავედი, მაგრამ მერე ფორტეპიანოს ხმა შემომესმა და წარმოვიდგინე, ჯოანა, დი-დი, ლოუბელი - ქერა ქალი და დანარჩენები, როგორ იცინოდნენ და ზურგს უკან მჭორავდნენ. ალბათ, ამბობდნენ, რომ საშინელებაა ბელსაიზში ჩემნაირი ხალხის ყოლა და ჩემი ადგილი უიმარკშია.

გადავწყვიტე, მათთვის მომეკეტინებინა.

საბანი მხრებზე მანტიასავით მოვისხი და დერეფანს მხიარული ხმებისაკენ გავუყვივი.

მთელი დარჩენილი სადამოს მანძილზე, როიალთან დი-დის საკუთარ სიმღერებს ვუსმენდი. დანარჩენი ქალები ბრიჯს თამაშობდნენ და ჭორაობდნენ, ზუსტად ისე, როგორც კოლეჯის საერთო საცხოვრებელში; ოღონდ ამათი უმრავლესობა კოლეჯის გოგონებზე ათიოდე წლით უფროსი იყო.

ერთ-ერთი მათგანი, მსხვილი, მაღალი, ჭადრათმიანი ქალი, რომელსაც მჭექარე ბანი ჰქონდა და მისის სევეჯი ერქვა, თურმე ვასარში სწავლობდა. მაშინვე მივხვდი, რომ მაღალი წრის ქალბატონი იყო, რადგან, დებიუტანტების გარდა, არაფერზე ლაპარაკობდა. როგორც ჩანდა, ორი თუ სამი ქალიშვილი ჰყავდა და იმ წელს ყველანი საზოგადოებაში უნდა გამოსულიყვნენ, მაგრამ სადებიუტო წვეულება დედამ ჩაუშალათ, რადგან საგიჟეთში მოხვდა.

დი-დის ერთი სიმღერა ჰქონდა, რომელსაც „მერძევე“ ერქვა. ყველა ეუბნებოდა, – ეს სიმღერა უსათუოდ უნდა გამოაქვეყნო, ჰიტი გახდებოდა. თავიდან პატარა მელოდია დაუკრა; თითები ნელა, პონის ჩლიქებივით ააბაკუნა კლავიშებზე და მერე სხვა მელოდია დაიწყო, მერძევის სტვენის მსგავსი; მერე კი ეს ორი მელოდია ერთად გაგრძელდა.

– ძალიან კარგია, – საუბრის გაბმას შევეცადე. ჯოანა როიალის კუთხეს დაყრდნობოდა და რაღაც მოდების ჟურნალის ახალ ნომერს ფურცლავდა. დი-დი ისე შეჰღიმოდა, თითქოს რაღაც საერთო საიდუმლო იცოდნენ.

მერე ჯოანამ ჟურნალი ასწია და თქვა:

– ოჰ, ესთერ, ეს შენ არა ხარ?

– შემახედე! – დი-დიმ დაკვრა შეწყვიტა, ჟურნალი გამოართვა და იმ გვერდს დახედა, რომელზეც ჯოანამ მიუთითა. მერე მე შემომხედა.

– ოჰ, არა, შეუძლებელია. თქვა დი-დიმ და ისევ ჯერ ჟურნალს ჩახედა და მერე მე შემომხედა, – არ არსებობს!

– მაგრამ ეს მართლა ესთერია, არა, ესთერ? – მითხრა ჯოანამ.

ლოუბელი და მისის სევიჯიც შემოეხვივნენ. მეც თავი მოვიკატუნე, თითქოს ვერ მივხვდი, რაში იყო საქმე და როიალისაკენ წავედი.

ჟურნალის ფოტოზე გოგონა მოჩანდა თეთრ გაფუებულ გულამოდებულ სადამოს კაბაში, ყურებამდე გაღიმებული და ბიჭებით გარშემორტყმული. გოგონას ხელში გამჭვირვალე სასმელით სავსე ჭიქა ეჭირა და ჩემს მხარს მიღმა, მარცხნივ რაღაცას გაჰყურებდა. სუნთქვა შემეკრა. მოვბრუნდი.

დამის ექთანიც, თავისი რბილი რეზინისძირიანი ქოშებით, შეუმჩნევლად მოსულიყო.

– ხუმრობთ თუ მართლა შენა ხარ?

ვითომ ვერ გავიგე.

მერე ლოუბელი ექთანს შეეხვეწა, ბრიჯში მეოთხე მოთამაშე იყავითო. საყურებლად მეც სკამი მივაჩოჩე, თუმცა ბრიჯისა არაფერი გამეგებოდა. კოლეჯში დრო არ მქონდა, მდიდარი გოგოებივით თამაში მესწავლა.

დავცქეროდი ბანქოს მეფეების, ვალეტებისა და ქალების ბრტყელ სახეებს და ვუსმენდი ექთანს, რომელიც თავის მძიმე ცხოვრებაზე ყვებოდა.

- თქვენ, ქალბატონებო, წარმოდგენა არა გაქვთ, რა საშინელებაა ორ სამსახურში ყოფნა, - ამბობდა ის, - ღამლამობით აქ ვარ, თქვენ გივლით.

ლოუბელმა ჩაიხითხითა.

- ოჰ, ჩვენ იოლი მოსავლელები ვართ. თქვენც იცით, რომ ჩვენი მდგომარეობა საუკეთესოა.

- ოჰ, თქვენ მშვენივრად ხართ, - ექთანმა პიტნის საღეჭი რეზინი ჩამოარიგა და ბოლო ვარდისფერ რეზინს თავადაც შემოაცალა ქალადი, - თქვენ მშვენივრად ბრძანდებით, მაგრამ სახელმწიფო საავადმყოფოში ის გადარეულები ქანცს მაცლიან.

- ანუ ორივე ადგილას მუშაობთ? - უცებ დავინტერესდი.

- თქვენი სვლაა, - ექთანმა თვალი თვალში გამიყარა. შემემლო მეთქვა, რაც გაიფიქრა - ბელსაიზში შენ არაფერი გესაქმებაო.

- ოჰ, იქ სულ არ მოგეწონებოდათ, ლედი ჯეინ.

უცნაურად მომეჩვენა, ექთანი ლედი ჯეინს რომ მეძახდა. ვიცოდი, რომ ჩემი სახელი მშვენივრად იცოდა.

- რატომ? - ჩავაცვივდი.

- ოჰ, ასეთი სასიამოვნო ადგილი კი არ არის. ეს ჩვეულებრივი კლუბივითაა. იმათ კი არაფერი გააჩნიათ. არც სპორტული მოედანი აქვთ და არც სასეირნოდ დადიან.

- სასეირნოდ რატომ არ დადიან?

- თანამშრომლები არა ჰყავთ საკმარისი. - ექთანმა კარტი წაიყვანა და ლოუბელი გაიზმორა.

- დამიჯერეთ, ქალბატონებო, როცა მანქანის საყიდლად საკმარის მყუთს შევაგროვებ, მაშინვე წავალ.

- აქედანაც წახვალთ? - დაინტერესდა ჯონა.

- თქვენი ჭრაა. მარტო კერძოდ ვიმუშავებ. როცა ვგრძნობ...

მაგრამ აღარ ვუსმენდი. ვიგრძენი, ექთანს დავალებული ჰქონდა, ჩემთვის ალტერნატივა დაენახებინა: ან უკეთ უნდა გავმხდარიყავი, ან ჩაფერფლილი ვარსკვლავივით, ნელ-ნელა, ნაცარში ჩავვარდნილიყავი ბელსაიზიდან ჯერ კაპლანში, მერე უიმარკში და ბოლოს, როცა ექიმი ნოლანი და მისის გუინეა ჩემზე ხელს აიღებდნენ, - იქვე ახლოს, სახელმწიფო საავადმყოფოში გადავეყვანე.



საბანი კარგად შემოვიხვიე და სკამი გავწიე.

- გცივა? - მკითხა ექთანმა როგორდაც უხეზად.

- დიახ, - ვუთხარი და დერეფანს გავუყევი, - გავიყინე.

ჩემს თეთრ ჭურჭელში უზრუნველად ჩათბუნებულს გამომეღვიძა. ზამთრის მზის გაცრეცილი შუქი სარკეზე, კარადის მინებსა და კარის ლითონის სახელურებზე ლაპლაპებდა. დერეფნის ბოლოდან სამზარეულოში დილის ლანგრების მომზადებით გართული, მხიარულად მოფუსფუსე პერსონალის ხმა ისმოდა.

გავიგე, დერეფნის მეორე ბოლოში, ჩემს მეზობელ კარზე მომვლელმა როგორ დააკაკუნა. მისი სვეიჯმა ნამძინარევი ხმით გამოსძახა და მომვლელი ლანგრის წკრიალით შევიდა. სიამოვნება დამეუფლა, რომ წარმოვიდგინე ორთქლში გახვეული ცისფერი ფაიფურის ყავადანი, ცისფერი ფაიფურის ფინჯანი და ცისფერივე ფაიფურის მსუქანა, თეთრგვირილებიანი სარძევე.

საკუთარ თავს დათმობას ვემუდარებოდი.

გამოკეთება თუ არ მეწერა, ჩემს პატარ-პატარა სიამოვნებებს მაინც ჩავებლაუჭებოდი, ვიდრე შემემლო.

მომვლელმა ჩემს კარზე მოაკაკუნა და პასუხისთვის წამიც არ დაუცდია, ისე შემოქროლდა.

ახალი მომვლელი იყო - ისინი ხშირად იცვლებოდნენ - გამოსავათებული, ქვიშისფერი სახით, ქვიშისფერი თმითა და კეხიან ცხვირზე კოპლებად დაყრილი მსხვილი ჭორფლით. ამ ექთნის დანახვაზე რატომღაც გულში ცუდად გამკენწლა და როცა ოთახი მწვანე ფარდის გადასაწევად გადაკვეთა, გავიაზრე, რომ ეს ცუდი გრძნობა, ნაწილობრივ, მის ცარიელ ხელებთან იყო დაკავშირებული.

პირი გავადე, რომ ჩემი საუზმის ლანგრზე მეკითხა, მაგრამ იმწამსვე ხმა გავიკმინდე. ალბათ, მომვლელს ვინმეში შევეშალე. ახალ მომვლელებს ხშირად მოსდიოდათ ასე. ალბათ, ბელსაიზში ვინმეს შოკურ მკურნალობას უტარებდნენ და მომვლელს მასში ავერიე.

დავიცადე, ვიდრე მომვლელმა ოთახს შემოურბინა, ყველაფერი გაასწორა, მიალაგ-მოალაგა და კვლავ დერეფანში, ლოუბელის ოთახისაკენ გასწია საუზმის მისატანად.

მერე ფეხები ქოშებში წავყავი, თან საბანი ავითრიე, რადგან დილა კაშკაშა, მაგრამ ძალიან ცივი იყო, და სასწრაფოდ სამზარეულოსაკენ გავემურე. ვარდისფერუნიფორმიანი მოსამსახურე ცისფერი ფაიფურის ყავადნებს ავსებდა გაზქურაზე მოთუხთუხე უზარმაზარი ჩაიდნიდან.

მწკრივში მომლოდინე ლანგრებზე სიყვარულით გადავხედე ქაღალდის თეთრ, ჭრაჭუნა, ტოლ სამკუთხედებად დაკეცილ ხელსახოცებს, თავ-თავისი ვერცხლის ჩანგლების ქვეშ ამოხვეულებს; ცისფერ, პაწია ჭიქებში ბაცად ამობურცულ, თოხლოდ მოხარშულ კვერცხებს, ნარინჯისფერი მარმელადით სავსე მინის დაკბილულ ნიჟარებს. ერთადერთი, რისი გაკეთებაც დამრჩენოდა, ხელის გაწვდენა და ჩემი ლანგრის მოთხოვნა იყო; და სამყაროც მაშინვე სრულქმნილ წესრიგში ჩადგებოდა.

- რაღაც შეცდომაა, - დახლს გადავეყუდე და დაბალი, დამაჯერებელი ხმით

ვუთხარი მოსამსახურეს, - ახალ მომვლელს დღეს ჩემთვის ლანგრის შემოტანა დაავიწყდა.

მხიარულად გაღიმება მოვახერხე, რათა მეჩვენებინა, რომ არ ვბრაზობდი.

- სახელი?

- გრინვუდი. ესთერ გრინვუდი.

- გრინვუდი, გრინვუდი, გრინვუდი, - მოსამსახურის ხალიანი საჩვენებელი თითი სამზარეულოს კედელზე გაკრულ ბელსაიზის პაციენტთა სიას ჩამოუყვია, - გრინვუდი. დღეს საუზმე არ გემღევათ. დახლის ჩარჩოს ორივე ხელით ჩავებოაუჭე.

- რაღაც შეცდომაა. დარწმუნებული ხართ, რომ ეს გრინვუდია?

- გრინვუდი, - თქვა დარწმუნებით მოსამსახურემ და ამ დროს მომვლელიც შემოვიდა.

მომვლელმა გაკვირვებით შემოგვხედა, ჯერ მე და მერე - მოსამსახურეს.

„მის გრინვუდს თავისი ლანგარი სურდა“, - თქვა მოსამსახურემ და თვალი ამარიდა.

- ოჰ, - მომვლელმა შემომღიმა, - ლანგარს მოგვიანებით მოგართმევთ, მის გრინვუდს. თქვენ...

მაგრამ ბოლომდე რომ არ მომესმინა, ბრმად გავვარდი დერეფანში. ვიცოდი, წასაყვანად ოთახში მომაკითხავდნენ. ამიტომ ნიშისაკენ გავიქეცი, რომელიც კაპლანის ნიშაზე ბევრად ულახათო იყო, მაგრამ დერეფნის წყნარ კუნჭულში მეგულეობდა, სადაც ჯოანა, ლოუბელი, დი-დი და მისის სევიჯი არ მოვიდოდნენ.

ნიშის კუთხეში მივიკუნჭე და თავზე საბანი გადავიფარე. შოკური მკურნალობა ისე არ მზარავდა, როგორც ექიმ ნოლანის უსირცხვილო ღალატი. მომწონდა ექიმი ნოლანი, მიყვარდა, ვენდე და რაც მჭირდა, ყველაფერი გავანდე. ისიც შემპირდა, რომ თუ ოდესმე კიდევ ჩამიტარდებოდა შოკური მკურნალობა, წინასწარ გამაფრთხილებდა.

წინა ღამით რომ გავეფრთხილებინე, რა თქმა უნდა, შიშისა და ძრწოლისაგან მთელ ღამეს თეთრად გავათენებდი, მაგრამ დილისათვის უკვე მზად ვიქნებოდი. ორ მომვლელს შორის, დერეფანში მშვიდად, ღირსეულად ჩავუვლიდი დი-დის, ლოუბელს, მისის სევიჯს და ჯოანას, როგორც მსჯავრდებული, გულგრილად რომ ეგებება განაჩენის აღსრულებას.

მომვლელი ჩემკენ დაიხარა და დამიძახა.

გავიწიე და კუთხეში კიდევ უფრო მეტად მივიკუნჭე. მომვლელი გაუჩინარდა. ვიცოდი, ორ ჩასხმულ მსახურ კაცთან ერთად დაბრუნდებოდა და ცემითა და ღრიალით ჩამატარებდნენ დერეფანში მხიარულად გამოფენილ სეირისმაყურებელთა შორის.

ექიმმა ნოლანმა ხელი მომხვია და დედასავით ჩამიხუტა.

- თქვენ დამპირდით, რომ მეტყოდით! - შემოკუჭული საბნიდან ვუყვირე.

- მაგრამ მე გეუბნები, - მითხრა ექიმმა ნოლანმა, - სპეციალურად მოვედი ადრე, რომ შენთვის მეთქვა. მე თვითონ წაგიყვან.

გასივებული ქუთუთოებიდან გავხედე.

- რატომ წუხელ არ მითხარით?

- უბრალოდ, ვიფიქრე, რომ ვეღარ დაიძინებდი. რომ მცოდნოდა...

- თქვენ დამპირდით, რომ მეტყოდით.

- მისმინე, ესთერ, - მითხრა ექიმმა ნოლანმა, - შენთან ერთად მოვდივარ. სულ შენთან ვიქნები. ისე რომ, ყველაფერი სწორად ჩატარდება, როგორც დაგპირდი. რომ გამოიღვიძებ, ისევ იქ ვიქნები და უკანაც მე წამოგიყვან.

შევხედე. ძალიან გულდაწყვეტილი ჩანდა.

ერთი წუთით დავიცადე. მერე ვუთხარი:

- დამპირდით, რომ იქ იქნებით.

- გპირდები.

ექიმმა ნოლანმა თეთრი ხელსახოცი ამოიღო და სახე მომწმინდა, მერე ხელკავი გამიყარა ძველი მეგობარივით, წამოდგომაში მომეშველა და დერეფანს გავუყევით. საბანი ფეხებში მეხლართებოდა და დავაგდე, მაგრამ ექიმ ნოლანს ყურადღება არ მიუქცევია. ჩავუარეთ ჯოანას, რომელიც თავისი ოთახიდან გამოდიოდა და მე მრავალმნიშვნელოვნად, ზიზღით გავუღიმე. უკან შებრუნდა და დაიცადა, ვიდრე ჩავივლიდით.

მერე ექიმმა ნოლანმა დერეფნის ბოლოს კარი გააღო და კიბეებზე ჩამიძღვა იდუმალი სარდაფის დერეფნებისაკენ, რომელთა უზარმაზარი ქსელიც საავადმყოფოს სხვადასხვა შენობებს აერთებდა.

კედლები კაშკაშა თეთრი კაფელით იყო დაფარული და შიშველი ნათურები შავ ჭერს თანაბარი ინტერვალებით მიჰყვებოდა. აქეთ-იქით საკაცეები და ბორბლებიანი სავარძლები მიმოფანტულიყო, მოსისინე და მოკაკუნე მიღების ფონზე, რომლებიც ნერვულ სისტემად გასდევდა ამ ელვარე კედლებს. ექიმ ნოლანის მკლავს ისე ვიყავი ჩაფრენილი, როგორც სიკვდილს; და ისიც, გასამხნეველად, ხელს ხშირ-ხშირად მიჭერდა.

ბოლოს მწვანე კარს მივაღექით, რომელსაც შავი ასოებით „ელექტროთერაპია“ ეწერა. უკან დავიხიე და ექიმი ნოლანიც შეჩერდა. ბოლოს თვითონვე ვუთხარი:

- როგორმე გადავლახოთ - და შევედით.

მოსაცდელ ოთახში, ჩემსა და ექიმ ნოლანის გარდა, ორად ორი ადამიანი იყო - სახეგაცრეცილი, შინდისფერხალათიანი კაცი და მისი მომვლელი.

- დაჯდომა გინდა? ექიმმა ნოლანმა ხის სკამისაკენ მიმანიშნა, მაგრამ ფეხები ისე მქონდა დამძიმებული, გავიფიქრე, რომ დავჯდე, ვეღარც ავდგები-მეთქი.

- ვიდგები.

ბოლოს, როგორც იქნა, შიდა ოთახიდან მაღალი, გვამივით გადაფითრებული თეთრხალათიანი ქალი გამოვიდა. მეგონა, რომ ჯერ შინდისფერხალათიან კაცს შეიყვანდა, რადგან ის პირველი იყო. გავოცდი, როცა ჩემკენ წამოვიდა.

- დილა მშვიდობისა, ექიმო ნოლან, - თქვა ქალმა და ხელი მხარზე მომხვია, - ესაა ესთერი?

- დიახ, მის ჰიუი. ესთერ, ეს მის ჰიუია. ყურადღებას არ მოგაკლებს. შენს შესახებ ვუთხარი.

გავიფიქრე, ეს ქალი სიმაღლეში ალბათ შვიდი ფუტი მაინც იქნება-მეთქი. კეთილად დაიხარა ჩემსკენ და დავინახე, რომ მისი წამოწეული, მეჩხერკბილებიანი სახე ნაყვავილარს საშინლად დაეკენკა. მთვარის კრატერებით დაფარულ რუქას ჰგავდა.

- მე მგონი, ახლავე შეგვიძლია თქვენი შეყვანა, მის ესთერ, - მითხრა მის ჰიუიმ, - მისტერ ანდერსონი არ იქნება წინააღმდეგი, თუ ცოტას მოგვიცდის, არა მისტერ ანდერსონ?

მისტერ ანდერსონს სიტყვაც არ უთქვამს. ასე რომ, ჩემს მხარზე ხელმოხვეულ მისის ჰიუისა და ექიმ ნოლანს მომდევნო ოთახში შევეყევი.

მოჭუტული თვალების გახელას ვერ ვბედავდი, რომ ოთახის ამაზრზენი სურათი ერთბაშად არ მცემოდა. დავინახე მაღალი საწოლი თავისი თეთრი, გადატკეცილი ზეწრით, საწოლის გვერდით დანადგარი და დანადგართან ნიღბიანი ადამიანი - ვერ გავარჩიე, კაცი იყო თუ ქალი, და კიდევ სხვა ნიღბიანები, რომლებიც საწოლს ორივე მხრიდან შემოხვეოდნენ.

მის ჰიუი საწოლზე ასვლასა და ზურგზე დაწოლაში დამეხმარა.

- მელაპარაკეთ, - ვუთხარი.

მის ჰიუიმ დაბალი, დამამშვიდებელი ხმით დამიწყო ლაპარაკი; თან საფეთქლებს მალამოთი მიზელდა და თავის ორივე მხარეს პატარა ელექტროფირფიტებს მიმაგრებდა.

- კარგად იქნები, ვერაფერს იგრძნობ, ახლა მხოლოდ ამას დააჭირე კბილები...

და ენაზე რაღაც დამადო და მეც, პანიკით მოცულმა, კბილი დავაჭირე და უცებ სიბნელემ წამშალა, როგორც ცარცის ნაკვალევი იშლება დაფაზე.

18

- ესთერ.

ღრმა, წამლეკავი ძილიდან ძლივს ამოვყვინთე. პირველი, რაც დავინახე, ჩემ წინ მოლივლივ ექიმ ნოლანის სახე იყო; მეძახდა:

- ესთერ, ესთერ!

თვალები დაბუჟებული ხელით მოვისრისე.

ექიმ ნოლანის უკან ქალის სხეული დავლანდე, რომელსაც ზედ შავ-თეთრი კუბოკრული ხალათი ეცვა და ისე იწვა, თითქოს საკაცეს საიდანღაც, დიდი სიმაღლიდან დაეცა. მაგრამ ვიდრე კიდევ რამეს დავინახავდი, ექიმ ნოლანს

უკვე სუფთა ჰაერზე, კრიალა ცის ქვეშ ვყავდი გამოყვანილი.

სიცხე და შიში ერთბაშად გადნა. გასაოცრად მშვიდად ვიგრძენი თავი. ზარხუფი ჩემს თავსზემით, ჰაერში აწეულიყო. სუნთქვა შემეძლო.

- ხომ ყველაფერი ისე იყო, როგორც დაგპირდი? - ყავისფერი ფოთლების შრიალში მკითხა ექიმმა ნოლანმა, როდესაც უკან, ბელსაიზში ვბრუნდებოდით.

- დიახ.

- ჰოდა, ყოველთვის ასე იქნება, - მითხრა მტკიცედ, - შოკური თერაპია კვირაში სამჯერ ჩაგიტარდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით.

ჰაერი ხარბად გადავყლაპე.

- რამდენი ხნის განმავლობაში?

- ეს შენზე და ჩემზეა დამოკიდებული, - მიპასუხა ექიმმა ნოლანმა. ვერცხლის დანა ავიღე და ჩემს კვერცხს თავი წავაცალე. მერე დანა დავდე და დავხედე. შევეცადე, გამეაზრებინა, დანები რატომ მიყვარდა, მაგრამ გონება ფიქრის კაკანათიდან ჩიტივით გასხლტა და ცარიელი ჰაერის შუაგულში გამოეკიდა.

ჯოანა და დი-დი როიალის სკამზე გვერდიგვერდ ისხდნენ და დი-დი ჯოანას „ჩინური ჩხირების“ ბანის პარტიის დაკვრას ასწავლიდა, თვითონ კი ვიოლინოს გასაღების ნოტებს უკრავდა.

გავიფიქრე, რა საცოდაობაა, ჯოანა ასე რომ ჰგავს ცხენს, თავისი თოხა კბილებითა და ნაცრისფერი, უზარმაზარი კენჭებივით გადმოკარკლული თვალებით-მეთქი. ბადი უილიარდისნაირი ბიჭის შენარჩუნებაც კი ვერ შეძლო. დი-დის ქმარიც აშკარად ვიღაც საყვარელთან ცხოვრობდა და ამით ცოლს კატასავით აცოფებდა.

- წერილი მა-აქვს, - წაიმღერა ჯოანამ და ზორბა თავი კარებში შემოყო.

- ყოჩაღ. - წიგნიდან თავი არ ამიწევია. ხუთი სეანსის შემდეგ ჩემი შოკური თერაპია დასრულდა და ქალაქში გასვლის პრივილეგია მომანიყეს; და ჯოანაც უზარმაზარ ხარაბუხასავით დამტრიალებდა - თითქოს ჩემთან უბრალო სიახლოვით გამოჯანმრთელების შარბათს ისრუტავდა. ამ დროისათვის მას ოთახში მიმოყრილი ფიზიკის წიგნები და კონსპექტებით სავსე აკინძული რვეულების მთელი გროვა ჩამოართვეს და თვითონაც კვლავ ქვემოთა სართულზე რჩებოდა.

- არ გინდა იცოდე, ვისგანაა?

ჯოანა ოთახში შემოვიდა და საწოლზე ჩამომიჯდა. მინდოდა მეთქვა, აქედან გაეთრიე, მაღიზიანებ-მეთქი, მაგრამ ვერ მოვახერხე.

- კარგი, აბა, ვისგანაა? - წიგნი დავხურე.

ჯოანამ ჯიბიდან ბაცი ცისფერი კონვერტი ამოიღო და გასაბრაზებლად ამიფრიალა.

- აჰ, მაშ ეს დამთხვევა არ არის? - ვუთხარი მე.

- დამთხვევაში რას გულისხმობ?

ჩემს მაგიდასთან მივედი, ბაცი ცისფერი კონვერტი ავიღე და ჯოანას გამოსამშვიდობებელი ხელსახოცივით დავუქნიე.

- მეც მივიღე. მაინტერესებს, ერთი და იგივე თუა.

- გამოკეთდა, - თქვა ჯოანამ. - საავადმყოფოდან გამოვიდა.

- ხანმოკლე პაუზა იყო.

- ცოლად გაყოლას აპირებ?

- არა, - ვუთხარი მე, - შენ?

ჯოანა უცნაურად გაიკრიჭა.

- მე მაინცდამაინც არასოდეს მომწონდა.

- რა?

- მისი ოჯახი მომწონდა.

- ანუ მისის და მისტერ უილიარდები?

- დიახ, - ჯოანას ხმაზე ტანში გამცრა, - მიყვარდნენ. ისეთი კარგები იყვნენ, ისეთი ბედნიერები. ჩემს მშობლებს სულ არ ჰგავდნენ. სულ მათ სანახავად დავდიოდი, - წამით შეჩერდა, - ვიდრე შენ გამოჩნდებოდი.

- ვწუხვარ. თუ ასე მოგწონდა, რატომ არ გააგრძელე მათი მონახულება?

- ოჰ, არ შემიძლო, - მითხრა ჯოანამ, - მაშინ, როცა ბადის შენ ხვდებოდი, ეს, როგორღაც, სასაცილო იქნებოდა.

სიტუაცია წარმოვიდგინე.

- ჰო, მართალი ხარ.

- შენი მონახულების ნებას მისცემ? - შეყოყმანდა ჯოანა.

- არ ვიცი.

თავიდან ვფიქრობდი, საშინელება იქნება, ბადიმ რომ საგიჟეთში მომინახულოს-მეთქი; ალბათ, გულში დამცინებდა და სხვა ექიმებთან ლაზლანდარობის მეტს არაფერს გააკეთებდა. მაგრამ მერე მომეჩვენა, რომ ეს ძალიანაც კარგი იქნებოდა მის ადგილზე დასაყენებლად და მის უარსაყოფად. ვეტყოდი, - არა მყავს არანაირი სინქრონისტი თარჯიმანი, და არც სხვა ვინმე, მაგრამ თავად შენ საჭირო კაცი არა ხარ და შენთან შეხვედრის გაგრძელებას აღარ ვაპირებ-მეთქი.

- შენ?

- კი, - ამოიფრუტუნა ჯოანამ. - იქნებ დედამისიც მოიყვანოს. ვთხოვ, დედამისიც მოიყვანოს...

- დედამისი?

ჯოანა გაიბუსხა.

- მომწონს მისის უილიარდი. მისის უილიარდი შესანიშნავი, შესანიშნავი ქალია. ნამდვილი დედასავით იყო ჩემთვის.

მისის უილიარდი წარმოვიდგინე, თავისი ჭრელი ტვიდის კოსტიუმით, სოლიდური ფეხსაცმლითა და ბრძნული, დედობრივი დარიგებებით. მისტერ უილიარდი მასთან შედარებით პატარა ბიჭივით იყო და პატარა ბიჭივით მაღალი და წვრილა ხმაც ჰქონდა. ჯოანა და მისის უილიარდი. ჯოანა... და მისის უილიარდი...

იმ დილით დი-დის კარზე დავაკაკუნე, რომ ფორტეპიანოს რაიმე ორპარტიანი ნოტები მეთხოვა. რამდენიმე წუთს შევიცადე და მერე, რადგან პასუხი არ იყო, გავიფიქრე, დი-დი, ალბათ, გასულია და ნოტებს მისი მაგიდიდან თვითონ ავიღებ-მეთქი. კარი შევაღე და ოთახში შევაბიჯე.

ბელსაიზში, თვით ბელსაიზშიც კი, კარებს საკეტები ჰქონდა, მაგრამ პაციენტებს გასაღებებს არ აძლევდნენ. მიხურული კარი მის მიღმა საკუთრებას ნიშნავდა და პატივს სცემდნენ, როგორც ჩაკეტილ კარს: დააკაკუნებდნენ ერთხელ, ორჯერ და გაბრუნდებოდნენ. კარი რომ უკვე გავაღე, ეს ახალა გამახსენდა. ვიდექი ასე და დერეფნის ჩახჩახა სინათლის შემდეგ ოთახის სქელ ბინდში ვერაფერს ვარჩევდი.

მერე მხედველობა დამეწმინდა და სილუეტი დავინახე, რომელიც საწოლიდან წამოდგა. მერე ვიღაცამ ხმადაბლა ჩაიხითხითა. სილუეტმა თმა გაისწორა და სიბნელიდან ორმა გაცრეცილმა, კენჭისფერმა თვალმა გამომხედა. დი-დი ბალიშებზე გადაწვა, შალის მწვანე პერანგიდან შიშველი ფეხები მოუჩანდა და დამცინავი ღიმილით მიყურებდა. მარჯვენა ხელის თითებს შუა სიგარეტი უბჟუტავდა.

- უბრალოდ, მინდოდა...

- ვიცი, ნოტები გინდოდა, - მითხრა დი-დიმ.

- გამარჯობა, ესთერ, - ახლა ჯოანას ჩახლეჩილი ხმა გაისმა და ლამის გული ამერია, - დამიცადე, ესთერ, შენთან ერთად ბანის პარტიას დავუკრავ.

და აი, ახლა ჯოანა გაბედულად მიცხადებდა:

- ბადი უილიარდი სინამდვილეში არასოდეს მომწონდა. იმას ეგონა, ყველაფერი იცოდა. ეგონა, ყველაფერი იცოდა ქალებზე...

ჯოანას შევხედე. მიუხედავად ზიზლისა, რომელსაც ვგრძნობდი, მოჯადოებული ვიყავი მისით, თითქოს მარსიდან ჩამოფრენილი, ან რაღაც, გომბეშოსავით უცნაური არსება ყოფილიყო. მისი ფიქრები ჩემსას არ ჰგავდა და არც მისი გრძნობები ჰგავდა ჩემს გრძნობებს, მაგრამ ჩვენს შორის იმდენი კავშირი მაინც იყო, რომ მისი ფიქრები და გრძნობები ჩემი საკუთარის ბნელ, დაგრეხილ აჩრდილებად დამენახა.

ზოგჯერ მიფიქრია, ჯოანა, თავისი ავადმყოფობიანად, თავად გამოვიგონე-მეთქი. ხან იმისიც მეშინოდა, რომ ჯოანა მთელი ცხოვრების მანძილზე გამომყვებოდა და ჩემ ცხვირწინ, თავისი წილი, მაგრამ ჩემნაირი ტვირთის ტარებით მუდამ შემახსენებდა, ვინ ვიყავი უწინ და რა გამოვიარე.

- ვერ ვიგებ, რას ხედავენ ქალები სხვა ქალებში, - ვუთხარი ექიმ ნოლანს იმ დღეს ინტერვიუზე, - რას ხედავს ქალი მეორე ქალში ისეთს, რასაც კაცში ვერ ხედავს?

ექიმი ნოლანი შეყოვნდა. მერე მითხრა:

- სინაზეს.

ამან მომაკეტირა.

- მე შენ მომწონხარ, - მეუბნებოდა ახლა ჯოანა, - შენ უფრო მეტად მომწონხარ, ვიდრე ბადი.

და როცა ჯოანა სულელური ღიმილით ჩემს საწოლზე გაიშხლართა, გამახსენდა პატარა სკანდალი, ჩვენი კოლეჯის საერთო საცხოვრებელში რომ მოხდა: სქელი, შუახნის ქალივით ჩათქვირებული უფროსკურსელი, რომელიც რელიგიას სწავლობდა და მაღალი, მორიდებული უმცროსკურსელი, რომელზეც ამბობდნენ, ვისაც კი ხვდებოდა, ყველამ უღირსად მიატოვაო, ერთმანეთს მეტისმეტად დაუმეგობრდნენ. ჰოდა, სულ ერთად იყვნენ და ერთხელაც ვიდაცამ მსუქანი გოგოს ოთახში ჩახუტებულებს მიუსწრო.

- კი მაგრამ, რას აკეთებდნენ? - ვიკითხე. როცა კი კაცზე და კაცზე, ან ქალზე და ქალზე მიფიქრია, ვერასდროს წარმომედგინა, მაინც რა უნდა გაეკეთებინათ.

- ოჰ, - მითხრა დამსმენმა: - მილი სკამზე იჯდა და თეოდორა საწოლზე იწვა; და მილი თეოდორას თმაზე ხელს უსვამდა.

იმედი გამიცრუვდა. ველოდი, რომ რამე განსაკუთრებულ საშინელებას აღმიწერდა. დავინტერესდი, ნეტა თუ ქალების ყველა წყვილი ამას აკეთებს-მეთქი.

კიდევ, ჩემს კოლეჯში ცნობილი პოეტი ქალი მეორე ქალთან - დაბალ, პუტკუნა, კლასიკური ლიტერატურის მასწავლებელთან ერთად ცხოვრობდა, რომელსაც თმა ჰოლანდიურად ჰქონდა გადაკრეჭილი. და ერთხელ, როცა იმ პოეტს ვუთხარი, ოდესმე გავთხოვდები და ბევრი შვილი მეყოლება-მეთქი, შეძრწუნებულმა შემომხედა და მიყვირა:

- მერე შენს კარიერას რაღას უპირებ?

თავი ამტკიცდა. რატომ ვიზიდავდი ამ ახირებულ მოხუც ქალებს? იმ ცნობილ პოეტს და ფილომენა გუინეას და ჯეი ქის და „ქრისჩენ საინთისთის“ რედაქტორს, და ღმერთმა უწყის, ვის აღარ; და ყოველ მათგანს უნდოდა, ვეშვილებინე, რათა, თავიანთი მზრუნველობისა და გავლენის ფასად, საკუთარ ასლად ვექციე.

- მე შენ მომწონხარ.

- ასე არ შეიძლება, ჯოანა, - ვუთხარი და წიგნი ავიღე, - რადგან მე არ მომწონხარ. და თუ გინდა იცოდე, გულსაც მირევ.

ოთახიდან გამოვედი და ჯოანა ჩემს საწოლზე ჯაგლაგივით გამოტოლი დავტოვე.

ექიმს ველოდებოდი. თან, ლამის იყო, უკან წამოვსულიყავი. ვიცოდი, რომ რასაც ვაკეთებდი, უკანონო იყო - ყოველ შემთხვევაში, მასაჩუსეტსში, რადგან



შტატი კათოლიკეებით იყო გადაჭედული, - მაგრამ ექიმმა ნოლანმა მითხრა, რომ ეს ექიმი მისი ძველი მეგობარი და ძალიან ყვეოანი ადამიანი იყო.

- რასთან დაკავშირებით გაქვთ შეხვედრა დანიშნული? - მკითხა მხიარულმა, თეთრუნიფორმიანმა მიმღებმა და სიაში ჩემი გვარი მოინიშნა.

- JCS გულისხმობთ? - არ მეგონა, ექიმის გარდა, ვინმე თუ მკითხავდა ამას. თანაც, საერთო მოსაცდელი ოთახი სავსე იყო სხვა პაციენტებით, რომლებიც სხვა ექიმებს ელოდნენ. უმრავლესობა ორსული ან ბავშვიანი იყო და ვგრძნობდი, როგორ ათვალიერებდნენ ჩემს ბრტყელ, ქალწულებრივ მუცელს.

მიმღებმა ამომხედა და გავწითლდი.

- დამცავი გინდათ, არა? - კეთილად მკითხა. - უბრალოდ, უნდა გავიგო, რადგან შესაბამისად უნდა გადაიხადოთ. სტუდენტი ხართ?

- დი-ახ.

- მაშინ მხოლოდ ნახევარი ფასი დაგიჯდებათ. ათის მაგივრად, ხუთი დოლარი. ჩეკი გამოგიწეროთ?

ჩემი სახლის მისამართი უნდა მეკარნახა, რადგან, როცა ჩეკი მოვიდოდა, ალბათ, უკვე შინ ვიქნებოდი, მაგრამ მერე წარმოვიდგინე, რა დაემართებოდა დედაჩემს, ჩეკს რომ გახსნიდა და დაინახავდა, რისთვისაც იყო. ერთადერთი სხვა მისამართი, რომელიც მქონდა, იყო უსაფრთხო საფოსტო ყუთის ნომერი, რომელსაც ჩვენთან ხალხი იყენებდა, როცა არ უნდოდათ, ვინმეს გაეგო, რომ საგიჟეთში ცხოვრობდნენ. მაგრამ, გავიფიქრე, მიმღებმა შეიძლება ყუთის ნომერი იცნოს-მეთქი, ამიტომაც ვუთხარი:

- მოდი ახლავე გადავიხდი.

და ხელჩანტიდან ხუთდოლარიანი ამოვამკვრინე.

ხუთდოლარიანები იმ საჩუქრის ნაწილი იყო, ფილომენა გუინეამ რომ გამომიგზავნა. ნეტა რას იტყოდა, რომ გაეგო, მის ფულს რაში ვიყენებდი.

ეს იცოდა თუ არა, ფილომენა გუინეა ჩემთვის თავისუფლებას ყიდულობდა.

- არ მინდა, კაცებს თავი გავასრესინო, - ვუთხარი ექიმ ნოლანს, - კაცს არაფერი ადარდებს ქვეყნად, მე კი ბავშვი უნდა ავიკიდო ლოდივით და მთელი ცხოვრება ვზიდო.

- ბავშვის ჯავრი რომ არ გქონდეს, სხვანაირად მოიქცეოდი?

- დიახ, მაგრამ... და ექიმ ნოლანს გათხოვილი იურისტი ქალისა და მის მიერ უბიწოების დასაცავად დაწერილი სტატიის შესახებ ვუამბე.

ექიმმა ნოლანმა დამაცადა, ვიდრე დავამთავრებდი და მერე სიცილი აუტყდა.

- რა სულელური პროპაგანდაა! - მითხრა და რეცეპტის ქაღალდზე ექიმის სახელი და მისამართი დამიწერა.

და აი, „პატარები ამბობენ“-ის ნომერს ნერვიულად ვფურცლავდი. ყოველი გვერდიდან ბავშვების პუნტულა, გაბრწყინებული სახეები შემომნათოდა - ხოტორა პაწიები, შოკოლადისფერი პაწიები, პირველად აბაჯბაჯებული პაწიები,

სათამაშოებისაკენ ხელგაწვდილი პაწიები; პაწიები, რომლებიც პირველ ლუკმას ღეჭავდნენ, პაწიები, რომლებიც ათასგვარი პაწია სისულელის სწავლით, ნაბიჯ-ნაბიჯ მოიწევდნენ ამ არეული და გადარეული სამყაროსაკენ.

მაწვნისა და პამპერსების სურნელის ნაზავს ვისუნთქავდი და ნაღველითა და სინაზით ვიყავი სავსე. რა იოლად ეჩვენებოდათ ბავშვის ყოლა ქალებს ჩემ გარშემო! რატომ ვიყავი მე ასე ცალკე, დედობრივ ინსტინქტს ასე მოკლებული? რატომ არ შემემლო, დოდო კონუეის მსგავსად, ბავშვებისთვის თავის მიძღვნაზე მეოცნება?

მთელი დღე ბავშვისთვის რომ მედარაჯა, გადავირეოდი.

ჩემ პირდაპირ, დედის კალთაში მოკალათებულ პაწიას შევხედე. წარმოდგენა არ მქონდა, რა ხნისა იქნებოდა. საერთოდ, არასოდეს შემემლო ბავშვის ზუსტი ასაკის გამოცნობა. ეს პატარა ლუღუნებდა და მოკუმული, ვარდისფერი ტუჩების უკან მგონი უკვე ოცივე კიჭი ჰქონდა. ყანყალა თავი მხრებზე თითქოს პირდაპირ, უკისროდ მიმაგრებოდა და ჭკვიანი, უშფოთველი გამომეტყველებით მათვალაიერებდა. ბავშვის დედა იღიმებოდა და იღიმებოდა და ისე ეჭირა თავისი ბაია, თითქოს ქვეყნად უპირველესი სასწაული ყოფილიყო. ვუყურებდი დედას და ბავშვს, რომ მათი ორმხრივი კმაყოფილების საიდუმლო ამომეცნო, მაგრამ ვიდრე რამეს აღმოვაჩენდი, ექიმმა გამომიძახა.

- ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალება გჭირდებათ, არა? - მხიარულად მკითხა და შვებით გავიფიქრე, რომ ეს ექიმი იმ ყაიდის კაცს არ ჰგავდა, რაიმე უხერხული კითხვა დაესვა. დავაპირე, მისთვის მეამბნა, თითქოს მეზღვარის საცოლე ვიყავი და რაწამს ჩემი საქმროს გემი ჩარლზთაუნის ნავსადგურში ღუზას ჩაუშვებდა, ვიქორწინებდით. ნიშნობის ბეჭედი კი იმიტომ არ მეკეთა, რომ ძალიან ღარიბები ვიყავით. მაგრამ ბოლო წუთს გადავიფიქრე ამ გულის ამაჩუყებელი ამბის მოყოლა და უბრალოდ ვუთხარი „დიახ“.

გასასინჯ მაგიდაზე რომ ავდიოდი, ვფიქრობდი: მე თავისუფლებას მოვიპოვე, შიშისაგან თავისუფლებას, მხოლოდ სექსის გამო ბადი უილიარდის მსგავს კაცზე გათხოვებისაგან თავისუფლებას, მარტოხელა დედების თავშესაფარში მოხვედრისაგან თავისუფლებას, სადაც ყველა ღარიბი გოგო მიდის, რადგან თავის დროზე ჩემსავით უნდა დაეცვათ თავი, იმიტომ, რომ რაც ჩაიძინეს, იმას მაინც ჩაიძენდნენ, მიუხედავად...“

უკან, საგიჟეთისკენ მიმავალს მუხლებზე უბრალო ყავისფერ ქალაღში გახვეული კოლოფი მედო. თავისუფლად შეიძლებოდა, ნებისმიერი ვინმე ვყოფილიყავი, ვისაც ქალაქიდან დეიდასათვის პაწია ნამცხვარი, ან თავსაბურავი მოჰქონდა. ეჭვი, რომ კათოლიკეებს რენტგენის თვალეები აქვთ, თანდათან დამიცხრა და დავმშვიდდი. გავიფიქრე, ჩემი საყიდლებზე გამოსვლის პრივილეგია მშვენივრად გამოვიყენე-მეთქი.

ახლა, როგორც ქალი, ჩემს თავს ვეკუთვნოდი.

შემდეგი ნაბიჯი შესაფერისი კაცის პოვნა უნდა ყოფილიყო.

19

- ფსიქიატრი უნდა გამოვიდე, - ჩვეული ენთუზიაზმით განაცხადა ჯოანამ, როცა ბელსაიზის ჰოლში ვაშლის წვენს ვსვამდით.

- ძალიან კარგი, - ვუთხარი მშრალად.

- ექიმ ქუინს დიდხანს ვესაუბრე და თვლის, რომ ეს სავსებით შესაძლებელია,

- ექიმი ქუინი ჯოანას ფსიქიატრი იყო- ნიჭიერი, გამჭრიახი გაუთხოვარი ქალი. ხშირად მიფიქრია, ექიმი ქუინი ჩემი მკურნალი ექიმი რომ ყოფილიყო, ჯერ ისევ კაპლანში, ან უფრო საფიქრებელია, უიმარვში ვიქნებოდი-მეთქი. ექიმ ქუინის უნარებს რაღაც აბსტრაქტული ხასიათი ჰქონდა, რომელიც ჯოანას შემთხვევაში სასარგებლო ჩანდა, მაგრამ ჩემთვის ეს პოლარული ყინვა იყო.

ვიდრე ჯოანა ეგოზე და ინდივიდუალიზმზე ლაყბობდა, მე სხვა რამეზე, უფრო სწორად, ჩემი მაგიდის ქვემოთა უჯრაში გაუხსნელად შენახულ ყავისფერ კოლოთზე დავიწყე ფიქრი. ექიმ ნოლანთან არასოდეს მილაპარაკია ეგოზე და ინდივიდუალიზმზე. სიმართლე რომ ვთქვა, არც ვიცოდი, რაზე ვლაპარაკობდით ხოლმე.

- ...მალე აქედან გავალ.

ჯოანასაკენ შევტრიალდი.

- სად? - შევეცადე, შური დამემალა.

ექიმმა ნოლანმა მითხრა, რომ მისი რეკომენდაციითა და ფილომენა გუინეას სტიპენდიით შემდეგი სემესტრიდან ჩემი კოლეჯი უკან მიმიღებდა, მაგრამ, რადგან ექიმებმა გადაწყვიტეს, რომ შუალედში დედასთან ერთად არ უნდა მეცხოვრა, ზამთრის სემესტრამდე საგიჟეთში ვრჩებოდი.

ახლა უსამართლობად მომეჩვენა, ჯოანა რომ მასწრებდა.

- სად? - ჩავაცვივდი, - ნუთუ მარტო გაგიშვებენ საცხოვრებლად? - ჯერ მხოლოდ ერთი კვირა იყო, რაც ჯოანას ქალაქში გასვლის პრივილეგია დაუბრუნეს.

- არა, რა თქმა უნდა, არა. კემბრიჯში ექთან კენედისთან ერთად ვიცხოვრებ. მეზობელი გაუთხოვდა და ქირის გასაყოფად სხვას ეძებს.

- აბა, გაუმარჯოს! - ჩემი ვაშლისწვენიანი ჭიქა ავწიე და მივუჯახუნე. მიუხედავად იმისა, რომ ჯოანასგან თავი ასე შორს მეჭირა, ვგრძნობდი, რომ ის ჩემთვის მუდამ ძვირფასი იქნებოდა. თითქოს რაღაც დაუძლეველი საერთო უბედურება ან ომის მსგავსი გარემოება გვაერთიანებდა, - როდის მიდიხარ?

- მომავალი თვის პირველ რიცხვში.

- კარგია.

ჯოანამ მოიწყინა.

- ჩემს მოსანახულებლად ხომ მოხვალ, ესთერ?

- აბა რა. - მაგრამ გავიფიქრე, არა მგონია-მეთქი.

- მტკივა, უნდა მტკიოდეს?

ირვინმა არაფერი მიპასუხა. მერე თქვა:

- ზოგჯერ მტკივნეულია.

ირვინს უინდერის ბიბლიოთეკის კიბეზე შევხვდი. გრძლად დაქანებული კიბის თავში ვიდექი და წითელი აგურის შენობებით გარშემორტყმულ მოედანს გადავყურებდი. უკვე ტროლეიბუსით საგიჟეთში დაბრუნებაზე ვფიქრობდი,

როდესაც მაღალი, ახალგაზრდა მამაკაცი მომიახლოვდა. უშნო, სათვალისანი, მაგრამ ჭკვიანი სახე ჰქონდა. მომიახლოვდა და მკითხა: - უკაცრავად, საათს ხომ ვერ მეტყვოდით?

საათს დავხედე.

- ხუთის ხუთი წუთია.

მამაკაცმა ხელები უკეთ მოხვია წიგნების გროვას, წინ საუზმის ლანგარივით რომ ეჭირა, და გამხდარი მაჯა გამოუჩნდა.

- თავადაც ხომ გაქვთ საათი!

კაცმა თავის საათს ნაღვლიანად დახედა, მერე ასწია და ყურთან შეინჯღრია, - არ მუშაობს, - მომხიბლავად გამიღიმა, - საით გაგიწევია?

ლამის ვუთხარი: - უკან, საგიჟეთისაკენ-მეთქი, მაგრამ კაცი საინტერესო ჩანდა და გადავიფიქრე, - შინისაკენ.

- მანამდე ყავაზე ხომ არ დამეწვეოდი?

შევყოყმანდი. საგიჟეთში ვახშმისთვის უნდა მიმესწრო და სულაც არ მინდოდა, დამეგვიანა, თანაც ახლა, როცა გამოსვლამდე სულ ცოტადა მაკლდა.

- ძაალიან პატარა ფინჯან ყავაზე?

გადავწყვიტე, ჩემი ახალი, ნორმალური პიროვნება გამომეცადა ამ კაცზე, რომელმაც, სანამ ვცომანობდი, მითხრა, რომ ირვინი ერქვა და მათემატიკის ძალიან მაღალანაზღაურებადი პროფესორი იყო. ამიტომ ბოლოს დავთანხმდი და ირვინის მხარდამხარ ჩავუყევი მოყინულ კიბეს.

მხოლოდ ირვინის კაბინეტის ნახვის შემდეგ გადავწყვიტე, მეცდუნებინა.

ირვინი კემბრიჯის გარეუბნის ერთ ოღროჩოღრო ქუჩაზე, უმზეო, მყუდრო ბინაში ცხოვრობდა, ნახევარსარდაფში. სტუდენტურ კაფეში, სამი ჭიქა მწარე ყავის შემდეგ, ლუდზე დამპატიჟა და თავისი მანქანით სწორედ ამ ბინაში წამომიყვანა. და აი, კაბინეტში, ყავისფერი ტყავის რბილ სკამებზე ვისხედით, ამ გაუგებარი, დამტვერილი წიგნებით გარემოცულნი, ფურცლებზე უზარმაზარი ფორმულები ლექსებივით არტისტულად რომ ჰქონდათ გამოყვანილი.

ვიდრე პირველ კათხა ლუდს ვწრუპავდი - ცივი ლუდი ნამდვილად არასოდეს მყვარებია შუა ზამთარში, მაგრამ უარი არ მითქვამს, რომ ხელში რაიმე მყარი მჭეროდა - კარზე ზარმა დარეკა.

ირვინი შეცბუნებული ჩანდა.

- მგონი, ერთი ქალბატონი უნდა იყოს.

ირვინს უცნაური ძველმოდური ჩვევა ჰქონდა - ქალებს „ქალბატონებს“ ეძახდა.

- ყველაფერი რიგზეა? - გამომცდელად შევხდე, - შემოიპატიჟე!

ირვინმა თავი გააქნია:

- არ მოეწონება, აქ რომ დახვდები.

ცივი ლუდის ქარვისფერ ცილინდრს ჩავლიმე.

ზარმა ისევ დარეკა და ზედ კატეგორიული კაკუნიც მოჰყვა. ირვინმა ამოიხრა და პასუხის გასაცემად წამოდგა. რაწამს ოთახიდან გავიდა, აბაზანაში შევიპარე, ჭუჭყიანი, ალუმინისფერი ვენეციური ფარდის უკან დავიმალე და იქიდან ვუთვალთვალებდი ირვინის წმინდან სახეს.

კართან – მატყლის ყელიანი ჯემპრით, წითელი შლაქსით, მაღალქუსლიანი შავი ჩექმებით, კარაკულის მუფთითა და მასთან შეხამებული ქუდით – ჩასხმული, გადაფურჩქნილი სლავი ქალბატონი იდგა და ზამთრის ჰაერს თეთრი, გაუგებარი სიტყვებით ორთქლავდა. სუსხიანი დერეფნიდან ქარმა მხოლოდ ირვინის სიტყვები შემოიტანა.

– მაპატიე, ოლგა, ვმუშაობ... არა, ოლგა... მე ასე არ ვფიქრობ, ოლგა... – მთელი ამ დროის განმავლობაში ქალის წითელი პირი მოძრაობდა და თეთრ ორთქლად თარგმნილი სიტყვები კარის უკან, შიშველი იასამნის ტოტებში ქრებოდნენ. მერე, როგორც იქნა, გაისმა: „ალბათ, ოლგა... ნახვამდის, ოლგა“.

როცა კარს მოშორდა და თავის ალისფერ ტუჩებზე ციმბირული მწარე ღიმილით ხის ჭრიალა კიბეს ჩაუყვა, აღმაფრთოვანა ამ ქალის ტრამალივით უზარმაზარმა, მატყლით შემოსილმა ბიუსტმა.

– ალბათ, კემბრიჯში უთვალავი რომანი გაქვს გაბმული, – მხიარულად ვუთხარი ირვინს და ლოკოკინა ჩხირზე წამოვაგე. ახლა უკვე კემბრიჯის ერთ თვალსაჩინო ფრანგულ რესტორანში ვისხედით.

– მგონი, კი, – თავმდაბალი ღიმილით აღიარა ირვინმა, – მგონი, მე და ქალბატონები ერთმანეთს ვუგებთ.

ლოკოკინას ცარიელი ნიჟარა ავიღე და მომწვანო წვენი მოვწრუპე. წარმოდგენა არ მქონდა, სწორად ვიქცეოდი თუ არა, მაგრამ თვეების მანძილზე საგიჟეთის გამაბეზრებელი, სასარგებლო დიეტის შემდეგ ყველაფერ ცხიმიანზე დახამებული ვიყავი.

რესტორნის შესასვლელიდან ფასიანი ტელეფონით ექიმ ნოლანს დავურეკე და ერთი ღამით კემბრიჯში, ჯოანასთან დარჩენის ნებართვა ვთხოვე. რა თქმა უნდა, დარწმუნებული არ ვიყავი, რომ სადილის შემდეგ ირვინი უკან, თავის ბინაში მიმიპატიჟებდა, მაგრამ მის მიერ სლავი ქალბატონის დათხოვნა, რომელიც სხვა პროფესორის ცოლი აღმოჩნდა, – იმედის მომცემი ჩანდა.

თავი უკან გადავიგდე და ჭიქაში ნიუი-სენტ ჯორჯი ჩამოვისხი.

– ღვინო გყვარებია. – შენიშნა ირვინმა.

– მხოლოდ ნიუი-სენტ ჯორჯი. წარმოვიდგენ ხოლმე... ურჩხულთან ერთად...

ირვინი ხელზე მომწვდა.

მინდოდა, პირველი კაცი, რომელთანაც დავწვებოდი, ჭკვიანი ყოფილიყო, რომ მისი პატივისცემა მქონოდა. ირვინი ოცდაექვსი წლის ასაკში სრული პროფესორი იყო და გენიოსი ბიჭის გაცრეცილი, უთმო კანი ჰქონდა. თან, ვინმე გამოცდილი მჭირდებოდა, რომ ამ საქმეში ჩემი გამოუცდელობა შეევესო. ირვინის ქალბატონებმა ამაშიც დამარწმუნეს. კიდევ, უსაფრთხოებისათვის, ვინმე ისეთი უნდა მეპოვა, ვისაც არ ვიცნობდი და ვისთანაც არც შემდგომში მექნებოდა ურთიერთობა. ერთი სიტყვით, ვინმე განყენებული პირი მჭირდებოდა,

შამანივით, ტომობრივი რიტუალების ამბებში რომაა აღწერილი.

სადამოს ბოლოსათვის ირვინში უკვე არავითარი ეჭვი აღარ მეპარებოდა.

მას შემდეგ, რაც ბადი უილიარდის თვალთმაქცობის შესახებ გავიგე, ჩემი უბიწოება კისერზე წისქვილის ქვასავით მეკიდა. უბიწოება ჩემთვის ამდენ ხანს ისეთი მნიშვნელოვანი რამ იყო, რომ უკვე ჩვევად მქონდა მისი დაცვა ნებისმიერ შემთხვევაში. ხუთი წელი ვიცავდი ასე და ახლა უკვე გულს მირევდა. მხოლოდ მაშინ ავჩურჩულდი, როცა ირვინმა, ბინაში დაბრუნების შემდეგ, ღვინისაგან რეტდასხმული ხელში ამიტაცა და კუპრივით შავ საძინებელში შემიყვანა:

- იცი, ირვინ, მგონი უნდა გითხრა, რომ ქალწული ვარ.

ირვინმა ჩაიცინა და საწოლზე დამაგდო.

რამდენიმე წუთის შემდეგ მისმა გოცების წამოძახილმა მიმახვედრა, რომ არ დამიჯერა. გავიფიქრე, რა კარგია, რომ დღეს დილით ჩასახვისაგან თავდასაცავი პროცედურა ჩავიტარე-მეთქი; თორემ ღვინით გაბრუებულს ახლა უკვე არაფრის თავი აღარ მქონდა. ვიწექი ასე, თავბრუდასხმული და შიშველი და ველოდი, როდის ვიგრძნობდი ჩემში სასწაულებრივ ცვლილებას.

მაგრამ ერთადერთი, რაც ვიგრძენი, ბასრი, საშინელი ტკივილი იყო.

- მტკივა. უნდა მტკიოდეს?

ირვინმა არაფერი მიპასუხა. მერე თქვა:

- ზოგჯერ მტკივნეულია.

ცოტა ხნის შემდეგ ირვინი წამოდგა და აბაზანაში შევიდა. შხაპის ხმაც გავიგე. დარწმუნებული არ ვიყავი, ირვინმა მოახერხა იმის გაკეთება, რაც სურდა, თუ ჩემმა უბიწოებამ რამენაირად შეუშალა ხელი. მინდოდა, მისთვის მეკითხა, ისევ ქალწული ვარ თუ არა-მეთქი, მაგრამ წამოდგომა ვერ მოვახერხე. ფეხებშუა თბილი სითხე მოწვეთავდა. ცნობისმოყვარედ შევეხე.

როცა ხელი აბაზანიდან გამომავალ შუქს შევუშვირე, თითები შავად გამომიჩნდა.

- ირვინ, - შემფოთებულმა გავძახე, - პირსახოცი მომიტანე.

ირვინი წელზე პირსახოცმემოხვეული შემოიზღაზნა და სხვა, უფრო პატარა პირსახოცი გადმომიგდო. პირსახოცი ფეხებს შორის ამოვიდე და თითქმის იმწამსვე უკან გამოვიდე. სისხლისაგან ნახევრად შავი იყო.

- სისხლისგან ვიცლები! - წამოვჯექი შეშინებული.

- ოჰ, ეს ხშირად ხდება ხოლმე, - დამარწმუნა ირვინმა, - კარგად იქნები.

მერე უცებ გამახსენდა სისხლით მოთხვრილი საპატარძლო ზეწრებისა და უკვე ქალწულობადაკარგული პატარძლებისათვის მიცემული წითელმელნიან კაფსულების შესახებ წაკითხული ამბები. თავში გამიელვა, რომ სწორედ სისხლი იყო ჩემი პასუხი. ახლა უკვე შეუძლებელი იყო, კვლავ ქალწული ვყოფილიყავი. სიბნელეში გავიღიმე. თავი დიდებული ტრადიციის ნაწილად ვიგრძენი.

ჭრილობაზე უჩუმრად დავიდე თეთრი პირსახოცის სუფთა ნაწილი და გადავწყვიტე, რაწამს სისხლდენა შემიწყდებოდა, პირველივე ღამის ტროლეიბუსით უკან, საგიჟეთში დავბრუნებულიყავი. მსურდა, ჩემი ახალი მდგომარეობის შესახებ სრულ სიმშვიდეში მეფიქრა. მაგრამ პირსახოცი რომ გამოვიღე კვლავ შავი იყო და წვეთავდა.

- მგონი, ჯობია, შინ წავიდე, - ძლივს ამოვთქვი.
- ასე უცებ არ გინდა.
- არა, მგონი უკეთესი იქნება.

ვკითხე, თუ შეგიძლია, პირსახოცი მათხოვო-მეთქი და თემოებს შორის დოლბანდივით დავიხვიე. მერე ჩემი ოფლიანი ტანსაცმელი გადავიცვი. ირვინმა მანქანით წაყვანა შემომთავაზა, მაგრამ არ ვიცოდი, როგორ მეთქვა, საგიჟეთში უნდა წამიყვანო-მეთქი; ამიტომ უბის წიგნაკში ჯოანას მისამართი მოვიძიე. ირვინმა ქუჩა იცოდა და მანქანის გამოსაყვანად გავიდა. ისე ვნერვიულობდი, არც ვუთხარი, რომ ისევ სისხლისგან ვიცლებოდი; ყოველ წუთს იმედი მქონდა, რომ შემიწყდებოდა.

მაგრამ როცა ირვინს თავისი მანქანით გადათოვლილ, ხრიოკ ქუჩებში მივყავდი, ვიგრძენი, რომ თბილმა ნაკადმა პირსახოცში გააღწია და კაბა და მანქანის სკამიც დაასველა.

სვლა რომ შევანელებ და განათებული სახლების მწკრივს გავუყევით, იმაზე ვფიქრობდი, რა ბედნიერებაა, რომ უბიწოება კოლეჯში ან ჩემს ქალაქში არ დავკარგე, სადაც ამისი ასე გასაიდუმლოება შეუძლებელი იქნებოდა-მეთქი.

ჯოანა, კარი რომ გამიღო, გაოცებული და გახარებული ჩანდა. ირვინმა ხელზე მაკოცა და ჯოანას სთხოვა, ჩემთვის კარგად მოევლო.

კარი მივუჯახუნე და ზურგით მივეყუდე. ვიგრძენი, სისხლი ისევ როგორ დაიდრა.

- ესთერ, რა მოხდა? - მკითხა ჯოანამ.

მაინტერესებდა, მაინც როდის შეამჩნევდა ჯოანა, რომ სისხლი წებოს ნაკადივით ბლანტად დამდიოდა ფეხებზე და ჩემს ხელოვნური ტყავის ფეხსაცმელებში მეწურებოდა. გავიფიქრე, ნატყვიართ რომ ვკვდებოდე, ჯოანა მაინც ასე, ცარიელი თვალებით იქნება მომტერებული, იმის მოლოდინში, თუ როდის ვთხოვ ფინჯან ყავასა და სენდვიჩს-მეთქი.

- ის ექთანი აქ არის?
- არა, კაპლანშია ღამის მორიგეობაზე.
- კარგია. - სიმწრის ღიმილმა გადამკრა, - სისხლის ახალი ნაკადი ჩავიდა გაჟღენთილ პირსახოცში და მერე იმავე გზას ჩაუყვა ფეხსაცმელებისაკენ, - უფრო სწორად... ცუდია.
- სასაცილოდ გამოიყურები. - მითხრა ჯოანამ.
- კარგი იქნება, ექიმს თუ მიშოვი.

- რატომ?
- სწრაფად.
- მაგრამ...

ჯერ კიდევ ვერაფერი შეენიშნა.

კვნესით დავიხარე და ჩემი ყინვისაგან დამსკდარი, ბლუმინგდეილში ნაყიდი ცალი ფეხსაცმელი გავიძრე; მერე ავწიე, ჯოანას გაფართოებული, კენჭისფერი თვალების წინ ამოვაპირქვავე და ვუცქეროდი, როგორ დაჰყურებდა ბაც ყავისფერ ხალიჩაზე ჩამოწულ სისხლის ნაკადს.

- ღმერთო ჩემო! ეს რა არის?

- სისხლისგან ვიცლები. ჯოანამ დივანამდე ნახევრად წამიყვანა და ნახევრად წამათრია და მაიძულა, დავწოლილიყავი. მერე სისხლით დათხვრილი ფეხების ქვეშ ბალიშები ამომიდო, უკან გადაგა და დაჟინებით მომთხოვა პასუხი:

- ის კაცი ვინ იყო?

იმ გიჟურ მომენტში გავიფიქრე, რომ სანამ ირვინთან გატარებული ჩემი საღამოს მთელს ამბავს არ ვაღიარებდი, ჯოანა უარს იტყოდა ექიმის გამოძახებაზე; და რომ ვაღიარებდი, ჩემი დასჯის მიზნით, მაინც უარს იტყოდა. მაგრამ მერე გავიფიქრე, რომ ახსნა-განმარტებას აზრი არ ჰქონდა. ჩემი ირვინთან დაწოლის მიზეზი ჯოანასთვის აბსოლუტურად გაუგებარი იქნებოდა; და მისთვის ირვინის გამოჩენაც მხოლოდ პაწია ეკალივით თუ იყო ჩემი მოსვლის სიხარულის ფონზე.

- ოჰ, ვიღაც! - თავიდან მოსაცილებლად, ზერელედ ვუთხარი. სისხლის ახალი ნაკადი მომაწვა. ხელები განგაშით შემოვიჭირე მუცელზე. - პირსახოცი მომიტანე!

ჯოანა გავიდა და თითქმის იმწამსვე დაბრუნდა პირსახოცებისა და ნაჭრების გროვით. სასწრაფოს ექთანით მოხერხებულად გამაძრო სისხლისაგან დასველებული ტანსაცმელი. სუნთქვა შეეკრა, როცა მთავარ, წითელ პირსახოცამდე მიაღწია. ახალი საფენი გამიკეთა. ვიწექი და ჩემი გულისცემის შენელებას ვცდილობდი, რადგან ყოველ გულისცემაზე სისხლის ახალი ტალღა მოიწევდა.

საშინელ წყევლასავით გამახსენდა ვიქტორიანული რომანები, რომლებშიც ქალები პანტა-პუნტით იხოცებოდნენ, გადაფითრებულნი, სისხლის ნაკადულებში ღირსეულად მწოლიარენი, მძიმე მშობიარობის შემდეგ. იქნებ ირვინმა რაიმე საშინელი, იდუმალი გზით დამჭრა და ვიდრე ასე ვიწექი, ჯოანას დივანზე მართლა ვკვდებოდი?

ჯოანამ მუხლებზე ინდური ბალიში დაიდო და ტელეფონით კემბრიჯის ექიმების გრძელ სიას დაუწყო დაკავშირება. პირველმა ნომერმა არ უპასუხა; მეორე ნომერს დაუწყო ჩემი შემთხვევის ახსნა, მაგრამ იმან უცებ გაუთიშა. ჯოანამაც, „გასაგებიაო“ და ყურმილი დაკიდა.

- რაო?

- მხოლოდ მუდმივ კლიენტებთან ან სასწრაფო შემთხვევებზე მიდის. დღეს კვირაა.

შევეცადე, მკლავი ამეწია და საათისთვის დამეხედა, მაგრამ ხელი ქვასავით



გამმაგრებოდა და ვერ გავანძრიე. კვირადღე - ექიმის სამოთხე! ექიმები ქანთრი-ბარებში, ექიმები ზღვის ნაპირას, ექიმები საყვარლებთან ერთად, ექიმები ცოლებთან ერთად, ექიმები ეკლესიებში, ექიმები იახტებზე, ექიმები ყველგან - როგორც ადამიანები, და არა ექიმები.

- ღვთის გულისათვის, - ვთხოვე, - უთხარი, რომ ჩემი შემთხვევა სასწრაფოა.

არც მესამე ნომერმა უპასუხა; მეოთხემ კი მაშინვე დაკიდა, რაწამს ჯოანამ უხსენა - მენსტრუაციის პრობლემააო. ჯოანა ატირდა.

- მომხედე, ჯოანა, - ძლივსლა ვლაპარაკობდი, - ადგილობრივ საავადმყოფოს დაურეკე. უთხარი, სასწრაფო შემთხვევაა-თქო. იმათ მაინც უნდა მიმიღონ.

ჯოანას სახე გაუბრწყინდა და მეხუთე ნომერი აკრიფა. სასწრაფო დახმარების განყოფილება დაჰპირდა, რომ, თუ საავადმყოფოში მივიდოდი, ექიმი მომხედავდა. ჯოანამ ტაქსი გამოიძახა და ჩემთან ერთად წამოსვლა დაიჟინა. სასოწარკვეთილი ვიჯექი და ჩემი ახალი საფენების კიდეები მქონდა ჩაბღუჯული, ვიდრე ჯოანას მიერ მიცემული მისამართით შეშფოთებული მძღოლი თავისი ტაქსით კუთხეს კუთხეზე ჭრიდა და განთიადის გაცრეცილ ქუჩებში სირენის წივილით მიმაქანებდა სასწრაფო განყოფილების შესასვლელისაკენ.

ჯოანა მძღოლისათვის ფულის გადასახდელად დავტოვე და ცარიელ, თვალისმომჭრელად გაკაშკაშებულ დერეფანში შევვარდი. ექთანს თეთრი დაფის უკან ფუსფუსებდა. რამდენიმე სწრაფი სიტყვით მოვახერხე მისთვის ჩემი უხერხული მდგომარეობის შესახებ სიმართლის თქმა, ვიდრე ოთახში ახლომხედველი ბუსავით თვალეგაფართოებული ჯოანაც შემოვიდოდა წამწამების ფახულით.

მერე სასწრაფო დახმარების ექიმიც გამოჩნდა და ექთნის დახმარებით გასასინჯ მაგიდაზე ავძვერი. ექთანმა ექიმს უჩურჩულა, ექიმმაც თავი დაუქნია და სისხლიანი პირსახოცების გამოღება დაიწყო. ვგრძნობდი, მისმა თითებმა როგორ დამიწყო სინჯვა. ჯოანაც იქვე იდგა, ჩემს გვერდით, ჯარისკაცივით გახევებული და ჩემი ხელი ეჭირა - ჩემს გამო თუ საკუთარი თავის გამო, არ ვიცოდი.

- ვაი! - დავიყვირე განსაკუთრებულად მტკივნეული დარტყმისაგან. ექიმმა ჩაუსტვინა.

- შენ მილიონიდან ერთი ხარ.

- რას გულისხმობთ?

- იმას, რომ ასეთი რამ მილიონში ერთხელ ხდება.

ექიმი ექთანს ხმადაბლა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ელაპარაკებოდა და მასაც გვერდითა მაგიდიდან სწრაფად გადმოჰქონდა დოლბანდი და ვერცხლისფერი ხელსაწყოები.

- გავარკვიე, - დაიხარა ექიმი, - საიდანაც მოდის ეს ყველაფერი.

- და შეგიძლიათ, შეაჩეროთ?

ექიმმა გაიცინა.

რა თქმა უნდა, შემოდის, შევაჩერო.

კარზე კაკუნმა გამომადგინა. შუალამეს გადაცილებული იყო და საგიჟეთი სამარისებურ სიჩუმეს მოეცვა. წარმოდგენა არ მქონდა, ვინ შეიძლებოდა, ყოფილიყო.

- შემოდით! - საწოლის გვერდით ლამფა ავანთე.

კარი შემოიღო და ღრიჭოში ექიმ ქუინის ცოცხალი, შავგვრემანი თავი გამოჩნდა. გაოცებით შევხედე. მიუხედავად იმისა, რომ ვიცნობდი და საგიჟეთის დერეფანში გვედზე ჩავლისას თავის დაქნევითაც ვესალმებოდი, არასოდეს დავლაპარაკებოვარ.

- მის გრინვუდ, შეიძლება, ერთი წუთით შემოვიდე? თავი დავუქნიე. ექიმმა ქუინმა ოთახში შემოაბიჯა და ზურგს უკან კარი ჩუმიდ მიიხურა. თავისი ერთ-ერთი ხასხასა ლურჯი, უზადო პიჯაკი ეცვა და ქვეშ სადა, ქათქათა თეთრი, უყელო ზედატანი მოუჩანდა.

- ვწუხვარ რომ გაწუხებთ, მის გრინვუდ, თანაც, ამ შუალამეს, მაგრამ ვიფიქრე, რომ თქვენ შეგეძლოთ, ჯოანასთან დაკავშირებით დაგვხმარებოდით.

ერთი წუთით გავიფიქრე, რომ ექიმ ქუინს სურდა, საგიჟეთში ჯოანას დაბრუნების გამო მე დავედანაშაულებინე. ჯერ კიდევ არ ვიყავი დარწმუნებული, ჯოანამ სასწრაფო დახმარების განყოფილებაში წამოსვლის შედეგად ჩემს შესახებ ზუსტად რა გაიგო, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ თვითონაც უკან, ბელსაიზში დაბრუნდა, თუმცა, ქალაქში თავისუფლად გასვლის პრივილეგიას კვლავაც აქტიურად იყენებდა.

- რითაც შემოდის, დაგვხმარებით, - ვუთხარი ექიმ ქუინს.

ექიმი ქუინი მოღუმული სახით ჩემი საწოლის კიდეზე ჩამოჯდა.

- გვინდოდა გაგვეგო, ჯოანა სადაა. ვიფიქრეთ, რომ თქვენ შეიძლება გცოდნოდით.

უცებ მომინდა, ჯოანასთან არანაირი საერთო არ მქონოდა.

- არ ვიცი, - ვუთხარი ცივად, - თავის ოთახში არ არის?

ამ დროისთვის, შინაგანაწესის მიხედვით, ბელსაიზში ყველა ადგილზე უნდა ყოფილიყო.

- არა, ჯოანას ამ საღამოს ქალაქში კინოში წასვლის ნებართვა ჰქონდა აღებული და ჯერაც არ დაბრუნებულა.

- ვისთან ერთად წავიდა?

- მარტო იყო. - ექიმი ქუინი შეყოვნდა, - რაიმე ხომ არ მოგდის აზრად, ღამის გატარება სად შეეძლო?

- უეჭველად დაბრუნდება. ალბათ რაღაცამ შეაყოვნა, - მაგრამ თვითონაც ვერ გამეგო, რას შეეძლო შეეყოვნებინა ჯოანა ღამის ბოსტონში.

ექიმმა ქუინმა თავი გააქნია.

უკანასკნელმა ტროლეიბუსმა ერთი საათის წინ ჩაიარა.

- იქნებ, ტაქსით დაბრუნდეს...

ექიმმა ქუინმა ამოიოხრა.

- ექთან კენედის თუ დაუკავშირდით? ჯოანა ხომ მასთან ცხოვრობდა.

ექიმმა ქუინმა თავი დამიქნია.

- მის ოჯახს? - ოჰ, იქ არაფრით არ წავიდოდა, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის მათაც დაუკავშირდით.

ექიმი ქუინი ერთი წუთით კიდევ გაჩერდა, თითქოს ჩემს გაყუჩებულ ოთახში რაიმე გასაღების პოვნა ჯერ კიდევ შეეძლო. მერე მითხრა, - კარგი, რასაც შევძლებთ, გავაკეთებთ. - და გავიდა.

სინათლე გამოვრთე და შევეცადე, ძილი შემებრუნებინა, მაგრამ თვალწინ ჯოანას სახე მიტივტივებდა, ჩემირის კატასავით უსხეულო და მოცინარი. თითქოს მისი ხმაც კი გავიგე, სიბნელეში რომ ჭრაჭუნობდა და ფაჩუნობდა, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ეს მხოლოდ საგიჟეთის ეზოს ხეებში გახლართული ღამის ქარი იყო.

ყჩარხლისფერ განთიადზე ისევ კაკუნმა გამომადგინა.

ამჯერად კარი თვითონ გავაღე.

ჩემ წინ ექიმი ქუინი იდგა. სერჟანტივით გაჭიმულიყო, მაგრამ სახის ნაკვთები უცნაურად დაბრეცოდა.

- ვიფიქრე, რომ შენთვისაც უნდა გვეცნობებინა, - მითხრა ექიმმა ქუინმა, - ჯოანა იპოვეს.

ექიმი ქუინის მიერ მესამე პირში ნათქვამმა სისხლი გამიყინა.

- სად?

- ტყეში, გაყინულ გუბურებთან.  
პირი გავაღე, მაგრამ სიტყვაც არ ამომსვლია.

- ერთმა მეუზოვემ ნახა, - გააგრძელა ექიმმა ქუინმა, - სულ ახლახანს, სამსახურში რომ მოდიოდა.

- ის არ...

- მკვდარია, - თქვა ექიმმა ქუინმა, - თავი ჩამოიხრჩო.

20

ახლად ჩამოყრილი თოვლი საბანივით გადაჰფარებოდა საგიჟეთის მიდამოს - საშობაო ფიფქები კი არ იყო, არამედ კაცის სიმაღლე იანვრის დიდთოვლობა; აი, ისეთი, სკოლებს, ოფისებსა და ეკლესიებს რომ აცარიელებს და უბის წიგნაკებსა და კალენდრებზე ერთი ან მეტი დღით წმინდა, ქათქათა ფურცლებს ტოვებს.

ერთ კვირაში, თუ დირექტორთა საბჭოსთან ჩემი ინტერვიუ წარმატებით ჩაივლიდა, ფილომენა გუინეას გრძელი შავი მანქანა დასავლეთისკენ წამიყვანდა და ჩემი კოლეჯის ფოლადის ჭიშკართან ჩამომსვამდა.

ზამთრის გული!

მასაჩუსეტსი მარმარილოს სიმშვიდეში იქნებოდა ჩაფლული. წარმოვიდგინე გადაფიფქული სოფლები, გაყინული ტორფიანი მიწების ჭრაჭუნი, ტბები, რომლებშიც ბაყაყები და გომბეშოები ყინულის საფარველქვეშ თვლემდნენ, მოცახცახე ტყეები... მაგრამ, მიუხედავად მაცდუნებლად კრიალა ზედაპირისა, ტოპოგრაფია იგივე იყო და სან-ფრანცისკოს, ევროპის ან მარსის ნაცვლად, კვლავაც ძველი პეიზაჟების, წყაროებისა და ხეების შესწავლა მომიწევდა. მეორე მხრივ, დიდად ამაღლებელი საქმე არ უნდა ყოფილიყო ექვსი თვის ჩავარდნის შემდეგ ყველაფრის ისევ იქიდან დაწყება, საიდანაც ასეთი თავგანწირვით გამოვიქეცი.

რა თქმა უნდა, ყველას ეცოდინებოდა ჩემი ამბავი.

ექიმმა ნოლანმა პირდაპირ მითხრა, რომ ძალიან ბევრი ადამიანი ჭინჭარით დამსუსხავდა, ან შეიძლება, სულაც გამრიდებოდნენ, როგორც კეთროვანს, კისერზე რომ გამაფრთხილებელი ზანზალაკი უქლარუნებს. გონებაში დედაჩემის სახე ამომიცურდა, მთვარესავით გაფითრებული, ჩემი მეოცე დაბადების დღის შემდეგ საგიჟეთში მისი პირველი და უკანასკნელი ვიზიტისას. ქალიშვილი ჰყავს საგიჟეთში! აი, რა გავუკეთე! და მაინც, აშკარა იყო, რომ ჩემი პატიება გადაეწყვიტა.

- სადაც შევჩერდით, იქიდან გავაგრძელებთ, ესთერ, - მითხრა თავისი ტკბილი, მოწამებრივი ღიმილით, - ისე მოვიქცეთ, თითქოს ეს ყველაფერი, უბრალოდ, ცუდი სიზმარი იყო.

ცუდი სიზმარი.

მკვდარი ბავშვით გაყურებული და ცარიელი ზარხუფის ქვეშ მოქცეული ადამიანისათვის თვითონ სამყაროა ცუდი სიზმარი.

ცუდი სიზმარი.

მე ყველაფერი მახსოვდა.

მახსოვდა გვამები და დორინი და ლეღვის ხის ამბავი და მარკოს ალმასი და მეზღვაური მოედანზე და ექიმ გორდონის შუშისთვალა ექთანის და დამსხვრეული თერმომეტრები და ზანგი თავისი ორნაირი ლობიოთი და ოცი ფუნტი, რომელიც ინსულინზე ყოფნის დროს მოვიმატე და კლდე, რომელიც ცასა და ზღვას შორის ნაცრისფერი თავის ქალასავით გამოჰყლეტილიყო.

იქნებ დავიწყებას თოვლის მსგავსად დაედუმებინა და გადაეფარა ისინი. მაგრამ ეს ყველაფერი ჩემი ნაწილი იყო. ეს ყველაფერი ჩემს საკუთარ პეიზაჟს ქმნიდა.

- თქვენს სანახავად მამაკაცია მოსული!

კარში მოღიმარმა, ქათქათაქუდიანმა ექთანმა შემოყო თავი და წამით გამიჭირდა კოლეჯის, მოხდენილი თეთრი ავეჯის, ხეებისა და მთების ხედის მაგიერ ჩემი ძველი ოთახის ნიკელის სკამებთან, მაგიდასთან და მართკუთხა მოტიტვლებული ეზოს ხედთან დაბრუნება.

- მამაკაცია თქვენს სანახავად! - თითქოს საერთო საცხოვრებლის ტელეფონზე მითხრა მორიგე გოგონამ.

მინც, რა განგვასხვავებდა ბელსაიზელებს ასე ძალიან იმ გოგონებისაგან, ბრიჯს რომ თამაშობდნენ, ჭორაობდნენ და სწავლობდნენ კოლეჯში, რომელსაც უნდა დავბრუნებოდი? ის გოგონებიც ხომ ამგვარი ზარბუფების ქვეშ იხდნენ.

- შემოდით! - დავიძახე, და, ბადი უილიარდმა შემოაბიჯა ხელში ხაკისფერი ქუდი.

- აი, ასე, ბადი, - ვუთხარი მე.

- აი, ასე, ესთერ.

ჰოდა, ვიდექით, აი ასე, და ერთმანეთს ვუცქეროდით. ველოდი, გრძნობის ნატამალი, ერთიბენო ნაპერწკალი მინც როდის იელვებდა. მაგრამ არაფერი იყო, დიდი, მეგობრული მოწყენის გარდა. ბადის ხაკისფერქურთუკიანი სილუეტი ისეთივე უმნიშვნელო ჩანდა და ჩემთან ისევე არავითარი კავშირი არ ჰქონდა, როგორც ყავისფერ სასაზღვრო ძელაკებს, რომლებთანაც ერთი წლის წინათ იდგა, სათხილამურო ბილიკის ძირას.

- აქ როგორ მოხვდი? - ვკითხე ბოლოს.

- დედაჩემის მანქანით.

- ამხელა თოვლში?

ბადი გაიკრიჭა:

- თოვლში ვარ გაქედილი. მაღლობზე ვეღარ ამოვიყვანე. აქ სადმე ნიჩბის თხოვნა არ შეიძლება?

- შეგვიძლია, რომელიმე მეეზოვეს ვთხოვოთ.

- კარგია, - თქვა ბადიმ და გასასვლელად მიბრუნდა.

- მოიცადე, წამოვალ და დაგეხმარები.

მაშინ ბადიმ მომხედა და მის თვალებში უცნაური ციმციმი შევნიშნე - ცნობისმოყვარეობისა და სიფრთხილის იგივე ნაპერწკალი, რომელიც „ქრისჩენ საიენტისთის“ რედაქტორის, ჩემი ინგლისურის მასწავლებლის და უნიტარიელი მღვდლის თვალებში შემინიშნავს, ჩემს მოსანახულებლად რომ მოდიოდნენ.

- ოჰ, ბადი, - გამეცინა, - მე კარგად ვარ.

- ვიცი, ვიცი, ესთერ, - სწრაფად მომაგება ბადიმ.

- ბადი, ეს შენთვის არ შეიძლება სიცივეში მანქანასთან ჯახირი და არა ჩემთვის.

და ბადიმ ნება დამართო, საქმის უმეტესი ნაწილი მე გამეკეთებინა.

მანქანა, მოპრიალეზულ გორაკზე საგიჟეთისაკენ მუხრუჭით რომ ამოჰყავდა, უკან დაცურებულყო და ცალი ბორბლით თოვლის ორმოში იყო ჩაფლული.

მზე ნაცრისფერი ღრუბლების ზეწრებიდან გამოძვრა და ზაფხულის სიკაშკაშით დანათოდა თოვლიან, ხელუხლიებ ქედებს. ამ კრიალა სივრცით დასატკობად მუშაობა შევწყვიტე. ისეთივე ღელვა ვიგრძენი, როგორსაც წელამდე ნიაღვარში მდგარი ხეების ცქერა მანიჭებს - თითქოს სამყაროს

ჩვეულებრივი წესრიგი ოდნავ დაირღვა და ბუნება ახალ ფაზაში შევიდა.

ბადის მადლიერი ვიყავი თოვლის ორმოში გაჭედული მანქანის გამო; ოღონდ, ვცდილობდი, თავი დამეღწია კითხვისგან, რომელსაც, ვიცოდი, რომ დამისვამდა, და რომელიც ბოლოს დაბალი, ნერვიული ხმით მაინც დამისვა ბელსაიში შუადღის ჩაის სმისას. დი-დი შურიანი კატასავით გვიყურებდა ჩაის ფინჯანს ზემოდან. ჯოანას სიკვდილის შემდეგ დი-დი ერთხანს ისევ უიმარკში გადაიყვანეს, მაგრამ ახლა კვლავ აქ იყო.

- მაინტერესებდა... - ბადიმ ფინჯანი ლამბაქზე უხერხული კაკუნით დადგა.

- რა გაინტერესებდა?

- მაინტერესებდა... ვფიქრობდი, რომ შეგეძლო ჩემთვის რაღაც გეთქვა. - ბადის თვალები ჩემს თვალებს შეხვდა და პირველად შევნიშნე, როგორ შეცვლილიყო. ძველი, თავდაჯერებული ღიმილის ნაცვლად, რომელიც სახეზე, ფოტოგრაფის ნათურასავით ბუნებრივად, ხშირად ენთო, - ახლა თვალბში წუხილი მოუჩანდა, შემფოთებაც კი; იმ ადამიანს ჰგავდა, ხშირად რომ ვერ იღებს, რაც სურს.

- თუ შემიძლია, გეტყვი, ბადი.

- როგორ ფიქრობ, ჩემში არის რამე ისეთი, რაც ქალებს აგიჟებს? თავი ველარ შევიკავე და სიცილი ამიტყდა - შეიძლება ბადის სახის სერიოზულობისა და ამ წინადადებაში სიტყვა „გაგიჟების“ პირდაპირი მნიშვნელობის გამო.

- იმის თქმა მინდა... - ბადი შეყოვნდა, - ჯერ ჯოანას ვხვდებოდი და მერე შენ; და ჯერ შენ... წახვედი, და მერე ჯოანა...“

თითის წვერით ნამცხვრის სველ ნამცეცს ყავისფერ ჩაიში ჩავუძახე.

- რა თქმა უნდა, ეს შენი ბრალი არ არის! - ჩამესმა ექიმ ნოლანის ხმა. მასთან ჯოანასთან დაკავშირებით მივედი და ეს ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა მისი ხმა გაბრაზებული მახსოვს, - ეს არავის ბრალი არაა. ეს მისი ბრალია, - და შემდეგ ექიმმა ნოლანმა მითხრა, რომ საუკეთესო ფსიქიატრების პაციენტთა შორისაც კი ხდება თვითმკვლელობები და, პირველ რიგში, ფსიქიატრები უნდა იყვნენ ამის გამო პასუხისმგებელნი, მაგრამ ისინი, პირიქით, პასუხისმგებლებად თავს სულაც არ თვლიანო... .

- შენ ამასთან არანაირი კავშირი არ გაქვს, ბადი.

- დარწმუნებული ხარ?

- სრულიად.

- კარგი, - ბადიმ ამოისუნთქა, - მიხარია, თუკი ასეა.

და ჩაი აბივით გადაყლაპა.

როგორც გავიგე, გვტოვებ.

ექთნის ხელმძღვანელობით სასეირნოდ გამოსულ პატარა ჯგუფში ვალერიას ამოვუდექი.

- თუ ექიმები მომცემენ თანხმობას. გასაუბრება ხვალ მაქვს.

ფეხქვეშ დაპრესილი თოვლი ჭრაჭუნებდა. ყოველი მხრიდან მუსიკალური წკაპუნი და წვეთების დაცემის ხმა მესმოდა. შუადღის მზე ყინულის ლოლუებსა და თოვლის ბელტებს ამაოდ ადნობდა; ღამის დადგომამდე ყველაფერი კვლავ ყინულად გადაიქცეოდა.

ჩამწკრივებული გოლიათი შავი ფიჭვების ჩრდილი ამ კაშკაშა შუქში იისფერი ჩანდა. ვალერიას გვერდით კარგა ხანს მივუყვებოდი საგიჟეთის ნაცნობი ბილიკების ყინულოვან ლაბირინთს. ექიმები, ექთნები და პაციენტები, რომლებიც გვერდითა ბილიკებზე მიმოდიოდნენ, მხოლოდ წელსზემოთ ჩანდნენ, თითქოს თოვლს საჭრეთლებით კვეთდნენ.

- გასაუბრებები, - ვალერიამ ჩაიფხუკუნა, - არაფერს ნიშნავს! თუ შენს გაშვებას აპირებენ, გაგიშვებენ კიდევ.

- იმედი მაქვს.

ვალერიას მშვიდ, თოვლის გოგონასავით ქათქათა სახეს და თვალებს, რომლებშიც კარგის ან ცუდის მოლოდინის ამოკითხვაც კი შეუძლებელი იყო, კაპლანის წინ გამოვემშვიდობე და გზა მარტომ განვაგრძე. სუნთქვის დროს, ამ მზით სავსე ჰაერშიც კი, თეთრი ორთქლი ამომდიოდა. ვალერიას უკანასკნელი მხიარული შემახილი მომწვდა:

- აბა, კარგად იყავი! გნახავ ოდესმე!

„არა მგონია!“ - გავიფიქრე.

მაგრამ დარწმუნებული სულაც არ ვიყავი. საიდან ვიცოდი, რომ ერთ დღესაც - კოლეჯში, ევროპაში, სადმე, ნებისმიერ ადგილას - იგივე ზარხუფი - თავისი უჰაერო, გამანადგურებელი სიმძიმით - კვლავაც არ ჩამომემხოზოდა?

ბადიმაც ხომ, თითქოს რევანშის ასაღებად, რადგან მანქანას მე ვთხრიდი და თავად იქვე გაუნძრევლად დგომა უწევდა, მითხრა:

- მაინტერესებს, ახლა ვილა მიგიყვანს ცოლად, ესთერ.

- რა?! - ჩავეკითხე, ვიდრე ნიჩბით თოვლს ვიღებდი და აწეწილი ფიფქების მტვერში მოლაპლაპე თოვლისავე გროვას ვაყრიდი.

- მაინტერესებს, ახლა ვილა მიგიყვანს ცოლად, ესთერ! მას შემდეგ რაც... - ბადიმ მზერა მოავლო მთას, ფიჭვებსა და მათ დამრეც ფონზე ამოზრდილ პირქუშ, გადათოვლილ შენობებს, - რაც... აქ იყავი.

რა თქმა უნდა, არც მე ვიცოდი, ჩემი აქ ყოფნის შემდეგ, მართლა ვინ მოინდომებდა ჩემზე დაქორწინებას. წარმოდგენა არ მქონდა.

- აქ ქვითარი მაქვს, ირვინ.

საგიჟეთის ადმინისტრაციული შენობის მთავარ შესასვლელში ფასიანი ტელეფონის ყურმილში ვჩურჩულებდი. თავიდან ვიეჭვე, რომ ოპერატორს თავის მაგიდასთან შეეძლო მოესმინა, მაგრამ ის თვალის დაუხამხამებლად აგრძელებდა თავისი აპარატების ჩართვა-გამორთვას.

- დიახ, - თქვა ირვინმა.

- ოცდოლარიანი ქვითარია, დეკემბრის იმ დღეს სასწრაფო დახმარების მომსახურებისთვის და ერთი კვირის შემდეგ გასინჯვისთვის.

- დიახ, - გაიმეორა ირვინმა.

- საავადმყოფოდან შემომითვალეს, რომ ქვითარს მე მიგზავნიან, რადგან შენთან გამოგზავნილს პასუხი არ მოჰყოლია.

- კარგი, კარგი, აი, ახლა გამოვწერ. სუფთა ჩეკს გამოვუწერ, - ირვინის ხმა ოდნავ შეიცვალა, - როდის გნახავ?

- მართლა გაინტერესებს?

- ძალიან.

- არასოდეს, - ვუთხარი და ყურმილი დავახეთქე. უცებ გავიფიქრე, ვაითუ ამის შემდეგ ირვინმა საავადმყოფოს ჩეკი აღარ გაუგზავნოს-მეთქი, მაგრამ მერე გამახსენდა: რა თქმა უნდა, გაუგზავნის, ის ხომ მათემატიკის პროფესორია - ნაშთების დატოვება არ ეყვარება.

თავი როგორდაც სულმდაბლად, მაგრამ თავისუფლად ვიგრძენი.

ირვინის ხმა ჩემთვის არაფერს ნიშნავდა.

ჩვენი ერთადერთი შეხვედრის შემდეგ ეს ჩემი მასთან პირველი დალაპარაკება იყო, და დარწმუნებული ვიყავი, რომ უკანასკნელიც იქნებოდა. ირვინს ჩემთან დაკავშირების არანაირი გზა არ ჰქონდა, გარდა ექთან კენედის ბინაში მისვლისა; მაგრამ ჯოანას სიკვდილის შემდეგ ექთანი კენედიც სხვაგან გადავიდა და კვალიც არ დაუტოვებია.

სრულიად თავისუფალი ვიყავი.

ჯოანას მშობლებმა დაკრძალვაზე დამპატიჟეს.

მისის გილინგის თქმით, მე ჯოანას ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარი ვიყავი.

- იცი, ვალდებული არა ხარ, წახვიდე, - მითხრა ექიმმა ნოლანმა, - ნებისმიერ დროს შეგიძლია, წერილით მიუსამძიმრო და აუხსნა, რომ მე გირჩიე, არ წასულიყავი.

- წავალ, - ვთქვი და წავედი კიდეც; მთელი ცერემონიალის მანძილზე ვცდილობდი, მივმხვდარიყავი, ზუსტად რას ვმარხავდი.

საკურთხეველთან, ქათქათა ყვავილებით მორთულ კუბოს უზარმაზარი ჩრდილი ეფინა - რადაცისა, რაც იქ არ იყო. ჩემ გარშემო, სკამებზე, სანთლის შუქით განათებული სახეებიც ცვილისას ჰგავდა; და შობიდან შემორჩენილი ფიჭვის ტოტებისაგან ტაძრის ცივ ჰაერში მწუხარე, არაამქვეყნიური სურნელი იდგა.

ჩემ გვერდით ჯოდის ლოყები ვაშლებივით უღაჟღაჟებდა; აქა-იქ მრევლში ჯოანას ნაცნობი სხვა ჩემი თანაკოლეჯელი გოგონებისა და თანაქალაქელების სახეებსაც ვცნობდი. დი-დის და ექთან კენედის წინა მერხებზე მანდილიანი თავები დაეხარათ.

მერე კუბოს, ყვავილების, მღვდლისა და მგლოვიარეთა თავებს უკან ჩვენი



სასაფლაოს მინდორი აგორდა, თოვლიდან უკვამლო ბუხრის მიღებივით ამოშვერილი საფლავის ქვებით.

აქ, პირქუშ მიწაში, შავი, ექვსი ფუტის სიღრმის ნაპრალი იცდიდა. ის ჩრდილი შეუწყვილდებოდა ამ ჩრდილს და, ბოლოს, სითეთრეში შავად გაჩენილ ჭრილობას აქაური, თავისებურად მოყვითალო მიწა დაესმებოდა ბეჭდად. მერე ახლად ჩამოყრილი თოვლი წაშლიდა ჯოანას საფლავის სიახლის კვალს.

ჰაერი ღრმად ჩავისუნთქე და ჩემი გულის ძველებურ ქადილს მივუყურადე. მე ვარ, მე ვარ, მე ვარ

ექიმებს საბჭოს ყოველკვირეული სხდომა ჰქონდათ, სადაც წყვეტდნენ ძველ და ახალ საქმეებს – მიღებას, გაშვებას, გასაუბრებებს. საგიჟეთის ბიბლიოთეკაში ბრმად ვფურცლავდი „ნემუნალ ჯეოგრაფიკის“ გაქექილ ნომერს და ჩემს რიგს ველოდი.

პაციენტები, თანმხლებ ექთნებთან ერთად, წიგნებით გადატენილ თაროებს ათვალიერებდნენ და დაბალ ხმაზე ემუსაიფებოდნენ საგიჟეთის ბიბლიოთეკარს, რომელსაც მკურნალობის კურსი თავადაც ჰქონდა გავლილი. ვუცქეროდი ამ ბეც, შინაბერა, უემოციო ადამიანს და მაინტერესებდა, მაინც რითი ხვდებოდა, რომ მკურნალობა დასრულებული ჰქონდა და, თავისი კლიენტებისაგან განსხვავებით, უკვე ჯანმრთელი იყო.

- ასე ნუ გეშინია, - წინასწარ შემზადებული ვყავდი ექიმ ნოლანს, - მეც იქ ვიქნები. დანარჩენ ექიმებსაც იცნობ. დამსწრე პირები და მთავარი ექიმი ვინინგი რამდენიმე კითხვას დაგისვამენ და მერე თავისუფალი იქნები.

მიუხედავად იმისა, რომ ექიმი ნოლანი მამხნევებდა, შიშისგან ვკვდებოდი. იმედი მქონდა, რომ ამ დღეს თავდაჯერებული შევხვდებოდი და საკუთარ მომავალთან დაკავშირებით ყველაფერზე გასაგები პასუხი მექნებოდა. „ფსიქოანალიზმაც“ ხომ დადებითი შედეგით ჩაიარა. მაგრამ ერთადერთი, რაც ახლა თვალწინ მედგა, კითხვის ნიშნები იყო.

წამდაუწუმ კაბინეტის კარს გავცქეროდი. წინდის ნაკერები გასწორებული მქონდა, შავი ფეხსაცმელი – დამსკდარი, მაგრამ გაპრიალებული; და შალის კოსტიუმიც ჩემი იმედებივით ალისფერი მეცვა. რაღაც ძველი, რაღაც ახალი...

მაგრამ ეს ხომ ჩემი ქორწილი არ იყო. ეს, ჩემს წარმოსახვაში, მეორედ დაბადების რიტუალს უნდა მგვანებოდა – იმ ბორბალს, თავიდან რომ შეაწებებენ, შეაკოწიწებენ და გადაწყვეტენ, გზაზე გავუშვათ, ივარგებსო. ამ ფიქრებში ვიყავი, როცა ექიმი ნოლანი, თითქოს არსაიდან, ჩემ წინ გაჩნდა და მხარზე შემეხო.

- აბა, ესთერ!

წამოვდექი და ღია კარში შევყევი. ზღურბლთან შევდექი, სული რომ მომეთქვა. ჯერ ის ვერცხლიფერთმიანი ექიმი დავინახე, ჩემი აქ მოსვლის პირველ დღეს მდინარეებისა და პილიგრიმების შესახებ რომ მიაგებოდა, შემდეგ მის ჰიუსის დაკენკილი, მკვდრისფერი სახე და ბოლოს, სხვა ნაცნობი თვალებიც, რომლებიც უწინ მხოლოდ ნიღბებს მიღმა მენახა.

თვალებიც და სახეებიც ერთბაშად მოტრიალდნენ ჩემკენ; მეც ჩავეჭიდე მათ, როგორც მაგიურ ძაფს, და ოთახში შევყევი.